



ICMPD

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების
საერთაშორისო ცენტრი

მედისთვის მიგრაციის
სწავლების აკადემია

მიგრაციის გაშუქება

ჟურნალისტის სახელმძღვანელო
მიგრაციის გაშუქებისთვის



Federal Foreign Office

მომზადებულია მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის მიერ
ვენა, ავსტრია

შეკვეთილი და დაფინანსებულია გერმანიის ფედერალური საგარეო სამსახურის მიერ

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD)

Gonzagagasse 1
A-1010, ვენა
ავსტრია
www.icmpd.com

International Centre for Migration Policy Development
Vienna, Austria

ყველა საავტორო უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ პუბლიკაციის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, კოპირება ან გადაცემა რაიმე ფორმით ან გზით (ელექტრონულად იქნება ეს, თუ მექანიკურად), მათ შორის, ფოტოკოპირებით, ჩაწერით, ინფორმაციის შენახვითა და საძიებო სისტემის გამოყენებით, საავტორო უფლების მფლობელთა ნებართვის გარეშე.

პუბლიკაცია შეიქმნა გერმანიის ფედერალური საგარეო სამსახურის დახმარებით. მის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი და იგი არ გამოხატავს გერმანიის ფედერალური საგარეო სამსახურის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი	9
რატომ შეიქმნა ეს სახელმძღვანელო?	9
რატომ ახლა?	9
რას უნდა ველოდოთ?	10
ვისთვის არის განკუთვნილი?	10
როგორ გამოვიყენოთ იგი?	10
მადლიერების ნიშნად:	11
 თავი 1: ეთიკური საფუძვლები	 13
ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები	14
„მედიაში მიგრაციის გაშუქების ეთიკის ქარტია“	17
დასკვნა	21
 თავი 2: რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?	 23
პოლიტიკური ჟურნალისტები	24
ეკონომიკა და ბიზნესი	26
უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი	27
საშინაო, სოციალური და რელიგიური საქმეები	29
ხელოვნება და კულტურა	30
საზღვარგარეთის, საერთაშორისო და დიპლომატიურ საქმეთა კორესპონდენტები	30
არასპეციალისტი რეპორტიორები	31
ფოტოჟურნალისტიკა	32
ახალი ამბების რედაქტორები, გამშვები რედაქტორები და მწარმოებელი ჯგუფები	33
წარმოების/გამოშვების ჟურნალისტები: რედაქტორის თანაშემწეები	
და ვიდეო ან აუდიო რედაქტორები	33
დასკვნა	34
 თავი 3: მიგრაციის გაშუქების ტენდენციები	 35
მიგრაცია: როგორ ამახინჯებს პოლიტიკა გაშუქებას	36
შედეგები პრაქტიკისთვის	36
დასკვნა	36
 თავი 4: ტერმინოლოგია	 39
შესავალი	39
როგორ გამოვიყენოთ ლექსიკონები	40
ფერებით კოდირება ლექსიკონში:	40
ძირითადი ტერმინები და მათი გამოყენება	41
ტერმინოლოგიის არასწორი გამოყენება, დამახინჯება და დატვირთვა	49
„ეკონომიკური მიგრანტი“	49
ტერმინები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ	50
1) საზღვრის გადაკვეთა	50
2) ცხოვრება წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ	51
3) მიგრაციის მონაცემები და ტერმინები	52

როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ტერმინოლოგიის გამოყენება?	52
შეკითხვები ახალი ამბების რედაქციებისა და ჟურნალისტთა ასოციაციებისთვის:	53
დასკვნა	53

თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ 55

მიგრაციის პროცესები	55
მიგრაციის მამოძრავებელი ძალები	55
მიგრაციის მამოძრავებელი ძალები: კრიზისი და მიგრაცია	57
მიგრაციის ფორმები	59
მიგრაციის ფორმები: შრომითი მიგრაცია	59
მიგრაციის ფორმები: ოჯახური მიგრაცია	63
მიგრაციის ფორმები: სამართლებრივი საფუძვლის	
არმქონე მიგრაცია (არასანქცირებული მიგრაცია)	64
მიგრაციის ფორმები: შერეული მიგრაცია	65
მიგრაციის ფორმები: ლტოლვილები და თავშესაფარი	67
მიგრაციის ფორმები: ლგბტქი და თავშესაფარი	70
მიგრაციის ფორმები: ქვეყნის შიგნით გადაადგილება	71
მიგრაციის ფორმები: ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)	
და ადამიანების უკანონო გადაყვანა	72
მიგრაციის შედეგები	77
შედეგები: ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება	77
შედეგები: უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი	80
შედეგები: დეპორტაცია და გაძევება (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა)	83
შედეგები: რემიტენციები	84
შედეგები: დიასპორა	85
მიგრაციის მართვა	85
საზოგადოებრივი აზრი	86
დასკვნა	87

თავი 6: ამბის მიღება (სწორად) 89

შესავალი	89
ამბის მიღება (სწორად): გენდერი და მიგრაცია	95
ამბის მიღება (სწორად): წყაროების განვითარება და დაცვა	96
ამბის მიღება (სწორად): მიგრაცია და „კოვიდ-19“	100
ამბის მიღება (სწორად): დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა	102
სიძულვილის ენა და მიგრაცია	104
დასკვნა – ტოქსიკური ნაზავი.	110
ამბის მიღება (სწორად): ფოტოგრაფია და გამოსახულებები	110
წყაროები	112
კურსები	112
დასკვნა	112

თავი 7: ინტერვიუ	113
შესავალი	113
ინტერვიუ მიგრანტებთან	114
ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან	117
ინტერვიუ მასპინძელ თემებთან და გამკლავება სირთულეებთან	122
დასკვნა	123
 თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები	125
შესავალი	125
მეცნიერები	127
ანალიტიკური ცენტრები	128
არასამთავრობო ორგანიზაციები	129
პოლიტიკოსები	130
სამთავრობო დეპარტამენტები და სტატისტიკის ეროვნული ორგანიზაციები	130
მთავრობათაშორისი ორგანიზაციები	131
პროფკავშირული და ბიზნესორგანიზაციები	132
ადამიანის უფლებათა და იმიგრაციის სფეროს იურისტები	133
დასკვნა	133
 თავი 9: მონაცემები და ანალიზი	135
მონაცემები და ანალიზი: როგორ გავაანალიზოთ წყარო	135
მონაცემები და ანალიზი: მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია	138
დასკვნა	140
რესურსები	140
 თავი 10: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება	141
შესავალი	141
პრესის საბჭოები და მარეგულირებელი ორგანოები –	
მიკერძოების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები	142
ახალი ამბების რედაქციები	143
პოლიტიკის შემმუშავებლები	144
პოლიტიკის შემმუშავებლები და საზოგადოების ლიდერები	145
ჟურნალისტიკის მხარდამჭერი პროგრამები	145
სამოქალაქო საზოგადოება	146
ჟურნალისტთა ტრენინგი და განათლება	146
ჯილდოები	146
კვლევა	147
შესავალი	148
გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ფორმები	153

თავი 11: მექანიზმები და რესურსები	155
ქვეყნისთვის დამახასიათებელი მიგრაციის წყაროები	155
სომხეთი	155
აზერბაიჯანი	157
ბელარუსი	160
საქართველო	161
მოლდოვა	165
უკრაინა	167
ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები	172
ძირითადი პოლიტიკური ინიციატივები	175
თავშესაფრისა და მიგრაციის საერთაშორისო და ევროკავშირის სამართალი	176
რესურსები მთავრობათაშორისი ორგანიზაციებიდან	176
მიგრაციის კვლევები (მიგრაცია და მედია)	177
ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები მიგრაციის გაშუქებისთვის	178
მიგრაციის ლექსიკონები	180
ენის გამოყენებასთან დაკავშირებული დავები	181
გენდერი და მედია	181
ჯილდოები მიგრაციის გაშუქებისთვის	182
დასკვნა	183
აკრონიმები	185
ბიბლიოგრაფია	189

წინათქმა

„ჩამოყალიბეთ ეს: მოკლედ – რათა წაიკითხოთ, გასაგებად – რათა დააფასონ, მხატვრულად – რათა დაიმახსოვრონ და, რაც მთავარია, ზუსტად – რათა მისი შუქი გზას უნათებდეთ“.

– ჯოზეფ პულიცერი

2019 წელს, „მომენტას“ პროექტის დაწყებისას, ბევრი არაფერი ვიცოდით, სად მიგვიყვანდა იგი ორი წლის შემდეგ, 2020 წლის დასასრულს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის თავდაპირველი მიზანი იყო ტრენინგების ჩატარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ჟურნალისტებისთვის – კერძოდ, კომუნიკაციაზე ლეგალური მიგრაციის არჩევანის შესახებ. თუმცა, მალევე ICMPD-ის გუნდი და პროექტის მედიაექსპერტები (როგორც ევროპის კავშირიდან, ისე აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებიდან) მიხვდნენ, რომ საბოლოო მიზნის მისაღწევად – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიგრაციის გაშუქების გასაუმჯობესებლად – საჭირო იყო უფრო ძლიერი ქსელები და ერთიანი მიდგომა; აქედან გამომდინარე, გუნდმა მოითხოვა პროექტის გავრცობა. შედეგად, დონორის დიდი დახმარებით, „მომენტას“ პროექტის მეორე ფაზით პარტნიორობა დაფუძნდა როგორც მასმედიის კონკრეტულ საშუალებებსა და ჟურნალისტებს, ისე ექვსი ქვეყნის ჟურნალისტთა ასოციაციებს შორის (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა). ასევე განისაზღვრა საჭიროება, რომ მასმედიის წარმომადგენელთათვის შექმნილიყო მიგრაციის გაშუქების შესაძლებლობათა გაძლიერების ყოვლისმომცველი და სისტემური მოდელი. ამ პუბლიკაციის მომზადების იდეაც სწორედ მაშინ გაჩნდა.

მასმედიის სახელმძღვანელოს შექმნისას პირველი ნაბიჯი გახლდათ პროცესში მედიის სფეროს შესანიშნავი ექსპერტების – რობერტ მაკნილისა (ოქსფორდის უნივერსიტეტის მიგრაციის, პოლიტიკისა და საზოგადოების ცენტრი (COMPAS)) და ტომ ლოსის (მედიის განვითარების გლობალური ფორუმის (GFMD) მრჩეველი და მედიის განვითარების დამოუკიდებელი კონსულტანტი) ჩართვა. ეს ამოცანა სრულყოფილად ვერ შესრულდებოდა სხვა მონაწილეთა რჩევების გარეშეც. მათ შორის არიან: მიგრაციის ექსპერტები, აღმოსავლეთის სამეზობლო ქვეყნების ჟურნალისტთა ასოციაციები, „მომენტას“ სასწავლო აკადემიის კურსდამთავრებულები, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროფესიონალები და სხვა გარეშე სპეციალისტები. აქედან გამომდინარე, შემდეგი ნაბიჯი იყო მიგრაციის სფეროს რეგიონული და საერთო გამოცდილების, ცოდნისა თუ საჭიროებების გააზრება. დაბოლოს, ჯგუფმა შეაგროვა და გააანალიზა უკვე არსებული ცნობარები, სახელმძღვანელო მითითებები და ექსპერტთა რეკომენდაციები. ნაშრომის თითოეული თავი შემუშავდა ყველა ჩართულ სუბიექტთან მჭიდრო თანამშრომლობით – მხოლოდ ამგვარად შეიძლებოდა, ის ყოფილიყო სარგებლიანი, ინოვაციური და მდგრადი. ახლა, როდესაც დასრულებულ პროდუქტს ვუყურებ, შემიძლია ვთქვა, რომ ამ ყველაფერს მივაღწიეთ.

მიგრაციის საკითხების გაშუქებით, მასმედია დიდ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მიგრანტებისა და მიგრაციის შესახებ. თავის მხრივ, საზოგადოებრივ აზრს გავლენა აქვს სახელმწიფოს მიდგომებზე და აყალიბებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკის დონეზე. ეს წრე გრძელდება, როდესაც მასმედია საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის შესახებ. ასეთ ფონზე, „მომენტას“ სახელმძღვანელო პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლევა, თუ როგორ უნდა გააძლიეროს მედიამ მიგრაციის საკითხების გაშუქება ისეთი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა მიგრაციის ტერმინოლოგიის ახსნა, ადამიანის ღირსების პატივისცემაზე ფოკუსირება, სიძულვილის ენის დაგმობა, დაბალანსებული გაშუქება, მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გადაცემა და მიგრანტთა ხმის გაჟღერება. სახელმძღვანელოს კიდევ უფრო ამდიდრებს რეკომენდაციები ინტერვიუების მეთოდებზე, წყაროებისა და ექსპერტების შერჩევაზე და მონაცემებისა და საილუსტრაციო მასალის გამოყენებაზე.

სამუშაო ამით არ მთავრდება: მასმედიის ზემოქმედებას მიგრაციისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. ეს ფაქტორები კონტექსტის შესაბამისად იცვლება, ამიტომ საჭიროა კონტექსტის შემდგომი შესწავლა. აუცილებელია, სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში მეტად განვითარდეს ჟურნალისტთა შესაძლებლობები მიგრაციის საკითხთა გასაშუქებლად და შეიქ-

Foreword

მნას უფრო ფართო ქსელები, მათ შორის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტებთან. ყოველივე ეს მოქმედებებს მოითხოვს სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, „მომენტას“ გუნდის სახელით, მასმედიის პროფესიონალებს, პოლიტიკის შემქმნელებს, მიგრაციითა და მედიით დაინტერესებულ ყველა პირს ვურჩევთ სახელმძღვანელოს ჩართვას ჩვენს ერთობლივ ძალისხმევაში, რომელიც ხელს შეუწყობს მიგრაციის დაბალანსებული ნარატივის დამკვიდრებას. და რაც მთავარია, მინდა მადლობა გადავუხადო პროფესიონალიზმისა და მონდომებისთვის ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სახელმძღვანელოს შემუშავებაში.

ვიოლეტა ვაგნერი

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების მენეჯერი

შესავალი

ამ თავში აღწერილია სახელმძღვანელოს მიზანი და გამოყენების წესი

რატომ შეიქმნა ეს სახელმძღვანელო?

ბოლო წლებში მიგრაციის შესახებ მრავალი დამხმარე საშუალება და სახელმძღვანელო მითითება შემუშავდა, თუმცა მათი უმრავლესობა ორიენტირებულია კონკრეტულ მოვლენებზე, ან მიზნობრივად (თუ მიზნის გარეშე) შემოფარგლულია რომელიმე ქვეყნის ან რეგიონის კონტექსტით. რაც უფრო კონკრეტულია სახელმძღვანელო მითითებები (და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის ფარგლები) ქვეყნის მიგრაციულ ტენდენციებთან მიმართებით, მით მაღალია ალბათობა, რომ ისინი გაამართლებენ მიზანს და ფართო აღიარებას მოიპოვებენ.

2019 წელს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა (ICMPD), გერმანიის ფედერალური საგარეო სამსახურის დაფინანსებით, საერთაშორისო ტრენინგები ჩაატარა ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მიგრაციის საკითხებს აშუქებენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „მომენტას“ („მედიისთვის მიგრაციის სწავლების აკადემია“) პირველი პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ჟურნალისტთა ასოციაციებმა გამოხატეს სურვილი, ეს ინიციატივა 2020 წელსაც გაგრძელებულიყო „მომენტა-2“-ის ფარგლებში: კერძოდ, მომზადებულიყო სახელმძღვანელო მიგრაციის გაშუქების შესახებ, რომელიც ჟურნალისტებს დაეხმარებოდა საზოგადოებისთვის საინტერესო, მიუკერძოებელი და ფაქტებზე დაფუძნებული მასალების მომზადებაში.

სახელმძღვანელოს შემუშავებისას გათვალისწინებულია მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მიგრაციის პოლიტიკის შესახებ; იგი მოერგო აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის საჭიროებებს, იმ ფოკუს-გუგუზების მეშვეობით, რომლებიც აერთიანებდა ჟურნალისტებსა და მედიის ასოციაციასა წარმომადგენლებს და საგანგებოდ ჩამოყალიბდა სახელმძღვანელოს მოსამზადებლად. მისი წევრები შეთანხმდნენ, რომ მიგრაციის შესახებ დაბალანსებული ნარატივების შესაქმნელად, სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო, თუ როგორ შეიძლება დააღწიონ თავი ჟურნალისტებმა მიგრაციის გაშუქებისას გარკვეულ შაბლონებსა და სტერეოტიპებს, რომლებსაც შეუძლიათ დისკრიმინაციის გამოწვევა და პოლიტიკური მიმართულებების პოლარიზება.

რატომ ახლა?

- პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე, ან კარიერის განმავლობაში, ჟურნალისტთა განათლება არ ითვალისწინებს ყველა თეორიულ მასალასა და გადაწყვეტილების მიღების უნარს, რომლებიც საჭიროა მიგრაციის საკითხთა ხარისხიანი გაშუქებისთვის;
- ახალი ამბების სამუშაოებზე საშუალებებს მუშაობა უწევთ რადიკალურად პოლარიზებულ, ზოგჯერ წნეხის ან ცენზურის გარემოში, რამაც შესაძლოა რეალური ზიანი მიაყენოს მიგრანტებს; ასევე, არასწორი წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას და, აქედან გამომდინარე, უარყოფითად იმოქმედოს პოლიტიკის შემმუშავებელთა გადაწყვეტილებებზე;
- მედია მთელ მსოფლიოში დგას ნდობისა და მდგრადობის კრიზისის წინაშე.¹ ეკონომიკური კრიზისის გამო, მასმედიის საშუალებათა ახალი ამბების განყოფილებები რესურსების სიმწირეს განიცდიან, რის გამოც ბრძოლა უხდებათ შემცირებული ონლაინ რეკლამებიდან მიღებული შემოსავლებისთვის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ფსკერისკენ სვლა, როდესაც გამართივება, გაზვიადება და სტერეოტიპები აჭარბებს კონტექსტს, დაბალანსებასა და იმ ნიუანსებს, რომლებიც საჭიროა მიგრაციის ამბის მოცემულ კონტექსტში მოსათხრობად;
- „კოვიდ-19“-ის პანდემიამ გააძლიერა უარყოფითი ტენდენციები ეკონომიკისა და პრესის თავისუფლების სფეროში. ეს ნიშნავს, რომ მასმედიის მრავალ საშუალებასა და წარმომადგენელს შეიძლება დახმარება დასჭირდეთ ჟურნალისტის გარკვეული დონის შესანარჩუნებლად, რომელსაც აუდიტორია ენდობა;

1 <https://www.digitalnewsreport.org/survey/2020/overview-key-findings-2020/>.

- „კოვიდ-19“-მა რადიკალურად შეამცირა რეალურ გარემოში ტრენინგის შესაძლებლობებიც, რის გამოც წერილობითი სახელმძღვანელო პრინციპები აქამდე არნახულად გამოიყენება. ამავდროულად, ვითარებამ გზა გაუხსნა ქსენოფობიურ რიტორიკას და რასისტულ დამოკიდებულებას მიგრანტთა მიმართ.

რას უნდა ველოდოთ?

- გვექნება სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ დაბალანსებული, საფუძვლიანად შესწავლილი რეპორტაჟი (რთულ გარემოებებშიც კი) სასწავლო მაგალითებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, რომლებიც დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ გამოცდილებაზე;
- მკითხველს დაეხმარება, რომ უკეთ გაიაზროს მედიაში ფართოდ გავრცელებული ნარატივები მიგრაციის შესახებ, გააანალიზოს ისინი, იდავოს მათზე და იმოქმედოს მათგან დამოუკიდებლად;
- გვაჩვენებს, რომ „სწორად მოქმედება“ (ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით) და „ამბის კარგად გადმოცემა“ (რაც საჭიროა ჟურნალისტიკის გადასარჩენად) შეიძლება ერთი მედლის ორი მხარე იყოს;
- მიგრაციაზე რეპორტაჟის მომზადების შესანიშნავი რესურსია ინტერვიუ „New York Times“-ის ჟურნალისტთან, პატრიკ კინგსლისთან, სადაც იგი საუბრობს მიგრაციასთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე: რა უნდა ვიცოდეთ ამ საკითხების გასაშუქებლად და რატომ არის რთული მათი გაშუქება.

ვისთვის არის განკუთვნილი?

- **ჟურნალისტებისთვის:** მათ (ასევე რედაქტორებმაც) ეს სახელმძღვანელო შეიძლება გამოიყენონ როგორც ცნობარი და თვითგანათლების გზამკვლევი კარიერის ყველა ეტაპზე;
- **მაღალი დონის მენეჯმენტისა და რედაქტორებისთვის:** ზოგიერთი განყოფილება განკუთვნილია მათთვისაც, რათა დაეხმაროს პოლიტიკისა და პრაქტიკის განხილვაში, რომლებიც უნდა დანერგონ მიგრაციის გაშუქების გასაუმჯობესებლად;
- **სტუდენტებისთვის:** მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო განკუთვნილია პრაქტიკოსი პროფესიონალებისთვის, ვიმედოვნებთ, რომ ის კარგი საცნობარო ინსტრუმენტი იქნება მათთვისაც, ვინც სწავლობს (ან ასწავლის) ჟურნალისტიკას;
- **მიგრაციის ექსპერტებისთვის:** სახელმძღვანელო კონკრეტულად მათ არ მიემართება, მაგრამ ექსპერტებსაც შეუძლიათ მისი გამოყენება მიგრაციის გაშუქების უკეთ გასაგებად.

სადაც შესაძლებელია (მაგ.: თავში პასუხისმგებლობის აღება მიგრაციის ხარისხიან გაშუქებაზე), ჩამოყალიბებულია რჩევები, მითითებები და რეკომენდაციები ჟურნალისტებისთვის, რომლებიც სხვადასხვა როლს ასრულებენ.

როგორ გამოვიყენოთ იგი?

- **საჭიროებისას:** ჩვენ ვიცით, როგორი დაკავებული ხართ! სწორედ ამიტომ, სახელმძღვანელო შექმნილია იმგვარად, რომ შეძლოთ მხოლოდ თქვენთვის საჭირო თავის/ქვეთავის გაცნობა მასალის გაშუქების, რედაქტირებისა და გამოქვეყნების ნებისმიერ ეტაპზე. გამოიყენეთ სარჩევის გვერდი და ნავიგაციის ჩანართები, რათა იოლად იპოვოთ სასურველი მასალა;
- **პროფესიული განვითარებისთვის:** ვიმედოვნებთ, რომ მიგრაციის საკითხებით დაინტერესებული ჟურნალისტები გამოძებნიან დროს მთელი სახელმძღვანელოს წასაკითხად და განიხილავენ ეთიკურ თუ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებსაც ის წამოჭრის პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაღრმავებლად;
- **სხვებისთვის მიმართულების ჩვენებისა და სწავლებისთვის:** გთხოვთ, ნუ გამოიყენებთ სახელმძღვანელოს მხოლოდ თქვენთვის: იგი სასარგებლოა კოლეგებთან დებატების წამოსაწყებადაც, ასევე, ტრენინგებისა და შესაძლებლობათა გაძლიერების ღონისძიებებისთვის.

გახსოვდეთ, თუ თქვენთვის უცნობია ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ცნებები, იხილეთ თავი 4 **ტერმინოლოგია**. განყოფილებაში **ამბის თხრობა მიგრაციის შესახებ** არის ქვეთავები, რომლებიც ასევე თქვენთვის საინტერესო საკითხებს ეძღვნება.

მადლიერების ნიშნად:

ICMPD-ის დახმარებითა და გამოცდილების გამოყენებით, სახელმძღვანელო შეიმუშავეს რობერტ მაკ-ნილმა და ტომ ლოუმ.

რობერტ მაკნილი – ოქსფორდის უნივერსიტეტის მიგრაციის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე და მედიისა და კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი (ბოლო ათი წელია, ამ ინსტიტუტში მუშაობს). თავისი კარიერის დასაწყისში იყო გაერთიანებული სამეფოს გაზეთებისა და ჟურნალების („The London Evening Standard“, „Daily and Sunday Mirror“, „Red Magazine“ და „BBC Wildlife“) კორესპონდენტი და ახალი ამბების გამოცემის რედაქტორი რეგიონულ გაზეთებში. იგი მუშაობდა სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროშიც, კერძოდ, იყო: მედიის მიმართულების დირექტორი ორგანიზაციაში „საერთაშორისო კონსერვაცია“, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მენეჯერი „ოქსფამის“ დიდი ბრიტანეთის ოფისში, და მსოფლიო ბუნების ფონდის გაერთიანებული სამეფოს ოფისის პრესმდივანი.

ტომ ლოუ – მედიის განვითარების გლობალური ფორუმის (GFMD) მრჩეველი მედიაპოლიტიკის სფეროში და მედიის განვითარების დამოუკიდებელი კონსულტანტი. მანამდე მოღვაწეობდა ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელში, ჩართული იყო წამყვან კამპანიებში, კვლევებსა და ტრენინგებში მიგრაციის გაშუქებისა და სხვა საკითხებზე. იგი რედაქტორად მუშაობდა სუდანის ახალი ამბების ორგანიზაციაში, ასევე, მოღვაწეობდა დამოუკიდებელ ჟურნალისტადაც.

სახელმძღვანელოს რედაქტორები:

ვიოლეტა ვაგნერი, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების მენეჯერი

ქსენია ფილიპენკო, ICMPD, პროექტის მენეჯერი

ავტორები და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი მადლობას უხდის დახმარებისთვის შემდეგ პირებსა და ორგანიზაციებს:

- ჯერემი დრუკერი, პრალაში დაფუძნებული მედიის განვითარების ორგანიზაციის, „ტრანზიშენის“-აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი რედაქტორი;
- პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ქსელი, რომელმაც მოგვაწოდა გადაწყვეტაზე ორიენტირებული მასალები;
- მიქაელა ვანორე, მაასტრიხტის მმართველობის უმაღლესი სკოლის მეცნიერ-მუშაკი – სახელმძღვანელოს რეცენზენტი;
- ქვემოთ ჩამოთვლილი მიგრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ასევე, ჟურნალისტთა ასოციაციების, მასმედიის საშუალებებისა და აკადემიის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი კომენტარებით დაგვეხმარნენ სახელმძღვანელოს შემუშავებაში: არიფ ალიევი, აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე; არმან გაზარიანი, სომხეთის არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი; ნადინე გოგუ, მოლდოვას ჟურნალისტთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი; ლინა კუმჩი, უკრაინის ეროვნული ჟურნალისტური კავშირის პირველი მდივანი; ანა რიბჩინსკაია, ბელარუსი ჟურნალისტი; ელჩინ შიშკლი, აზერბაიჯანის ჟურნალისტთა ასოციაციის წარმომადგენელი; თინა ცომაია, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIIPA) პროფესორი;
- „ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი“ (EJN) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), რომლებმაც თავიანთი ინფოგრაფიკების გამოყენების ნება დაგვრთეს სახელმძღვანელოში;
- პატრიკ კინგსლი, „New York Times“-ის საერთაშორისო კორესპონდენტი; სტეფანი ჰეგარტი, ბრიტანელი ჟურნალისტი, მწერალი და მაუწყებელი; და ერომო ეგბეიულე, ნიგერიელი ჟურნალისტი, მწერალი და კინორეჟისორი. მათ გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება მიგრაციის გაშუქების შესახებ, რაც გამოვიყენეთ სახელმძღვანელოში ჩართულ სასწავლო მაგალითებსა და ვიდეოკლიპებში;
- გულარ აბასოვა, ლანა კოკაია, თორნიკე კოპლატაძე, ალექსანდრე მაკუხინი, ტატიანა პასოვა და ნატა სკურტული. მათ ისაუბრეს „მომენტა 1“-ის პერიოდში შექმნილ სტატიებზე, რომლებიც გამოყენებულია სახელმძღვანელოში ჩართულ სასწავლო მაგალითებსა და ვიდეოკლიპებში;

- „მომენტა 1“-ისა და „მომენტა 2“-ის პროექტებში მონაწილე ოცდაათი ჟურნალისტი: მათ კომენტარები მოგვაწოდეს ტრენინგის მასალებზე, რომლებსაც ეს სახელმძღვანელო დაეფუძნა;
- ეკატერინა ბელუკოვა (პროექტის ოფიცერი) და აიდა ჰასანოვა (პროექტის თანამშემწე) მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრიდან, რომლებიც დაგვხმარნენ „მომენტა 2“-ის პროექტის შემუშავებაში და საბაზისო ინფორმაცია მოგვაწოდეს სახელმძღვანელოსთვის;
- ანდრეი აპოიანი (პროექტის ოფიცერი), ქეთი გორგოშიძე (პროექტის ოფიცერი) და სალთანათ მამედოვა (პროექტის ოფიცერი) მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ ქვეყნებისთვის დამახასიათებელ წყაროებზე თავის შემუშავებაში;
- ნაშრომი ეფუძნება სახელმძღვანელო პრინციპებს – „მედია და ადამიანით ვაჭრობა“ (*Media and Trafficking in Human Beings Guidelines*), რომელიც მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა 2017 წელს გამოაქვეყნა.²

სახელმძღვანელო გამოიცა „მომენტა 2“-ის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი და აფინანსებს გერმანიის ფედერალური საგარეო სამსახური. პროექტი ხორციელდებოდა 2020 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონის ჟურნალისტთა ასოციაციებთან თანამშრომლობით. მისი საბოლოო მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას EaP-ის ქვეყნების მიგრაციის სფეროში, კერძოდ, ევროკავშირში ლეგალური მიგრაციის დაბალანსებული და მტკიცებულებაზე დაფუძნებული გაშუქებით.

2 https://www.icmpd.org/fileadmin/user_upload/Media_and_THB_Guidelines_EN_WEB.pdf.

თავი 1:

ეთიკური საფუძვლები

ეს თავი გამოიყენეთ, რათა:

- უკეთ აღიქვათ მიგრაციის საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებული ძირითადი ეთიკური პრინციპები;
- გაეცნოთ ქარტიების, კოდექსებისა და სახელმძღვანელო მითითებების გამოყენების წესებს;
- შეარჩიოთ თქვენთვის ყველაზე აქტუალური განყოფილებები ამ სახელმძღვანელოში.

ორი შეკითხვა დასაწყისისთვის:

- უნდა შეუშალოს ხელი სწორად მოქმედებამ ამბის კარგად გადმოცემას?
- უნდა შეუშალოს ხელი ამბის კარგად გადმოცემამ სწორად მოქმედებას?

პასუხი ორივე შეკითხვაზე არის – არა. სწორი მიდგომის დროს „სწორად მოქმედება“ და „ამბის კარგად გადმოცემა“ ერთი მედლის ორი მხარე უნდა იყოს. სახელმძღვანელოს მიზანი სწორედ ამის ჩვენებაა.

ეთიკა და სტანდარტები, რომლებსაც ჟურნალისტიკა მოითხოვს, შეიძლება შემზღუდველად მიიჩნიოთ, განსაკუთრებით, როდესაც მჭიდრო ვადების დაცვის არეულ და ხშირად იმპროვიზებულ პროცესში გიწევთ ყოფნა. თუმცა, ეს ნორმები, ამავედროულად, ჩვენი კომპასია, რომელიც გვეხმარება კომპრომისების ძიებასა და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ჟურნალისტები, რომლებთანაც ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის ჩატარდა ინტერვიუ, აცხადებენ, რომ ჟურნალისტური ეთიკის დაცვა აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მიგრაციის საკითხებს აშუქებ, თუ რაიმე სხვა ამბავს. აქ მთავარია, როგორ გამოიყენებ ამ ეთიკას სხვადასხვა სცენარში, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს რეპორტაჟებში მიგრაციის შესახებ.

ამ სახელმძღვანელოში იშვიათად ნახავთ მზა პასუხს, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ სწორი არჩევანი, რადგან ეს ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე. თუმცა, იყო კარგი ჟურნალისტი, ნიშნავს, რომ საკუთარ თავს სწორ დროს სწორი შეკითხვები დაუსვა. ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო სწორედ ამაში დაგეხმარებათ; მისი მეშვეობით დაინახავთ, რომ ჟურნალისტური ეთიკა ხელშემწყობი (და არა ხელშემშლელი) ფაქტორია თქვენს საქმიანობაში; უკეთეს ურთიერთობებს დაამყარებთ წყაროსთან; მიიღებთ მეტ გულახდილ ინტერვიუს და უფრო საინტერესო ისტორიებს; გადააფასებთ თქვენს მიდგომებს თხრობის მიმართ; გამოწვევად მიიღებთ და ეჭვქვეშ დააყენებთ დომინანტურ ნარატივს.

ასევე ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს რეფორმების ინიცირებას თქვენს განყოფილებაში.

ახალი ამბების განყოფილების სტილი/რედაქციის სახელმძღვანელო მითითებები:

ახალი ამბების ზოგიერთ განყოფილებას/რედაქციას აქვს ნათელი და ზუსტი მითითებები, თუ როგორ უნდა მიუდგნენ გარკვეულ ეთიკურ საკითხებს ან გამოყენებულ სიტყვებს თემის გაშუქებისას.

მაგალითად, ახალი ამბების სააგენტო „Associated Press“-მა 2013 წელს გამოაცხადა, რომ მათი სტილისტური ლექსიკონიდან ამოღებულია ტერმინი „უკანონო მიგრანტი“ და „უკანონო“ ნებისმიერი პირის მიმართ.³ „Associated Press“-ის ყოველი თანამშრომელი ვალდებულია, გაითვალისწინოს გადაწყვეტილება, რისკენაც მოუწოდებდნენ ჟურნალისტები და მიგრაციის სპეციალისტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილების ახსნისას (იხ. რისი წაკითხვაც ნამდვილად ღირს⁴) გამოცემა აღიარებს, რომ ენა დროთა განმავლობაში იცვლება, თუმცა ახალი ამბების ბევრ ორგანიზაციას არა აქვს საჭირო რესურსი ან მატერიალური შესაძლებლობები ამ ტენდენციებზე მიდევნებისთვის და ასეთი დეტალური ინსტრუქციების შესაქმნელად. თქვენ, როგორც ჟურნალისტს, შეგიძლიათ, იყოთ ავანგარდში და განახლებული პრაქტიკა თქვენს ორგანიზაციაზე ადრე ასახოთ.

3 <https://blog.ap.org/announcements/illegal-immigrant-no-more>.

4 <https://blog.ap.org/announcements/illegal-immigrant-no-more>.



ნავიგაციის ჩანართი:

- **იხ. თავი ტერმინოლოგია**, რათა ნახოთ, თუ როგორ შეიძლება სიტყვების უკეთ გამოყენება; და თავი **ამბები მიგრაციის შესახებ**, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა მივუდგეთ სხვადასხვა ტიპის მიგრაციის გაშუქებას;
- **საუკეთესო მაგალითების გასაცნობად**, იხ. აგრეთვე **ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები მიგრაციის გაშუქებისთვის**, რომელიც მოცემულია მე-11 თავში: **მექანიზმები და რესურსები**.

ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები

ეთიკურ ქარტიებს, კოდექსებსა და სახელმძღვანელო მითითებებს მიგრაციის გაშუქებისას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს:

1. ხელი შეუწყოს ახალი ამბების რედაქციებსა და მარეგულირებელ ორგანოებს ენის ევოლუციის, სირთულისა და პოტენციური შედეგების შემეცნებაში;
2. მიმართულება მისცეს ინდივიდუალურ ჟურნალისტებს.


ყველაზე აქტუალურ ქარტიებს ახალი ამბების მედიისთვის იურიდულად სავალდებულო ძალა არ აქვთ. თუმცა, მათ შეუძლიათ საფუძვლის შექმნა ჟურნალისტებისა და სპეციალური დაინტერესებული ჯგუფებისთვის, რომ რეფორმების გატარება მოსთხოვონ გამომცემლებსა და მარეგულირებელ ორგანოებს (მაგ.: პრესის საბჭოებს). ზოგ შემთხვევაში, ქარტიები და კოდექსები მიგრაციის შესახებ შემუშავდება კოლექტიური ძალისხმევით, ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, და მათი განხორციელებაც მეტი ალბათობით არის მოსალოდნელი.

ასეთი ახალი ქარტიები ან კოდექსები ხშირად იქმნება მიგრაციის ან დიდი მიგრაციული ღონისძიებების ურთიერთსაპირისპირო გაშუქების საპასუხოდ. აქედან გამომდინარე, ისინი შეიძლება დამოკიდებული იყოს ქვეყნის ან რეგიონის სპეციფიკაზე, მიგრაციის ფორმებზე, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე და მოცემულ დროში დომინირებს, ასევე, მასმედიაში გაშუქების ტენდენციებზე.

შეადარეთ ეს ორი მაგალითი:

- **ხუთპუნქტიანი გზამკვლევი მიგრაციის გაშუქებისთვის** – შეიმუშავა „ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელმა“ (EJN);
- **შრომითი მიგრაციის ეთიკური გაშუქება არაბეთის სახელმწიფოებში** – შეიმუშავა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO).

FIVE POINT GUIDE FOR MIGRATION REPORTING



1 FACTS NOT BIAS

Are we **accurate** and have we been **impartial, inclusive** and **fact-based** in our reporting?

Are we **acting independently** from narratives that stem from politics and emotion rather than facts?

Are we **fairly** and **transparently** reporting the impact of migration on communities?"



2 KNOW THE LAW

Asylum seeker? Refugee? Victim of trafficking? Migrant worker? Do we use **irregular migrant**? Do we understand and use migrant definitions correctly and do we articulate to our audience the rights migrants are due under **international, regional** and **national law**?



3 SHOW HUMANITY

Humanity is at **the essence of ethical journalism**. But we must **keep our emotions in check**, avoid victimization, over simplification and the framing of coverage in a narrow humanitarian context that takes no account of the bigger picture.



4 SPEAK FOR ALL

Do we have **migrant voices**? Are we **listening to the communities** they are passing through or joining? Question how representative self-appointed community and migrant spokespeople really are.



5 CHALLENGE HATE

Have we **avoided extremism**? Have we taken the time to judge whether **inflammatory content** about migrants or those who seek to limit migration can lead to hatred? Words like "swarms", "floods" and "waves" should be treated with caution, as should indiscriminate use of "racism" and "xenophobia."



Ethical Journalism Network

www.ethicaljournalismnetwork.org

Connect with us   



SHARE IT!

Ethical Reporting on Labour Migration in the Arab States

5 ACTIONS TO TAKE TODAY

1

DOMESTIC WORK IS WORK

Stop use of the terms 'maid', 'servant', 'girl' or 'helper'.
Use 'domestic worker'.

2

STOP USE OF 'ILLEGAL' MIGRANT

Understand the circumstances that lead
migrant workers to end up in irregular status

3

BE CRITICAL OF THE TERM 'ABSCONDING'

Assess the circumstances in which the worker
left the employer

4

HUMAN TRAFFICKING, FORCED LABOUR OR LABOUR EXPLOITATION?

Use terms accurately, by understanding correctly.
Visit [ilo.org/migrationglossary](https://www.ilo.org/migrationglossary) to learn more

5

SUPPORT POSITIVE STORIES

Support stories that recognize the contribution that
migrant workers make to our economies and societies

ILO REGIONAL FAIR MIGRATION PROJECT IN THE MIDDLE EAST (FAIRWAY)

[ilo.org/fairway](https://www.ilo.org/fairway)
[ilo.org/migrationglossary](https://www.ilo.org/migrationglossary)



International
Labour
Organization

https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---arabstates/---ro-beirut/documents/genericdocument/wcms_563848.pdf

ვხედავთ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინადადებები მკაფიოდ ეხმაურება არაბეთის მედიაში არსებულ ტენდენციებს მიგრაციის გაშუქებასთან დაკავშირებით; ხოლო ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელის (EJN) გზამკვლევი (2016) ყველაზე უკეთ შეიძლება აღვიქვათ ე. წ. „მიგრანტთა კრიზისის“ კონტექსტში (2015-2016), როდესაც ევროპაში მიგრანტთა დიდი ტალღა შემოვიდა აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და მათგან ბევრი თავშესაფრის მაძიებელი იყო.

ნავიგაციის ჩანართი:

- რჩევები სხვადასხვა ტიპის მიგრაციის გაშუქებასთან დაკავშირებით იხ. მე-5 თავში: **ამბები მიგრაციის შესახებ**;
- დამატებითი მაგალითებისთვის იხ. **ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები მიგრაციის გაშუქებისთვის**, რომელიც მოცემულია მე-11 თავში: **მექანიზმები და რესურსები**.

ონლაინ ვერსიისთვის: მიგრაციის გაშუქების ეს გზამკვლევი 2016 წელს მოამზადა ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელმა (EJN). გაშუქების მეთოდები აღწერა დოროთი ბირნემ, იმ დროისთვის გაერთიანებული სამეფოს მთავარი ტერესტრიალური სატელევიზიო ქსელის, მე-4 არხის ახალი ამბებისა და მიმდინარე საქმეთა განყოფილების უფროსმა.



<https://www.youtube.com/watch?v=aongjvQ-QCE&t=1s>

„მედიაში მიგრაციის გაშუქების ეთიკის ქარტია“

როგორ გამოვიყენოთ ეს თავი:


1. **წაიკითხეთ და გამოხატეთ, რამდენად აქტუალურია იგი თქვენი სამუშაოსთვის.** ჰკითხეთ საკუთარ თავს, რა არის გამოტოვებული, ან რა არ გაგიტოვალისწინებიათ;
2. **გამოიყენეთ მეტი სიღრმისეული ინფორმაციისა და რჩევების მისაღებად.** ამ თავის თითოეული ნაწილის შემდეგ შეგხვდებათ ნავიგაციის ჩანართი, სადაც მითითებულია, სახელმძღვანელოს რომელ განყოფილებაზე უნდა გადახვიდეთ.

ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც მიგრაციის საკითხს მოიცავს, აფრიკის, ამერიკის, აზიისა და ევროპის ჟურნალისტებმა მიიღეს შეხვედრაზე, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოაწყო 2019 წლის 11 დეკემბერს, ტუნისის ქალაქ კართაგენში.

ქარტიის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ მიგრაციის ეთიკური გაშუქება ეყრდნობა ჟურნალისტიკის ხუთ პრინციპს: სიზუსტე, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა, ჰუმანურობა და პასუხისმგებლობა. შემდეგ დოკუმენტში ახსნილია, თუ როგორ შეიძინა ამ პრინციპებმა ახალი მნიშვნელობა მიგრაციის კონტექსტში; ასევე განმარტებულია ტერმინოლოგია, სადაც აღიარებული და ნაჩვენებია გასაშუქებელი საკითხისა და ინფორმირებული თანხმობის მიღების სირთულე.

მეტი სიცხადისთვის, „მედიაში მიგრაციის გაშუქების ეთიკის ქარტიის“ მიმოხილვა რედაქტირებული და ადაპტირებულია. ქარტიის ორიგინალური და სრული ვერსია ხელმისაწვდომია სამ ენაზე (არაბული, ფრანგული და ინგლისური), შემდეგ ბმულზე.⁵

5 <https://www.facebook.com/Migrations-Charte-mondiale-d%C3%A9thique-109300947301204/>



ნავიგაციის ჩანართი:

ჟურნალისტიკის ფუძემდებლურ პრინციპებზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ:

- ჟურნალისტური ეთიკის გლობალური ქარტია (ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია);⁶
- ეთიკური ჟურნალისტიკის 5 პრინციპი (ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი).⁷

1. სიტყვების გათვალისწინება

- ნებისმიერმა ჟურნალისტმა, რომელიც მიგრაციის საკითხებს აშუქებს, უნდა იფიქროს ტერმინების წარმოშობასა და ზემოქმედებაზე;
- ჟურნალისტმა უნდა გამოიყენოს ისეთი ტერმინოლოგია და კონცეფციები, რომლებიც წარმოაჩენს ადამიანის ღირსებას; ასევე, აღიარებს საფუძვლებს, რომლებსაც საერთაშორისო სამართალში ეყრდნობა ტერმინები „ლტოლვილი“ და „თავშესაფრის მაძიებელი“.



ნავიგაციის ჩანართი:

- თავი 4: ტერმინოლოგია

2. სიძულვილი, რასიზმი, დისკრიმინაცია

- ჟურნალისტები უნდა გასცდნენ სიძულვილის, რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის თემების უბრალო გაშუქებას და, ნაცვლად ამისა, საზოგადოებას შესთავაზონ მათი ანალიზი და ახსნა;
- ჟურნალისტებმა უნდა მოახერხონ ისეთი ენის/ლექსიკის დეკონსტრუქცია, რომელიც ემსახურება მიგრანტთა კრიმინალიზაციას და მათ აღწერს, როგორც საფრთხეს.



ნავიგაციის ჩანართი:

- თავი 4: ტერმინოლოგია, განსაკუთრებით, განყოფილება: ფართოდ გავრცელებული არასწორი, და-მახინჯებული და დატვირთული ტერმინოლოგია;
- თავი 6: ამბის მიღება (სწორად), განსაკუთრებით, განყოფილებები: მრავალფეროვნება და დემინ-ფორმაცია და სიძულვილის ენა.

6 <https://www.ifj.org/who/rules-and-policy/global-charter-of-ethics-for-journalists.html>

7 <https://ethicaljournalismnetwork.org/who-we-are/5-principles-of-journalism>

3. ფაქტები და სირთულე

- ჟურნალისტიკამ მიგრაციის ამბები უნდა გააშუქოს მისი გლობალური, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით;
- ჟურნალისტებმა უნდა გამოავლინონ და ეჭვქვეშ დააყენონ კლიშეები და სტერეოტიპები, ფაქტების გამოყენებითა და კონტექსტში სწორად განთავსებით;
- მიგრაციის საკითხების სირთულიდან გამომდინარე, ჟურნალისტებმა უნდა შეძლონ ინფორმაციის წყაროთა ტიპებისა და თემების დივერსიფიკაცია.

ნავიგაციის ჩანართი:

- თავი 2: რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?
- თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ
- თავი 10: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება: პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა



4. ინფორმირებული თანხმობა

- მიგრანტთა ხმა, იმის მიუხედავად, სამართლებრივი საფუძვლის მქონე მიგრანტები არიან თუ არა, ხშირად უგულებელყოფილია, ან ნაკლები ყურადღება ექცევა და გაშუქებისას ხშირად „მსხვერპლის“ დონემდე დაჰყავთ. ჟურნალისტებმა თავიდან უნდა აიცილონ ამ ადამიანთა წარმოდგენა სიტუაციის მსხვერპლად;
- მიგრანტები არიან ინდივიდუალური პირები, რომლებიც თავად ქმნიან საკუთარ ისტორიას. ჟურნალისტი მას აძლევს სიტყვას, თხრობის საშუალებას, და იწვევს დებატებში;
- მიგრანტის ხმის მოსაპოვებლად, საჭიროა ინფორმირებული თანხმობა: ვინაიდან ყველას არ აქვს ერთნაირი კონტროლი, მედიის სფეროში განათლება, ან თავის მოწყვლადობაზე იურიდიული ცოდნა, ინტერვიუერმა რესპონდენტს უნდა აუხსნას ჟურნალისტური სამუშაოს ბუნება და ის შესაძლო რისკები, რომლებიც უკავშირდება ჩვენებასა და/ან გამოსახულების გამოქვეყნებას. ინფორმირებული თანხმობით თავიდან ავიცილებთ მოწყვლადი ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას.

ნავიგაციის ჩანართი:

ზემოაღნიშნულის გარდა, იხილეთ:

- ადამიანით ვაჭრობა და ადამიანების უკანონო გადაყვანა, თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ;
- თავი 6: ამბის მიღება (სწორად), განსაკუთრებით, განყოფილება: წყაროების განვითარება და დაცვა;
- თავი 7: ინტერვიუ.



5. ემპათია და სიფხიზლე

- ჟურნალისტი სენსაციას არ ეძებს. მას, როგორც მოვლენათა მოწმეს, შეუძლია, გამოხატოს თანაგრძნობა, მაგრამ სიტუაცია უნდა აღწეროს ისე, როგორც არის, და არ დაკარგოს სიფხიზლე ამბის სიზუსტესთან მიმართებით. არასოდეს გადაუხადოთ ვინმეს ჩვენების მისაღებად (იხ: *ინტერვიუ*);
- პატივი ეცით თქვენი რესპონდენტის კულტურას, რელიგიასა და ტრადიციებს (იხ.: *მრავალფეროვნება და ინტერვიუ*);
- გახსოვდეთ, თქვენ გაქვთ საკუთარი რეკომენდაციები და გამოირჩევით განათლებით, ღირებულებებითა და კულტურის ცოდნით. მოერიდეთ სტერეოტიპებსა და კლიშეებს, რომლებისთვისაც ნებისმიერ საზოგადოებაში დამახასიათებელია სხვების – „უცნობის“ სტიგმატიზება (იხ. *მრავალფეროვნება*);
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ქალების, ბავშვების, ეთნიკური თუ სექსუალური უმცირესობისა და არასამართლებრივ სიტუაციაში მყოფი პირების პოტენციურ მოწყვლადობას (იხ. *წყაროების განვითარება და დაცვა*);
- უნდა იცოდეთ, როგორია იმ ადამიანთა ემოციური მდგომარეობა და შესაძლო ტრავმები, რომლებსაც ხვდებით (იხ. *წყაროების განვითარება და დაცვა* და *ინტერვიუ*);

ნავიგაციის ჩანართი:

ზემოაღნიშნულის გარდა, იხილეთ:

- ადამიანთა ვაჭრობა და ადამიანების უკანონო გადაყვანა, თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ
- თავი 6: ამბის მიღება (სწორად), განსაკუთრებით, განყოფილებები მრავალფეროვნება, წყაროების დაცვა, ინტერვიუს მეთოდები, ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან.



6. გამოსახულების (იმიჯის) ძალა

- დარწმუნდით, რომ გაქვთ ინფორმირებული თანხმობა ვინმეს იმიჯის გავრცელებაზე. არასოდეს გადაუხადოთ ფოტოსა ან ვიდეოჩანაწერისთვის;
- არასრულწლოვანს სურათს ან ვიდეოს უღებთ მხოლოდ მშობლის ან მეურვის თანხმობით, რომელიც ბავშვმაც უნდა დაადასტუროს;
- ახალი ამბების რედაქციებმა გამოსახულებებს უნდა გაუკეთონ კონკრეტული და ზუსტი წარწერები, რათა აიცილონ მათი არასწორი გაგება და არასათანადო ან ბოროტად გამოყენება;
- განსაკუთრებით ძლიერი, შოკისმომგვრელი გრაფიკული გამოსახულებები ქვეყნდება ან ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შექმნილია ახსნის, დარწმუნების, ან უარყოფის მიზნით. ნუ-რასოდეს გამოიყენებთ გამოსახულებას უბრალოდ სენსაციისთვის.

ნავიგაციის ჩანართი:

- გამოსახულებაზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: *ფოტოჟურნალისტები* და *ახალი ამბების რედაქტორები, გამშვები რედაქტორები და მწარმოებელი ჯგუფები*, თავი 2: *რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?*
- იხ. აგრეთვე თავი 6: *ამბის მიღება (სწორად)*, განსაკუთრებით: *წყაროების განვითარება და დაცვა*



დასკვნა

ამ პრინციპების დაცვა მხოლოდ ცალკეულ ჟურნალისტთა მოვალეობა არ არის. ჩვენ ასევე გვჭირდება კოლექტიური და კოორდინირებული მოქმედებები შემდეგი ორგანიზაციებისა და პირების მხრიდან: პრესის საბჭოები და მარეგულირებელი ორგანოები, ჟურნალისტთა მხარდამჭერი ჯგუფები და ასოციაციები, ახალი ამბების რედაქციები, პოლიტიკის შემმუშავებლები, მკვლევარები და ჟურნალისტების სასწავლო დაწესებულებები. უფრო დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, მოცემულია მე-10 თავში: *მიგრაციის გაშუქების გაძლიერება*.

თუმცა, კარგ რეპორტაჟს საფუძვლად უდევს ჟურნალისტის მზადყოფნა – იყოს ფრთხილი, გამოავლინოს სიმტკიცე, განსჯის უნარი და საღი გონი. ბევრ რამეს სჭირდება გათვალისწინება, მათ შორისაა: საგნები, რომლებთანაც შეხება გაქვთ; ისტორია, რომელიც მათ ამყარებს; ენა, რომელსაც იყენებთ; და დამაჯერებლობა, რომელსაც თქვენი ენა გადმოსცემს (მაგ.: როდესაც აღწერთ რაღაცას, როგორც „ზემოქმედებას“, ეს ხშირად ნიშნავს, რომ შედეგი უშუალოდ მოქმედებიდან მომდინარეობს. თუ გამოვიყენებთ ფრაზას – „მისგან გამომდინარე შედეგი“ – აზრი უფრო ზუსტი იქნება).

ხშირად ასეთი არჩევანი სწრაფად კეთდება და მოკლე დრო რჩება თვითანალიზისთვის, თუმცა მცირედი სიფრთხილე, რომ ყველაფერი შავ-თეთრად არ გამოჩნდეს, ადამიანებს მიგრაციის სირთულეთა უკეთ გაგებაში დაეხმარება.

ვიმედოვნებთ, რომ ეს მოკლე შესავალი მიგრაციის გაშუქებასთან დაკავშირებული ეთიკური გამოწვევების შესახებ სასარგებლო იქნება თქვენთვის: ის დაგეხმარებათ უფრო სიღრმისეული ინფორმაციისა და რჩევების მოპოვებაში სფეროებზე, რომლებიც ყველაზე მეტად გაინტერესებთ.

თავი 2:

რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?

ქვესათაური: პასუხისმგებლობის აღება მიგრაციის ხარისხიან გაშუქებაზე

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- გაიგოთ, რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლია თქვენი ტიპის ჟურნალისტს მიგრაციის იმ ამბებზე (ისტორიებზე), რომელთა შექმნაც თქვენ შეგიძლიათ, ასევე, შერჩეულ წყაროებზე და, შესაბამისად, ისტორიების ჩარჩოებზე;
- განიხილოთ, რისი გაცემება შეგიძლიათ განსხვავებულად თქვენი როლის ფარგლებში, მიგრაციის შესახებ მასალის სრულად და სიღრმისეულად გადმოცემისთვის;
- გქონდეთ საკუთარი თანამდებობის ფარგლებში იდეების გადმოცემის შესაძლებლობა;
- გაარკვიოთ, რა გავრცელებული შეცდომები ახასიათებს გაშუქების კონკრეტულ როლებს;
- უფრო სიღრმისეული ინფორმაცია მოიძიოთ სახელმძღვანელოს დანარჩენ თავებში.

სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ჟურნალისტებს შეუძლიათ გახდნენ „მიგრაციის რეპორტიორები“, როდესაც თავიანთი სამუშაოს ფარგლებში მიგრაციის თემებთან უხდებათ შეხება. ეს თავი შექმნილია ორი მიზნის მისაღწევად, რომლებიც ხელს შეუწყობს მიგრაციის ამბების საუკეთესო გზით გადმოცემას, ნიუანსებისა და სიზუსტის დაუზიანებლად:

- აქ განხილულ რეპორტაჟებში წამოჭრილია მიგრაციის პრობლემა, ასევე, მოცემულია მითითებები და წინადადებები მიგრაციის სფეროში მოღვაწე ჟურნალისტებისთვის. მასში ჩამოყალიბებული იდეები ხელს შეუწყობს სიღრმესა და ნიუანსობრიობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას მტკიცებულებათა წყაროებსა და ანალიზზე; ასევე, თავიდან აგვაცილებს დამახასიათებელ შეცდომებს, რათა ფაქტები ზუსტად და ეფექტიანად გაშუქდეს;
- ეს თავი მიგრაციის ისტორიის შექმნაში მონაწილე არასპეციალისტებს სთავაზობს სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა მიაღწიონ სიზუსტესა და ეფექტიანობას მიგრაციასა და მიგრანტებთან დაკავშირებულ ისტორიებში. სახელმძღვანელო სასარგებლო იქნება თანამშრომელთა ფართო სპექტრისთვის, რომლებიც ჟურნალისტურ პროცესში მონაწილეობენ – ახალი ამბებისა და თემატური ჟურნალისტებით დაწყებული, სარედაქციო და პროდიუსერთა ჯგუფით დამთავრებული (მაგ.: გამოშვების რედაქტორები, ახალი ამბებისა და თემატური რედაქტორები, გამოსახულების რედაქტორები, დამხმარე რედაქტორები და სხვა).

და ისევ: გამოიყენეთ თითოეული განყოფილების ნავიგაციის ბლოკი, რათა მეტად ჩაუღრმავდეთ თქვენთვის ყველაზე აქტუალურ თემასა და საკითხებს.

სპეციალისტთა წრე, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიგრაციის საკითხებს აშუქებენ

ქვემოთ მოცემული რეპორტაჟები აღწერს მიგრაციის სფეროსთან დაკავშირებულ სამუშაოს, რომელსაც სპეციალისტი ჟურნალისტები ასრულებენ. ამ სპეციალიზებულ სფეროებს შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ჰქონდეს, ან სხვადასხვაგვარად იყოს დაჯგუფებული. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს მედიაში გავრცელებული როლია „შიდა საქმეთა“ რეპორტიორი, რომელიც აშუქებს პოლიციის, სასამართლოს, მიგრაციის, დემოგრაფიისა და სოციალურ საკითხებს. ეს ყველაფერი შედის დიდი ბრიტანეთის კონკრეტული სამთავრობო დეპარტამენტის კომპეტენციაში, რომელსაც ჰქვია „შიდა საქმეთა სამსახური“.

პოლიტიკური ჟურნალისტიკა

პოლიტიკური ჟურნალისტიკა, ძირითადად, მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიგრაციის პოლიტიკის განვითარება და განხორციელება (საზღვრის მართვის ჩათვლით); მიგრაციის ზემოქმედება და/ან ეროვნულ ეკონომიკასა თუ სოციალურ საკითხებში ინტეგრირება (შრომის ბაზრის, დასაქმების, საჯარო ფინანსებისა და სოციალური ერთიანობის ჩათვლით); საზოგადოების დამოკიდებულება მიგრაციის, მიგრანტებისა და უმცირესობათა თემების მიმართ; სახელმწიფო სერვისების უზრუნველყოფა; და მიგრაციის პროგრამის გამოყენება პოლიტიკური ოპოზიციის მიერ.

მიგრაციის საკითხების გაშუქების კარგი პრაქტიკის მაჩვენებლები

ჟურნალისტებს ხშირად მიაჩნიათ, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესთან მიუკერძოებელი დამკვირვებლები არიან, თუმცა ჟურნალისტიკა ხშირად აქტიურ როლს ასრულებს პოლიტიკის შედეგების ჩამოყალიბებაში. ფორმა, რომლითაც ამბავი შუქდება (ან არ შუქდება), შეიძლება აყალიბებდეს საზოგადოების დამოკიდებულებას, ზემოქმედებას ახდენდეს არჩევნებზე, ან კონკრეტულ პირებსა თუ სამთავრობო დაწესებულებებს აიძულებდეს ანგარიშგებას პოლიტიკის წარმატებულად განვითარების ან კრახის შესახებ. პოლიტიკურ კონტექსტში მიგრაციის კარგი გაშუქება არ უნდა მოიცავდეს რიტორიკასა და ტრაბახს.

რიტორიკის დაძლევა

პოლიტიკური რიტორიკა მიგრაციის შესახებ მრავალი ფორმით გვხვდება და მისი მარტივად განხილვა „დადებით ან უარყოფით“ მოვლენად არც სრულყოფილი იქნება და არც შედეგიანი. უნდა დაფიქრდეთ, არის თუ არა განცხადება ობიექტური სიმართლე: შეიძლება მისი დამტკიცება, თუ მხოლოდ ზემოქმედებისა და ეფექტისთვის გაკეთდა – ხშირად ქვეშაირების მარცვლებით, ან ზოგადი მტკიცებით და მათი გაბუქებით, რასაც პოლიტიკური მიზნები აქვს.

სასწავლო მაგალითი: ტრამპი და მექსიკა

ამ ბოლო წლებში მედიაში მიგრაციის რიტორიკულად გამოყენების ყველაზე ცნობილი საერთაშორისო მაგალითები მოდის პოპულარული პოლიტიკოსებისგან, როგორებიც არიან დონალდ ტრამპი და ვიქტორ ორბანი. ეს მაგალითები სოციალურ ქსელებსა და მასმედიის სხვა საშუალებებში გაჟღერდა. „Time Magazine-ში“⁸ გამოქვეყნებულ ამ პატარა სტატიაში მოთხრობილია, თუ როგორ აკეთებდა ტრამპი რიტორიკულ და უკიდურესად პროვოკაციულ განცხადებებს მექსიკელ მიგრანტებზე (მექსიკაზე – უფრო ზოგადად) 2016 წელს, წინასაარჩევნო კამპანიისას, და ხელისუფლებაში მოსვლის პირველ პერიოდში. ამ განცხადებებში ტრამპი მექსიკელებს „დამნაშავეებსა“ და „მოძალადეებს“ უწოდებდა.

სასწავლო მაგალითი: დადებითი შეხედულება

რიტორიკა მიგრაციის მიმართ მხოლოდ უარყოფითი არ არის. ეს სტატია, რომელიც „New York Times“-ში⁹ გამოქვეყნდა 2016 წელს – პარიზში სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტის მიერ ბავშვის გადარჩენის შემდეგ, დადებითი რიტორიკით გამოირჩეოდა იმიგრაციის მიმართ: „აღფრთოვანებული ვარ მამადუ გასამას მამაცობით“, – ამბობს რაფაელ გლუკსმანი, მემარცხენე ლიბერალური მიმდინარეების მმართველი რედაქტორი წერილში, რომელიც თავის ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა, – „და მე ვოცნებობ ქვეყანაზე, სადაც საჭირო არ იქნება შენობაზე აცოცება ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად – საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად – რათა ადამიანურად მოგექცნენ, თუ მიგრანტი ხართ.“

<https://www.nytimes.com/2018/05/28/world/europe/paris-migrant-hero-spiderman.html>

8 <https://time.com/4473972/donald-trump-mexico-meeting-insult/>.

9 <https://www.nytimes.com/2018/05/28/world/europe/paris-migrant-hero-spiderman.html>

დასკვნა: აქ გვევალებათ ნათქვამის კრიტიკულად გაანალიზება: განზრახ ხომ არ შეჰყავს ავტორს მკითხველი შეცდომაში? ეს სიტყვები ადამიანის გულიდან არის ამოსული, თუმცა გამოყენებულ ენაზე დაუფიქრებლად? ვინმე ხომ არ ცდილობს, აუდიტორიის მხარდაჭერა ან თანხმობა მოიპოვოს ასეთი ენის მიმართ? რისთვის? რატომ? (იხ: დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა. თავი 6: ამბის მიღება (სწორად)).

ამყარებს კი დამოუკიდებელი ანალიზი პოლიტიკურ განცხადებებს? თუ პოლიტიკის დამკვიდრებისას მკაფიო და დამაჯერებელი არ არის მტკიცებულება, რომ იგი იმუშავებს (ან უნდა მუშაობდეს), ნებისმიერმა კარგმა ჟურნალისტმა სერიოზული შეკითხვები უნდა დასვას მის მიმართ (იხ. თავი 9: *მონაცემები და ანალიზი*). თუმცა ყველა მტკიცებულება თანაბარი წონის არ არის: სავსებით შესაძლებელია, ანალიტიკურ ცენტრებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურად მოტივირებულ მკვლევრებს იდეოლოგიური მიზეზი ჰქონდეთ პოლიტიკური მიდგომის მხარდასაჭერად. საიმედო წყაროებიდან დამოუკიდებელი კვლევის განსაზღვრით, შეიძლება მიიღოთ განსხვავებული სტატია – არა ისეთი, რომელიც მომზადებულია ჟურნალისტის სურვილის გარეშე, მოტყუებით, რომელიმე პოლიტიკური პროგრამის ხელშესაწყობად და მხარდასაჭერად, და იგი განსხვავებული იქნება კარგი ჟურნალისტიკისგან, რომელიც ანგარიშგებას მოითხოვს.

ნავიგაციის ჩანართი:

- დამატებითი ინფორმაცია, თუ როგორ გამოვიყენოთ წყაროდ პოლიტიკოსები და სამთავრობო დეპარტამენტები და სტატისტიკის ეროვნული ორგანიზაციები. იხილეთ მე-8 თავში: როგორ გამოვიყენოთ და ვიპოვოთ ექსპერტები;
- დამატებითი ინფორმაცია მიკერძოებისა და წარმომადგენლობის შესახებ იხილეთ განყოფილებაში მრავალფეროვნება, თავი 6: ამბის მიღება (სწორად).
- მონაცემებთან დაკავშირებით დამატებითი მითითებები იხ. მე-9 თავში: *მონაცემები და ანალიზი*;
- დამატებითი ინფორმაცია თქვენს სამუშაოში სწორი სიტყვების გამოყენების შესახებ იხილეთ მე-4 თავში: ტერმინოლოგია.



ეკონომიკა და ბიზნესი

ეკონომიკის ან ბიზნესის კორესპონდენტები ძირითადად აკვირდებიან, თუ რა ზემოქმედებას ახდენს მიგრაცია და მიგრაციის პოლიტიკა ბიზნესის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფო დაფინანსებაზე, შრომის ბაზარსა და დასაქმებაზე.

მიგრაციის საკითხების ეკონომიკის კონტექსტში გაშუქების კარგი პრაქტიკის მაჩვენებლები

ეკონომიკური ანალიზი ხშირად გვაძლევს შედარებით ზუსტ და კონკრეტულ ინფორმაციას; შესაბამისად, მიგრაციის პრობლემის ეკონომიკური შედეგების პრიზმაში განხილვით, შეიძლება უფრო დამოუკიდებლად და ობიექტურად გაანალიზდეს პრობლემა, ვიდრე პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და სოციალურ ასპექტებზე ფოკუსით (რაც შესაძლოა უფრო სუბიექტური იყოს). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზუსტად გვესმოდეს ასეთი ანალიზის შეზღუდვები, ვხედავდეთ სრულ სურათს და არ ვივარაუდოთ, რომ ვიწრო ინტერპრეტაციას მთელი ამბის გადმოცემა შეუძლია.

მიგრაციის გაშუქებისას, ეკონომიკის ან ბიზნესის კარგი კორესპონდენტი საკუთარ თავს მნიშვნელოვან შეკითხვებს დაუსვამს:

იკვებება კომპრომისი?

მოქმედება ახდენს შედეგების გენერირებას: ზოგჯერ ისინი ნათელია, კარგად აღსაქმელი და სრულიად მოსალოდნელი, მაგრამ ზოგჯერ – მოულოდნელი და ფარულიც. მაგალითად:

- მრავალ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ემიგრაციას მნიშვნელოვანი რაოდენობის ფულადი გზავნილები შეაქვს (იხ. თავი 4 [ტერმინოლოგია](#)), რამაც შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები;
- ეს ფულადი სახსრები და სხვა საქონელი მიმღები ოჯახებისა და თემებისთვის გადარჩენის წყაროა, მაგრამ ფულადმა გზავნილებმა ადგილობრივ ეკონომიკაზე შეიძლება მძიმედ იმოქმედოს;
- ასეთმა გამოწვევამ (და ხშირად მოულოდნელმა შედეგებმა) შეიძლება შეამციროს შრომის სტიმული რემიტენციების მიმღებთა შორის და ვალუტის კურსზე ისეთი ზემოქმედება იქონიოს, რომელიც უარყოფითად იმოქმედებს სავაჭრო სექტორზე (იხ. [შრომითი მიგრაცია](#) და [რემიტენციები](#), თავი 5: [ამბები მიგრაციის შესახებ](#)).

სრულად განიხილეთ ალტერნატიული პერსპექტივები?

- როგორ დამაჯერებლადაც უნდა ჟღერდეს ეკონომიკური თუ ბიზნეს არგუმენტი, მნიშვნელოვანია მისი დეტალური შესწავლა და ამ არგუმენტის უკან მდგომი დაინტერესებული მხარის ან შეხედულების აღიარება;
- პოლიტიკა ხშირად ქმნის ეკონომიკურ გამარჯვებულებსა და წაგებულებს და მნიშვნელოვანია, გავიზროთ, ვინ იგებს და ვინ აგებს იმ კონტენტის შექმნამდე, სადაც საბოლოო „მოგებული“ ან „წაგებული“ წარმოჩინდება.

უხილავი მახეები და გაგრცელებული შეცდომები

ზედმეტად გამარტივება: ეკონომიკას, ბიზნესს, პოლიტიკასა და რეგულაციებს, რომლებიც მათ მართავს, რთული სტრუქტურა აქვს, მრავალი მოძრავი ელემენტით. ეკონომიკური ანალიზის ელემენტთა წარმოჩენა და, იმავდროულად, სხვა ელემენტების გამოტოვება, ამბავს ამოკლებს და ნათელს ხდის, თუმცა ამით შესაძლებელია ძირეულად შეიცვალოს თქვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზის არსი და არასწორად იყოს აღქმული მიგრაცია, ან მისი პოტენციური შედეგები.

ზედმეტად გამარტივების ერთ-ერთი ფორმაა ე. წ. „არასწორი წარმოდგენა ერთიან სამუშაო ძალაზე“, რომლითაც მიგრანტ მუშაკებს აღწერენ, როგორც „ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამუშაოს წამრთმევ“ პირებს. თუმცა, ეს ითვალისწინებს ეკონომიკაში სამუშაო ადგილების ფიქსირებულ რაოდენობას, ასევე, ადგილობრივთა და მიგრანტთა შესაბამისი პროფილის უნარებს/კომპეტენციებს, რაც ხშირად ასე არ არის. ახალი ადამიანების ჩამოსვლით შეიძლება გაზრდილი მოთხოვნა გაჩნდეს სა-

ქონელსა და მომსახურებაზე, რაც ახალ სამუშაო ადგილებსა და საწარმოებს შექმნის.

დამოუკიდებელია თქვენი წყარო?

- კომპანიებს, პოლიტიკურ პარტიებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შეიძლება ძლიერი სტიმული ჰქონდეთ, რომ ამ საკითხში მათ პოზიციას მხარს უჭერდეს საზოგადოება; ახალი ამბების კონტენტს, რომელიც პოლიტიკოსებს მოუწოდებს ერთი და იმავე წამოწყების/პროექტის მხარდაჭერისა თუ უარყოფისკენ, მნიშვნელოვანი ფინანსური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია;
- მიიღებს თქვენი წყარო ფინანსურ სარგებელს ამ ამბიდან? შეიძლება, მეორე მხარემ ფინანსური ზარალი ნახოს? თქვენი ანალიზი ხომ არ აძლიერებს რომელიმე პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ/ეკონომიკურ ხედვას ან ინტერესებს? თუ ასეა, კრიტიკულად განიხილეთ: სანდოა წყარო? შეიძლება ამ ინფორმაციის გადამოწმება ან, სულ მცირე, რომელიმე სხვა წყაროსთან შედარება?



ნავიგაციის ჩანართი:

- ეკონომიკის, ბიზნესისა და მიგრაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: [შრომითი მიგრაცია, ყოველდღიური განხილვები, რემიტენციები](#), თავი 6: [ამბის მიღება \(სწორად\)](#);
- ასევე იხილეთ თავი 8: [როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები](#).

უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი

ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებენ უსაფრთხოების, სამართალდაცვისა და კანონის სფეროს საკითხებს, მიგრაციასაც ეხებიან, როდესაც განიხილავენ შემდეგ თემებს: თავშესაფარი და ლტოლვილები; საზღვრის კონტროლი; სამართლებრივი საფუძვლის არმქონე ან ფარული მიგრაცია; ტრანს-სასაზღვრო დანაშაულები, როგორიცაა ადამიანებით ვაჭრობა და ადამიანების უკანონო გადაყვანა; იმიგრაციის აღსრულება; დაკავება და დეპორტაცია; არალეგალური შრომა (სამუშაო, რომელიც სრულდება შრომის ან რაიმე სხვა ადმინისტრაციული ნებართვის გარეშე); და უცხოელი სამართალდამრღვევები.

უსაფრთხოებისა და სამართალდაცვითი საკითხების გაშუქება შესაძლოა დაეფუძნოს პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამთავრობო წყაროების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და ანალიზს, ასევე, ფოკუსირებული იყოს ქმედებებზე, რომლებიც რაიმე კუთხით არღვევს ეროვნულ ან საერთაშორისო კანონმდებლობას. ეს მიგრაციის გაშუქების სფეროში ერთ-ერთი ყველაზე სადავო და საკამათო საგანია.

კარგი პრაქტიკის მაჩვენებლები მიგრაციის გაშუქების სფეროში, უსაფრთხოების, სამართლის დაცვისა და კანონის კონტექსტში

იცოდეთ კანონი, მაგრამ იმსჯელე

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, იცოდეთ, რას ადგენს კანონი პირის ქვეყანაში შესვლასა ან ცხოვრებასთან დაკავშირებით, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, თავად იმსჯელოთ, არის თუ არა სამართლიანი ის სამართლებრივი სისტემა ან სიტუაცია, რომელშიც პირი იმყოფება.

გესმოდეთ, როგორ და რისთვის შეგროვდა ინფორმაცია, რომელსაც იღებთ

ვინ აგროვებდა მონაცემებს, რომლებიც გადმოგეცათ, და როგორ მიიღეს ისინი? რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია ნებისმიერი რეპორტაჟისთვის, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ისეთ პრობლემებზე მუშაობისას, რომლებიც მიეკუთვნება სამართალდაცვით ან უსაფრთხოების სფეროს. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როგორ უნდა შევაგროვოთ მონაცემები, რადგან ისინი ზემოქმედებას ახდენს თქვენ მიერ მიღებული ინფორმაციის სიზუსტეზე: კერძოდ, ეს მონაცემები შეგროვდა გამოკითხვის მეშვეობით, საზღვრის გადამკვეთი ყველა ადამიანის დათვლით, თუ დაახლოებით გამოიანგარიშეს სათვალთვალო საშუალებების გამოყენებით? (იხ. თავი 9 *მონაცემები და ანალიზი*).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ მიიღეთ ხარისხობრივი, და არა რაოდენობრივი ინფორმაცია – მაგალითად, მტკიცება, რომ მიგრანტ მუშაკთა ჯგუფი ქვეყანაში არაღელვარულად იმყოფებოდა. საიდან მოდის ეს მტკიცება და როგორ მიიღეს ეს ინფორმაცია? შეგიძლიათ, გადაამოწმოთ მათი სამართლებრივი სტატუსი? ხომ არ არის რაიმე ბუნდოვანი ამ ინფორმაციაში? ნათელია, რომ ისინი არ არიან მსხვერპლნი და მათგან ჩვენებების მიღებისას რაიმე სახის იძულება არ გამოყენებულა?

უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები

ადამიანი, და არა მონაცემი

მიგრაცია ადამიანთან დაკავშირებული პროცესია, რომელიც ითვალისწინებს მასში ჩართული ყოველი ინდივიდის ადამიანური ფაქტორებისა და ღირსების აღიარებას, მათი წარმოშობის ან მდგომარეობის მიუხედავად. ამბების გაშუქებისას, რომლებიც შეეხება მიგრაციის მასშტაბებს, საზღვრის არასანქცირებულ კვეთას, ან სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტთა პოპულაციებს, შეეცადეთ, არ აღწეროთ ადამიანები აბსტრაქტული ტერმინებით, ან არ წარმოადგინოთ ისინი ერთგვაროვან მასად.

შესაძლებელია მეტაფორების დეჰუმანიზაცია

ყველას გვიყვარს ცოტა გაზვიადებით წერა – ტექსტებში ფერების დამატებით შეიძლება მშვენივრად მოვზიოდოთ აუდიტორია და შევუნარჩუნოთ ინტერესი ჩვენი ამბების მიმართ. თუმცა, როდესაც მიგრანტების ან მიგრაციული მოძრაობების/ნაკადების აღწერისას მეტაფორებს ვიყენებთ, საზოგადოებამ ისინი შეიძლება აღიქვას საგნებად, მონაცემებად, ან აბსტრაქტულ კონცეფციებად (მაგ.: ასეთ მეტაფორებს განეკუთვნება „ტალღა“, „ნაკადი“... ან ტერმინები, რომლებიც ცხოველებს მიესადაგება: „ფარა“ და ა.შ.). ეს ყველაფერი თავიდან უნდა ავიცილოთ.

ნავიგაციის ჩანართი:

- უსაფრთხოებასთან, სამართალდამცველ ორგანოებსა და კანონის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვეთავებში: *ლტოლვილები და თავშესაფარი, უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი, დეპორტაცია და გაძევება (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა), მიგრაცია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ;*
- იხილეთ თავი 4: *ტერმინოლოგია; ასევე, მრავალფეროვნება და დემინფორმაცია და სიძულვილის ენა, თავი 6: ამბის მიღება (სწორად);*
- მეტი რჩევებისთვის, იხილეთ ინტერვიუ ერამო ეგბეჯულთან, ნიგერიელ ჟურნალისტთან, მწერალსა და კინორეჟისორთან, ვინც თავის გამოცდილებას მიგრაციის გაშუქების კუთხით გვიზიარებს ამ ლინკზე.



საშინაო, სოციალური და რელიგიური საქმეები

ჟურნალისტები, რომლებიც საშინაო და სოციალურ სფეროზე მუშაობენ, ჩვეულებრივ, განიხილავენ საკითხებს, როგორცაა: დემოგრაფია და მოსახლეობის ცვლილება; მიგრანტთა ინტეგრაცია და სოციალური ერთიანობა; და ეთიკური და რასობრივი ურთიერთობები.

ბუნებრივია, რელიგიური საკითხებით დაკავებული ჟურნალისტები ფოკუსირებულნი იქნებიან მიგრაციის რელიგიურ კომპონენტზე. ეს შეიძლება იყოს: ემიგრანტთა შესაძლებლობა, თავისუფლად წარმართონ საკუთარი აღმსარებლობა ახალ საცხოვრებელ ადგილზე; ან ახალშემოსული თუ უკვე დაფუძნებული ემიგრანტთა თემის აღმსარებლობის შედეგები მასპინძელ ქვეყანაში.

კარგი პრაქტიკის მახასიათებლები მიგრაციის საკითხების გაშუქებისას რელიგიურ საქმეთა კონტექსტში

განსხვავებული მიმდებლობა: მიგრაციის გაშუქებისას, სოციალური და რელიგიური საკითხების განხილვის მთავარი პრინციპია, არცერთი სოციალური ჯგუფი, რელიგია ან რწმენა არ აღიწეროს იმგვარად, თითქოს ბუნებრივად არის „კარგი“ ან „ცუდი“, „მართალი“ ან „მტყუანი“. სხვადასხვა რწმენის ქონისა და აღმსარებლობის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით.¹⁰

უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები

სტერეოტიპები, მიკერძოება და ვარაუდები (პრეზუმფციები): ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური ნიშნით ადამიანის დამოკიდებულებებზე, შეხედულებებსა და ქცევაზე ვარაუდების გაკეთება პრობლემურია და სახიფათო: ამით შეიძლება გამყარდეს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც არ იქნება დაფუძნებული დეტალურ და ზუსტ წარმოდგენებზე. გახსოვდეთ, ვინმეს იდენტობისა ან კუთვნილების მიმართ საკუთარი ვარაუდების/დამოკიდებულების სხვებისთვის თავსმოხვევა სპეკულაციაა და აზიანებს საკითხის ზუსტ და დამოუკიდებელ გაშუქებას.

ნავიგაციის ჩანართი:

- ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება.



10 იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის განმარტება: <https://www.ohchr.org/en/issues/freedomreligion/pages/standards.aspx>.

ხელოვნება და კულტურა

ხელოვნებისა და კულტურის სფეროს ჟურნალისტიკები მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, დიდი ალბათობით, განიხილავენ საკითხებს, როგორიცაა: კონკრეტულ პირთა ჯგუფების ან ორგანიზაციების წარმოშობა, მემკვიდრეობა, შრომითი საქმიანობა, ტრადიციები, ჩვევები და საკვებიც კი; ასევე, მათთან დაკავშირებული სიუჟეტური მიმართულებები წიგნებში, ფილმებში, ტელევიზიასა ან სხვა სფეროებში, სადაც ამ სუბიექტთა გეოგრაფიული ან კულტურული წარმომადგენლობა შეიძლება აქტუალურად ჩაითვალოს.

კარგი პრაქტიკის მახასიათებლები მიგრაციის საკითხების გაშუქებისას ხელოვნებისა და კულტურის კონტექსტში

მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება კვლავ უნდა ემყარებოდეს დაფიქრებულ ანალიზსა და სანდო ფაქტებს

- ხელოვნება ხშირად უკავშირდება პოლიტიკას, დიდ ხელოვნებაზე კი საზოგადოება ყოველთვის აკეთებს კომენტარებს. ხელოვნების, ლიტერატურის ან სხვა კულტურული მოვლენების გაშუქებისას, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს მიგრაცია, ან რომლებიც უკავშირდება მიგრაციას, ჰკითხეთ საკუთარ თავს და ავტორებსაც (თუ შესაძლებელია), რა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ეს საშუალებას მოგცემთ, უფრო ღრმად განიხილოთ მათ მიერ წამოჭრილი საკითხები;
- ხელოვნებას შეუძლია, გამოავლინოს ძალა. მისი ზემოქმედება საზოგადოებაზე ნიშნავს, რომ მიგრაციასა და ინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი თემები და იდეები ყურადღებით უნდა გააანალიზოთ და განიხილოთ. მაგალითად, სიმღერა შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოების შესაკრებად, რათა მათ იცეკვონ ან იზეიმონ, ან პროპაგანდის მექანიზმად, რომელიც შექმნილია ერთი ჯგუფის დასარაზმად მეორის წინააღმდეგ.

ნავიგაციის ჩანართი:

- როლისა და კულტურის შესახებ იხილეთ განყოფილება: **ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება**, თავი 5: **ამბები მიგრაციის შესახებ**.



საზღვარგარეთის, საერთაშორისო და დიპლომატიურ საქმეთა კორესპონდენტები

საზღვარგარეთის კორესპონდენტები მიგრაციის საკითხებს შეიძლება შეეხონ სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს: ამბები თანამოქალაქეებზე, რომლებიც მათი მივლინების ქვეყანაში ჩავიდნენ ემიგრანტებად, ან ამ ქვეყანაში დაფუძნებულ ისტორიული დიასპორის ჯგუფებზე; ქვეყანაში მიგრაციის საკვანძო საკითხად განხილვა (მაგ.: დონალდ ტრამპის ანტიიმიგრაციულ რიტორიკის ამსახველი მასალები; ანგელა მერკელის კამპანია **Wir schaffen das** (ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება),¹¹ რომელიც გვიჩვენებს ევროპის მიდგომას 2015 წლის თავშესაფრის კრიზისისადმი; ადამიანთა იძულებითი გადაადგილება აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტისას; ბიზნესის საკითხები საზოგადოებრივი აზრის, ლტოლვილების, თავშესაფრისა და სხვა საკითხების კონტექსტში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ურთიერთობებზე მოცემულ სახელმწიფოსა და სხვა ქვეყნებს შორის.

11 <https://www.politico.eu/article/angela-merkel-wir-schaffen-das-5-years-on/>.

კარგი პრაქტიკის მახასიათებლები მიგრაციის საკითხების გაშუქებისას საგარეო ურთიერთობათა კონტექსტში

საზღვარგარეთისა და საერთაშორისო საქმეთა კორესპონდენტებმა შეიძლება გააშუქონ კონკრეტულ საგანთან დაკავშირებული სფეროების მთელი სპექტრი. მათ შეუძლიათ, გამოიყენონ ამ სახელმძღვანელოს სხვადასხვა განყოფილებაში მოცემული იდეები, რომლებიც უკავშირდება შემდეგ საკითხებს:

- პოლიტიკური მოსაზრებები;
- ეკონომიკური და ბიზნეს მოსაზრებები;
- უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროს მოსაზრებები;
- კულტურული, სოციალური, და რელიგიური მოსაზრებები;

საერთაშორისო ურთიერთობათა ჟურნალისტები

ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა ითქვას: ფინანსური და სავიზო შეზღუდვები ნიშნავს, რომ მრავალი ჟურნალისტი საერთაშორისო ურთიერთობებს აშუქებს განსახილველ ქვეყანაში ჩასვლის გარეშე. ამიტომ, ჟურნალისტები, რომლებსაც არ შეუძლიათ საზღვარგარეთ გამგზავრება ან ცხოვრება, უნდა გაეცნონ განყოფილებას **წყაროების განვითარება და დაცვა**, თავი 6: **ამბის მიღება (სწორად)**.

ნავიგაციის ჩანართი:

- საერთაშორისო საკითხების გაშუქებაზე იხილეთ თავი 5: **ამბები მიგრაციის შესახებ, განსაკუთრებით, განყოფილებები ლტოლვილები და თავშესაფარი, უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი, დეპორტაცია და ქვეყნიდან იძულებით გაყვანა, არასანქცირებული მიგრაცია;**
- იხილეთ აგრეთვე თავი 4: **ტერმინოლოგია, წყაროების მრავალფეროვნება და პერსპექტივები და დემინფორმაცია და სიძულვილის ენა**, თავი 6: **ამბის მიღება (სწორად)**.

არასპეციალისტი რეპორტიორები

კონკრეტულ სფეროზე ყველა ჟურნალისტი არ მუშაობს; საერთო ბუნების ახალი ამბები და თემატური სტატიები მრავალი რეპორტიორის კარიერის განვითარების ძირითადი ელემენტია, რადგან მასმედიის მრავალი საშუალება, თავისი კონტენტის დიდ ნაწილთან მიმართებით, დამოკიდებულია სწორედ ასეთ „ზოგადი პროფილის“ ჟურნალისტებზე.

კარგი პრაქტიკის მახასიათებლები ფართო პროფილის ახალი ამბების ჟურნალისტებისთვის

საზღვარგარეთის კორესპონდენტთა მსგავსად, ფართო პროფილის სპეციალისტებს სჭირდებათ გადასვლა ერთი (ხშირად რთული) თემიდან, მეორეზე, ამიტომ მიგრაციის პრობლემებს შესაძლოა სხვადასხვა სიტუაციაში წააწყდნენ. გასაშუქებელ სფეროთა ფართო დიაპაზონის გამო, არასპეციალიზებული რეპორტიორებისთვის მკაფიოდ განსაზღვრული რეკომენდაციების მიწოდება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ქვემოთ მოცემულია გარკვეული საბაზისო მოსაზრებები:

- 1) ამოსავალი წერტილი ყოველთვის უნდა იყოს ჰუმანურობა იმ სუბიექტთა მიმართ, რომლებსაც აშუქებთ (იხ. **თავი 1: ეთიკური საფუძვლები**);
- 2) დარწმუნდით, რომ გესმით იმ ადამიანთა სამართლებრივი სიტუაცია, რომლებსაც განიხილავთ;
- 3) ნუ ივარაუდებთ ან განაზოგადებთ მიგრანტთა თემებს ან ჯგუფებს;

4) არ გამოიყენოთ დამამცირებელი, წამქეზებლური ან დისკრიმინაციული ენა (იხ. თავი 4: **ტერმინოლოგია** და **სიძულვილის ენა და მიგრაცია**).

ეს საბაზისო წესები და ზემოთ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ეკონომიკური და სამართლებრივი მოსაზრებების შესახებ, ფართო პროფილის მქონე სპეციალისტებს შეიძლება დაეხმაროს ამბების ჩამოყალიბებაში, რომლებმაც შეიძლება მრავალი კონკრეტული თემა წარმოშვას.

უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები

1. უმრავლესობის მსგავსად მოქმედება: ფართო პროფილის ჟურნალისტები, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად ეყრდნობიან მედიის სხვა საშუალებებსა და ეროვნულ დებატებს, რათა ჩამოაყალიბონ თავიანთი განმარტება და შექმნან საკუთარი ამბები.

ჟურნალისტიკა თავისთავად ყალიბდება – რეპორტიორებზე ზემოქმედებას ახდენს მათი კოლეგების მუშაობა: ისინი ხშირად ამატებენ რაღაცას ან ავითარებენ ამბებს, რომლებიც სხვებმა დაიწყეს. ეს შეიძლება საუკეთესო საშუალება იყოს ჩაღრმავებისა და ახალი წახნაგების პოვნისათვის, მაგრამ ამავედროულად უკავშირდება რისკსაც, ან ამყარებს ნაციონალისტურ ნარატივს, რაც შემდეგ „არსებულ სიტუაციად“ აღიქმება, და არა მისი აღქმის ერთ-ერთ საშუალებად.

სწრაფად მუშაობის, ვადების დაცვისა და რედაქტორთა სხვა მოთხოვნების შესრულება შეიძლება ნიშნავდეს, რომ არჩევანს აკეთებთ „არსებული სიტუაციის“ ბუნდოვანი აღქმის საფუძველზე. თუკი შეგიძლიათ პაუზის გაკეთება, საკმარისი დროით ამოსუნთქვა და დაფიქრება საგნების აღქმის სხვადასხვა საშუალებაზე, ასევე, მზად ხართ, თავაზიანად გამოხატოთ ეჭვი სარედაქციო გადაწყვეტილების მიმართ, რომელსაც არასწორად ან მოუქნელად მიიჩნევთ, თქვენი სამუშაო ყოველთვის შედეგიანი იქნება.

ფოტოჟურნალისტიკა

ჟურნალისტიკას აძლიერებს გამოსახულებების გამოყენება ამბის თხრობისას, მაგრამ მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებებმა არ შექმნან ზედაპირული შთაბეჭდილებები, რომლებიც სტერეოტიპებს გააძლიერებს.

- ნუ გამოიყენებთ ფოტოებს და ნუ შექმნით ვიდეოგამოსახულებას, რომლებიც ხელს უწყობს სენსაციურობას, იძულებით ჩარევას და ვუაიერიზმს;
- ყოველთვის ითხოვეთ ნებართვა ფოტო/ვიდეოგადაღებისთვის, თუმცა საზოგადოებრივ ადგილებში ამისი აუცილებლობა არ არსებობს. თუ შესაძლებელია, წინასწარ მოითხოვეთ წერილობითი თანხმობა;
- ნუ გამოიყენებთ კლიშეების ამსახველ სურათებს: ეს ხელს უწყობს სტერეოტიპების გამყარებას, რომლებიც შეიძლება მაცდური და საზიანო იყოს. ანალოგიურად, თავიდან აიცილეთ არასრულყოფილი სახეები, რომლებიც თავიანთი ობიექტებს ძალიან გამარტივებული მახასიათებლებით წარმოგვიდგენენ.

ნავიგაციის ჩანართი:

დამატებითი მითითებები და რჩევები ფოტოჟურნალისტიკისა და გამოსახულებების შესახებ იხ.:

- **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და მათი უკანონო გადაყვანა, თავი 6: ამბები მიგრაციის შესახებ;**
- **წყაროს შემუშავება და დაცვა და ფოტოგრაფია და გამოსახულებები, თავი 7: ამბის მიღება (სწორად);**
- **ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან, თავი 8: ინტერვიუ.**



ახალი ამბების რედაქტორები, გამშვები რედაქტორები და მწარმოებელი ჯგუფები

(მფლობელების, მმართველი რედაქტორების, რედაქტორების, წარმოების რედაქტორების, რედაქტორის თანამშემწეების, თემატური რედაქტორებისა და კორესპონდენტების ჩათვლით).

მედიას შეუძლია როგორც პოლიტიკური პროგრამის შექმნა, ისე მასზე რეაგირება. კონტენტის შერჩევა, რომელსაც ჩართავენ/არ ჩართავენ მედიასაშუალების პროგრამაში, რედაქტორებს დიდ საშუალებას აძლევს საჯარო დებატების ფორმირებისა ან მათში მონაწილეობისთვის. ამ სფეროში რედაქტორთა შეფასებები შეიძლება გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს, რომელიც განსაზღვრავს პუბლიკაციის წარმატებას, ან პრობლემის ზემოქმედებასა და აქტუალობას.

გამჭვირვალობა

უზრუნველყავით თქვენი სარედაქციო სტანდარტებისა და მეთოდების საყოველთაო ხელმისაწვდომობა:

ეს ნიშნავს, რომ თქვენს ჟურნალისტებს უნდა შეეძლოთ, ორგანიზაციის პოლიტიკა და პრაქტიკა რესპონდენტებს ინტერვიუმდე გაუზიარონ, რათა მათი ნდობა მოიპოვონ და უკეთესი ისტორიები/ამბები მიიღონ; ამავედროულად, დაიცვან რესპონდენტის ინტერესებიც (თავი 8: [ინტერვიუ](#))

პროდუქციის გაშვება და ამბების განთავსება:

ჰუმანურობას მთავარი ადგილი დაუთმეთ თქვენს არჩევანში:

საინტერესო თხრობა ხშირად უკავშირდება დრამასა და კონფლიქტს, ექსტრემალურ სიტუაციებს, და ღელვას შეუცნობლის მიმართ. მიგრაციის კონტექსტში ადვილად შეიძლება კონცენტრირება ამბებზე, რომლებსაც შეუძლია სიბრაზისა და შიში სტიმულირება ან გამწვავება. ბუნებრივია, არსებობს სიტუაციები, სადაც რედაქტორის როლია შემოფოტებისა და პრობლემის გამოკვეთა, მაგრამ ამ ამბებმა შეიძლება რეალური შედეგები მოუტანოს კონკრეტულ ადამიანებს (ცვლილებებით დაკავებული ადგილობრივი თემის წარმომადგენლები იქნებიან, იმიგრანტები, ემიგრანტები, ლტოლვილები, თუ თავშესაფრის მაძიებლები). ამ შედეგების გათვალისწინებით, მსგავსი ისტორიების განხილვისთვის საჭირო დრო – და, შეძლებისდაგვარად, ზემოქმედების აღკვეთა/შერბილება – ხარისხის მაჩვენებელია და პროფესიული ეთიკისადმი ერთგულებაზე მიუთითებს.

წარმოების/გამოშვების ჟურნალისტები: რედაქტორის თანამშემწეები და ვიდუო ან აუდიო რედაქტორები

თქვენს როლში წარმატებული ჟურნალისტიკის შექმნის საკვანძო ელემენტია კონტენტის შერჩევა, რომელიც, ოპტიმიზაციისა და გადასინჯვის მეშვეობით, საჭირო ზემოქმედებას მოახდენს და შესაბამისი იქნება თქვენი აუდიტორიისთვის. როგორც ცნობილია, ეს ზოგჯერ ფარული უნარია, რომელსაც განსაკუთრებული ნიჭი და თვისებები სჭირდება. პროდიუსერმა ჟურნალისტებმა სწრაფად უნდა იმუშაონ და დააბალანსონ სხვადასხვა კონკურენტული პრიორიტეტი: შექმნან საჭირო მოცულობის ზუსტი და დამაჯერებელი მასალა, რომელიც სწორად იქნება გამოყენებული, პასუხს გასცემს ყველა საკვანძო შეკითხვას, გამოჩნდება ან გაიჟღერებს „სწორად“, და დააკმაყოფილებს გამოშვების ვადებს.

ფოკუსირება ამბავზე და არა პროდუქტზე

თქვენი როლისთვის დამახასიათებელი მოსაზრებათა სიუხვე ქმნის რისკს, რომ კარგად შეფუთული პროდუქტის შექმნაზე ფოკუსირებისას, საბოლოო ელემენტი შეიძლება აღარ ასახავდეს თავდაპირველ კონტენტს.

ნუ დაკარგავთ ნიუანსებს სარედაქციო განყოფილებაში

მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება იმ ელემენტების ამოჭრა, რომლებიც მიგრანტის ამბავს ნიუანსებსა თუ სირთულეებს მატებს, ან თანამშრომლობას წარმოაჩენს და არა თემთა შორის კონფლიქტის. ჟურნალისტებსა და რედაქტორებთან განიხილეთ შესწორებები, რათა დარწმუნდეთ, რომ საბოლოო ვარიანტში შენარჩუნებულია ჩაფიქრებული აზრი. გამოიყენეთ პროფესიული შეფასება, რათა თქვენ მიერ მოთხრობილმა ამბავმა დადებითი წვლილი შეიტანოს პროცესებში.

თავიდან აიცილეთ ტლანქი ან დამაკნინებელი ტერმინოლოგია: (იხ. თავი 4: ტერმინოლოგია)



ნავიგაციის ჩანართი:

- მიგრაციის ენაზე (ლექსიკაზე) დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ თავი 4: ტერმინოლოგია. პროცესებსა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისათვის იხილეთ თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ;
- სამსახურში აყვანაზე, დაწინაურებასა და რედაქციის კულტურაზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ განყოფილებებში წყაროების მრავალფეროვნება და პერსპექტივები და გენდერი და მიგრაცია, თავი 6: ამბის მიღება (სწორად);
- დამატებითი ინფორმაცია, თუ როგორ შეუძლიათ დახმარება სარედაქციო განყოფილების ხელმძღვანელებს, მედიასამუშაოების მფლობელებსა და სხვებს, იხილეთ მე-10 თავში: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება.

დასკვნა

ამ თავის საკვანძო მომენტი ის, რომ მიგრაცია შეიძლება პრობლემური საკითხი იყოს პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის ჟურნალისტიკისთვის, სხვადასხვა ტიპის რეპორტაჟები კი სხვადასხვა მიდგომასა და ნორმას მოითხოვს, რომლებსაც შეუძლია, ამბავი განსხვავებულად ჩამოაყალიბოს.

გამოყავით რამდენიმე წუთი, რათა ჰკითხოთ საკუთარ თავს, როგორ გააშუქებდა იმავე თემას სხვა ჟურნალისტი, ან უფრო პროდუქტის შექმნაზე ხომ არ ხართ ფოკუსირებული, ვიდრე ამბის სათანადოდ გადმოცემაზე. ამოცანის ჩარჩოებიდან გასვლა და სიუჟეტის მომზადებისას ჩამოყალიბებული ყველა ვარიანტის გააზრება ხელს შეუწყობს უკეთესი ჟურნალისტიკის განვითარებას, რომელიც უკეთ მოემსახურება საზოგადოების ინტერესებს.

ამბის გაშუქებაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო; იგი ასევე ირჩევს ჟურნალისტს, რომელიც ამ ამბავს გააშუქებს, რესპონდენტებს, და განსაზღვრავს აქცენტებს.

თავი 3:

მიგრაციის გაშუქების ტენდენციები

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- მეტი გაიგოთ მიგრაციის გაშუქების საერთაშორისო ტენდენციებზე;
- სიღრმისეულად გაიაზროთ მედიისთვის განკუთვნილი ნარატივი და მისი ფორმირების გზები, რომლებიც შესაძლოა უცნობი იყოს თქვენთვის.

ამ თავში განხილულია მიგრაციის გაშუქების საერთაშორისო ტენდენციები, რომლებიც ხშირად კონკრეტულ ნარატივსა და მის ფორმებს ასახავს. მართალია, პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთი ევროპის სხვა ქვეყნებში მიგრაციის გაშუქების რაოდენობრივი ანალიზი საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა კვლევები გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული საერთო მახასიათებლები, თუ როგორ შუქდება მიგრაცია მსოფლიო მასშტაბით:

1) იგი უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი

შეუძლებელია, ვიცოდეთ, როგორია მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა რეპორტაჟი, თუმცა არსებული მასალები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება ცუდ ახალ ამბებსა და პრობლემებს ხშირად უკავშირებს მიგრანტებსა და მიგრაციას მთელ მსოფლიოში. 2013-2014 წლებში ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიგრაციის უარყოფითი გაშუქება ორჯერ აღემატება დადებით კონტენტს.¹² ეს ტენდენცია ზოგიერთ ქვეყანაში უფრო შესამჩნევია (მაგ.: ავსტრალია და გაერთიანებული სამეფო), ვიდრე სხვაგან (მაგ.: კანადა და შვეიცარია). ანალოგიური სიტუაცია იყო (მეტი უარყოფითი და ნაკლები დადებითი გაშუქება) დაბალშემოსავლიან ქვეყნებშიც (მაგ.: ავღანეთი, ბანგლადეში, მალაიზია, პაკისტანი, შრი-ლანკა, ტაილანდი და ვიეტნამი). არალეგალურ მიგრაციაზე უარყოფითი კონტენტი ჭარბობდა როგორც მაღალ, ისე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში.

2) როგორც ჩანს, უარყოფითი ტენდენცია ცოტათი იკლებს

უარყოფითი გაშუქება, რა თქმა უნდა, მხოლოდ მიგრაციისთვის არ არის დამახასიათებელი. ჟურნალისტები ხშირად მიიჩნევენ პრიორიტეტულად პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია, ანდა სადავო საკითხებს, დადებით მომენტების წამოწევის ნაცვლად, რომლებიც ყურადღებას არ მოითხოვს. თუმცა, ბოლო წლებში მრავალ ქვეყანაში შეინიშნება მიგრაციის საკითხების უფრო დადებითი ან ნეიტრალური გაშუქებისკენ გადახრა და იზრდება მოსაზრება, რომ საჭიროა მიგრანტთა ხმის ასახვა. სოციალური ქსელების განვითარებამ მიგრანტებს თავიანთი კონტენტის შექმნისა და გავრცელების შესაძლებლობა მისცა, რაც მიგრაციის დადებითად წარმოჩენის კიდევ ერთი მხარდამჭერი ფაქტორია.¹³

3) იგი ხშირად მიჰყვება საკვანძო თემების ნაკრებს

მიგრაციის გაშუქება მრავალ სფეროსა და საკითხს მოიცავს, მაგრამ, ძირითადად, იმიგრაციასა და იმიგრანტებს ეხება (ნაკლებად – ემიგრაციასა და ემიგრანტებს). თუმცა, ბუნებრივია, ეს დამოკიდებულია ეროვნულ კონტექსტზე. საერთო თემები მოიცავს შემდეგს საკითხებს:¹⁴

- კანონი და წესრიგი/უსაფრთხოება;
- სოციალურ-კულტურული საფრთხე;
- ეკონომიკური საფრთხე;
- ჰუმანიტარული საკითხები/მსხვერპლი;
- ადამიანთა ინტერესები;

12 McCauliffe, Weeks and Koser (2015). <https://library.oapen.org/bitstream/handle/20.500.12657/30709/643773.pdf?sequence=1#page=311>.

13 იქვე.

14 ib. Allen, Blinder and McNeil (2018): https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en_chapter8.pdf and Eberl et al (2019): <https://www.understandfreemovement.eu/wp-content/uploads/2020/01/D8.3.pdf>.

- მიგრანტი თარჯიმნის როლში/წარმატებული ისტორიები;
- დემოგრაფიული დეფიციტი/ეკონომიკური საჭიროება.

4) მედიის მიერ მიგრაციის გაშუქების აქტუალობასა და განწყობაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მოვლენები

მიგრაციის გაშუქება მუდმივი პროცესი არ არის. მოვლენები, როგორიცაა ომი ან კატასტროფები, ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს ან იძულებით გადაადგილებულ პირებს აიძულებს, დატოვონ თავიანთი ჩვეული საცხოვრებელი ადგილები. არჩევნებს, პოპულისტი ლიდერების აღზევნებას ან დაცემას, ანდა გეოგრაფიულ მოვლენებს (როგორიცაა ევროკავშირის გაფართოება, ბრექსიტი ან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია) შეუძლიათ, შეცვალონ მიგრაციის მნიშვნელობა მასმედიასა და პოლიტიკურ დებატებში, ასევე, გაშუქების განწყობა. ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ, თუ როგორია მიგრაციის გაშუქება, სინამდვილეში ვგულისხმობთ „როგორია ის ახლა?“ მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ზოგადი დებულებები (რომლებიც უფრო უარყოფით დებატებს უსვამს ხაზს), შედარებით დადებით ნარატივზე ნელ-ნელა გადასვლა და საკვანძო თემების შერჩევა, რომლებიც პერიოდულად გადაისინჯება, შედარებით მდგრადად გამოიყურება, სულ მცირე, ბოლო 5-10 წლის განმავლობაში.

მიგრაცია: როგორ ამახინჯებს პოლიტიკა გაშუქებას

მიგრაციის საკითხზე უარყოფითმა გამომხატუებამ ხშირად შეიძლება უფრო მეტად მიიქციოს მედიის ყურადღება, ვიდრე რეპორტაჟებმა საკვანძო პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უსაფრთხოებას (მაგ.: ადამიანით ვაჭრობას), მაშინაც კი, როცა ეს პრობლემები უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანია ეროვნული და ადგილობრივი კონტექსტისთვის. ანგარიშები ქვეყნების შესახებ, რომლებიც 2015-2016 წლებში ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელმა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა მოამზადეს, მკაფიოდ ადასტურებს შემდეგ ფაქტს: გადაჭარბებულ პოლიტიკურ ზემოქმედებას მედიის მიერ საკითხების გაშუქებაზე, რომელიც ხშირად ყალბ ან დამახინჯებულ ინფორმაციას ეფუძნება, ყურადღება გადაჰქონდა უფრო ღრმა პრობლემებზე, როგორიცაა, იძულებითი შრომა, ბავშვის შრომა და ადამიანით ვაჭრობა.

შედეგები პრაქტიკისთვის

მიგრაციის გაშუქების საერთაშორისო ტენდენციების ცოდნა თავისთავად ვერ მიგითითებთ, თუ როგორ უნდა გააშუქოთ ეს საკითხი, მაგრამ წარმოშობს გარკვეულ შეკითხვებს, რომელთა განხილვაც თქვენთვის სასარგებლო იქნება:

- 1) ხომ არ სცდება თქვენი გაშუქება დადგენილ ფარგლებს (მაგ.: უსაფრთხოების ან ეკონომიკის რისკების კუთხით), და გადმოსცემს თუ არა იგი მთლიან ამბავს?
- 2) თქვენი ამბის საერთო აზრი, ზოგადად, უარყოფითია, დადებითი თუ ნეიტრალური? გამოხატავს მის სირთულეს? ან შეგიძლიათ რაიმეს დამატება?
- 3) შეხედეთ თუ არა საკითხს „იმიგრაციის“ მიღმა იმ ძირითად სიუჟეტებში, რომლებშიც ადამიანები იყვნენ ჩართულნი?

დასკვნა

მსოფლიოში მიგრაციის გაშუქების ცოდნა მიგახვედრებთ, რომ ბევრი ისტორია, რომლებზეც იმუშავებთ, შეიძლება გარკვეულ კარგად გაკვალულ კალაპოტს შეესაბამებოდეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია კონკრეტული კლიშეები და სტერეოტიპები, ასევე, შესანიშნავი გაშუქების შესაძლებლობებიც.



ნავიგაციის ჩანართი:

- თუ როგორ შეიძლება გახდეთ საუკეთესო ჟურნალისტი მიგრაციის საკითხებში, იხილეთ თავი 2: რატომ უნდა იყოს ჟურნალისტი ხარტ თქვენ?
- მიგრაციის ენასა და მის სწორ გამოყენებაზე იხილეთ თავი 4: ტერმინოლოგია;
- მიგრაციასთან დაკავშირებული პროცესები და საკითხები იხილეთ მე-5 თავში: ამბები მიგრაციის შესახებ.

თავი 4:

ტერმინოლოგია

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- უფრო ღრმად, დეტალურად და ზუსტად აღიქვას მიგრაციის საკვანძო ტერმინები;
- უკეთ გაიგოს, თუ რატომ არის ზოგიერთი ტერმინი რთული და რატომ შეიძლება ისინი არასწორად იყოს გამოყენებული;
- გაერკვეთ ენის სირთულებებში და ჩამოაყალიბოთ კონტექსტი გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის;
- დაასაბუთოთ უფრო ზუსტი და ნაკლებად საშიანო ტერმინების გამოყენება;
- ხელი შეუწყოს ლექსიკონების გამოყენებასა და დამკვიდრებას.

სხვადასხვა ქვეყანაში მიგრაციასთან დაკავშირებულ ისტორიებს სხვადასხვა საერთო ტერმინით გადმოსცემენ. ეს ტერმინები აუდიტორიას ეხმარება, რომ სწრაფად და იოლად გაერკვეს საკვანძო მომენტებში, ან გაიხსენოს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები; თუმცა, მათ ასევე შეუძლიათ, შექმნან საკითხების აღქმის ისეთი გზა, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეყვანა, ან პრობლემების გამოწვევა (როგორც აღწერილია ამ სახელმძღვანელოში).

ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ შეუძლია ასოციაციების წარმომშობ ენას მცდარი წარმოდგენების განმტკიცება მიგრაციაზე, არის მიგრაციული მოვლენების ასახვა უბედურებასთან დაკავშირებული მეტაფორებით (მაგ.: „წყალდიდობა“, „ტალღა“), რათა შეიქმნას დიდი, უკონტროლო მასის შთაბეჭდილება. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იყოს: ტლანქი, ზედმეტად გამარტივებული ან დამაკნინებელი ტერმინები, რათა აღწერონ სამუშაოს ტიპი, რომელსაც, ჩვეულებრივ, გარკვეული თემის წარმომადგენლები ასრულებენ; ასევე, მათი ტანისამოსი, გარეგნობა, ან კონკრეტული რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების ვარაუდები. თემების აღწერისთვის შეიძლება გამოიყენონ სლენგიც. ასეთი ტერმინოლოგია არა მხოლოდ ამახინჯებს კონკრეტული ჯგუფისა თუ საგნის ბუნებას, ანდა რეალობას, არამედ შეიძლება ჰქონდეს კონოტაციებიც (მაგ.: ბოშათა თემის ყველა წევრი ჩართულია უკანონო საქმიანობაში), რომლებიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი გამორიცხვისა და დისკრიმინაციის გასამართლებლად.

შესავალი

ნებისმიერი თემის გაშუქებისას ჟურნალისტმა სწორი ტერმინოლოგია უნდა გამოიყენოს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება შეიქმნას რისკი, რომ მისი ნამუშევარი იქნება არაზუსტი, დამაბნეველი ან პრობლემური. ეს ნიშნავს, რომ ჟურნალისტებს, რომლებიც მიგრაციის საკითხს აშუქებენ, უნდა ესმოდათ საკვანძო ტერმინები და განსხვავებები სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და შიდა მიგრაციას შორის.

ამ განყოფილებაში მოკლედ არის განხილული ძირითადი ტერმინოლოგია, რომელიც მიგრაციის თემების გაშუქებისას გამოიყენება; ნაჩვენებია დამახასიათებელი შეცდომები და განმარტებულია სამართლებრივი თუ ეთიკური საკითხები, რომლებიც უფრო აზუსტებს გარკვეულ ტერმინებს, ან უპირატესობას ანიჭებს მათ, სხვებთან შედარებით.

ეს განყოფილება ნამდვილად არ არის დეტალური, თუმცა მიზნად ისახავს ფართოდ გამოყენებული ტერმინების განხილვას, რომლებსაც ჟურნალისტი შეიძლება ყოველდღიურად ხვდებოდეს ან იყენებდეს. დღესდღეობით, ხელმისაწვდომია მიგრაციის ტერმინოლოგიის ბევრი დეტალური ლექსიკონი, მაგალითად:

გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ლექსიკონი: https://publications.iom.int/system/files/pdf/iml_34_glossary.pdf

ევროპის მიგრაციის ქსელის ლექსიკონი, რომელიც გვთავაზობს განმარტებებსა და ტერმინებს მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/glossary_en.

კიდევ ერთი ლექსიკონი, რომელიც სპეციალურად ჟურნალისტებისთვის შეიქმნა (თუმცა ახლო აღმოსავლეთზე ორიენტაციით), არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ლექსიკონი: https://www.ilo.org/beirut/projects/fairway/WCMS_552778/lang--en/index.htm

როგორც ოფიციალური ტერმინოლოგია, ისე სასაუბრო ენა, სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს. სწორედ ამიტომ, ეს განყოფილება შემუშავდა იმისთვის, რომ განვიხილოთ საერთაშორისო მედიის მიერ გამოყენებული ტერმინები და გაანალიზდეს ცნებები, რომლებიც კონკრეტულად ეროვნულ კონტექსტში გამოიყენება.

როგორ გამოვიყენოთ ლექსიკონები

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი:¹⁵

ჟურნალისტებმა ლექსიკონები არ უნდა განიხილონ, როგორც: • აკრძალული სიტყვების ან ფრაზების ჩამონათვალი; • ჟურნალისტისა და მედიასაშუალების შეზღუდვა ან მათთვის სხვაგვარად ხელშეშლა თავისუფლად გაშუქების უფლებით სარგებლობაში; • განცხადება პოლიტკორექტულობის შესახებ, რომელიც მოითხოვს მედიის შესაბამისობას, ფარული პოლიტიკური პროგრამის სასარგებლოდ.	ჟურნალისტებმა ლექსიკონები უნდა გამოიყენონ: • წყაროდ ალტერნატიული სიტყვების მოსაძიებლად, რომლებსაც ზოგიერთ კონტექსტში შეუძლია დისკრიმინაციისა და თვით ძალადობის პროვოცირებაც კი; • კარგი და ცუდი პრაქტიკის მაგალითების მოსაძიებლად, თუ საქმე ეხება მასალას, რომელსაც შეუძლია სიძულვილის გაღვივება, პოლიტიკური, რელიგიური და ტერორისტული პროპაგანდის ჩათვლით; • რეკომენდაციად მედიასაშუალებათა მფლობელების, რედაქტორებისა და პრაქტიკოსი ჟურნალისტებისთვის, რომ განიხილონ ამბებისა და თხრობის ფორმირების გზები, ასევე, ენა, რომელსაც ამ დროს იყენებენ; • განსახილველად – სჭირდებათ თუ არა დამატებითი სარედაქციო სახელმძღვანელო მითითებები ან მექანიზმები თავიანთი ახალი ამბების რედაქციებისთვის.
--	--

მნიშვნელოვანი შენიშვნა გამოშვების (პროდიუსერთა) ჯგუფისთვის:

ამ განყოფილებას განსხვავებული ფერით წარმოვადგენთ. მას უნდა ჰქონდეს ფერადი მარკირება! (თუმცა შეგიძლიათ, შეცვალოთ კონკრეტული ფერები – ეს მოცემულია მითითებისთვის) (NB – გვჭირდება რაიმე სხვა ინფორმაციის/სიმბოლოს დამატება ადამიანებისთვის, რომლებიც ფერებს ვერ არჩევენ?)

ფერებით კოდირება ლექსიკონში:

ამ ლექსიკონში თითოეული სიტყვა, თავისი განმარტებით, კოდირებულია ფერით. ფერები მიუთითებს ფართო საგნობრივ სფეროებზე, რომლებშიც, ჩვეულებრივ, ეს ტერმინები გამოიყენება. განყოფილების ბოლოს მოცემული სახელმძღვანელო მითითებები კოდირებულია იმავე ფერით, რათა გაეცნოთ ტერმინოლოგიას, რომლებიც ამ საგნობრივ სფეროებს მიეკუთვნება. ამავდროულად, წარმოდგენილია კარგი პრაქტიკის მაგალითებიც.

ლექსიკონს მოჰყვება დასკვნითი განყოფილება (ფერით კოდირებული არ არის) იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ, ასევე, ტერმინოლოგიის არასწორად გამოყენების მაგალითები.

15 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/words-matter-glossary-journalism-cyprus>

- 1) ლურჯი ფერის სიტყვები: საზღვრის გადაკვეთა
- 2) მწვანე ფერის სიტყვები: წარმოშობის ქვეყნის გარეთ ცხოვრება
- 3) ყავისფერი სიტყვები: მონაცემები და ტერმინები მიგრაციის შესახებ
- 4) წითელი ფერის სიტყვები: სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტთა ძირითადი კატეგორიები

ძირითადი ტერმინები და მათი გამოყენება

ქვემოთ მოცემული ტერმინები, რომლებიც დალაგებულია ანბანის მიხედვით, მნიშვნელოვან განსხვავებებს უკავშირდება მიგრაციის მოვლენათა კონტექსტში.

წარმომავლობა – ზოგიერთი ქვეყანა ადმინისტრაციისა და მოქალაქეობის პოლიტიკაში ითვალისწინებს წარმომავლობას. მაგალითად, ემიგრაციის მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე ქვეყნები ზოგჯერ შესვლის ან მოქალაქეობის მიღების უფრო მარტივ გზებს სთავაზობენ ადამიანებს, რომლებიც წინა თაობებში ემიგრირებულთა შთამომავლები არიან. თუმცა, ასეთი პრაქტიკა შეიძლება წინააღმდეგობრივი იყოს, განსაკუთრებით, როდესაც პირის უფლებათა განსაზღვრისას ეფუძნება რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების რთულ საკითხებს (და არა მოქალაქეობას წარმომავლობის/მემკვიდრეობის საფუძველზე).

თავშესაფარი – ასეთ დაცვას სახელმწიფო სთავაზობს სხვა ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც აქვს მის ქვეყანაში დევნის საფუძვლიანი შიში, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულების და ეთნიკური, ეროვნული ან სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ნიშნით (ლტოლვილის სტატუსი). ბევრ ქვეყანაში განსხვავებული ფორმის თავშესაფარს აძლევენ ადამიანს, რომელიც თავისი ქვეყნიდან გაექცა საყოველთაო ძალადობას, ბუნებრივ კატასტროფას, ან რაიმე სხვა მსგავს მოვლენას (თავშესაფარის ასეთ ფორმას, ჩვეულებრივ, უწოდებენ დამატებით/სუბსიდიურ დაცვას/ჰუმანიტარული დაცვის სტატუსს, მთარგმნელის შენიშვნა). თავშესაფარის უფლება დაცულია საერთაშორისო სამართლით, განსაკუთრებით, 1951 წლის კონვენციით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით.

(იხ. აგრეთვე **თავშესაფარის მაძიებელი** და **ლტოლვილი**)
(იხ. **მიგრაციის ფორმები: ლტოლვილი და თავშესაფარი**)

თავშესაფარის მაძიებელი – ასეთი პირის მიერ მოთხოვნილ დაცვას სახელმწიფო სთავაზობს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც აქვს დევნის საფუძვლიანი შიში ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მნიშვნელობით, ან სხვაგვარად ესაჭიროება საერთაშორისო დაცვა. სხვა ქვეყანაში თავშესაფარის ძიება კანონიერი ქმედებაა და კონვენციის 31-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა არ დასაჯონ თავშესაფარის მაძიებელი, რომელიც საიმისიგრაციო კანონების დარღვევით შევიდა მშვიდობიან ქვეყანაში, თავშესაფარის მოთხოვნის მიზნით.

(იხ. აგრეთვე **ლტოლვილი** და **თავშესაფარი**)
(იხ. **მიგრაციის ფორმები: ლტოლვილი და თავშესაფარი**)

მოქალაქე – სამართლის საფუძველზე აღიარებული სუბიექტი ან სახელმწიფოს მოქალაქე, ადგილობრივი მკვიდრი ან ნატურალიზებული პირი.

მოქალაქეობა – სამართლებრივი სტატუსი, რომელიც პირს აღიარებს კონკრეტული ქვეყნის მოქალაქედ; ასევე, სამართლებრივი ურთიერთობა ინდივიდუალურ პირსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც პირს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს. ზოგადად, ეს მოიცავს მოცემულ სუვერენულ სახელმწიფოში ცხოვრების უფლებას ქვეყნიდან გასახლების შიშის გარეშე, ამ ქვეყნის საზოგადოების წევრის სახით. მოქალაქეობის სტატუსის მქონე პირს, სახელმწიფო ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს სრული პოლიტიკური, სამოქალაქო, სოციალური და დაცვის უფლებებით.

(იხ. აგრეთვე **მოქალაქეობა**)

ფარული მიგრაცია – საზღვრის გადაკვეთა ისეთი ფორმით, რომელიც შექმნილია სახელმწიფო სასაზღვრო კონტროლის თავიდან ასაცილებლად.

დაბადების ქვეყანა – ეს დეფინიცია შეესაბამება საერთო წარმოდგენას საერთაშორისო მიგრაციაზე, როგორც ადამიანთა გადაადგილებაზე ერთი ქვეყნიდან მეორეში. თუმცა, უცხოეთში დაბადებულ მრავალ ადამიანს აქვს იმ ქვეყნის მოქალაქეობაც, სადაც ცხოვრობს; შესაბამისად, არ მიიჩნევა მიგრანტად მოქალაქეობის განსაზღვრებით, და მასზე არც საიმიგრაციო კონტროლი ვრცელდება. ანალოგიურად, დროთა განმავლობაში ქვეყნების პოლიტიკური საზღვრები იცვლება – საბჭოთა კავშირი ამის ნათელი მაგალითია. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება დაიბადოს ადგილზე, რომელიც შემდეგ სხვა ქვეყნის ნაწილი ან ცალკე ქვეყანა ხდება. ამრიგად, დაბადების ქვეყნის ცნება დროში ფიქსირებული არ არის.

წარმოშობის ქვეყანა – იმ პირის ან პირთა ჯგუფის მოქალაქეობის ან ყოფილი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, რომლებიც იმიგრაციაში წავიდნენ საზღვარგარეთ.

(იხ. აგრეთვე მოქალაქეობა)

ბინადრობის ქვეყანა – ქვეყანა, სადაც პირი ჩვეულებრივ ცხოვრობს, როგორც მიგრანტი ან მკვიდრი მოსახლე.

დიასპორა – რთული და სადავო ტერმინი, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა სამშობლოს არმქონე ეთნიკური/კულტურული ჯგუფების (განსაკუთრებით, ებრაელების – ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე) მიმართ. ხალხურ მეტყველებაში ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანდნენ კონკრეტული კულტურული, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების თემები, მცხოვრებნი ქვეყნებში, რომლებიც მათი სავარაუდო „წარმოშობის“ ქვეყანა არ არის.

ემიგრანტი – „იმიგრანტის“ საპირისპირო ცნება: პირი, რომელმაც დატოვა ერთი ქვეყანა, რათა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იცხოვროს სხვა ქვეყანაში. იმიგრანტი ნებისმიერ ქვეყანაში, ჩვეულებრივ, ემიგრანტია სხვა ქვეყნიდან.

(იხ. აგრეთვე იმიგრანტი და ემიგრაცია)

ემიგრაცია – პირის გამგზავრება მუდმივი ბინადრობის ქვეყნიდან, რათა სხვა ქვეყანაში იცხოვროს ხანგრძლივი პერიოდით.

(იხ. აგრეთვე იმიგრაცია და საერთაშორისო მიგრაცია).

ოჯახური მიგრანტი – მუდმივი ბინადრობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები პირი, რომლის მიგრაციის მთავარი მიზანი იყო ოჯახის თანხლება, ან ოჯახის წევრებთან გაერთიანება. მსგავსად შეიძლება ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორიცაა „მიგრანტი ქორწინებით“. საჭიროა სიფრთხილე, რათა თავიდან ავიცილოთ ოჯახის გაერთიანება და/ან ქორწინება მხოლოდ იმიგრაციის მიზნებით, თუ არ არის წარმოდგენილი კონკრეტული იურიდიული მტკიცებულებები.

(იხ. მიგრაციის ფორმები: ოჯახური მიგრაცია)

იძულებითი მიგრაცია – იხ. არანებაყოფლობითი ან იძულებითი მიგრაცია.

უცხოეთში დაბადებული პირი – პირი, რომელიც დაიბადა თავისი ბინადრობის ქვეყნის/სახელმწიფოს გარეთ, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის მოქალაქეა.

უცხო ქვეყნის მოქალაქე – პირი, რომელიც არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე ან მკვიდრი, რომელშიც იმყოფება.

გადაადგილების თავისუფლება – გადაადგილების თავისუფლებას შესაძლოა რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გადაადგილების თავისუფლებას შემდეგნაირად აღწერს: „ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც მოიცავს ქვეყნის დატოვების უფლებას, მშობლიურ ქვეყანაში შესვლა-დარჩენის უფლებას, და გადაადგილების თავისუფლებას ბინადრობის ან დასაქმების ქვეყანაში;“
- ევროპაში მიმდინარე დებატების შესაბამისად, ეს ტერმინი, ზოგადად, მიუთითებს, რომ პირს უფლება აქვს, შეუზღუდავად იმოგზაუროს თავისი სახელმწიფოს ფარგლებში, ან მოქალაქეობის ქვეყნიდან ერთ/რამდენიმე სხვა სახელმწიფოში. ევროპის კავშირის კონტექსტში, თავისუფალი გადაადგილების უფლება განმტკიცებულია ერთიანი ხელშეკრულებით ევროკავშირის

წევრ სახელმწიფოთა შორის. დოკუმენტი ამ ქვეყნების მოქალაქეებს უფლებას აძლევს, თავისუფლად შევიდნენ და იცხოვრონ გაერთიანების სხვა სახელმწიფოში, საიმიგრაციო პოლიტიკის მოთხოვნათა დაცვის გარეშე, რომლებიც დადგენილია მოქალაქეთა სხვა ჯგუფებისთვის (ე.წ. „მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის“);

- თავისუფალი გადაადგილების უფლება ასევე შეიძლება მოიცავდეს შრომის, სწავლისა და გრძელვადიანი ბინადრობის უფლებას, თუმცა ეს უფლებები შეიძლება განსხვავდებოდეს სახელმწიფოთა შორის გაფორმებული შეთანხმებების შესაბამისად;
- თავისუფალი გადაადგილების ზონების მაგალითებია: ევროპის კავშირი; ტრანს-ტასმანიის სამგზავრო ხელშეკრულების ტერიტორია (ავსტრალია და ახალი ზელანდია); საერთო სამგზავრო ტერიტორია გაერთიანებულ სამეფოს, ირლანდიის რესპუბლიკასა და ისლანდიის არხს შორის; და რუსეთისა და ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფო.

სიძულვილის დანაშაული – სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც, ჩვეულებრივ, უკავშირდება ძალადობას და მოტივირებულია სტერეოტიპული შეხედულებებით რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის ან იდენტობასთან დაკავშირებული სხვა საფუძვლით. ეს საფუძვლები შეიძლება რეალურად მიესადაგებოდეს მსხვერპლს, ან ივარაუდებოდეს.

(იხ. განყოფილება დემინფორმაცია და სიძულვილის ენა, თავი 6: ამბის მიღება (სწორად))

იმიგრანტი – პირი, რომელიც მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყნიდან გადავიდა სხვა ქვეყანაში, ხანგრძლივი პერიოდით. ეს ტერმინი თავიდან უნდა ავიცილოთ იმიგრანტთა ბავშვებზე საუბრისას, რომლებიც ახალი ბინადრობის ქვეყანაში დაიბადნენ, რადგან ისინი მიგრაციის მონაწილენი არ არიან.

(იხ. აგრეთვე იმიგრაცია და ემიგრანტი)

იმიგრაცია – პროცესი, როდესაც პირი ხანგრძლივი პერიოდით შედის სახელმწიფოში, რომელიც მისი მუდმივი ბინადრობის ადგილი არ არის, და შემდეგში ამ პირისთვის ხდება მუდმივი საცხოვრებელი ახალი ქვეყანა.

(იხ. აგრეთვე იმიგრანტი, ემიგრაცია და საერთაშორისო მიგრაცია)

მიგრანტების ნაკადი – აღწერს ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც ქვეყანაში შემოდის.

ინტეგრაცია – პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურული, პოლიტიკური ან სოციალური პრაქტიკის შეთვისება ან მოდიფიცირება ერთმანეთთან აახლოებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს. ინტეგრაცია განსხვავდება „ასიმილაციისაგან“, რადგან ეს არის ურთიერთშეთავსების ორმხრივი პროცესი. ინტეგრაციას შეიძლება უფრო კონკრეტული მნიშვნელობაც ჰქონდეს კონკრეტული შედეგების აღწერის კუთხით (როგორიცაა, ენების შესწავლა ან შრომის ბაზარში მონაწილეობა) – ჩვეულებრივ, მიგრანტთა ჯგუფებსა ან კონკრეტულ პირებთან მიმართებით, რომლებიც მოწადინებულნი არიან, რომ მიაღწიონ მკვიდრი მოსახლეობის მსგავს შედეგებს.

(იხ. სოციალური ერთიანობა)

(იხ. ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება)

შიდა მიგრაცია – ადამიანთა გადაადგილება სახელმწიფოს შიგნით. ეს ტერმინი ზოგჯერ არასწორად გამოიყენება თავისუფალი გადაადგილების ზონაში (მაგ.: ევროკავშირში) მოძრაობის აღსაწერად, რაც, ტექნიკურად, საერთაშორისო მიგრაციაა, რადგან პირი სახელმწიფო საზღვარს კვეთს.

იძულებით გადაადგილებული პირი (იგპ) – პირი, რომელიც კვლავ იმყოფება თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებში, მაგრამ იძულებული იყო, დაეტოვებინა ჩვეული ბინადრობის ადგილი ან რეგიონი ძალადობის, დევნის, ტექნოგენური ან ბუნებრივი კატასტროფების, ეკოლოგიური და სხვა მსგავსი მოვლენების გამო.

(იხ. აგრეთვე იძულებითი მიგრაცია)

(იხ. მიგრაციის მამოძრავებელი ძალა: კრიზისი და მიგრაცია)

საერთაშორისო მიგრაცია – მოიცავს როგორც „მოკლევადიან“ (გაეროს თანახმად: მიგრაცია, რომლის დროსაც ადამიანები იცვლიან ჩვეული ბინადრობის ქვეყანას, სულ მცირე, სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა), ისე „გრძელვადიან“ (გაეროს თანახმად: მიგრაცია, რომლის დროსაც ადამიანები ცხოვრობენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში, უწყვეტად) მიგრანტებს.

არანებაყოფლობითი ან იძულებითი მიგრაცია – როდესაც პირი იძულებულია, დატოვოს თავისი ჩვეული ბინადრობის ადგილი ან გადაადგილდეს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. მისი გამო-მწვევი მიზეზები შეიძლება იყოს კონფლიქტი, ჩაგვრა, დევნა, ან ჰუმანიტარული თუ ეკოლოგიური კრიზისები.

(იხ. აგრეთვე **ტრეფიკინგი/ტრეფიკინგს დაქვემდებარებული პირი** და **თავშესაფარი**)

სამართლებრივი საფუძვლის არმქონე – „სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტი“ ან „სა-მართლებრივი საფუძვლის არმქონე („არასანქცირებული“, მთარგმნელის შენიშვნა) მიგრაცია“. ჩვეუ-ლებრივ, ასეთი მიგრანტი ნიშნავს პირს, რომელიც ქვეყანაში შედის ან ცხოვრობს სათანადო იური-დიული დოკუმენტების გარეშე. ამ ტერმინს უპირატესობა ენიჭება „უკანონო მიგრანტსა“ ან „უკანონო მიგრაციასთან“ მიმართებით, რადგან მიგრაციის სამართალი შეიძლება რთული იყოს, ხოლო ტერმინი (სამართლებრივი საფუძვლის არმქონე) არ შეიცავს ვარაუდს სისხლის სამართლის დანაშაულზე.

შენიშვნა: თავშესაფრის მაძიებელი არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი საფუძვლის არმქონე პირად, რადგან მას აქვს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება.

(იხ: **მიგრაციის ფორმები: მიგრაცია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე**)

შრომითი მიგრანტი/მიგრანტი მუშაკი – ჩვეულებრივ, გამოიყენება იმ პირის აღსაწერად, რომელიც ცხოვრობს მუდმივი ბინადრობის ქვეყნის გარეთ და რომლის მიგრაციის მთავარი მიზანია შრომა. ეს ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება იმ პირის მიმართაც, რომელიც ქვეყნის შიგნით გადაადგილება შრომის მიზნით.

(იხ: **მიგრაციის ფორმები: შრომითი მიგრაცია**)

შრომითი მიგრაცია – საერთაშორისო მიგრაცია დასაქმების მიზნით. ზოგჯერ გამოიყენება ქვეყნის შიგნით მიგრაციის კონტექსტშიც, თუმცა ეს ყოველთვის კარგად უნდა განიმარტოს, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

(იხ: **მიგრაციის ფორმები: შრომითი მიგრაცია**)

ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობა – მიგრაციის ხანგრძლივობის გაზომვა „გრძელვადიანი მიგრანტის“ გაეროსეული განმარტების მიხედვით (იხ. გრძელვადიანი საერთაშორისო მიგრანტი), მრავალ პრო-ბლემას წარმოშობს.

1. ახალ ქვეყანაში ბინადრობისთვის ჩასვლისას, პირმა შეიძლება არ იცოდეს, რამდენ ხანს და-რჩება ამ სახელმწიფოში. შესაბამისად, საზღვარზე დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხი (ქვეშარიტი, ან პირიქით) ყოველთვის არ შეესაბამება მის ფაქტობრივ მოქმედებებს;
2. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ მიგრანტები ახალ ქვეყანაში გადადიან მუდმივად ცხოვრების მიზნით. ამიტომ, იმ პირთა მიგრანტებად განხილვამ, რომლებსაც არ აქვთ განზრახული ახალ ქვეყანაში მუდმივად დარჩენა (მაგ.: უცხოელი სტუდენტები ან ბიზნესმენები), შეიძლება გაუ-გებრობა წარმოშვას.

გრძელვადიანი საერთაშორისო მიგრანტი – ასეთი პირი გადადის სახელმწიფოში, რომელიც მისი ჩვე-ული ბინადრობის ქვეყანა არ არის, სულ მცირე, ერთი წლის ვადით [...], რათა დანიშნულების ქვეყანა ფაქტობრივად გახდეს მისი ჩვეული ბინადრობის ახალი ქვეყანა.¹⁶

მიგრანტი – ეს ზოგადი ტერმინი მოიცავს ადამიანებს, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეში გადადი-ან ხანგრძლივი პერიოდით საცხოვრებლად. ამგვარი განსაზღვრება ზუსტი არ არის და ზოგადად უნდა დაზუსტდეს კონტექსტის შესაბამისად, რათა დადგინდეს მისი სასარგებლო მნიშვნელობა.

მიგრანტი შინამოსამსახურე – მიგრანტი მუშაკი, რომელიც სხვა პირის კერძო ბინაში/სახლში მუშაობს და ევალება საოჯახო საქმის შესრულება, როგორცაა, კერძების მომზადება, დალაგება და/ან მოვ-ლა-მზრუნველობა. ზოგ ქვეყანაში მიგრანტი შინამოსამსახურის საიმომრავლო სტატუსი შეიძლება უკა-ვშირდებოდეს კონკრეტულ დამსაქმებელს.

(იხ. აგრეთვე: **შრომითი მიგრანტი**)

16 Recommendations on Statistics of International Migration (UN) https://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/Ser-iesM_58rev1e.pdf

მიგრაცია – პირის ან პირთა ჯგუფის გადაადგილება საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთით, ან სახელმწიფოს შიგნით. იგი მოიცავს ადამიანთა გადაადგილების ნებისმიერ სახეს, დისტანციის, შემადგენლობისა თუ მიზეზების მიუხედავად. მიგრაცია გულისხმობს პირთა გადაადგილებას სხვადასხვა მიზნით, შრომის, ოჯახის გაერთიანების, დაცვის საჭიროებისა და სხვა მიზეზების ჩათვლით.

შერეული მიგრაცია – აღიარებს მიგრანტთა შერეულ მოტივაციასა და ნაკადებს. მაგალითად: შრომით მიგრანტს, იმავდროულად, შეიძლება სწავლის იმედიც ჰქონდეს ბინადრობის ახალ ქვეყანაში ყოფნისას; პირი, რომელიც გადაადგილდება ოჯახთან გაერთიანების უპირველესი მოტივით, შეიძლება ასევე ფიქრობდეს, რომ იმუშავეს ბინადრობის ახალ ქვეყანაში; ადამიანთა ჯგუფში, რომლებიც თავშესაფრის ძიების მიზნით მოგზაურობენ, შეიძლება იყვნენ განსხვავებული მიზნის მქონე პირებიც (მაგ.: როგორიცაა სამუშაოს პოვნა).¹⁷

(იხ: მიგრაციის ფორმები: შერეული მიგრაცია)

მოქალაქეობა – მოქალაქეობა მნიშვნელოვანია სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა უფლებებსა და მოვალეობებზე.

თუმცა, მოქალაქეობა გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს, თუ ადამიანები მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეები გახდებიან.

ზოგ ქვეყანაში ეროვნება პირს არ აძლევს იმავე უფლებებსა და უფლებამოსილებებს, რომლებიც აქვს მოქალაქეს, განსაკუთრებით, პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით (მაგ.: ხმის მიცემა). თანამედროვე ქვეყნების უმეტესობაში ყველა ეროვნების წარმომადგენელი არის მოქალაქე და, აქედან გამომდინარე, ერთნაირი უფლებები აქვთ. გარდა ამისა, ეროვნულობის სტატისტიკა ზოგჯერ თვითა-ნგარიშგებით იწარმოება და პირმა „ეროვნულობა“ შეიძლება განმარტოს, როგორც იდენტობის ან მონათესავეობის განცდა, დაფუძნებული ოჯახურ კავშირებზე, კულტურაზე, ენასა ან სხვა სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე, და არა იურიდიული სტატუსი. ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, „ეროვნება“ შეიძლება იყოს „ეთნიკური კუთვნილების“ სინონიმიც, რაც მიუთითებს, რომ სიზუსტისთვის საჭიროა ტერმინის კონტექსტში გამოყენება.

მკვიდრი – ტერმინი აღწერს პირს, რომელიც მიგრანტი არ არის. ეს ნიშნავს, რომ პირი დაიბადა და, როგორც წესი, ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში და მისი მოქალაქეა. ტერმინს გარკვეულწილად დაზუსტება სჭირდება და პრობლემური მნიშვნელობა აქვს კოლონიალური და რასისტული ენით გამოყენების გამო.

წმინდა ნაკადი/წმინდა მიგრაცია – იმიგრაციისა და ემიგრაციის მთლიანი რაოდენობრივი ზემოქმედება ქვეყნის შიგნით/ქვეყნიდან მოსახლეობის გადაადგილებაზე (მთლიან შემოსულ ნაკადს გამოკლებული მთლიანი გასული ნაკადი).

არგაძევების პრინციპი – დაცვის მნიშვნელოვანი პრინციპი საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლებების, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული და ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. ეს პრინციპი ქვეყნებს უკრძალავს პირის დაბრუნებას ტერიტორიაზე, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ დაბრუნების შემთხვევაში მას შეიძლება მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობის ან ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევების ჩათვლით. ეს პრინციპი ჩართულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მრავალ დოკუმენტში. მათ შორისა: კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის შესახებ; კონვენცია ლტოლვილის სტატუსი შესახებ; და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ეროვნული სამართლის დებულებათა თანახმად, თავშესაფრის მაძიებელს, რომელიც არ არის კვალიფიცირებული ლტოლვილად, მაგრამ არ შეუძლია დაბრუნება ამ პრინციპის შესაბამისად, ენიჭება ჰუმანიტარული (სუბსიდიური) ან დამატებითი დაცვა.

(იხ: აგრეთვე თავშესაფარი და ჰუმანიტარული/დამატებითი დაცვა)

გამსვლელი ნაკადები/გარე მიგრაცია – აღწერს ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც ქვეყანას ტოვებენ.

ვადაგადაცილებული ბინადრობა/ვადაგადაცილებული ბინადარი – ქვეყანაში დარჩენა ვიზის ან ბინადრობის ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, რომლებშიც განსაზღვრულია კანონიერი ყოფნის პერი-

17 <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/primers/mixed-migration-policy-challenges/>

ოდი. უკანონო ან დოკუმენტების გარეშე მყოფი პირის სტატუსის ძირითადი მიზეზია გაცემული ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის დარღვევა.

(იხ. აგრეთვე სამართლებრივი საფუძვლის არმქონე და დოკუმენტების გარეშე მყოფი პირი)
(იხ: შედეგები: დეპორტაცია და გაძევება (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა))

მუდმივი ბინადარი – პირი, რომელსაც მუდმივი ბინადარის სტატუსი მიენიჭა. იგი ქვეყანაში შეიძლება შევიდეს, როგორც მიგრანტი, ანდა თავშესაფრის მაძიებელი. მუდმივი ბინადარი, რომელიც მოქალაქე ხდება, იურიდიული თვალსაზრისით აღარ არის მუდმივი ბინადარი.

დაცვის ქვეშ მყოფი პირი – პირი, რომელიც მთავრობამ განსაზღვრა როგორც: (ა) ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე; ან (ბ) დაცვის საჭიროების მქონე – სხვა სიტყვებით, შეიძლება არ აკმაყოფილებდეს კონვენციით განსაზღვრულ „ლტოლვილის“ განმარტებას, მაგრამ არის ლტოლვილის მსგავს სიტუაციაში (მაგ.: იმიტომ, რომ წამების საფრთხე ემუქრება).

(იხ: აგრეთვე **თავშესაფარი, თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი**)

ბიძგის მიმცემი და მიმზიდველი ფაქტორები – მიგრაცია ხშირად ანალიზდება „ბიძგისა და მიზიდვის მოდელის“ საფუძველზე. ეს მოდელი განიხილავს ფაქტორებს, რომლებიც ადამიანებს აიძულებს საკუთარი ქვეყნის დატოვებას (მაგ.: ვითარება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და უსაფრთხოების კუთხით) და ფაქტორებს, რომლებიც მათ კონკრეტულ დანიშნულების ქვეყანაში იზიდავს.¹⁸

(იხ: მიგრაციის მამოძრავებელი ძალა, თავი 5: ამბები მიგრაციის შესახებ)

ლტოლვილი – სამართლებრივად, პირი რომლის თავშესაფრის მოთხოვნაც წარმატებით დაკმაყოფილდა და ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა სხვა სახელმწიფოში. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება იმ ადამიანთა აღსაწერად, რომლებიც კონფლიქტს ან საფრთხეს გაექცნენ; თუმცა, ვინაიდან მათი ფაქტობრივი სამართლებრივი სტატუსი ნათელი არ არის, ამ კონტექსტში შესაძლოა უმჯობესი იყოს უფრო კონკრეტული ტერმინოლოგიის გამოყენება, როგორცაა, „ადამიანები, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ“, იმ პირთა კონტექსტში კი, რომლებიც საზღვარს კვეთენ ასეთი მიზნებით – „თავშესაფრის მაძიებლები“.

(იხ. აგრეთვე **თავშესაფარი და თავშესაფრის მაძიებელი**)

(იხ: მიგრაციის ფორმები: ლტოლვილები და თავშესაფარი)

ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი/აპლიკანტი – პირი, რომელმაც თხოვნა/განაცხადი წარადგინა ლტოლვილის სტატუსის მისაღებად. ეს ტერმინი მეტ-ნაკლებად თავშესაფრის მაძიებლის ეკვივალენტურია და სტანდარტის სახით არის დაფუძნებული ზოგ ქვეყანაში. თავშესაფრის მაძიებელი უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო მასშტაბით.

(იხ. აგრეთვე **თავშესაფარი და თავშესაფრის მაძიებელი**)

(იხ: მიგრაციის ფორმები: ლტოლვილები და თავშესაფარი)

რემიტენციები/გზავნილები – ფულის ან საქონლის გადაგზავნა ერთი ქვეყნის ბინადართა მიერ სხვა ქვეყანაში. ხშირად უკავშირდება მიგრანტებს, რომლებიც ფულს უგზავნიან ოჯახებსა და თემებს. ტერმინი „სოციალური რემიტენციები“ მიესადაგება იდეებისა და ნორმების გადაცემასაც ერთი საზოგადოებიდან მეორეში, იმ შეხედულებების მეშვეობით, რომლებიც შემოტანილია მიგრანტების ან დაბრუნებული მიგრანტების მიერ.

(იხ. **რემიტენციები**)

ხელახალი განსახლება – ლტოლვილთა გადაგზავნა თავშესაფრის მიმნიჭებელი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, რომელიც დათანხმდა მათ მიღებას და მუდმივ განსახლებას.

ხელახლა განსახლებული ლტოლვილი – ლტოლვილი, ვისაც განსახლება შესთავაზეს ქვეყანაში, რომელიც არ არის მისი თავშესაფრის მიმნიჭებელი ქვეყანა.

(იხ. აგრეთვე **ლტოლვილი**)

მეორე (მესამე) თაობა/მიგრაციული წარსულის მქონე ადამიანები – ბავშვები, დაბადებულები თავი-

18 მიგრაციის ხელშეწყობი ფუნდამენტური (push/pull) ფაქტორების მოდელი პირველად ევერეტ ლიმ განიხილა 1966 წლის ნაშრომში და კვლავ რჩება მიგრაციის მამოძრავებელ ფაქტორთა ინტერპრეტირების მნიშვნელოვან საშუალებად.

ნთი მშობლების (ან ბებია-ბაბუის) ბინადრობის ქვეყანაში (ან ერთ-ერთი მათგანის მაინც), რომლებიც დაბადებულები არიან საზღვარგარეთ, მაშინაც კი, როდესაც ბავშვები მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეები/ქვეშევრდომები არიან. და პირიქით, პირი, რომელიც დაიბადა ბინადრობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, შეიძლება ჩაითვალოს „პირველი თაობის“ მიგრანტად.

თავშესაფრის ძიება – როდესაც პირი ითხოვს ლტოლვილის სტატუსს/თავშესაფარს სხვა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც არ არის.

(იხ. აგრეთვე **თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი**)

განცალკევებული ბავშვი (არასრულწლოვანი) – თვრამეტ წლამდე ასაკის პირი, რომელიც განცალკევებულია მშობლისგან/კანონიერი მეურვისგან/ძირითადი მზრუნველისგან, მაგრამ არა უცილობლად სხვა ზრდასრული ნათესავისგან.

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა/უკანონოდ გადაყვანილი მიგრანტი/უკანონოდ გადაყვანილი –

1. საზღვრის გადაკვეთაში ხელშეწყობა სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით (უკანონო გადაყვანა). უკანონო გადაყვანა არ უნდა აგვერიოს ადამიანით ვაჭრობაში (ტრეფიკინგი). ორივე დანაშაული სამართალდარღვევაა (როგორც წესი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის), მაგრამ ადამიანთა უკანონო გადაყვანის ძირითადი მიზანია ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღება, ხოლო ადამიანით ვაჭრობა, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია პირის ექსპლუატაციაზე (არსებობს სხვა განსხვავებებიც);
2. პირი, რომელიც ქვეყანაში უკანონო გადაყვანის გზით შევიდა;
3. პირი, რომელიც ხელს უწყობს და/ან ახორციელებს უკანონო გადაყვანას, ძირითადად, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მისაღებად (უკანონოდ გადაყვანილი).

სოციალური ერთიანობა – ცნება „სოციალური ერთიანობა“ ფართოდ არის გავრცელებული პოლიტიკის საკითხებზე გამართულ დისკუსიებში, განსაკუთრებით, უმცირესობათა და მიგრანტთა ჯგუფების ინტეგრაციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინს მეცნიერებაში კონკრეტული მნიშვნელობა აქვს, პოლიტიკასთან მიმართებით გამოყენებისას იგი საკმაოდ ბუნდოვანია, ხოლო „სოციალური ერთიანობის“ შექმნის საუკეთესო მიდგომები კვლავ სადავო თემად რჩება.

(იხ. აგრეთვე **ინტეგრაცია**)

(იხ. **ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება, თავი ამბები მიგრაციის შესახებ**)

მოქალაქეობის არმქონე პირი – პირი, რომელიც არცერთი სახელმწიფოს მიერ არ არის აღიარებული მოქალაქედ. მოქალაქეობის არმქონე პირი ვერ ისარგებლებს რომელიმე სახელმწიფოს დაცვით, ამიტომ ისინი მოწყვლად მდგომარეობაში არიან ფუნდამენტური უფლებების განხორციელების თვალსაზრისით.

მიგრანტთა რაოდენობა – მიგრანტთა რიცხვი მოცემულ ტერიტორიაზე ან ქვეყანაში, დროის კონკრეტულ მომენტში. რაოდენობა არ უნდა აგვერიოს ტერმინში „მიგრანტთა ნაკადები“, რომლებიც უკავშირდება მოცემულ ქვეყანაში შესვლას ან ქვეყნიდან გასვლას დროის გარკვეულ პერიოდში.

სტუდენტი/მიგრანტი განათლების მიზნით – პირი, რომელიც თავისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და რომლის მიგრაციის უპირველესი მიზანია სწავლა ან განათლება. ეს შეიძლება მოიცავდეს სწავლას სხვადასხვა საფეხურზე (მაგ.: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება).

(იხ. **მიგრაციის ფორმები: საერთაშორისო კვლევა**)

ჰუმანიტარული/დამატებითი დაცვის სტატუსი – საერთაშორისო დაცვის ფორმა. ენიჭება პირს, რომელიც მთავრობის მიერ ლტოლვილად არ არის განსაზღვრული კონვენციის საფუძველზე, მაგრამ სხვაგვარად ესაჭიროება დაცვა, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის დებულებათა შესაბამისად (მაგ.: წარმოშობის ქვეყანაში უსაფრთხოების სიტუაციის, წამების საფრთხის, ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო).

(იხ. აგრეთვე **თავშესაფარი, თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი**)

დროებითი ბინადარი – პირი, რომელსაც უფლება აქვს, დროებით საფუძველზე დარჩეს სახელმწიფოში, რომელიც არ არის მისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)/ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – ადამიანთა რეკრუტი, გადაადგილება და შეფარება ექსპლუატაციის რაიმე ფორმით, ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით. გაეროს თანახმად, ტრეფიკინგი არის „ექსპლუატაციის მიზნით პირთა რეკრუტირება, ტრანსპორტირება, შეფარება, ან მიღება, დაშინების ან ძალის გამოყენებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ან გადასახადისა თუ სარგებლის მიცემით ან ალბიონით, რათა მიაღწიოს თანხმობას პირისაგან, რომელიც სხვა პირს აკონტროლებს“.¹⁹ თავისი არსით, ტრეფიკინგი ხდება მაშინ, როდესაც გადაადგილებისას არსებობს ძალადობის ან იძულების ელემენტი.

(იხ. აგრეთვე უკანონო გადაყვანა/უკანონოდ გადაყვანილი პირი)
(იხ. ადამიანებით ვაჭრობა და ადამიანთა უკანონო გადაყვანა)

ტრანზიტული ქვეყანა – ქვეყანა, რომლის გავლითაც მიგრანტები მგზავრობენ თავიანთი წარმოშობის/გამგზავრების ქვეყნიდან საბოლოო დანიშნულების ქვეყანამდე.

თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის პირი ზრდასრული პირის თანხლების გარეშე, რომელსაც კანონით ან ჩვეულებით ევალება მასზე ზრუნვა (მაგ.: მშობელი, მეურვე ან ძირითადი მზრუნველი).

არასანქცირებული – ეხება კანონიერი ნებართვის არმქონე მიგრანტებს ან მიგრაციას. „სამართლებრივი საფუძვლის არმქონის“ მსგავსად, ეს ტერმინი (ხშირად, როგორც უმჯობესი) გამოიყენება ტერმინ „უკანონოს“ ჩასანაცვლებლად, რათა აღწერონ იმიგრანტი, რომელსაც არ აქვს ქვეყანაში ყოფნის ნათლად გამოხატული იურიდიული უფლება.

დოკუმენტების არმქონე – ეხება მიგრანტებს, რომლებსაც არ შეუძლიათ, წარმოადგინონ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის ან ბინადრობის სამართლებრივი უფლების და/ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ დოკუმენტების არქონა არ უტოლდება კანონიერი უფლებების არქონას: მაგალითად, სიტუაციები, როდესაც მოქმედი დოკუმენტები დაკარგული ან განადგურებულია, როგორც წესი, არ უნდა მოქმედებდეს ადამიანის კანონიერ უფლებებზე; დოკუმენტების უბრალოდ არქონა კი ავტომატურად არ აყენებს ადამიანს არასამართლებრივ სიტუაციაში.

ვიზა – აღნიშვნა პასპორტში, რომელიც მფლობელს აძლევს კონკრეტულ ქვეყანაში შესვლის, ქვეყნიდან გასვლის, ან იქ ყოფნის უფლებას დროის გარკვეულ პერიოდში. ქვეყანაში ყოფნის ხანგრძლივობასთან ერთად, ვიზა ასევე ადასტურებს მფლობელის უფლებას, იმუშაოს, ისწავლოს, ან წვდომა ჰქონდეს კონკრეტულ სახელმწიფო სერვისებზე. თითოეული სახის ნებართვისთვის მიგრანტს შეიძლება სხვადასხვა ვიზა დასჭირდეს.

უვიზო რეჟიმი – მთავრობები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის საჭირო აღარ იქნება პასპორტში სათანადო ვიზის ქონა. თუმცა, შესვლისთვის ვიზის მოთხოვნაზე უარის თქმა არ არის ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრების, მუშაობის, სწავლის ან ყველა სახელმწიფო სერვისზე წვდომის უფლების ტოლფასი.

შრომითი მიგრანტი – (იხ. შრომითი მიგრანტი)

შრომის ნებართვა – შრომის ნებართვა მის მფლობელს აძლევს შრომის უფლებას, ზოგჯერ გარკვეული შეზღუდვებით.

19 <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/primers/mixed-migration-policy-challenges/>

ტერმინოლოგიის არასწორი გამოყენება, დამახინჯება და დატვირთვა

„ეკონომიკური მიგრანტი“

სწორი გამოყენება: ეკონომიკური მიგრანტი გახლავთ ნებისმიერი პირი, რომელიც გააზრებულად გადაადგილდება სხვა ქვეყანაში (ან ქვეყნის შიგნით), ეკონომიკური სიტუაციის გამოსასწორებლად. ეს მოიცავს როგორც მილიარდერებს (რომლებსაც თავისი საგადასახადო მდგომარეობის გაუმჯობესება სურთ) და საერთაშორისო ბანკირებსა თუ ბიზნესმენებს (რომლებიც მდიდარ ქვეყნებში გადაადგილდებიან), ისე ნებისმიერ მუშაკს, რომელიც ტოვებს თავის ღარიბ ცხოვრებას, უკეთესი სიტუაციის პოვნის იმედით.

არასწორი გამოყენება: ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა მიმართ, რათა მიუთითონ, რომ მათი გადაადგილების მიზეზი არ არის ლეგიტიმური: ისინი არ გარბიან დევნის, დასაბუთებული შიშის, ან დაცვით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით. ტერმინი ასევე არასწორად გამოიყენება მიგრანტთა ოჯახების გაერთიანების კონტექსტში, რადგან გულისხმობენ, რომ მიგრანტის მონაწილეობით ქორწინება „ფიქტიურია“ და მას განსაკუთრებით დაბალი კვალიფიკაციის მუშაკები იყენებენ შრომის ბაზარზე წვდომისათვის.

ტერმინები „უკანონო/ფიქტიური/ყალბი“ თავშესაფრის მაძიებელთა ან ლტოლვილთა მიმართ

თავშესაფრის ძიება არის უფლება, რომელიც დაცულია 1951 წლის კონვენციით ლტოლვილის სტატუსის შესახებ და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით (იხ. *ლტოლვილები და თავშესაფარი*, თავი 5: *ამბები მიგრაციის შესახებ*); როდესაც პირი თავშესაფარს ითხოვს, სახელმწიფო, რომელსაც იგი მიმართავს, მოვალეა, შეაფასოს მისი განაცხადი და ან მიანიჭოს თავშესაფარი, ან უარი უთხრას მასზე. იმ პერიოდში, როცა პირი ელოდება გადაწყვეტილების მიღებას, იგი კანონიერად იმყოფება ქვეყანაში (თუნდაც უარი მიიღოს განაცხადზე). შესაბამისად, მისი ქმედება არ უნდა შეფასდეს როგორც „უკანონო“, „ფიქტიური“ ან „ყალბი“.

ლტოლვილი ან საერთაშორისო დაცვის რომელიმე ფორმით მოსარგებლე პირი არის ადამიანი, რომლის თავშესაფრის განაცხადი მიიღო და აღიარა მიმღებმა სახელმწიფომ. ლტოლვილის სტატუსით ან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმით მოსარგებლე პირი, დეფინიციის საფუძველზე, კანონიერი ბინადარია.

როდესაც აღვწერთ ადამიანებს, რომლებიც დევნას, კონფლიქტებს, სტიქიურ უბედურებას ან ტრავმას გაურბიან, აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ მათ აქვთ უფლება, ვუწოდოთ ლტოლვილები ან თავშესაფრის მაძიებლები. უკიდურესად არაეთიკურია სპეკულაცია თავშესაფრის/ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა მოტივაციებითა და უფლებებით, თუ ამისთვის მკაფიო მტკიცებულება არ არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ, რომ ადამიანებს, რომლებიც საფრთხეს გაურბიან წარმოშობის ქვეყნიდან, დაცვის გარდა, სხვა მოთხოვნებიც აქვთ: ოჯახის შენარჩუნება და კეთილდღეობა, მუშაობა და საარსებო საშუალებათა მოპოვება, სწავლა და სხვა.

ექსპატრიანტი

თეორიულად, „ექსპატრიანტი“ ნეიტრალური ტერმინია და აღნიშნავს სხვა სახელმწიფოში ემიგრირებულ პირს, რომელიც მშობლიურ ქვეყანაში აღარ ცხოვრობს. ამ ტერმინის არასწორი მოხმარება უკავშირდება მის დატვირთვას: ზოგადად, იგი გამოიყენება უფრო მდიდარი, ხშირად თეთრკანიანი მიგრანტების მიმართ, მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან. ეს მათ მიგრაციას ანიჭებს ლეგიტიმურობის გარკვეულ ხარისხს, რომლითაც ხშირად არ სარგებლობენ მიგრანტები დაბალშემოსავლიანი ქვეყნებიდან (მათ მიმართ ამ ტერმინს ძალზე იშვიათად იყენებენ).

(იხ: *დემინფორმაცია და სიძულვილის ენა*)

ტერმინები, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ

უცხო (უცხოელი) – ეს დეჰუმანიზებული ტერმინი ზოგ ქვეყანაში გამოიყენება პირის აღსანიშნავად, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის.

უკანონო იმიგრაცია – ჩვეულებრივ, გამოიყენება სხვადასხვა პროცესის მიმართ, როგორცაა, ფარული მიგრაცია, ქვეყანაში შესვლისთვის ყალბი დოკუმენტების გამოყენება, ან თუნდაც საზღვო ვადის დარღვევა. ტერმინი ხშირ შემთხვევაში სამართლებრივად ზუსტი არ არის და რიტორიკული ეფექტისთვის უფრო გამოიყენება, ვიდრე სიცხადისთვის. „უკანონო იმიგრაცია“ არასწორად გამოიყენება ისეთ რთულ სიტუაციებში, როგორცაა ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და შერეულ მიგრანტთა ჯგუფების გადაადგილება.

სადაც შესაძლებელია, ის უნდა ჩავანაცვლოთ უფრო დეტალური და ზუსტი ტერმინებით.

უკანონო მიგრანტი – მასმედიასა და პოლიტიკურ დებატებში მიგრაციის საკითხებთან მიმართებით ეს ცნება მთელ მსოფლიოში კვლავ ფართოდ გამოიყენება, თუმცა არაზუსტ, დატვირთულ და სადავო ტერმინად მიიჩნევა. საერთაშორისო ინსტიტუტების უმრავლესობა, გაეროს დაწესებულებათა ჩათვლით, ასევე, „Associated Press“²⁰ და მრავალი წამყვანი ახალი ამბების სააგენტო, ეწინააღმდეგებიან „უკანონო მიგრანტის“ გამოყენებას. ზოგადად, უპირატესობა ენიჭება სხვა ტერმინებს, როგორცაა, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე, დოკუმენტების არმქონე, ან არასანქცირებული (იხ. განყოფილება 1), თუმცა, ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად.

ფერით კოდირებული სახელმძღვანელო მითითებები სხვადასხვა სფეროს ტერმინოლოგიისთვის:

1) საზღვრის გადაკვეთა

საზღვრის გადაკვეთა, უმრავლეს შემთხვევაში, ჩვეულებრივი და ყოველდღიური პროცესია, თუმცა მიგრაციის გაშუქების კონტექსტში შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა შეიძინოს. მრავალი ჩვენგანი ადმინისტრაციულ საზღვარს ყოველდღე კვეთს: ერთი ოლქიდან ან მუნიციპალიტეტიდან მეორეში, პროვინციებსა და რეგიონებს ან, ზოგჯერ, ქვეყნებს შორისაც. მიგრაციული პროცესების დიდი ნაწილი წარიმართება ქვეყნის შიგნით, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. გეოგრაფიული და ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთა ბევრ კონტექსტში ჩვეულებრივი პროცესია, თუმცა მკაცრი პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრების გავრცელების ფონზე, რომელიც უკავშირდება მოსახლეობისთვის მინიჭებულ კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს, მიგრაცია სულ უფრო მეტად იძენს პოლიტიკურ მნიშვნელობას.

რატომ არის მნიშვნელოვანი ყველაფრის სწორად გაკეთება

მიგრაციის დიდი ნაწილი მიმდინარეობს ცერემონიებისა და საზოგადოების აღიარების გარეშე, რადგან უბრალოდ ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია (გავიხსენოთ ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად დადიან სამსახურში ადმინისტრაციულ საზღვარს მიღმა). თუმცა, მიგრაციის გაშუქება ადამიანებს საკითხის სხვადასხვაგვარად განმარტებისკენ უბიძგებს, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკაზე. გლობალური მიგრაციის უდიდესი ნაწილი საკმაოდ კანონიერად წარიმართება²¹, თუმცა მიგრაციის გაშუქებისას ყველაზე ფართოდ გავრცელებული თემაა მიგრანტთა სტატუსი. გაერთიანებული სამეფოს გაზეთებში მიგრაციის გაშუქების ანალიზი (რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტმა ჩაატარა) უჩვენებს, რომ სიტყვა „იმიგრანტის“ შესაცვლელად, ტერმინი „უკანონო“ 10-ჯერ უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ნებისმიერი სხვა ზედსართავი სახელი.²² მიგრაციის წარმოჩენა ტერმინ „უკანონოს“ დომინირებით, შეიძლება გამოყენებული იყოს საზოგადოებაში შიშის სტიმულირებისთვის, ასე-

20 <https://blog.ap.org/announcements/illegal-immigrant-no-more>

21 There is no single reliable tally of irregular migration numbers around the world, but see this analysis from Pew charitable trust, for example: <https://www.pewresearch.org/global/2019/11/13/europes-unauthorized-immigrant-population-peaks-in-2016-then-levels-off/>

22 <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/reports/migration-in-the-news/>

ვე, რეაგირების პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ზომების შესამუშავებლად, როგორცაა მიგრაციის მხარდაჭერის შემცირება, ან მიგრანტთა დეპორტაციისა და დაკავების შემთხვევათა გაზრდა. ასეთი ასახვა ამარტივებს მიგრაციის ფენომენს და კარიკატურამდე დაჰყავს, რაც მისი ბუნების გონივრული გააზრების საშუალებას არ იძლევა.

მნიშვნელოვანი მინიშნებები

პასუხისმგებლური გაშუქება უნდა:

- განმარტავდეს სამართლებრივ სიტუაციას, კერძოდ, რა უნდა გაკეთდეს, რომ მიგრაცია განხილული იყოს კანონიერად და ადამიანის ცხოვრების ნორმალურ ელემენტად;
- კონტექსტის შესაბამისად განიხილავდეს საკითხის მასშტაბსა და ბუნებას;
- თავიდან იცილებდეს ვარაუდებს ფიზიკურ პირთა სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით, თუ ის ცნობილი არ არის;
- იყენებდეს სწორ ტერმინებს.

2) ცხოვრება წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ

მიგრაციას მრავალი მიზეზი აქვს – დევნისა ან სიღარიბისგან თავდაღწევით დაწყებული, ულტრამდიდარი პირებით დამთავრებული, რომლებიც ცხოვრების სტილის შეცვლის გამო გადაადგილდებიან.

რატომ არის მნიშვნელოვანი ყველაფრის სწორად გაკეთება

მედიას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოების მიერ მიგრაციის აღქმასა და მასზე რეაგირების ფორმირებაში. საუკეთესო შემთხვევაში, იგი ხელს უწყობს ერთიანი და მშვიდობიანი საზოგადოების შექმნას, ხოლო უარეს შემთხვევაში, შეუძლია ანტიპათია და ძალადობაც კი გააღვივოს თემთა შორის.

მნიშვნელოვანი მინიშნებები

- თავიდან აიცილეთ რასობრივი და/ან რელიგიური სტერეოტიპები;
- გახსოვდეთ, თავშესაფრის ძიება კანონიერი უფლებაა;
- გახსოვდეთ, ინტეგრაცია ორმხრივი ცვლილებების პროცესია და მოიცავს როგორც მიგრანტს, ისე მასპინძელ საზოგადოებას;
- თუ ადამიანი ფაქტობრივად არ გადაადგილდება, ვერ იქნება მიგრანტი, თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ოჯახური წარმომავლობის მიუხედავად. ეს მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხებათ მიგრანტთა შვილებს.

3) მიგრაციის მონაცემები და ტერმინები

მიგრაციის მონაცემებისა და ტექნიკური ტერმინების ზუსტად გამოყენება უმნიშვნელოვანესია ამ ფენომენის სწორად გაშუქებისთვის.

რატომ არის მნიშვნელოვანი ყველაფრის სწორად გაკეთება

ტერმინოლოგიის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება არსებითი ზემოქმედება იქონიოს ამბის არსზე, ხოლო მცირე განსხვავებებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თქვენ მიერ მონაცემთა გააზრებაზე.

უცხოეთში დაბადებულ მოქალაქეთა ანალიზით მიღებული მონაცემები ქვეყანაში შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს უცხოეთის მოქალაქეთა ანალიზისგან. ადამიანებმა შეიძლება შეიცვალონ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყანა, მათი დაბადების ადგილი კი, ზოგადად, უცვლელი რჩება.

თავშესაფრის მაძიებლის მოხსენიებამ „უკანონო იმიგრანტად“ ან, თუნდაც, „დოკუმენტების გარეშე მყოფ მიგრანტად“, შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა აზრის ჩამოყალიბება ამ პირისა თუ მისი თემის შესახებ: კერძოდ, მათ მიმართ თანაგრძნობით განიმსჭვალება თქვენი აუდიტორია (თვით პოლიტიკის შემქმნელებთან ერთად), თუ უარყოფითად.

მნიშვნელოვანი მინიშნებები

- უნდა იცოდეთ თქვენ მიერ გამოყენებული ტერმინის ზუსტი მნიშვნელობა, განსაკუთრებით, როდესაც ის გამოხატავს კანონსა ან პოლიტიკის დოკუმენტებში დადგენილ დეფინიციებს;
- გახსოვდეთ, მიგრაცია რთული საკითხია და ყოვლისმომცველმა ტერმინებმა შეიძლება გაუმჟღავნებელი დატოვოს ადამიანის ისტორიის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები.

4) სამართლებრივი საფუძვლის მქონე მიგრანტთა ძირითადი კატეგორიები

მიგრანტთა კონკრეტულ ტიპსა ან კატეგორიაზე ხშირად კეთდება მითითება იმ მიზეზთა გამო, რომლებითაც მათ მისცეს ქვეყანაში შესვლის ან ყოფნის უფლება. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი საფუძვლის მქონე მიგრანტები ხშირად ასახავენ ადმინისტრაციულ კატეგორიებს, რომლებიც მიგრაციის პოლიტიკის საფუძველზე იქმნება და დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე. ზოგ კონტექსტში, მიგრანტთა კატეგორიებად დაყოფა შეიძლება ეფუძნებოდეს მათ განცხადებებს ქვეყანაში შესვლის ან დარჩენის შესახებ, რაც, როგორც აღინიშნა, დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს.

როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ტერმინოლოგიის გამოყენება?

რამდენიმე დეფინიციის არსებობამ შეიძლება სერიოზული პრობლემა შექმნას საჯარო დებატებისას, როდესაც საქმე ეხება მიგრანტთა რაოდენობასა ან მიგრაციის ზემოქმედებაზე შეთანხმების მიღწევას: ერთი და იმავე განხილვისას შეიძლება ერთდროულად იყოს გამოყენებული სხვადასხვა განმარტება (მაგ.: საზღვარგარეთ დაბადებული ან უცხო ქვეყნის მოქალაქე), ავტორის მიზნებზე მოსარგებად.

მაგალითად, 1989–2002 წლებში საქართველოს მოსახლეობის კლების ანალიზი უჩვენებს, რომ ამ პერიოდში ქვეყნიდან ემიგრირებულ პირთა დიდი ნაწილი შედგებოდა ეთნიკური რუსებისა და სომხებისაგან. ამ პროცესმა საქართველოზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედება იქონია, თუ მას განვიხილავთ, ერთი მხრივ, როგორც „ქართულ“ ემიგრაციას, ხოლო, მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა „დაბრუნების მიგრაციას“ (თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ბევრი მათგანი საქართველოში ყოფილიყო დაბადებული).

საჯარო დებატებში ხშირად ნათელი არ არის, ვინ არის „მიგრანტი“. მაგალითად, მიგრანტები შეიძლება მიაკუთვნონ ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას, ან ეს ტერმინი გამოყენებული იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, თუმცა კი ისინი შეიძლება სწორედ იმ ქალაქში იყვნენ დაბადებულნი, სადაც ახლაც ცხოვრობენ.

„მიგრანტთან“ დაკავშირებული ტერმინოლოგიის თავისებურების ერთ-ერთი მაგალითია შემთხვევა, რომელიც პოლონეთის ზოგიერთ ოლქში მოხდა: მეცნიერულმა ანალიზმა უჩვენა, რომ „უცხოეთში დაბადებული“ მოსახლეობა სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდებადა, ხოლო უფრო სიღრმისეული შესწავლით გამოჩნდა, რომ ეს ხარჯები უმეტესწილად უკავშირდებოდა პენსიების გადახდას იმ ხანდაზმულთათვის, რომლებიც გდანსკის მსგავს ქალაქებში დაიბადნენ მეორე მსოფლიო ომამდე, ან ამ ომის დროს, როდესაც იგი გერმანიის ნაწილი იყო. ამ შემთხვევაში, ეს ადამიანები სტატისტიკაში განისაზღვრნენ მიგრანტებად, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი გადავიდნენ სადმე, არამედ საზღვრის გადანაცვლების გამო!²³

მედიის დისკურსში სხვადასხვა ტერმინი ხშირად სინონიმებად გამოიყენება, მიგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა კი ასახავს ამ გაუგებრობას და მისი გაძლიერება შეუძლია. გამოკითხვისას შეიძლება ტერმინები ზუსტად არ იყოს განსაზღვრული, რის გამოც რესპონდენტებმა შეკითხვებს უნდა უპასუხონ საკუთარი ვარაუდების შესაბამისად. ზოგიერთი კვლევისას გამოიყენებულია მიგრანტის კონკრეტული დეფინიციები, რომლებმაც რესპონდენტებს შესაძლოა კონკრეტული დასკვნებისკენ უბიძგოს. როდესაც გაშუქება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემებს, მნიშვნელოვანია ტერმინების იმ კონტექსტის განსაზღვრა, რომელიც დეფინიციის საფუძველია, და საჭიროების შემთხვევაში, მითითება, რამდენად კარგად გადმოსცემს იგი გასაშუქებელ კონცეფციას.

შეკითხვები ახალი ამბების რედაქციებისა და ჟურნალისტთა ასოციაციებისთვის:

- არსებობს ფორუმები, სადაც შესაძლებელია სადავო და უმჯობესი ტერმინოლოგიის განხილვა?
- არსებობს სახელმძღვანელო მითითებები ენისა და ტერმინოლოგიის გამოყენებაზე, რომელიც შეთანხმებულია მასმედიის, მარეგულირებელი ორგანოსა და ჟურნალისტთა ასოციაციების მიერ?
- არსებობს თქვენს ენაზე საერთაშორისო, რეგიონული ან ეროვნული ლექსიკონები?
- რა შეიძლება გაკეთდეს საერთო დარგობრივი მიდგომის გამოსაყენებლად, რათა თქვენს ქვეყანა-ს ან რეგიონში ტერმინები უკეთ გაიგოთ და შეათანხმოთ?
- საჯაროდ ხელმისაწვდომია სახელმძღვანელო მითითებები და პოლიტიკის დოკუმენტები? შეიძლება მათი გამოყენება ისეთი მიზნებით, როგორიცაა მედიის განათლების გაუმჯობესება, მიგრაციის შესახებ ცოდნის ამაღლება და (პოტენციურად) ჟურნალისტის მიმართ ნდობის გაძლიერება გამჭვირვალობის მეშვეობით?

(იხ: თავი 10: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება)

დასკვნა

სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება ზოგჯერ შეიძლება მოუხერხებლად ჩაითვალოს; შესაძლოა ისიც კი იგრძნოთ, რომ თქვენი ამბის ზემოქმედებას სწორედ ტექნიკური ტერმინოლოგია ამცირებს, და არა სასაუბრო ენა. თუმცა, ტერმინების სწორი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია: მას შეუძლია არა მხოლოდ რეალური ზემოქმედება იქონიოს მოწყვლად ადამიანებზე, არამედ, ასევე, ერთმანეთისგან განასხვავოს შეცდომაში შემყვანი სტატიები და კარგი გაშუქება.

ნავიგაციის ჩანართი:

- დამატებითი წყაროებისთვის იხილეთ განყოფილება **მიგრაციის ლექსიკონები**, თავი 11: **მექანიზმები და რესურსები**;
- სიტყვების თანამედროვე მნიშვნელობით შესწავლის მიზნით, იხილეთ თავი 3: **მიგრაციის გაშუქების ტენდენციები**;
- თუ როგორ შეიძლება გახდეთ საუკეთესო ჟურნალისტი მიგრაციის საკითხებში, იხილეთ თავი 2: **რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?**
- მიგრაციაში ჩართული პროცესებისა და საკითხების შესასწავლად, იხილეთ თავი 5: **ამბები მიგრაციის შესახებ**.

23 <https://www.understandfreemovement.eu/article/what-makes-poland-unique/>.

თავი 5:

ამბები მიგრაციის შესახებ

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- გაიგოთ თქვენი მიგრაციის ისტორიების პოტენციური მასშტაბი და ურთიერთკავშირი სხვა თემებთან;
- შეიმუშაოთ იდეები ახალი ხედვის, პერსპექტივებისა და მიდგომებისთვის მიგრაციის გასაშუქებლად.

მიგრაციის კვლევის ტაქსონომიაში, რომელიც შეიმუშავა IMISCOE-ის **მიგრაციის კვლევის ჰაბმა**²⁴, იდენტიფიცირებულია ამ სფეროს გაშუქების 100-ზე მეტი პოტენციური ხედვა და თემა. დაბეჯითებით გირჩევთ ამ წყაროს გაცნობას: ეს ახალი ისტორიების შექმნაში დაგეხმარებათ.

IMISCOE-ის მიგრაციის კვლევის ჰაბის საფუძველზე, ეს განყოფილება ორგანიზებულია შემდეგი საკითხების შესაბამისად:

1. მიგრაციის პროცესები (**მამოძრავებელი ძალები, ფორმები, და ინფრასტრუქტურა**);
2. მიგრაციის **შედეგები**;
3. მიგრაციის მართვა.

სახელმძღვანელოს ყველა დანარჩენი ნაწილის მსგავსად, ჩვენ მიერ შერჩეული თემები და მათი განხილვის ხანგრძლივობა ეფუძნება ფოკუს-გუფებს, რომლებიც 2020 წლის აგვისტოში ჩატარდა ჟურნალისტთა ასოციაციებთან „მომენტა 2“-ის ფარგლებში.

მიგრაციის პროცესები

მიგრაცია არ არის გამგზავრების პუნქტიდან დანიშნულების პუნქტში გადაადგილების ერთი ქმედება. სინამდვილეში მასში ერთიანდება: გეგმების, მოსაზრებებისა და მოქმედებების ნაკრები, რომლებიც ამ გადაადგილებას წარმართავს; პროცესების შეჯერებისა და გადამოწმების მოქმედებები უშუალოდ გადაადგილებისას; და გრძელვადიანი შედეგები, ინოვაციები, სტრატეგიები, განსახლება და სირთულეების დაძლევის მექანიზმები, როგორც დანიშნულების ადგილზე, ისე უკან დარჩენილთა მიმართ.

მიგრაციის მამოძრავებელი ძალები

ადამიანები გადაადგილდებიან სხვადასხვა რამის გამო, ხშირად ერთი კი არა, რამდენიმე მიზეზით. რაც უნდა რთული იყოს ეს მიზეზები, მკვლევრებს სასარგებლოდ მიაჩნიათ, განიხილონ, რომელი ფაქტორები „**უბიძგებს**“ პირს ემიგრირებისკენ და რომელი „**მიმზიდველი**“ ფაქტორების ზემოქმედებით ირჩევს იგი დანიშნულების კონკრეტულ მიმართულებას. მიგრაციის ეს ე. წ. „**მამოძრავებელი ძალები**“ შეიძლება დროთა განმავლობაში და მიგრაციის პროცესში შეიცვალოს, რაც ართულებს მიგრაციის მოტივის განსაზღვრას.

მიგრაციის მამოძრავებელი ძალები: ყოველდღიური განხილვები

ბიძგის მიმცემი და მიმზიდველი ფაქტორები ხშირად უკავშირდება ხელფასსა და დასაქმების შესაძლებლობებს (რომლებიც დანიშნულების ქვეყანაში შეიძლება უკეთესი იყოს მშობლიურთან შედარებით), ან ოჯახურ მიზეზებს. ეს საკითხი განხილულია ქვემოთ, განყოფილებებში **შრომითი მიგრაცია** და **ოჯახური მიგრაცია**.

24 <https://migrationresearch.com/taxonomies/>

მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ იმ „ყუთების“ აკურატული მარკერები, სადაც მოგვწონს მიგრანტთა მოთავსება ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ვერასოდეს მოგვიყვება სრულ ისტორიას რეალურ ადამიანებზე, რომლებიც სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად. ამ ადამიანებს შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეთ, რომ გასცდნენ შრომის, სწავლის, ოჯახის ან თავშესაფრის ფარგლებს. კონკრეტული მიმართულების არჩევაზე გავლენა შეიძლება იქონიოს ენის ცოდნამ, დიასპორის არსებობამ, საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა. ეს საკითხები განხილულია განყოფილებაში **შერეული მიგრაცია**.

მედიასა და პოლიტიკურ დისკუსიებში ხშირად უგულებელყოფილია მიგრაციის ისეთი მიზეზები, როგორიცაა, უბრალო ინტერესი გარე სამყაროს მიმართ და პიროვნული განვითარების სურვილი, ასევე, ახალი და საინტერესო გამოცდილების მიღება. მაასტრიხტის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, მიგრაციის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა არის უბრალოდ „მოგზაურობისკენ ლტოლვა“²⁵ – მოგზაურობის ძლიერი სურვილი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ანალოგიურ კვლევებზე ინფორმაცია არ გვაქვს, თუმცა მსოფლიოს ნახვისა და მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების გამოცდის სურვილი საყოველთაოდ ცნობილია.

სასწავლო მაგალითი: შიდა მიგრაცია

ასევე მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მივაქციოთ ქვეყნის შიგნით გადაადგილებას. როგორც „BBC“-ის კორესპონდენტი, სტეფანი ჰეგარტი აღნიშნავს, ქვეყნის შიგნით მიგრაციას შეიძლება უფრო მეტი ეფექტი ჰქონდეს საზოგადოებაზე, ვიდრე იმიგრაციას ან ემიგრაციას.



https://www.youtube.com/watch?v=VyVn2ov1ss8&list=PLXzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdI

25 <https://www.reminder-project.eu/blog/why-are-people-moving-within-europe-the-complexity-of-migrant-decision-making-in-the-european-union/>.

მიგრაციის მამოძრავებელი ძალები: კრიზისი და მიგრაცია

კრიზისის დროს მიგრაცია ხშირად ბოლო გამოსავალია ადამიანებისთვის. კრიზისები, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი, სხვადასხვაგვარია: ისინი შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ პირად ცხოვრებას (მაგ.: რისკი, რომელიც კონკრეტული პირის სიცოცხლეს ემუქრება მისი მტრის ან კრიმინალური ბანდისგან, ან დევნა ინდივიდუალურ პირთა მიმართ – კონკრეტული თემის ან პოლიტიკური, ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების, ანდა სექსუალური ორიენტაციის გამო). თუმცა, კრიზისები ასევე შეიძლება მოიცავდეს კატასტროფებს, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ფენაზე ახდენს ზემოქმედებას (მაგ.: ომი ან ბუნებრივი კატასტროფა, რომელთა შედეგადაც ნადგურდება სახლები და ზიანდება თემები). ზოგ შემთხვევაში, კრიზისი შეიძლება იმდენად მწვავე ან ექსტრემალური იყოს, რომ შეუძლებელი გახდეს ადამიანთა დარჩენა მათ ჩვეულ საცხოვრებელ ადგილზე. მიგრანტებს, რომლებიც ასეთ სიტუაციებში წარმოიშვებიან, „იძულებით გადაადგილებულ“ პირებს უწოდებენ: ანუ მათი მიგრაციის მამოძრავებელი ძალა იმდენად ექსტრემალური იყო, რომ, გარემოებათა გამო, იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი.

UNHCR-ის შეფასებით, 2019 წლის ბოლოს მსოფლიოში 79,5 მილიონი ადამიანი იყო იძულებით გადაადგილებული (UNHCR 2019).²⁶ მათი უმრავლესობა – დაახლოებით 45,7 მილიონი ადამიანი – გახლდათ „ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი“ (იგპ), ხოლო დანარჩენი 33,8 მილიონი იყო ლტოლვილი (ან ლტოლვილის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირი) და თავშესაფრის მაძიებელი. უფრო კონკრეტულად, მონაცემები ასე გადანაწილდა:

- 26 მილიონი ლტოლვილი;
- 40.0 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირი;
- 20.4 მილიონი ლტოლვილი UNHCR-ის მანდატის საფუძველზე;
- 5.6 მილიონი პალესტინელი ლტოლვილი UNRWA-ის მანდატის საფუძველზე;
- 4.2 მილიონი თავშესაფრის მაძიებელი.

(იხ. *სასწავლო მაგალითი: იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხის გაშუქება*)

როდის უნდა ჩაერიოთ?

ზოგჯერ ჟურნალისტი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, დაეხმაროს დაჭრილს, ან პირს, რომლის სიცოცხლეს საფრთხეშია. ზოგადად მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში დახმარების მორალური ვალდებულება აღემატება ჟურნალისტის პროფესიულ მოვალეობას სიტუაციის გაშუქებასთან მიმართებით, ხოლო ზოგ ქვეყანაში ეს აღიარებულია იურიდიულ მოვალეობად.

ჩარევის წესები: როდის უნდა ჩაერიოს ჟურნალისტი? (IJNET) <https://ijn.net.org/en/story/rules-engagement-when-should-journalists-intervene>

როდის უნდა ჩაერიოს ჟურნალისტი სიტუაციებში (ისტორიებში), რომლებსაც აშუქებს (CJR): <https://www.cjr.org/analysis/journalists-hurricane-harvey.php>

26 <https://www.unhcr.org/uk/figures-at-a-glance.html>.

ტრავმის გამომწვევ მოვლენათა გაშუქების ფსიქოლოგიური ეფექტები

თქვენი ფიზიკური კეთილდღეობა არ უნდა იყოს ზრუნვის ერთადერთი საგანი. ჟურნალისტებს ხშირად ეუფლებათ სხვადასხვა განცდა, მათ შორის: თანაგრძნობა; ჩარევის სურვილი; გაწბილება – როდესაც ჩარევა არ შეუძლია; გულგრილი დამოკიდებულება სიტუაციების მიმართ, რომელთა მოწმენიც უკვე მრავალჯერ იყვნენ; და მიუღებლობა იმ პირთა მხრიდან, რომლებთანაც ტარდება ინტერვიუ, ან რომლებსაც აკვირდებიან.

მორალური ზიანი

2017 წლის მოხსენებაში **ჟურნალისტთა ემოციური დანაკარგი ლტოლვილთა კრიზისზე მუშაობისას** („როიტერის“ ჟურნალისტიკის კვლევის ინსტიტუტი) შესწავლილია იმ ჟურნალისტთა ფსიქოლოგიური რეაქცია, რომლებიც ჰუმანიტარულ კრიზისებს აშუქებენ. კვლევამ უჩვენა, რომ მორალური ტრავმა (და არა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა ან დეპრესია) ყველაზე დიდი ფსიქოლოგიური პრობლემაა, რის წინაშეც დგანან ჟურნალისტები, რომლებიც ლტოლვილებთან დაკავშირებულ კრიზისებს აშუქებენ.

ამ კვლევის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა:

„იმის გათვალისწინებით, რომ მორალური ზიანი მჭიდროდ უკავშირდება ჟურნალისტთა აქტიურ მონაწილეობას ლტოლვილთა დახმარებაში, აუცილებელია კონსენსუსის მიღწევა მსგავს სიტუაციებში მოლოდინების მიმართ. კარგ ჟურნალისტებზე მიგრაციის კრიზისი უდავოდ იმოქმედებს, მაგრამ ისინი სიტუაციას ვერ გამოასწორებენ და არც უნდა ეცადონ. ბრალი, რომელიც ხშირად უადგილოდ არის წარმოდგენილი, შეიძლება ქცევის არასწორ მოტივატორად იქცეს. იგივე შეიძლება ითქვას მორალური ზიანის მიმართაც: აქ ჟურნალისტებს უნდა ესმოდეო, საიდან მოდის მათი ემოციები, და რომ ნორმალურია სულიერი ტანჯვის განცდა ისეთ კონტექსტში, რომლის მოწმენიც არიან. თუმცა, როდესაც საზღვრები მოშლილია და ჟურნალისტები იწყებენ მიგრანტთა რეგულარულ დახმარებას, ემოციები შეიძლება შემცირდეს“.

პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD)

მორალურმა ზიანმა შეიძლება განაპირობოს პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, რომელიც შესაძლოა, ჟურნალისტის მიერ მოვლენათა ადგილის დატოვებიდან რამდენიმე თვის ან წლის შემდეგაც კი გამოვლინდეს.

ჟურნალისტებმა, რომლებიც ხვდებიან ლტოლვილებსა და მიგრანტებს შოკისმომგვრელი ან მძიმე სიტუაციების გამოვლის შემდეგ, შეიძლება ირიბი ან მეორეული ტრავმა მიიღონ და ისეთივე რეაქციები ჰქონდეთ, როგორიც მათ რესპონდენტებს გაუჩნდათ.

შეიძლება ისინი თავს არიდებდნენ სხვა ადამიანებს, ან იმ სიტუაციებსა თუ საუბრებს, რომლებიც ტრავმას აგონებთ. პირველი ნაბიჯია გაცნობიერება, თუ რა ზეგავლენას იქონიებს თქვენზე მძიმე სტრესული სიტუაციების ხილვა ან განცდა.

დარტის ჟურნალისტიკისა და ტრავმის ცენტრმა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა – თავისი წვლილი შეიტანა კვლევაში და შექმნა ღირებული მონაცემთა ბაზა ჟურნალისტებისთვის, ჟურნალისტიკის პედაგოგებისა და მედიცინის მუშაკებისთვის, რომელიც აუმჯობესებს ტრავმის, კონფლიქტებისა და ტრაგედიების გაშუქებას მასმედიაში: <https://dartcenter.org>.

მან ასევე გამოაქვეყნა ანგარიში უშუალოდ იმ პრობლემებზე, რომლებიც მიგრაციის გაშუქებას უკავშირდება: „რესურსების მიმოხილვა: მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხების გაშუქება“ (2 აგვისტო, 2018): <https://dartcenter.org/blog/2018/08/resource-roundup-covering-migration-refugees>

მიგრაციის ფორმები

მიგრაციის ფორმები: შრომითი მიგრაცია

იცით თუ არა, რომ 2015 წელს მიგრანტთა წვლილი გლობალურ მშპ-ში იყო 6,7 ტრილიონი აშშ დოლარი – იმ წლის მთლიანი მშპ-ის 9,4%? (McKinsey)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის თანახმად, მსოფლიოში მიგრანტი მოსახლეობის 59% შრომითი მიგრანტია.²⁷ ეს უცილობლად არ ნიშნავს, რომ მათი მიგრაციის ერთადერთი მიზანი იყო შრომა, მაგრამ გულისხმობს, რომ ისინი გარკვეულ ანაზღაურებად დასაქმებაში არიან ჩართულნი ბინადრობის ახალ ქვეყანაში. ეს მონაცემები ხაზგასმით მიუთითებს მიგრაციის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზეგავლენაზე, ასევე, მჭიდრო კავშირზე მიგრაციასა და შრომას შორის. შრომით მიგრაციას ორი მხარე აქვს:

- ადამიანები, რომლებიც სხვაგან გაემგზავრნენ ან მიემგზავრებიან შრომის მიზნით;
- ადამიანები, რომლებიც სხვა ადგილიდან არიან ან ჩამოვიდნენ შრომის მიზნით.

თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მიგრაცია ხშირად არის დროებითი, სეზონური ან ცირკულარული. მიგრაციის დიდი ნაწილი ხორციელდება უშუალოდ მოკლევადიანი სამუშაოსთვის, კერძოდ, ისეთ სფეროებში, სადაც დამახასიათებელია სეზონური „ბუმი“ (მაგ.: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება, ტურიზმის ან მშენებლობის სფეროები).

შრომითი მიგრაციის გაშუქებისას გავრცელებული შეცდომა უკავშირდება ე. წ. „მაცდურ შრომით რესურსებს“ (იხ. აგრეთვე **უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები ეკონომიკის/ბიზნესის გაშუქებისას მიგრაციის კონტექსტში, განყოფილება ეკონომიკა და ბიზნესი, თავი 2: რა ტიპის ჟურნალისტი სარტ თქვენ?**). აქ გათვალისწინებულია ვარაუდი, რომ მიგრანტ მუშაკთა გარკვეული რაოდენობის შემოსვლა გამოიწვევს იმავე რაოდენობის ადგილობრივ მუშაკთა გამოდევნას შრომის ბაზრიდან. თუმცა, ეს გულისხმობს ეკონომიკაში ფიქსირებული სამუშაო ადგილების რაოდენობას და ადგილობრივ და მიგრანტ მუშაკთა იდენტურ უნარებს/კომპეტენციებს, რაც ხშირად ასე არ არის. ახალი ადამიანების ქვეყანაში შემოსვლა ნიშნავს საქონელსა და სერვისებზე მოთხოვნის ზრდას – საცხოვრებელითა და საკვებით დაწყებული, პირველადი დანიშნულების საგნებით, სამომხმარებლო პროდუქტებითა და გართობით დამთავრებული, რაც ახალ სამუშაო ადგილებსა და წარმოების სფეროებს ქმნის.

შრომითი ემიგრაციის გაშუქება:

გარკვეულწილად, შრომითი ემიგრაცია შეიძლება იმიგრაციაზე რთული გასაშუქებელი იყოს – ამბები იმაზე, რაც არ არსებობს (ან მომავალში იქნება), უფრო რთულია გადმოსაცემად, ვიდრე ამბები მოვლენებზე, რომლებიც პირდაპირ ჩვენ თვალწინ ხდება. გამოწვევა მონაცემებშია ასახული: ბევრი ქვეყანა სისტემატურად არ აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს პირებზე, რომლებიც მიემგზავრებიან და, რეალურად, სანდო მონაცემები ემიგრაციის შესახებ ხშირად საიმიგრაციო მონაცემების საშუალებით გროვდება მათი ბინადრობის ქვეყნებში.

ინტელექტის გადინება თუ შემოდინება?²⁸

შრომითი მიგრაციის ზოგიერთი უარყოფითი შედეგი: სამუშაოს პოვნის მიზნით მიგრაციამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საზოგადოებებზე, კერძოდ: ხელი შეუწყოს მოსახლეობის რაოდენობის კლებას, რაც ამცირებს მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე და აზიანებს ადგილობრივ ეკონომიკასა და ბიზნესს; საზოგადოებას მოაკლოს უფრო პროდუქტიული წევრები; შეამციროს საგადასახადო შემოსავლები და შესაძლო ინვესტიციები საზოგადოებრივი მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის სფეროში; გამოიწვიოს ოჯახების გაყოფა პოტენციური უარყოფითი ემოციური და სოციალური შედეგებით. მიგრანტებს შეიძლება არ გაუმართლოთ მგზავრობისას – დეპორტით გამოუშვან, ან გამოაძევეს დანიშნულების ქვეყნიდან (თუ, ვთქვათ, სამუშაოს დაკარგავენ, არალეგალურად მუშაობენ, ან არიან მიგრანტები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე); დაბრუნებისას კი ისინი შეიძლება რთულ ეკონომიკურ და/ან სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

27 <https://migrationdataportal.org/themes/labour-migration>.

28 იხ. This article by Gibson and McKenzie: <http://ftp.iza.org/dp5730.pdf>.

შრომითი ემიგრაციის ზოგიერთი დადებითი შედეგები: ემიგრაციას შეუძლია, ღირებული შესაძლებლობები შექმნას შრომისთვის და შემოსავალი მოუტანოს როგორც მიგრანტს, ისე გამგზავნ თემებს – ფულადი გზავნილების (რემიტენციების) სახით. ამან შეიძლება სტიმული მისცეს პროფესიულ ზრდას, ახალი უნარებისა და გამოცდილების შეძენას. რემიტენციებით შეიძლება განათლების, ჯანდაცვისა და სამომხმარებლო საქონლისთვის საჭირო ხარჯების დაფარვა, რისი საშუალებაც მანამდე არ ჰქონდათ. თუ ოჯახის წევრი სადმე სხვაგან მუშაობს (სავარაუდოდ, უკეთესი ხელფასისთვის), ეს ოჯახს დაეხმარება რისკების განაწილებაში და გაზრდის შოკისშემდგომი ადაპტაციის შანსებს. კრედიტებისა და სესხების ბაზრის არარსებობის პირობებში, იგი შეიძლება წაადგეს შინამეურნეობების შექმნასა ან გაფართოებასაც. ცირკულარული და სეზონური მიგრაცია შეიძლება ნიშნავდეს სარგებლის მიღებას საზღვარგარეთ მუშაობისაგან და, ამავდროულად, სერიოზული სოციალური პრობლემების თავიდან აცილებას. მიგრანტებს შეუძლიათ, „სოციალური რემიტენციებიც“ გაგზავნონ, ახალი ღირებულებები-სა თუ იდეების სახით, და ასწავლონ საზოგადოების ან ბიზნესის გაუმჯობესების გზები.

სასწავლო მაგალითები:

- <https://oc-media.org/stuck-between-a-rock-and-a-hard-place-the-miners-of-tkibuli/>
- <https://medium.com/@natascurtul/from-moldova-to-poland-with-what-87a0f4a3643c>

შრომითი იმიგრაციის გაშუქება:

შრომითი მიგრაცია ჩვეულებრივი თემაა, რომელიც მთელ მსოფლიოში შუქდება. მიგრანტ მუშაკთა შემოღინებასთან დაკავშირებულ საერთო საკითხებს შორის არის: ახალმოსულთა შემოქმედება ადგილობრივი მოსახლეობისთვის განკუთვნილ სამუშაო ადგილებზე; იმიგრაციის გავლენა ხელფასებზე; შრომითი უფლებები; და უფრო ფართო დისკუსიები იმიგრაციის სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე. დებატები დაბალანსებულად (ან დაბალკვალიფიციურ) მუშაკებსა და მაღალშემოსავლიან (ან მაღალკვალიფიციურ) მიგრანტ მუშაკებზე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

შრომით მიგრანტებთან მიმართებით საკვანძო საკითხია, კონკრეტული ჯგუფები კონკურენციას უწევენ არსებულ შრომის ძალას, თუ ავსებენ მას. კონკურენცია ჩნდება იქ, სადაც მიგრანტი მუშაკები იმავე სამუშაოს ასრულებენ, რასაც ადგილობრივი შრომითი ძალა, და ვაკანსიები უფრო ცოტაა, ვიდრე არსებული მუშაკების რაოდენობა. ისინი ერთმანეთს ავსებენ მაშინ, როდესაც მიგრანტთა მიერ შეთავაზებული უნარები ადგილობრივ შრომის ბაზარზე სათანადოდ არ არის განვითარებული, რაც საწარმოებს უფრო ეფექტიანი მუშაობის საშუალებას აძლევს. ეს საკითხები დაწვრილებით განხილულია ქვემოთ.

შრომითი მიგრაციის ზოგიერთი უარყოფითი შედეგი: სადაც მიგრანტები უშულოდ უწევენ კონკურენციას ადგილობრივ მუშაკებს, დამსაქმებლებს შეუძლიათ, უფრო დაბალი ანაზღაურება შესთავაზონ, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლები შეუმცირდება, ან ადგილობრივ მუშაკებს ჩაანაცვლებენ შედარებით დაბალანაზღაურებადი მიგრანტი მუშაკები. თუმცა, კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ეს ეფექტები, ძირითადად, კონცენტრირებულია შემოსავლების განაწილების უფრო დაბალ დონეზე (ყველაზე დაბალშემოსავლიან ადამიანებს შორის) და ადგილობრივ მუშაკებზე შემოქმედება ხშირად დროებითია. იმიგრანტებმა შეიძლება იმუშაონ არაფორმალურ სექტორში, ან ისეთ სფეროებში, რომლებიც ცუდად არის რეგულირებული, და აღმოჩნდნენ სისტემატური ექსპლუატაციის ან მომეტებული საფრთხის ქვეშ. ამან შეიძლება შეარყიოს მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა და კიდევ უფრო გაართულოს რეინტეგრაცია დაბრუნების შემდეგ.

შრომითი იმიგრაციის ზოგიერთი დადებითი შედეგი: სადაც მიგრანტები შრომით ბაზარს ავსებენ, შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ბიზნესის გაფართოებას, ასევე, მოგების, დასაქმებისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდას. მაგალითად, მუშახელის ნაკლებობისას საწარმოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს თავიანთ პროდუქტსა ან მომსახურებაზე, რამაც შეიძლება მათ მფლობელებს ბიზნესი დააკარგვინოს, ხოლო ადგილობრივ პერსონალს – სამუშაო. მიგრანტ მუშაკებს შეუძლიათ, შექმნან მოქნილი და იაფი მუშახელი, ბიზნესს მისცენ გაზრდის საშუალება, რითაც წარმოიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, მეტი საგადასახადო შემოსავლები, ხელფასები და სამომხმარებლო ხარჯები. მიგრანტებს ასევე შეუძლიათ, შეასრულონ სამუშაო, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას ახალ ეკონომიკურ როლებზე გადასვლაში დაეხმარება. მაგალითად, მიგრანტი მუშაკების მიერ ბავშვებისა და ხანდაზმულების მოვლით, ადგილობრივ ქალებს, რომლებიც მანამდე ამ სამუშაოს თვითონ ასრულებდნენ,

მიეცემათ შრომის ბაზარზე დაბრუნების ან უფრო შრომატევადი სამუშაოს შესრულების საშუალება.

არსებული მონაცემები ასევე ადასტურებს,²⁹ რომ სადაც მკვიდრ მოსახლეობას უფრო დაბალი ანაზღაურება აქვს, ისინი შეიძლება ჩაანაცვლონ ნაკლებანაზღაურებადი მიგრანტი მუშაკებით. ასეთ შემთხვევაში, ბევრი მათგანი გადავა უფრო მაღალშემოსავლიან და/ან ნაკლებად სამიმ სამუშაოზე – ისეთზე, რომელიც მოითხოვს ენის ან პროფესიული და კულტურული კონტექსტის უკეთ ცოდნას.

დამატებითი მითითებები შრომითი მიგრაციაზე – მათ შორის, საკითხებზე, როგორიცაა მაღალკვალიფიციურ მუშაკთა მიგრაცია, სეზონური მუშახელი, კომპანიის შიგნით გადაადგილება, გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებზე ზემოქმედება, იძულებითი შრომა, სამართლიანი დაქირავება და შრომის მიგრაციის სამართლებრივი ჩარჩო – იხილეთ აქ: *Reporting on forced labour and fair recruitment: An ILO toolkit for journalists*.³⁰

სასწავლო მაგალითები:

შრომითი მიგრაცია აზერბაიჯანიდან პოლონეთში:

<https://oc-media.org/features/this-is-no-life-the-disillusionment-of-azerbaijani-migrants-in-poland/>

კლდესა და გრდემლს შორის – ტყიბულელი მუშახელები:

<https://oc-media.org/features/stujk-between-a-rojk-and-a-hard-plaje-the-miners-of-tkibuli/>

მოლდოვადან პოლონეთში: ტკივილიდან იმედამდე:

<https://medium.com/@natascurtul/from-moldova-to-poland-with-what-87a0f4a3643c>

„აყენებს თუ არა ზიანს უკრაინის ეკონომიკას შრომითი მიგრაცია?“ <https://politykrytyka.org/2019/08/27/chy-pidryvaye-trudova-migratsiya-ukrayinsku-ekonomiku/>

მიგრაციის ფორმები: უცხოეთში სწავლა

სწავლა საერთაშორისო მიგრაციის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. იუნესკოს შესაბამისად, 2017 წელს 5,3 მილიონზე მეტი სტუდენტი გადავიდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა ან სხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც, 2000 წლის მაჩვენებელთან შედარებით, ორჯერ მეტია (UNESCO, 2019).³¹ საერთაშორისო სტუდენტთა ყველაზე დიდ რაოდენობას მასპინძლობს 6 ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, ავსტრალია, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთის ფედერაცია.

ზოგადად, უცხოეთში სწავლა მოიცავს მგზავრობას უმაღლესი განათლების მისაღებად (აკადემიური ხარისხის დონემდე და უფრო მაღლა). ის, ჩვეულებრივ, დროებითია და საჭიროებს ვიზას ან ბინადრობის უფლებას, რომელიც შეზღუდულია დროში. თუმცა, ზოგ ქვეყანაში კვალიფიციურ კურსდამთავრებულთათვის აქვთ გარკვეული სტიმულები, რათა უფრო დიდი ხნით დარჩნენ და ჩაერთონ შრომით საქმიანობაში.

„სასწავლო იმიგრაცია“ იშვიათად იწვევს დავას. უცხოელი სტუდენტები იხდიან სწავლის გადასახადს და, ვინაიდან იღებენ უმაღლეს განათლებას, მიიჩნევიან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად, რომლებსაც შეუძლიათ, სარგებელი მოუტანონ ადგილობრივ ეკონომიკას. მაგალითად, 2016-2017 წლებში საქართველოში, დაახლოებით, 7,000³² უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, რომლებიც ფულს ხარჯავდნენ სასწავლო კურსებისა და განთავსებისთვის, ასევე, საკვების, დასვენების, საყიდლებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ხარჯებისთვის, რამაც სარგებელი მოუტანა ადგილობრივ ეკონომიკას. შედარებისთვის: შეფასების თანახმად, 2015-2016 წლებში გაერთიანებულ სამეფოში უცხოელ სტუდენტთა განათლებით გენერირებულმა შემოსავლებმა 20 მილიარდი ფუნტი სტერლინგი (25 მილიარდი აშშ დოლარზე მეტი) შეადგინა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ, ძლიერი კავშირები დაამყარონ მასპინძელ

29 <https://www.reminder-project.eu/publications/work-packages/wp5-labour-market-public-service-impacts/>.

30 <https://readymag.com/ITCILO/1292461/>

31 <https://migrationdataportal.org/themes/international-students>.

32 https://think-asia.org/bitstream/handle/11540/6942/Georgia_Higher_Education.pdf?sequence=1.

ქვეყნებთან და გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნან „რბილი ძალის“ სასარგებლო ტიპი, რაც სტიმულს მისცემს პოტენციურ ორმხრივ ვაჭრობას, ან სხვა ღირებულ საერთაშორისო ურთიერთობებს.

სასწავლო ემიგრაცია – უნარების შეძენა, თუ გამორჩეულთა და საუკეთესოთა დაკარგვა?

უცხოელ სტუდენტებსა და საერთაშორისო განათლებასთან დაკავშირებული საკითხების უარყოფითად გაშუქება შეიძლება მოიცავდეს სტუდენტთა ემიგრაციას და ადგილობრივი ან ეროვნული უმაღლესი სასწავლებლების მიერ შემოსავლებისა და მოთხოვნის დაკარგვას, როდესაც ახალგაზრდები საზღვარგარეთ მიდიან სასწავლებლად.

საზღვარგარეთ სწავლის მეშვეობით ადამიანური კაპიტალის განვითარებას (მაგ.: უნარების გაუმჯობესებას) შეუძლია ამ დანაკლისის ანაზღაურება, თუკი სტუდენტები დაბრუნდებიან, ან რემიტენციებს გაგზავნიან წარმოშობის ქვეყანაში (რასაც შეუძლია სახელმწიფო ხარჯების კომპენსაცია). თუ ისინი საზღვარგარეთ დარჩებიან მუდმივად, ან ფულად გზავნილებს არ განახორციელებენ, დანაკარგები შეიძლება გაიზარდოს: ადამიანური კაპიტალის ხანგრძლივად დაკარგვასთან ერთად, სახელმწიფოს მოაკლდება საგადასახადო შემოსავლები პირის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამ მსჯელობის მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ უპირატესობა, რომელსაც სტუდენტი მიიღებს საზღვარგარეთ მუშაობისას (მაგ.: სამუშაოს პოვნის უკეთესი შესაძლებლობები, ხელფასი, ან სოციალურ უზრუნველყოფაზე ხელმისაწვდომობა), სახელმწიფოს პირდაპირ და დაუყოვნებელ სარგებელს ვერ მოუტანს.³³ აქედან გამომდინარე, პირადი განვითარებით მიღებული სარგებელი ყოველთვის არ ნიშნავს სახელმწიფოს სარგებელს. ამ შესაძლო უარყოფითი შედეგებისგან განსხვავებით, რომლებიც წარმოიშობა სტუდენტთა და მაღალკვალიფიციურ პირთა გრძელვადიანი მიგრაციისგან, ქვეყანაში შეიძლება გაიზარდოს გონებრივი შესაძლებლობები – ძირითადად, ადამიანური კაპიტალი ქვეყნის შიგნით (მიგრაციის პასუხად). პრაქტიკა უჩვენებს, რომ ახალგაზრდებმა, რომლებიც უფრო გვიან ასაკში აპირებენ მიგრირებას, შეიძლება მიიღონ უმაღლესი განათლება, რათა ჰქონდეთ ცოდნა ან სერტიფიკატი, რომელიც, მათი ვარაუდით, წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ კონკრეტულ დანიშნულების ქვეყანაში. თუმცა ყველა, ვისაც განზრახული აქვს მიგრაცია, ამას აღარ აკეთებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში კვალიფიციური ან განათლებული ადამიანების რაოდენობის ზრდა.

სხვა უარყოფითი მოვლენები შეიძლება უკავშირდებოდეს ინტეგრაციისა და ერთიანობის საკითხებს, ან დისკუსიებს, რომლებიც შეეხება სტუდენტთა წარმოშობის ქვეყნებსა და რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებისადმი კუთვნილებას. სტუდენტები, რომლებიც სხვა ქვეყანაში იღებენ განათლებას, შეიძლება იყვნენ ისეთი კულტურის ან ტრადიციების მატარებლები, რომლებიც ეწინააღმდეგება მასპინძელი ქვეყნის ნორმებს; და პირიქით, მათ შეუძლიათ, ძალაუვნებურად შეითვისონ მასპინძელი ქვეყნის ღირებულებები და ნორმები, რომლებიც ეწინააღმდეგება წარმოშობის ქვეყნის ტრადიციებს და ამან შექმნას საკუთარი წარმომავლობისგან გაუცხოების საფრთხე.

კიდევ ერთი სფერო, სადაც სასწავლო მიგრაციამ შეიძლება დავა გამოიწვიოს, უკავშირდება სიტუაციებს, როცა მიგრანტებს, ამავდროულად, მუშაობაც შეუძლიათ. უფრო დეტალური ანალიზი ამ საკითხებზე იხილეთ განყოფილებაში **შრომითი მიგრაციის შესახებ**.

სტუდენტთა ინტეგრაცია: ქმნიან უცხოელი სტუდენტები ეროვნული საზოგადოების ნაწილს?

აქ უნდა დაისვას ლეგიტიმური შეკითხვები, თუ რამდენად მოსალოდნელია ინტეგრაცია დროებით სიტუაციებში. როგორც მითითებულია **ტერმინოლოგიის** განყოფილებაში, ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია მიგრანტებსა და მიმღებ ქვეყნებს შორის. ამიტომ მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ მიგრანტს არ ეკისრება. თუ გაშუქებისას ძირითადი ყურადღება ექცევა სტუდენტის წარმომავლობას, ეთნიკურ კუთვნილებას, ან რელიგიას, ეჭვქვეშ უნდა დადგეს მოტივაცია და მიკერძოება, რომელიც ამბავს უდევს საფუძვლად, და ამ თემის შემდგომი განხილვის ლეგიტიმურობა.

33 იხ. Gibson and McKenzie (2011): <http://ftp.iza.org/dp5730.pdf>

უცხოეთში განათლებისთვის მიგრაციის გაშუქების მაგალითები იხილეთ ICMPD-ის მიგრაციის ტრენინგის აკადემიის მასალებში, რომლებიც შემუშავდა 2019 წელს, „მომენტას“ ფარგლებში:

„აზერბაიჯანელი სტუდენტები საზღვარგარეთ: დანაკარგი თუ კვლავაც გამოუმჟღავნებელი კაპიტალი?“ (2019) – ისმაილ ფატალიევი:

<http://mediaman.az/azerbaijani-students-abroad-lost-or-still-unreviled-assets/>

„ქართველი სტუდენტები ევროპის კავშირში“ (2019) – ნანუკა მაღლაკელიძე:

<https://medium.com/@nanukamaglakelidze/georgian-students-in-the-eu-8ca1a8c0c482>

„განათლება, რომელიც უკავშირდება უკრაინიდან მიგრაციას: ვისთვის იმუშავებენ უკრაინული უნივერსიტეტები?“ (2019) – მარინა სემენკოვა“

(<https://drive.google.com/file/d/1tQSALNWnQYYQxIL-le-UTKTg0OQWAIIDp/view>)

მიგრაციის ფორმები: ოჯახური მიგრაცია

იცით თუ არა, რომ: ოჯახის გაერთიანების მიზნით მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირში მიგრაცია მთლიანი მიგრაციის ყველაზე დიდ კატეგორიას მიეკუთვნება და, ზოგადად, საერთაშორისო მობილობის ძირითადი მიზეზია.³⁴ სავსებით მოსალოდნელია, იგი მიგრაციის ძირითადი მიზეზი იყოს ევროკავშირის ფარგლებშიც, მაგრამ ვინაიდან ევროკავშირის მოქალაქეებს ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილებისას ოჯახური ვიზა არ სჭირდებათ, მიგრაციის მიზეზების დასახასიათებლად, ოფიციალური მონაცემები ნაკლებია.

ოჯახური მიგრაცია

ოჯახური ცხოვრების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია³⁵, თუმცა მიგრანტთა მხარდაჭერას ამ უფლებით სარგებლობაში სხვადასხვა ქვეყანა მკვეთრად განსხვავებულად უდგება. რთულია გაგება, თუ რა მიიჩნევა ოჯახად, ან ოჯახურ მიგრაციად, რაც მიუთითებს, რომ მისი გაზომვის ერთიანი მკაფიო მეთოდი არ არსებობს, ხოლო კანონმდებლობა ამ კუთხით ხშირად დანაწევრებულია. ქვეყნების უმეტესობა აღიარებს ქვეყანაში ოჯახის წევრთა გარკვეული რაოდენობის შემოყვანის უფლებას, თუმცა ეს უფლება გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება. მაგალითად, ბევრი ქვეყანა 18 წლამდე ასაკის ბავშვებს მშობლებთან გაერთიანების უფლებას აძლევს მასპინძელ ქვეყანაში, მაგრამ ზრდასრული მიგრანტის მშობლებს ან დედამამიშვილებს ხშირად არ ეძლევათ ოჯახური არხებით მიგრაციის უფლება. ქვეყნებს ამ მხრივ განსხვავებული წესები აქვთ – ზოგან ოჯახური მიგრაცია შედარებით იოლია ოჯახის ახლო წევრისთვის (მაგ.: ამ ქვეყნის მოქალაქის უცხოელი მეუღლისთვის). ეს საკითხი ხშირად წინააღმდეგობრივია, განსაკუთრებით, ქვეყნებში, სადაც მიღებულ მიგრანტთა რაოდენობის შემცირებას ცდილობენ; ზოგ ქვეყანაში არ შეინიშნება განსაკუთრებული სურვილი, რომ ბინადრობის უფლება და შრომის ბაზარზე წვდომა უზრუნველყონ უცხოელი მოქალაქის ოჯახის წევრების ან, სულაც, საკუთარი მოქალაქის უცხოელი მეუღლისთვის.

ყველაფრის მიუხედავად, „ოჯახის გაერთიანება“ მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიგრაციის ერთ-ერთი დიდი კატეგორიაა. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია ევროკავშირის ფარგლებს გარეთ შრომითი მიგრანტებისთვის შესაძლებლობათა შეზღუდვით.

ზოგიერთ მიგრანტს აქვს კონკრეტულ სახელმწიფოში ცხოვრების უფლება, რადგან ამ ქვეყნის მოქალაქის, ან იმ მიგრანტის ოჯახის წევრია, რომელსაც აქვს ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის კანონიერი ნებართვა. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ „ოჯახის გაერთიანების“ (ან „ოჯახის შექმნისა და გაერთიანების“) კატეგორიის მიგრანტებს.

34 იხ. https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/legal-migration/family-reunification_en#:~:text=For%20the%20past%20%20years,joined%20by%20their%20family%20members

35 იხ. For example, Article 8 of the European Convention on Human Rights: https://www.echr.coe.int/documents/guide_art_8_eng.pdf and the International Covenant on Civil and Political Life: <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>

ზოგ ოჯახურ მიგრანტს უწოდებენ „კმაყოფაზე მყოფს“. ჩვეულებრივ, ასეთი ადამიანები ქვეყანაში შემოდიან, როგორც იმ პირის ოჯახის წევრები, რომლებიც თვითონ არიან მიგრანტები მოცემულ ქვეყანაში, ყოფნისთვის განსაზღვრული შეზღუდული ვადით (დროებით). თუმცა, ეს ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება „ოჯახის გაერთიანების“ კატეგორიის მიგრანტთა მიმართ. ბევრ ქვეყანაში მიგრანტები, რომლებიც შედიან ოჯახის გაერთიანების ან განათლების საფუძველზე, დაკავშირებულნი არიან „განმცხადებელთან“ – ოჯახის წევრთან, რომელთანაც ერთიანდებიან, და კანონით მთლიანად მასზე არიან დამოკიდებულნი. ე.წ. „ქორწინების მიგრანტებისთვის“, რომლებიც მეუღლესა ან აღიარებულ პარტნიორთან შეერთების მიზნით მიგრირებენ, ურთიერთობების დასრულების შემთხვევაში, დასრულდება ქვეყანაში ყოფნის უფლებაც, სულ მცირე, მანამ, სანამ დამოუკიდებლად არ მიიღებენ დარჩენის უფლებას. ამ სამართლებრივი დამოკიდებულების გამო, ზოგჯერ მიგრანტები, რომლებიც ძალადობას ექვემდებარებიან მეუღლის ან ინტიმური პარტნიორის მხრიდან, იძულებულნი არიან, დარჩნენ მოძალადესთან, რათა არ დაემუქროთ ქვეყანაში დარჩენის უფლების დაკარგვის საფრთხე.

ოჯახის სამართლებრივი დაცვა:

ოჯახური ცხოვრებისა და ერთიანობის უფლება დაცულია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ; ბავშვის უფლებების კონვენცია; კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; ასევე, მასპინძელი ქვეყნის ეროვნული კანონები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მიგრანტს ავტომატურად მიენიჭება თავის მეუღლესა ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ცხოვრების უფლება.

ოჯახური მიგრაციის ბუნება უფრო მუდმივია, ვიდრე მიგრაცია განათლების ან შრომის მიზნით, და მნიშვნელოვანი ელემენტია დიასპორული თემების ფორმირებისთვის.

მიგრაციის ფორმები: სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაცია (არასანქცირებული მიგრაცია)

ქვეყნების უმრავლესობა საიმიგრაციო სტატუსს განიხილავს ბინარულად – როგორც „კანონიერს“ ან „უკანონოს“ (იხ. *ტერმინოლოგია*), თუმცა პრაქტიკაში სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციის სტატუსი შეიძლება მოიცავდეს საიმიგრაციო ან სხვა კანონების ფართო სპექტრის დარღვევებს.

საიმიგრაციო წესების სხვადასხვა სახის დარღვევამ შეიძლება წარმოშვას სამართლებრივი საფუძვლის არმქონე (არასანქცირებული) მიგრაცია. „უკანონო შესვლა“ შეიძლება მოიცავდეს საზღვრის მალულად გადაკვეთას (ანუ, საიმიგრაციო კონტროლის თავიდან აცილებას), ასევე, ღიად შესვლას „მოტყუების გზით“. ეს უკანასკნელი უფრო რთული საკითხია და სხვადასხვაგვარ პრაქტიკას მოიცავს, გაყალბებული დოკუმენტებით დაწყებული, „ქვეყანაში დარჩენის მიზანზე“ ცრუ ინფორმაციის მეთოდებით დამთავრებული. სიცრუე ეხება უშუალოდ მიგრანტებთან დაკავშირებულ მოქმედებებს, თუმცა ასევე შეიძლება მოიცავდეს მესამე მხარეებსაც (მაგ.: ადამიანთა უკანონოდ გადამყვან პირებს), რომლებიც ხელს უწყობენ ან ორგანიზებას უწევენ ხელისუფლების „მოტყუებას“.

სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაცია შეიძლება წარმოიშვას კანონიერი შესვლითაც, ვიზით დადგენილი ვადის უნებართვოდ გადაცილების შემთხვევაში. ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც მოკლევადიანი ტურისტული ვიზის, ისე გრძელვადიანი (თუმცა მაინც დროში შეზღუდული) ბინადრობის ვიზის (მაგ.: სტუდენტური ან სამუშაო ვიზის) დარღვევას, ან უვიზო მიმოსვლის რეჟიმით განსაზღვრული დროის გადაცილებას.

მესამე გზა, რომელიც ხშირად მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივი ტერმინებით, მაგრამ პრაქტიკაში საკმაოდ სადავო საგანია, წარმოიშობა ბინადრობის კანონიერ უფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევისას. შეზღუდული ვადის მქონე ბინადრობის უფლება შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს, რომლებიც მიემართება, მაგალითად, დასაქმებას, სწავლას, სოციალურ უზრუნველყოფაზე ხელმისაწვდომობასა და ოჯახის გაერთიანებას. დასაქმების შეზღუდვა შეიძლება მოიცავდეს კვირის განმავლობაში ანაზღაურებადი სამუშაო საათების რაოდენობას. ზოგ შემთხვევაში, მიგრანტებს ეკრძალებათ დამსაქმებლის გამოცვლა ნებართვის გარეშე. ვიზასა და პირ-

ველად „ჩასვლის მიზანთან“ დაკავშირებული პრობემების ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება წარმოშვას სამართლიანი საფუძვლის არმქონე პირის სტატუსი და გამოიწვიოს პოტენციური დეპორტაცია.

ამ ბუნდოვანების აღწერა შესაძლებელია ტერმინებით: „ნახევრად ლეგალური“, ან „ნაწილობრივ შესაბამისი“.

უთვლადის დათვლა: სანდო მონაცემებისა და სტატისტიკის მიღების გამოწვევები

მთელ მსოფლიოში მიგრაციის ანგარიშების საერთო თემა სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტთა რაოდენობა კონკრეტულ ქვეყანაში, მაგრამ ასეთი სახის შეფასებების გაკეთება ყოველთვის პრობლემურია. ძირითადად, ეს უკავშირდება იმ ადამიანთა დათვლის სირთულეს, რომლებსაც არ უნდათ, რომ იპოვონ, ან რომლებიც არ მიეკუთვნებიან რომელიმე ადმინისტრაციულ კატეგორიას. ამას ზოგიერთი მეცნიერი „უთვლადის დათვლას“ უწოდებს.

სამართლებრივი ტერმინოლოგია და მისი ზემოქმედება – ამ სახელმძღვანელოს განყოფილებაში **ტერმინოლოგია** განხილულია იმ ადამიანთა აღსაწერად გამოყენებული ენა, რომლებსაც კანონიერი მიგრანტის სტატუსი არა აქვთ. მთავარია, ავიცილოთ ენის დეჰუმანიზაცია ნებისმიერ სიტუაციაში, პირის იურიდიული სტატუსის მიუხედავად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცდარი იარლიყების არიდება, რომლებიც უკავშირდება ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სტატუსს.

წყაროები

- https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas_en
- <https://frontex.europa.eu/>

მიგრაციის ფორმები: შერეული მიგრაცია

ჩვენ გვახსიათებს მიგრაციის დაყოფა მარტივ ჩარჩოებად: „შრომითი მიგრაცია“, „სასწავლო მიგრაცია“, „ოჯახური მიგრაცია“ და „ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები“, თუმცა, რეალურ ცხოვრებაში ადამიანები იშვიათად მიგრირებენ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. ანალოგიურად, მიმართულების არჩევაზე (თუ ამის საშუალება არსებობს) მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ეს იარლიყები თუ ჩარჩოები, რომლებსაც ვიყენებთ, ხშირად ასახავს სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ კატეგორიებს, და არა ამ კატეგორიებში მოქცეულ ადამიანთა „ცხოვრებისეულ რეალობას“.

მსგავსად, ადამიანებს, რომლებიც მსოფლიოს გარშემო გადაადგილდებიან, ერთი და იგივე მიზეზი პრაქტიკულად არასოდეს ამოძრავებთ: ზოგი მათგანი შეიძლება ლტოლვილი იყოს, ზოგი – სამუშაოს მაძიებელი, ზოგი კი მოგზაურობდეს საყვარელ ადამიანებთან შესახვედრად; თუმცა, ყველა მათგანი შეიძლება იყოს უფრო დიდი ჯგუფის ნაწილი (მაგ.: ადამიანები, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკიდან ევროპაში გადაადგილდებიან, ხმელთაშუა ზღვის გავლით). „შერეული გადაადგილება“ დამახასიათებელია ჯგუფისთვის, რომელიც ერთი და იმავე სახით და გეოგრაფიული მარშრუტით გადაადგილდება, თუმცა მის წევრებს სხვადასხვა მოტივაცია და სამართლებრივი საშუალება აქვთ მიმართულების ქვეყანაში შესვლისა და დარჩენისთვის.

ადამიანებს, რომლებიც შერეული გადაადგილების კონტექსტში მგზავრობენ, შეიძლება განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეთ. მათ შორის შეიძლება იყვნენ თავშესაფრის მაძიებლები, მოქალაქეობის არმქონე პირები, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, თანმხლების გარეშე მყოფი ან განცალკევებული ბავშვები და სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტები. შერეული გადაადგილება ხშირად რთული პროცესია და შესაძლოა პრობლემები შეუქმნას მასში მონაწილე ყველა ადამიანს. ხშირად, როდესაც მიგრანტთა დიდი ჯგუფები შედიან დანიშნულების ქვეყანაში, მათ ათავსებენ თავშესაფრის სისტემაში, შემდგომი შესწავლის მიზნით.

შერეულ მიგრაციას შეუძლია, შეასუსტოს თავშესაფრის სისტემის შესაძლებლობები და საჭირო გახადოს შემზღუდველი პოლიტიკის შემოღება, რომელიც არ ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებებსა და საჭიროებებს.

გაშუქებასთან დაკავშირებული საფრთხეები

„შერეული მიგრაციის“ იდეა ასახავს მიგრაციული პროცესებისა და მოტივაციების ზედმეტად გამარტივების ტენდენციას. ადამიანები და მიგრაციის პროცესები რთული საკითხია და მიგრანტები მრავალი მიზეზით აკეთებენ კონკრეტულ არჩევანს. აღიარება, რომ მიგრაციის გაშუქება არ არის ადამიანთა აკურატულად მოთავსება გარკვეულ ჩარჩოებში, რაც მათ დახასიათებას გაამარტივებს, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

სტატია, რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა „Wall Street Journal“-ში, კარგად აშუქებს ერთგვარად მიგრაციის რთულ საკითხს. მასში ასახულია: შერეული მოტივაციები ადამიანებისა, რომლებიც ქვეყანას ტოვებენ შეიარაღებულ ძალებში იძულებითი და უვადო გაწვევის ასაცილებლად, მაგრამ, ამავდროულად, განზრახული აქვთ თავიანთი კარიერის წარმატებით განვითარება ევროპაში; ასევე, ფაქტი, რომ იმ დროისთვის ყურადღება კონცენტრირებული იყო თავშესაფრის მაძიებელ სირიელთა გადაადგილებაზე, მიგრანტები შემოდისდნენ ხმელთაშუა ზღვის გავლით, სხვადასხვა ადგილიდან და გადაადგილების მრავალგვარი მიზეზით. <https://www.wsj.com/articles/eritreans-flee-conscription-and-poverty-adding-to-the-migrant-crisis-in-europe-1445391364>

სასწავლო მაგალითები:

- ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს დამხმარე გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის, სადაც სასწავლო მაგალითის სახით გამოყენებულია „Financial Times“-ის სტატია: [Migration: reporting on mixed movements of people](#)
- დანიელ ტრილინგი – London Review of Book: <https://www.lrb.co.uk/the-paper/v37/n19/daniel-trilling/what-to-do-with-the-people-who-do-make-it-across>

წყაროები:

- მიგრაცია და ადამიანის უფლებები: <https://www.ohchr.org/EN/Issues/Migration/Pages/MigrationAndHumanRightsIndex.aspx>
- საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ: <https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CMW.aspx>
- შერეული მიგრაცია:
- <http://www.unhcr.org/publications/manuals/5846cd424/10-point-plan-action-2016-update-chapter-1-cooperation-among-key-partners.html?query=mixed%20migration>
- საზღვრის დაცვა: <https://frontex.europa.eu/>
- მონიტორინგი და ანალიზი: <https://frontex.europa.eu/intelligence/monitoring-risk-analysis/>
- დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ UNHCR-ის ვებგვერდი თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ: <https://www.unhcr.org/asylum-and-migration.html>

მიგრაციის ფორმები: ლტოლვილები და თავშესაფარი

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, იცოდეთ საიმიგრაციო კანონმდებლობა ქვეყანაში, სადაც ცხოვრობთ, სადაც მუშაობთ და, რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, სადაც თქვენი მასალა გამოქვეყნდება. უწყინარმა ინტერვიუმ ან ფოტომ შეიძლება მავანისთვის თავშესაფრის მოთხოვნაზე უარი გამოიწვიოს, ან უარესიც – ძალადობა და სიცოცხლის ხელყოფაც კი. ყოველთვის შეამოწმეთ, იცის თუ არა რესპონდენტმა, სად იქნება ნაჩვენები თქვენი კადრები, და ესმის თუ არა, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას“. ჯეისონ პარკინსონი, თავისუფალი ვიდეოჟურნალისტი, რომელიც მუშაობს ლტოლვილთა, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებების, პრესის თავისუფლების, იმიგრაციის, რასიზმის, ფაშიზმისა და ტერორიზმის საკითხებზე.³⁶

საერთაშორისო დაცვა, კონფლიქტით გამოწვეული გადაადგილება და თავშესაფრის მოთხოვნის უფლება ის საკითხებია, რომლებსაც მთავარი ადგილი უკავია დებატებში საერთაშორისო მიგრაციის შესახებ. ჰუმანიტარული კრიზისით ან კონფლიქტით გამოწვეული მიგრაცია თავისი ბუნებით არაპროგნოზირებადია და შეიძლება სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენოს როგორც დევნილები, ისე იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებსაც დახმარებას მოსთხოვენ. როგორც ზემოაღნიშნული ციტატა მიუთითებს, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გადაადგილების გაშუქება შეიძლება უკავშირდებოდეს ეთიკურ და იურიდიულ პრობლემებს, რომლებსაც ფაქიზი მიდგომა სჭირდება.

UNHCR-ის შეფასებით, 2019 წლის ბოლოს მსოფლიოში 79,5 მილიონი ადამიანი იყო იძულებით გადაადგილებული (UNHCR 2019).³⁷ მათი უმრავლესობა, დაახლოებით, 45,7 მილიონი, გახლდათ „ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი“ (იგპ), ხოლო დანარჩენი 33,8 მილიონი – ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი. გაეროს ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციის თანახმად (1951), ლტოლვილი არის პირი, რომელიც, „იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ, საფუძვლიანი შიშის გამო, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მოქმედების ნიშნით, და ამგვარი შიშის გამო არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს თავისი ქვეყნის მფარველობით“. მრავალი ქვეყანა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და „მომენტას“ პროექტის პარტნიორი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) ჩათვლით, ე. წ. სუბსიდიურ ან დამატებით (ჰუმანიტარულ) დაცვას ანიჭებენ ადამიანებს, რომლებიც ლტოლვილად კვალიფიციურობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ მაინც არ შეიძლება მათი დაბრუნება წარმოშობის ქვეყანაში, სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სხვა პირადი უსაფრთხოების მიმართ არსებული რისკის გამო. დაცვის ეს ტიპი, რომელიც აღიარებულია და რეგულირდება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამართალში, დაფუძნებულია არგამეცების პრინციპზე (იხ. თავი 4: ტერმინოლოგია).

თავშესაფრის მაძიებელი არის პირი, რომელიც ქვეყანაში შედის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიზნით და ჯერ კიდევ ელოდება გადაწყვეტილებას მისი მოთხოვნის/განაცხადის თაობაზე (იხ. თავი 4: ტერმინოლოგია).

თავშესაფრის პოლიტიკასთან დაკავშირებული გამოწვევები

თავშესაფრის სტატუსს უცხო ქვეყანა სთავაზობს ადამიანებს, რომლებსაც ამგვარი დაცვა ესაჭიროებათ. საერთაშორისო დაცვის სტატუსი ანაცვლებს ჩვეულებრივ საიმიგრაციო მოთხოვნებს და თავშესაფრის მაძიებელს ანიჭებს იმუნიტეტს ქვეყნიდან გაძევების მიმართ – სულ მცირე, მანამ, სანამ მისი განაცხადი განიხილება. ასევე ცხადია, რომ პირს, რომელიც თავშესაფარს ეძებს, ხშირად არ შეუძლია თავისი პიროვნების, მოქალაქეობის ან სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. თავშესაფრის მოთხოვნის წარმატებით დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლტოლვილი (ან პირი, რომელსაც დაცვის სხვა სტატუსი მიენიჭა), ჩვეულებრივ, იღებს ბინადრობის უფლებას გარკვეული ვადით.

36 Reporting on Refugees: Tips on Covering the Crisis – Available at: <https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>

37 <https://www.unhcr.org/uk/figures-at-a-glance.html>

ყველა დაცული პირი ლტოლვილია?

ლტოლვილის სტატუსი არ ეძლევა ყველა პირს, ვინც იღებს დაცვას სხვა ქვეყანაში. არსებობს დაცვის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, „სუბსიდიური დაცვა“ („ჰუმანიტარული დაცვა“)³⁸ რომელიც პირს შეიძლება შესთავაზონ, მაგალითად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანამ. იგი შეიძლება მიენიჭოს ადამიანს, რომელსაც არა აქვს ინდივიდუალური დევნის საფუძვლიანი შიში, მაგრამ შეიძლება საყოველთაო ძალადობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში. ლტოლვილის სტატუსი, ჩვეულებრივ, უკავშირდება მუდმივი ბინადრობის ნებართვას (თუმცა საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს ამ სტატუსის გაუქმების შემთხვევებს); ჰუმანიტარული ან დამატებითი დაცვის სტატუსი კი მოიცავს დროში შეზღუდულ ბინადრობას, მაგრამ იგი შეიძლება გაგრძელდეს, თუ კვლავ იარსებებს საფრთხის შემცველი სიტუაცია.

1967 წლის ოქმი ლტოლვილის სტატუსის შესახებ

1951 წლის კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა, აერჩიათ, თუ ვის მიიღებდნენ ლტოლვილებად. ეს დამოკიდებული იყო მათი გადაადგილების ვადებზე (1951 წლის 1 იანვრამდე), ასევე, მოვლენათა განვითარების ადგილზე, რომელმაც გადაადგილება გამოიწვია (მოვლენები მოხდა ევროპაში). ორივე შეზღუდვა ადვილად შეიძლება ავსხნათ, თუ გავითვალისწინებთ, რომ კონვენცია, უპირველეს ყოვლისა, მეორე მსოფლიოს ომის შედეგებთან გასამკლავებლად შემუშავდა. 1967 წლის ოქმით მოიხსნა ვადებსა და გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები, რითაც კონვენციამ საყოველთაო სახე მიიღო. ოქმი მოითხოვს, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც მისი რატიფიცირება მოახდინეს, დაიცვან 1951 წლის კონვენცია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს რატიფიცირებული აქვს მხოლოდ 1967 წლის ოქმი; ამრიგად, იგი ვალდებულია, გამოიყენოს კონვენციის დებულებები და, აქედან გამომდინარე, ლტოლვილებს მოეპყროს საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი და ჰუმანიტარული სტანდარტების შესაბამისად.

თურქეთი, რომელიც სხვა ქვეყნებიდან გადაადგილებულ პირთა დიდ რაოდენობას მასპინძლობს, კვლავ იყენებს 1951 წლის კონვენციით დადგენილ გეოგრაფიულ შეზღუდვას, მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოაწერა 1967 წლის ოქმს. ეს ნიშნავს, რომ ლტოლვილის სტატუსის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც თურქეთში გაიქცა „ევროპაში მომხდარი მოვლენების“ გამო, ხოლო დანარჩენებს დაცვის სხვა ფორმები ენიჭებათ. ამ ოქმის რატიფიცირება არ მოუხდენია კიდევ ორ სახელმწიფოს, ესენია: მადაგასკარი და სანტ-კიტსი და ნევისი.

ყველა სახელმწიფოს წინაშე დგას ძირითადი საკითხი, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის უფლება და, იმავდროულად, შენარჩუნდეს ზოგადი საიმიგრაციო კონტროლი. თუ ქვეყანაში შესვლის სხვა საშუალებები ხელმისაწვდომი არ არის, თავშესაფრის მიღება მიგრანტისთვის შეიძლება გახდეს საიმიგრაციო კონტროლის აცილების გზა. ამის გამო, თავშესაფრის განცხადებათა რაოდენობა შეიძლება ისე გაიზარდოს, რომ მძიმე ტვირთად დააწვეს სახელმწიფოს ფინანსურ რესურსებს, დაცვის მინიჭების უფლებამოსილების განმსაზღვრელ სისტემებს, ასევე, მთავრობის პოლიტიკურ ნებასა და საზოგადოების მზაობას ლტოლვილების მიღების მიმართ (იხ. განყოფილება *შერეული მიგრაცია*, თავი 4: *ტერმინოლოგია*).

თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადთა შეფასება

არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ადამიანებს, რომლებსაც დაცვა სჭირდებათ, უნდა მიენიჭოთ თავშესაფარი, თუმცა ამ სტატუსის განსაზღვრის პროცედურები კიდევ ერთი სადავო საკითხია. სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა წესს იყენებს იმ არეულობების, კონფლიქტებისა ან დევნის მიმართ, რომლებსაც უნდა გაექცეს ადამიანი დაცვის უფლების მისაღებად.

38 https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/glossary_search/subsidiary-protection_en

წყაროები:

<https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>

<https://e-learning.fra.europa.eu/course/view.php?id=3>

სასწავლო მაგალითი: ამბის გადმოცემა და თანაგრძნობის გამოწვევა

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც ჟურნალისტები დგანან, არის ადამიანებში ემპათიის გაჩენა რთულ სიტუაციებში, როდესაც აუდიტორია შეიძლება დადლილი იყოს ახალი ამბებით. „BuzzFeed News“-ის მაგალითი უჩვენებს ერთ-ერთ მიდგომას, თუ როგორ უნდა შეძლოთ თქვენი ამბების სიუჟეტთა ჰუმანიზაცია.

წაიკითხეთ სტატია *A Syrian Refugee Shared His Struggle To Reach Europe In Real-Time On WhatsApp: BuzzFeed News followed the struggle of a young man in Turkey via a conversation on the mobile messaging service*³⁹ (სირიელმა ლტოლვილმა თავისი ბრძოლა ევროპამდე მისაღწევად რეალურ დროში გააზიარა „WhatsApp“-ის მეშვეობით. „BuzzFeed News“-ის თურქი ახალგაზრდა კაცის ბრძოლას თვალს ადევნებდა მობილური შეტყობინებების სერვისის მეშვეობით).

თქვენ ნახავთ, რომ ურთიერთობა ჟურნალისტსა და მის წყაროს – სირიელ თავშესაფრის მაძიებელს შორის მთავარ როლს ასრულებს ამბის გადმოცემაში. ეს მეთოდი საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით:

- გვიჩვენებს ჟურნალისტური პროცესის გამჭვირვალობას;
- იწვევს თანაგრძნობას, რადგან ადამიანთა უმრავლესობა იყენებს შეტყობინებათა სისტემას საყვარელ ადამიანებთან კომუნიკაციისთვის;
- ამბავს დრამატიზმსა და ინტერესს მატებს.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- როგორ უნდა ჩართოთ ახალი ამბების შეგროვების პროცესი თქვენს სამუშაოში?
- თუკი არსებობს რესურსები და სურვილი, ხომ არ იმუშავებდით პროდიუსერთა ჯგუფთან, რომ მოგესინჯათ ამბის ახალი მეთოდებით წარმოდგენა?
- სტატია გამოქვეყნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მგზავრობა დასრულდა და მას უშუალო საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

წყაროები

ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: *Human stories, ethical principles and human rights from the (FRA's e-media toolkit)*

39 <https://www.buzzfeed.com/rossalynwarren/a-syrian-refugee-used-whatsapp-to-share-his-journey-through>

მიგრაციის ფორმები: ლგბტქი და თავშესაფარი

1951 წლის კონვენციაში ლტოლვილის სტატუსის შესახებ მითითებულია დევნის საფუძვლიან შიშზე „კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის“ გამო, რაც საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საფუძველია.

სამართლის ექსპერტები აცხადებენ, რომ საფუძვლების დეფინიციებში ბუნდოვანება შეგნებულად დატოვეს, რათა უსაფრთხოების ქსელის გაფართოებისა და შეთავაზების მეტი შესაძლებლობა არსებობდეს იმ პირთათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ კონკრეტული კატეგორიის მოთხოვნებს რისკის ქვეშ მყოფ პირებად აღიარებისთვის.

ასეთი მიდგომა მიზნად ისახავდა იმ ადამიანთა დაცვას უსამართლობისგან, რომლებიც 1951 წელს არ აღიარეს. „კონკრეტული სოციალური ჯგუფის“ კატეგორია უნდა ყოფილიყო ყოვლისმომცველი – კერძოდ, დაეფარა საფუძვლები და დევნის ტიპები, რომლებიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო ან ელი-არებიან უფრო გვიან (მაგ.: დევნა სექსუალური ორიენტაციის ან პირის ცხოვრების სტილის არჩევანის საფუძველზე).

პირმა, რომელიც ლტოლვილის სტატუსს ითხოვს „კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი“ კუთვნილების საფუძველით, უნდა უჩვენოს, რომ: ამ ჯგუფის წევრებს აქვთ თანდაყოლილი მახასიათებლები, ან საერთო ისტორია, რომლის შეცვლაც შეუძლებელია; ეს მახასიათებლები იმდენად მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებისთვის, რომ ადამიანს ვერ აიძულებენ მათზე უარის თქმას; მეტიც, ასეთ ჯგუფს მისი წარმოშობის ქვეყნის საზოგადოება სხვებისაგან განსხვავებულად აღიქვამს; და ბოლოს, განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ასეთი ჯგუფის წევრია (ან სავარაუდო წევრია) და ამის გამო დევნის საკმაოდ დასაბუთებული შიში აქვს.

2007 წელს ადამიანის უფლებათა 29 ექსპერტისაგან შემდგარმა ჯგუფმა წარმოადგინა ჯოკიაკარტას პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ იდენტობის მიმართ <https://yogyakartaprinciples.org/>. ეს პრინციპები გახლავთ არსებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენების მცდელობა იმ ჯგუფის დასაცავად, რომელიც ხშირად იძულებულია, დაფარულად იცხოვროს, იყოს დისკრიმინაციისა და, ზოგჯერ, ძალადობის მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრინციპები სავალდებულო არ არის და სამართლებრივი აღიარება არ მოუპოვებია, მათ ითვალისწინებენ თავშესაფრის სფეროში მომუშავე ადვოკატები და უფლებადამცველი ჯგუფები თავშესაფრის მოთხოვნის განცხადებათა მხარდასაჭერად, რომლებსაც ლგბტქი საზოგადოების წევრები წარადგენენ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში.⁴⁰

წყაროები

ამ თავის შინაარსი ადაპტირებულია დოკუმენტებისგან, რომლებიც შეიმუშავა ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტომ. ის ხელახლა გამოქვეყნდა ნებართვის საფუძველზე. დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ ბმული: <https://e-learning.fra.europa.eu/> და განყოფილება თავშესაფრის მინიჭების არასტაბილურობა: კანონის აღქმა, სადაც გამოყენებულია სასწავლო მაგალითი „Guardian“-დან.

დამატებითი ინფორმაცია:

- UNHCR, სიყვარულისთვის დევნილები: <http://unhcr.org/4b18e2f19.pdf>
- UNHCR-ის ხელმძღვანელი მოუწოდებს ლგბტქი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოლიდარობისკენ: <http://www.unhcr.org/news/latest/2018/5/5afd59834/unhcr-chief-calls-solidarity-lgbti-displaced.html>

40 იხ. For example, <https://www.freemovement.org.uk/guest-post-preparing-asylum-claims-based-on-sexual-identity/>

სასწავლო მაგალითი: წყაროს ხმა და დაცვა

„EVN Report“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში სომეხი ჟურნალისტი, არენ მელიქიანი, დღიურების ჩანაწერების მიხედვით ყვება იმ ადამიანთა ისტორიებს, რომლებმაც სომხეთის დატოვება გადაწყვიტეს. ზოგი მათგანი ქვეყნიდან წავიდა სექსუალური იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გამო.

უყურეთ ამ ვიდეოს, რათა ნახოთ, თუ როგორ ხსნის არსენი, რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ ადამიანთა ხმის გაგონება და რატომ მიიღო მან სიფრთხილის დამატებითი ზომები იდენტობის დასაცავად.



https://www.youtube.com/watch?v=juXQyg_6SH8&list=PLXxzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdl&index=2

ამ სასწავლო მაგალითზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ განყოფილება **მრავალფეროვნება**, თავი 6: **ამბის მიღება (სწორად)**.

მიგრაციის ფორმები: ქვეყნის შიგნით გადაადგილება

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს განსაზღვრავს, როგორც ადამიანებს, რომლებსაც: „...თავშესაფრის პოვნის მიზნით, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისო საზღვარი, არამედ დარჩნენ მშობლიური ქვეყნის ფარგლებში. მაშინაც კი, როდესაც გადაადგილდებიან იმავე მიზეზებით, რომლითაც ლტოლვილები (შეიარაღებული კონფლიქტი, საყოველთაო ძალადობა, ადამიანის უფლებათა დარღვევები), იძულებით გადაადგილებული პირები კანონით კვლავ თავიანთი ქვეყნის დაცვის ქვეშ რჩებიან...“.

„ისინი, როგორც მოქალაქეები, ინარჩუნებენ ყველა უფლებასა და დაცვას, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ისე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე.“⁴¹

ტერიტორიული დავების გამო, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა, მსოფლიოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ამ ტერიტორიაზეა. „იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრის“ 2019 წლის მონაცემებით, ასეთ პირთა რიცხვით მსოფლიოს პირველ 30 ქვეყანას შორის არის უკრაინა, აზერბაიჯანი და საქართველო.⁴²

იძულებით გადაადგილებულ პირებს, თავშესაფრის მაძიებლებისგან განსხვავებით, არ ემუქრებათ გასახლება იმ რაიონიდან, სადაც გადადიან, თუმცა ისინი ხშირად დგანან სიღარიბის წინაშე, ქონების დაკარგვის გამო (რაც გამოწვეულია გაქცევით), და შესაძლოა სტერეოტიპული მოპყრობისა და გარიყვის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების მსგავსად, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები უნდა გაშუქდეს ტაქტიკურად, დელიკატურად და მათ მიმართ პატივისცემით. ამავდროულად, მათი პრობლემების გაშუქებას სჭირდება იმ ადგილობრივი მოვლენებისა და სიტუაციების ღრმა ცოდნა, რომლებმაც გადაადგილება გამოიწვია, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის გააზრება.

41 <https://www.unhcr.org/ceu/80-enwho-we-helpinternally-displaced-people-html.html>

42 <https://www.internal-displacement.org/database/displacement-data>

სასწავლო მაგალითი: იძულებით გადაადგილებულ პირთა გაშუქება

ნახეთ, თუ როგორ საუბრობს უკრაინელი ჟურნალისტი, ტატიანა პასავო, იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ რეპორტაჟებზე.



https://www.youtube.com/watch?v=hEfAGKoJ7aw&list=PLXxzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdl&index=7

უკრაინულ ენაზე ტატიანას სტატიები იხილეთ ბმულებზე:

- http://www.golos.com.ua/article/324335?fbclid=IwAR3EieSenmGRkdYj42_XQuv59QH44RGhM1Ean6s-qmP_g8IAacJ7yvN1W9c
- <http://www.golos.com.ua/article/324400?fbclid=IwAR2M4EgyWd3o42xzm-qVWX2Ty8VPLP352B536zcreJMV TXlyzn5ugJRilW8>

მიგრაციის ფორმები: ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ადამიანების უკანონო გადაყვანა

ადამიანებით ვაჭრობა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა დიდი ბიზნესია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, 2016 წელს 2,5 მილიონი ადამიანი გადაიყვანეს უკანონოდ, რისთვისაც ეკონომიკურმა მოგებამ 5,5-დან 7 მილიარდამდე აშშ დოლარი შეადგინა.

მიგრანტთა უკანონო გადაყვანისას პირს ფულს უხდიან მომსახურებისთვის, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა საერთაშორისო საზღვრებზე გადაადგილებას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევით.

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის პირის მოთავსება ან გაჩერება ექსპლუატაციის მდგომარეობაში, ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ტრეფიკინგი შეიძლება მოხდეს ქვეყნის შიგნით, ან საერთაშორისო საზღვრებს გარეთ. ქალები, კაცები და ბავშვები ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან სხვადასხვა მიზნით, ფაბრიკებში, ფერმებსა და კერძო შინამეურნეობებში იძულებითი და ექსპლუატაციური შრომის, სექსუალური ექსპლუატაციისა და იძულებითი ქორწინების ჩათვლით (OHCHR43).

ადამიანებით ვაჭრობისა და მათი უკანონოდ გადაყვანის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ყოველთვის არ არის ადვილი. ზოგ შემთხვევაში უკანონოდ გადაყვანამ შეიძლება ტრეფიკინგის სახე მიიღოს (მაგ.: მიგრანტმა თავდაპირველად უკანონოდ გადაყვანა პირს შეიძლება დახმარება სთხოვოს საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთაში, მაგრამ გზაში უკანონოდ გადაყვანამ პირმა მას მოსთხოვოს ტრანზიტულ ქვეყანაში შრომა, დარჩენილი მგზავრობის საფასურის გადასახდელად, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის დაწყებამდე უფრო დაბალ ფასზე შეთანხმდნენ). ასევე, ტრეფიკინგი, რომელიც საზღვრებს მიღმა ხდება, შეიძლება უკანონოდ გადაყვანის ელემენტსაც შეიცავდეს.

43 https://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36_en.pdf

მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანასა და ტრეფიკინგს შორის განსხვავებები შეიძლება ძალიან უმნიშვნელო იყოს. ქვემოთ ცხრილში ისინი მოცემულია ზოგადი სახით.

მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა:	ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)
ჩვეულებრივ, არის ერთჯერადი კომერციული ურთიერთობა	გრძელვადიანი ექსპლუატაციური ურთიერთობების ნაწილია
საჭიროებს მონაწილე პირის თანხმობას	წარიმართება მონაწილე პირთან შეთანხმების ან დადასტურებული თანხმობის გარეშე
ითვალისწინებს გადასახადს არასანქცირებული მიგრაციის ხელშეწყობისთვის	ითვალისწინებს მოგებას ექსპლუატაციისაგან
ყოველთვის ახლავს საზღვრის გადაკვეთა	შეიძლება მოხდეს როგორც ქვეყნის საზღვრებში, ისე საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთით
სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი დანაშაულია	პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულია

წყარო: ეს მოკლე ინფორმაცია აღებულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს მიერ მომზადებული ჟურნალისტთა დამხმარე სახელმძღვანელოდან, სადაც შეგიძლიათ, გაეცნოთ მიგრაციის მალალკვალიფიციური გაშუქების რვა სასწავლო მაგალითს. უფასო კურსებზე წვდომა შესაძლებელია ამ ბმულის გამოყენებით: <https://e-learning.fra.europa.eu/>.

თანამედროვე მონობა

„Guardian“-ის გლობალური განვითარების⁴⁴ განყოფილების განმარტების შესაბამისად:

თანამედროვე მონობის დეფინიციები ძირითადად აღებულია გაეროს 1956 წლის დამატებითი კონვენციიდან მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ, სადაც ნათქვამია: „სავალო კაბალა, ბატონყმური ურთიერთობა, იძულებითი ქორწინება და ბავშვთა შრომის გარკვეული ფორმები არის მონობის მსგავსი ჩვეულება და საჭიროა მათი კრიმინალიზაცია და გაუქმება“.

1930 წლის კონვენციაში იძულებითი შრომის შესახებ იძულებითი შრომა განსაზღვრულია, როგორც „ყველა სამუშაო და მომსახურება, რომლებიც სასჯელის მუქარით დაავალდებულეს ნებისმიერ პირს, და რომლებსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა“.

მონობის თანამედროვე სისტემების განვითარების შედეგად, შემუშავდა ახალი დეფინიციები, ტრეფიკინგის, ბავშვის მონობისა და ბავშვის შრომის ერთმანეთისგან გამიჯვნის ჩათვლით.

მონობის გარკვეული ფორმებია:

შრომა სავალო კაბალით: ადამიანები სავალო კაბალით შრომას იწყებენ მას შემდეგ, რაც ვალი დაუგროვდებათ და იძულებულნი არიან, უფასოდ იმუშაონ მის დასაბრუნებლად. ბევრი მათგანი ვერასოდეს გადაიხდის აღებულ ვალს და ის შეიძლება თაობიდან თაობას გადაეცეს.

იძულებითი შრომა: როდესაც ადამიანებს აიძულებენ მუშაობას, ხშირად ანაზღაურების გარეშე, ძალადობით ან დაშინებით. ბევრი მათგანი ხაფანგში ექცევა, ხშირად უცხო ქვეყანაში, დოკუმენტების გარეშე, და არ შეუძლია ქვეყნის დატოვება.

44 <https://www.theguardian.com/global-development/2013/apr/03/modern-day-slavery-explainer>

მონობა შთამომავლობით: ადამიანები იბადებიან მონობაში, რადგან საზოგადოებაში მათი ოჯახები „მონათა“ კლასს მიეკუთვნებიან. „მონის“ სტატუსი დედიდან შვილზე გადადის.

ტრეფიკინგი: ადამიანთა გადაყვანა და გაყიდვა ერთი ადგილიდან მეორეში, მონურ პირობებში.

ბავშვის მონობა: ბავშვები მონობაში არიან შინამოსამსახურებად, იძულებითი შრომის კონტექსტში (მაგ.: კაკაოს, ბამბისა და მეთევზეობის ინდუსტრიებში). მათ ყიდიან შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციისთვის და იყენებენ „ბავშვ ჯარისკაცებად“.

ადრეული და იძულებითი ქორწინება: ქალები ქორწინებაში ცხოვრობენ თანხმობის გარეშე (ხშირად ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში) და მათ აიძულებენ სექსუალური და ოჯახური დაყმევების პირობებში ყოფნას.

ადამიანებით მოვაჭრეთა და ადამიანების უკანონოდ გადამყვანთა მოტივები, ასევე, მიგრანტთა მიმართ მოპყრობის ფორმები, შეიძლება ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდეს. დაბალანსებული გაშუქებისთვის, მნიშვნელოვანია თითოეული საქმის შესწავლა, აღწერილობითი მეთოდების გამოყენება და ურთიერთჩამანაცვლებელი ტერმინების თავიდან აცილება.

შეკითხვები, რომლებიც ტრეფიკინგის იდენტიფიცირებაში დაგეხმარებათ

1. არის ეს პირი ძალადობისა და დაშინების მსხვერპლი? ამ სიტუაციაში იძულებით მოხვდა – ძალადობის, ფსიქოლოგიური ზეწოლის, ან კონტროლის სხვა ფორმების გამოყენებით?
2. იგი აიძულეს, ფული გადაეხადა?
3. დაექვემდებარა იძულებას პირის მხრიდან, რომელსაც მეტი ძალაუფლება აქვს, და ამ ძალაუფლების მის მიმართ გამოყენება შეუძლია?

თუ რომელიმე მათგანზე პასუხი არის „დიახ“, ფრთხილად იმოქმედეთ, გამოიყენეთ ეს სახელმძღვანელო მითითებები და ისარგებლეთ რეკომენდაციებით.

ნავიგაციის ჩანართი:

- იხილეთ განყოფილება წყაროების დაცვა, ინტერვიუს მეთოდები, ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან, და გამოსახულებები და ფოტოები, თავი 7: ამბის მიღება (სწორად)



ტრეფიკინგის გაშუქებისას ვალდებულნი ვართ:

1. წინ აღვუდგეთ მცდარ ცნებებს და თავიდან ავიცილოთ ვუაიერიზმი

- ტრეფიკინგისა ან იძულებითი შრომის მსხვერპლთ საზოგადოება ხშირად მიიჩნევა სუსტ ადამიანებად, რომლებიც მუდამ დაზარალებულნი არიან, თუმცა ეს ყოველთვის არ არის სწორი;
- მასმედიაში გაშუქებისას სექსუალური ექსპლუატაცია შეიძლება არაპროპორციულად დომინირებდეს: გავრცელებული არასწორი აღქმა, რომელსაც მედიაში სექსსა და სენსაციურობაზე აქცენტი იწვევს, გულისხმობს, რომ ადამიანებით ვაჭრობა, ძირითადად, უკავშირდება სექსუალურ ექსპლუატაციას და, პირველ რიგში, ქალებსა და გოგონებს.⁴⁵ სინამდვილეში, ადამიანებით ვაჭრობის დიდი ნაწილი იძულებითი შრომას უკავშირდება და არა სექსუალურ ექსპლუატაციას;
- ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით (კაცებისა და ვაჟების ჩათვლით) დიდი პრობლემაა, მაგრამ მასზე აქცენტი არ უნდა გაკეთდეს შრომითი საქმიანობის მიზნით ტრეფიკინგზე ფოკუსირების ხარჯზე. როდესაც აშუქებთ სექსუალურ ექსპლუატაციას, დარწმუნდით, რომ აღწერთ

45 <https://www.jrf.org.uk/sites/default/files/jrf/migrated/files/forced-labour-media-coverage-full.pdf>

ძალადობას, რომლის მსხვერპლნიც ეს ადამიანები გახდნენ, თქვენ მიერ გამოყენებული გამოსახულებები კი ვუაიერისტული ბუნების არ არის.

2. მიჰყევით ფაქტებს, სკეპტიკურად შეხედეთ სტატისტიკას.

- ტრეფიკინგის, თანამედროვე მონობისა და იძულებითი შრომის გასაიდუმლოებული და ფარული ბუნების გამო, მასში ჩართულ ადამიანთა დათვლა რთულია – ყოველთვის არსებობს მონაცემთა გაყალბების საფრთხე.

როგორია გაშუქების შესაძლებლობები?

- მიჰყევით ფულს: ტრეფიკინგისა და თანამედროვე მონობის ინდუსტრია უზრუნველყოფს იძულებით შრომას, რომელიც უფრო იაფ საქონელს სთავაზობს ყველას. ეს გლობალური ინდუსტრიაა და მოითხოვს გამოძიებას, როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ;
- გააღვივეთ იმედი: ჟურნალისტიკა, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს გამძლეობაზე და აუდიტორიას მოუთხრობს, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს, თავიდან დაიწყონ ცხოვრება თანამედროვე მონობისა და იძულებითი შრომის ტრაგედიის გამოვლის შემდეგ, განსხვავებულ ისტორიას მოგვითხრობს;
- პარტნიორებთან ერთად მუშაობა: ადამიანთა უკანონოდ გადაყვანისა და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მალული და უკანონო ბუნების გამო, მრავალი ჟურნალისტი ინფორმაციის მისაღებად უფლებადამცველ და სხვა ჯგუფებთან მუშაობს. ასეთ გარემოებებში იყავით ფრთხილად, რათა შეინარჩუნოთ თქვენი, როგორც ჟურნალისტის, დამოუკიდებლობა; ასევე გაეცანით მითითებებს **არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის შესახებ (NGOs)**, თავი 8: **როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები**;
- მოისმინეთ და სათანადოდ შეაფასეთ ამბავი: განსაცდელგამოვლილი ადამიანები საინტერესო ისტორიებს ყვებიან.

გამოსახულებების გამოყენება

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დრამა და ტრაგედია შეიძლება კარგი წყარო იყოს შთამბეჭდავი გამოსახულებებისთვის, თუმცა ბევრი მათგანი წინააღმდეგობრივია. შეგიძლიათ, გამოიყენოთ იმ ადამიანთა ინტერვიუები, ფოტოები და ვიდეოები, რომლებიც ამჟამად რომელიმე ფორმის მონობისა ან იძულებითი შრომის ქვეშ არიან, მაგრამ ამბის გადმოცემა უნდა დააბალანსოთ ჟურნალისტიკურ იმპერატივთან – „არ ავნო“.

თავიდან აიცილეთ სექსუალიზებული გამოსახულებები და კლიშეს ტიპის ფოტოები (მაგ.: გოგონა ჯაჭვებით, ადამიანი შტრიხკოდით, ბავშვი გისოსებს მიღმა ან მოუვლელ საროსკიპოში). ტრეფიკინგის მსხვერპლთა დიდი ნაწილს ქმნიან ადამიანები, რომლებიც გადარჩნენ და რეაბილიტაციას გადიან. ბევრ მათგანს არ განუცდია სასტიკი იძულებითი ექსპლუატაცია, თუმცა გამოვლილი აქვს ემოციური მანიპულირება და დელიკატურად ჩაყენება ექსპლუატაციის სიტუაციებში, ზოგჯერ იმ ადამიანთა მიერაც, რომლებსაც ენდობოდნენ.

ნუ გამოიყენებთ გამოსახულებებს, რომლებიც აშკარად ასახავს ძალადობას: საზოგადოების ინტერესებში თითქმის არასოდეს შედის ექსტრემალური ძალადობის ამსახველ გამოსახულებათა გამოქვეყნება. ზოგადად, რედაქტორებმა და რეჟისორებმა, უნდა განიხილონ, რამდენად მისაღებია სხეულის დაზიანებების ჩვენება. სად უნდა გავავლოთ ზღვარი? გამართლებულია მონობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა იარების, დაღურჯებული ადგილების, ან მოტყეხილი კიდურების ჩვენება ამბის გადმოცემისას?



ნავიგაციის ჩანართი:

- **იხ. განყოფილება წყაროების დაცვა და განვითარება და ფოტოები და გამოსახულებები, თავი 6: ამბის მიღება (სწორად);**
- **იხ. აგრეთვე ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან, თავი 7: ინტერვიუ.**

რესურსები და წყაროები

ეს განყოფილება არის მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის 2017 წელს გამოცემული სახელმძღვანელო მითითებების **მედია და ადამიანებით ვაჭრობა** რედაქტირებული და ადაპტირებული ვერსია (ხელმისაწვდომია **ალბანურ, არაბულ, აზერბაიჯანულ, ბოსნიურ, ინგლისურ, რუმინულ, რუსულ, და თურქულ ენებზე**).

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელი (GIJN): ქსელის **ტრეფიკინგის, იძულებითი შრომისა და მონობის** საინფორმაციო სამსახური აქვეყნებს ათობით წამყვანი ჟურნალისტის ინტერვიუს, რომლებიც შეეხება **გაშუქების საუკეთესო პრაქტიკას**, ასევე, ადამიანებით ვაჭრობისა და იძულებითი შრომის შემთხვევათა გამოძიებას. მოცემულია **მონაცემთა და ექსპერტიზის** ცხრილებიც, 60-ზე მეტი ადგილით, სადაც შესაძლებელია მონაცემთა და ექსპერტიზის მოძიება.

ადამიანებით ვაჭრობისა და უკანონო გადაყვანის კარგი გაშუქების მაგალითები

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალურმა ქსელმა (GIJN) შეაგროვა **სამოცამდე საგამოძიებო მასალა** ამ საკითხების შესახებ.

ძირითადი ორგანიზაციები:

საერთაშორისო პოლიტიკურ მოქმედებებზე ინფორმაციის მისაღებად:

- **ICAT** – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისო საკოორდინაციო ჯგუფი; პოლიტიკის შემუშავების ფორუმი, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მანდატით მოქმედებს, რათა გაუმჯობესდეს კოორდინაცია გაეროს სააგენტოებსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ეს ხელს შეუწყობს ერთიანი და მასშტაბური მიდგომის ჩამოყალიბებას ადამიანთა ვაჭრობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ჩათვლით: <http://icat.network/>

სამომავლო რჩევებისთვის:

- „გაათავისუფლეთ მონები“ – მრავალთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შესანიშნავ საქმეს აკეთებს – ჟურნალისტებს აძლევს რჩევებს. განსაკუთრებით, იხილეთ მათი ლექსიკონი და ხშირად დასმული შეკითხვები <https://www.freetheslaves.net/about-slavery/faqs-glossary/>;
- La Strada International – ევროპის წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, 8 დამოუკიდებელი ორგანიზაციით, რომლებიც პირველად დონეზე საქმიანობენ: <https://lastradainternational.org/>;
- გაეროს სააგენტოები, პროგრამები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები, რომლებიც მუშაობენ მონობის თანამედროვე ფორმებზე: <https://www.ohchr.org/EN/Issues/Slavery/UNVTFCS/Pages/SlaveryList.aspx> (ჩამონათვალი).

მიგრაციის შედეგები

ნებისმიერ ქმედებას მოსდევს შედეგები და მიგრაციაც არ არის გამონაკლისი. ეს შედეგები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ერთგვაროვანი გზით აღწერა პრაქტიკულად შეუძლებელია. ისინი მოიცავს შემოქმედებას: (1) წარმოშობის ქვეყნებზე – დემოგრაფიული ეფექტებით დაწყებული, რემიტენციების ნაკადებით დამთავრებული; და (2) მიმღებ ქვეყნებზე – ინტეგრაციის პრობლემებით დაწყებული, სა-იმიგრაციო ნორმების დაცვის სირთულეებით დამთავრებული. მიგრაციის შემოქმედება მიემართება ინდივიდუალურ დონეს: თვით მიგრანტების, ოჯახის წევრების (რომლებიც მათთან ერთად მგზავრობენ, ან შინ დარჩნენ), ასევე, მეგობრებისა და პროცესში მონაწილე სხვა პირების ცხოვრებას.

ბევრი „შედეგი“ სხვა მიდგომით უკვე აღწერილია ამ თავის განყოფილებაში **მიგრაციის პროცესები**, რადგან უკავშირდება ფაქტორებს, როგორიცაა შრომითი მიგრაცია, სასწავლო მიგრაცია, ან დარღვევები. ეს გარდაუვალია, რადგან მიგრაციის შედეგები ხშირად განუყრელად ერთვის მიგრაციის პროცესებს.

ამ განყოფილებაში განვიხილავთ მიგრაციის რამდენიმე შედეგს, რომლებიც ხშირად შუქდება, ან არასწორად შუქდება (მაგ.: უსაფრთხოებისა და სამართალდაცვითი პრობლემები), და ხაზგასმით მივუთითებთ მიგრაციის ზოგიერთ შედეგზე, რომლებიც ხშირად განხილვის საგანი არ არის, ან არასწორად აღიქმება (მაგ.: ინტეგრაცია).

შედეგები: ინტეგრაცია, ასიმილაცია და დემოგრაფიული ცვლილება

(იხ. აგრეთვე განყოფილება **წყაროების მრავალფეროვნება და პერსპექტივები**, თავი 6: **ამბის მიღება (სწორად)**).

მკვლევრები ინტეგრაციის პროცესებს სხვადასხვაგვარად აანალიზებენ. ისტორიულად, ეს ხშირად აიხსნებოდა, როგორც ცალმხრივი ტრაექტორია მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან დასამსგავსებლად, რასაც „ასიმილაცია“ ეწოდება. აღნიშნული ტერმინი გულისხმობს მიგრანტთა ადაპტაციას.

თუმცა, მიგრაციასთან ადაპტაცია ასევე შეუძლიათ „მიმღები საზოგადოების“ წევრებსა და ინსტიტუტებსაც. ბოლო წლებში ტერმინი „მიგრაცია“ ხშირად განისაზღვრება, როგორც გაცვლისა და ურთიერთ-შეთანხმების „ორმხრივი“ პროცესი.

რა ხაფანგები ემუქრება გაშუქებას? რა გამორჩევათ ხოლმე ყველაზე ხშირად მასმედიის საშუალებებს?

ინტეგრაციას შეიძლება ბევრი სხვადასხვა ასპექტი ჰქონდეს; შესაბამისად, ეს არ არის ერთიანი პროცესი. ასეთი ასპექტები შეიძლება იყოს: მონაწილეობა შრომის ბაზარზე და სოციალურ ინსტიტუტებში (მაგ.: განათლების), სოციალური ურთიერთქმედება, კულტურული ტრადიციები და სამოქალაქო ჩართულობა. მიგრანტთა იდენტობისა და კუთვნილების განცდა (ასევე მათიც, ვისთანაც ურთიერთქმედებენ) შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს, ამიტომ ინტეგრაცია შეიძლება იყოს როგორც პროცესი, ისე შედეგი. ზოგ ქვეყანაში მიგრანტებს ევალებათ „ინტეგრირება“ საინტეგრაციო გამოცდების ან ტესტების ჩაბარებით, რაც ქვეყანაში შემდგომი ბინადრობის ან დარჩენის პირობაა.

ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის ბარიერები შეიძლება იყოს: ენის კურსების გადასახადი ან მათი მიუწვდომლობა; ქვეყანაში შესვლისას პრაქტიკული ინფორმაციის არქონა; ცუდად აღჭურვილი სერვისები მიგრანტთა პრაქტიკული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; დასაქმების შესაძლებლობათა არარსებობა; ან დისკრიმინაცია და გამორიცხვა.

გაშუქების რა შესაძლებლობები არსებობს?

ბევრ ქვეყანაში ნათელი არ არის პასუხისმგებლობა ინტეგრაციასთან მიმართებით. ეს ეხება შემდეგ საკითხებს: პასუხისმგებლობის ხარისხი, რომელიც ეკისრება მიგრანტს; სახელმწიფო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის ბალანსი ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას შორის; და ფარგლები, რომლებშიც ინტეგრაციის კუთხით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ პირებს სამოქალაქო საზოგადოებაში.

მიგრანტთა ინტეგრაციის მიმართ ოფიციალური მხარდაჭერის არარსებობა, ან ადგილობრივ საზოგადოებაში ცხოვრების სხვადასხვა წესზე მორგების სურვილის არქონა, შეიძლება ხელს უწყობდეს ცრუ მოლოდინების გამომჟღავნებას, რომლებიც მიგრანტებს ეკისრებათ (ზოგჯერ არარეალისტურად) ინტეგრაციის შედეგებთან მიმართებით.

ამ პროცესმა შეიძლება ხშირად გამოავლინოს საზოგადოებაში არსებული სტრუქტურული სტერეოტიპები. ანალოგიურად, თქვენს ქვეყანაში იმიგრანტებს შეიძლება უფრო მაღალი მოთხოვნები წაუყენონ ინტეგრაციის კუთხით, ვიდრე სხვა სახელმწიფოებისგან ელით საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამოქალაქეთა მიმართ. არის კი ეს სამართლიანი? თუ ადამიანები საკუთარ საზოგადოებაში სხვათა მიმართ მოპყრობას სარკეში დაინახავენ, შეიძლება გაიზარდოს თავიანთ გარემოში არსებული არასასიამოვნო სიმართლე.

კარგი პრაქტიკის მახასიათებლები:

ინტეგრაცია თუ ასიმილაცია?

აღიარეთ ორმხრივი პროცესები:

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია: იგი მოთხოვს ურთიერთშეთანხმებას კულტურებსა და ჯგუფებს შორის, ერთმანეთისაგან სწავლას და ერთობლივ განვითარებას; ასიმილაცია კი არის იდეა, რომ ერთი კულტურის ადამიანებმა ძირეულად შეიცვალონ თავიანთი ქცევა იმ საზოგადოების ნორმების შესათვისებლად, რომელსაც შეუერთდნენ. ასიმილაცია გულისხმობს ერთი ჯგუფის კულტურის ჩახშობას (გარკვეული ხარისხით მაინც), ხოლო ინტეგრაცია აღიარებს არსებობის სხვადასხვა ფორმის მნიშვნელობას და იძლევა საერთო ნორმების განვითარების საშუალებას.

ზოგ ქვეყანაში დომინანტურმა ჯგუფებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მათთან შესულ სხვადასხვა კულტურის მიგრანტებს უნდა აიძულონ ქცევისა და ნორმების შეცვლა დომინანტ კულტურასთან ასიმილაციისთვის, თუმცა იგივე ჯგუფები იშვიათად ურიგდებიან იდეას, რომ მათ დიასპორას უნდა აიძულონ საკუთარი ტრადიციებისა და მემკვიდრეობის დავიწყება მასპინძელი ქვეყნების ნორმებზე მოსარგებად. ორივე კონცეფცია ემსახურება „სოციალური ერთიანობის“ უფრო ფართო მიზნის ხელშეწყობას – როდესაც საზოგადოებები მოქმედებენ ერთად, საერთო კუთვნილებისა და სოლიდარობის განცდით, ურთიერთსასარგებლო, მეგობრული და დადებითი გზით.

გამოიჩინეთ სიფრთხილე სადავო კონცეფციების შეფასებისას:

ინტეგრაციისა და სოციალური ერთიანობის კონცეფციები სადავო და ბუნდოვანია. ამ პროცესებზე მიმართულ ძალისხმევას შეიძლება ხელი შეუშალოს ბუნდოვანი კონცეფციის შეფასებამ. საზოგადოების „ინტეგრირებულობისა“ და „ერთიანობის“ საბაზისო დონის დასადგენად, აუცილებელია, განისაზღვროს ინტეგრაციის მაჩვენებლები და გვექნება ათვლის წერტილი – როგორია კარგად ინტეგრირებული ადამიანი.

ინტეგრაციის გაზომვის/შეფასების ერთ-ერთი მეთოდია კონკრეტული შედეგების განხილვა, რომლებიც უკავშირდება შემდეგ ფაქტორებს: ენის ცოდნა, შრომის ბაზარში ჩართულობა, განათლების შედეგები და სხვა. თუმცა, ნათელი არ არის, ასეთი „მყარი“ მტკიცებულება რეალურად უკეთ ასახავს თუ არა ინტეგრაციას, უფრო „რბილ“ ფაქტორებთან შედარებით (მაგ.: ადგილობრივ საზოგადოებაში მეგობართა რაოდენობა, ადგილობრივ სამოქალაქო თუ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა, ან საერთო განცდა, რომ პირი ამ უბანში თავს ისე გრძნობს, როგორც შინ).

ინტეგრაციის პოლიტიკის გაზომვის ერთ-ერთი მაგალითია „მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი“ (MIPEX). ეს უნიკალური ინსტრუმენტი ზომავს მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკას ხუთი კო-

ნტინენტის ქვეყნებში. მათ შორისაა: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები (გაერთიანებული სამეფოს ჩათვლით), ევროპის სხვა ქვეყნები (ალბანეთი, ისლანდია, მაკედონია, მოლდოვა, ნორვეგია, სერბეთი, შვეიცარია, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა), აზიის ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ისრაელი, იაპონია და სამხრეთ კორეა), ჩრდილოეთი ამერიკის ქვეყნები (კანადა, მექსიკა და ამერიკის შეერთებულ შტატები), სამხრეთ ამერიკის ქვეყნები (არგენტინა, ბრაზილია, ჩილე), ავსტრალია და ახალი ზელანდია. პროექტში განსაზღვრული და შეფასებულია ინტეგრაციის პოლიტიკა და გამოვლენილია კავშირები პოლიტიკურ ინტეგრაციას, შედეგებსა და საზოგადოებრივ აზრს შორის, რაც ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებს.⁴⁶

ელფერის შენარჩუნება სტერეოტიპების გამოყენების გარეშე:

მიგრაციაზე, ემიგრაციასა და იმიგრანტთა თემებზე თხრობა მოითხოვს მონაწილე პირთა ინფორმაციის სწრაფად და ფერადოვნად გადაცემის მეთოდთა გამოყენებას; ზოგჯერ საჭიროა მათ მიმართ თანაგრძნობისა და გულშემატკივრობის განცდის გაღვივებაც. ამავდროულად, მხოლოდ კონკრეტული ქცევების აღწერით, მარტივად შეიძლება საზოგადოების ერთგანზომილებიანი სურათის წარმოჩენა და სტერეოტიპების გამყარება.

საზოგადოება შეიძლება იყოს კეთილგანწყობილი და მხიარული, ან ჰქონდეს უფრო ფრთხილი და თავშეკავებული ერთობის რეპუტაცია, მაგრამ მთლიანად მისი აღწერა ლოთებად, მოცეკვავეებად, ან ჩუმ და საეჭვო პიროვნებად, შეიძლება ხელს უწყობდეს ნარატივს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში დიდ ზემოქმედებას მოახდენს ამ ადამიანებზე.

მაშინაც კი, როცა თქვენი ჟურნალისტიკით შექმნილი სურათები დადებითად ან თანაგრძნობით ასახავს საზოგადოებებს, უნდა შეეცადოთ, რომ ეს სახეები, ამავდროულად, დასრულებული და კომპლექსურიც იყოს.

უხილავი მახეები და გაგრცელებული შეცდომები

ძირითადი მიზეზების უგულებელყოფა:

დემოგრაფიის, ინტეგრაციის, სოციალური ერთიანობისა და რასობრივი ურთიერთობების საკითხთა გაშუქებისას, ისტორიები შესაძლებელია წარმოიშვას მონაცემებიდან ან ინციდენტებიდან, რომლებიც, ერთი შეხედვით, გარკვეულ ამბავს მოგვითხრობს; თუმცა, უფრო ღრმა შესწავლით, შესაძლოა გამოვლინდეს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მოცემული ინციდენტის უპირველესი გამომწვევი იყო.

მაგალითად, რეპორტაჟი, რომელიც რაიმე უარყოფითს ეხება (ვთქვათ, კონკრეტულ თემში ცუდად სწავლას ან კრიმინალურ სიტუაციას), უნდა ითვალისწინებდეს ამ ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებს; ასევე, დისკრიმინაციის ან სტრუქტურული უთანასწორობის არსებობას, რომელიც ნაკლებ შესაძლებლობებსა და მეტ შეზღუდვებს ქმნის და დიდწილად განაპირობებს ასეთ შედეგებს.

ამბის ჩამოყალიბება მიგრანტებზე, როდესაც ის, ფაქტობრივად, ინდივიდუალურ პირს ეხება:

პრობლემები ყველა საზოგადოებაში წარმოიშობა. მნიშვნელოვანია, დავსვათ შეკითხვა – არსებობს კი მტკიცებულება, რომ თემში, რომელზეც კონცენტრირებული ხართ, ეს პრობლემა მომეტებულად არსებობს? თუ ეს უბრალოდ ვარაუდია? ამბავი, რომელიც მიგრანტთა თემში არსებულ პრობლემებზე მოგვითხრობს, შეიძლება გულისხმობდეს, რომ ქვეყნის კონკრეტული ტიპი ენდემურია ამ თემისთვის და მხოლოდ ინდივიდუალურ პირებს არ ახასიათებთ.

ჟურნალისტიკა, რომელიც ამ პრობლემებს (ან, თუნდაც, წარმატებებს) აშუქებს, დგას სტერეოტიპების გაძლიერებისა და საზოგადოებაში სტიგმის გამყარების რისკის წინაშე. მას შეუძლია სტრუქტურული სტერეოტიპების გაღრმავებაც, საიდანაც შეიძლება პრობლემები წარმოიშვას. ეს არ უნდა გახდეს მნიშვნელოვან სიუჟეტზე უარის თქმის საბაბი, თუმცა ძალზე საგულისხმოა მტკიცებულებათა ყურადღებით შესწავლა და შედეგების განხილვა.

46 <https://www.mipex.eu/>

სასწავლო მაგალითი: ახალმოსულები

თარიღი: 2017-2018

გამომცემლები: *Guardian, El Pice, Le Monde, Spiegel Online*

ბმული: <https://thenewarrivals.eu/>

პროექტი 500 დღე გრძელდებოდა და მოიცავდა 25 მიგრანტის ცხოვრება, ოთხივე გაზეთში. იგი დააფინანსა ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრმა, „ბილი და მელინდა გაითსების ფონდის“ გრანტიდან, და შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს მასმედია, რომ უკეთ გადმოსცეს ამბავი მიგრაციაზე, ასიმილაციასა და დემოგრაფიული ცვლილებებზე, რადგან:

- ეს თემა უფრო გრძელვადიან პროექტებს შეესაბამება – შეგიძლიათ, დააკვირდეთ ოჯახებისა თუ ცალკეული პირების ცვლილებასა და გამოცდილებას დროის გარკვეულ პერიოდში;
- შექმნილი კონტენტი, ძირითადად, „მარადმწვანეა“ და ისე სწრაფად არ ბერდება, როგორც ჟურნალისტიკის სხვა ფორმები;
- სხვა ქვეყნების მასმედიის საშუალებებთან მუშაობით, შესაძლებელი გახდა შედარება სხვა ქვეყნების თავშესაფრის სისტემებთან (იხ. *პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა*, სასწავლო მაგალითი, თავი 10: *მიგრაციის გაშუქების გაძლიერება*).

განსახილველი საკითხები:

- არსებობს სხვა ქვეყნებში მასმედიის ორგანიზაციები, რომლებთანაც ისურვებდით პარტნიორობას მსგავსი პროექტის ფარგლებში?
- აქვს თქვენს ორგანიზაციას განხილული ასეთი ტიპის პროექტის დაფინანსება მეცენატებისა ან სხვა ორგანიზაციების მხრიდან?

შედეგები: უსაფრთხოება, სამართალდამცველი ორგანოები და კანონი

სახელმწიფოთა მიერ მიგრაციის მართვა მოიცავს მიგრაციის კონტროლს მიგრანტებზე ზედამხედველობით, როგორც საზღვრებთან, ისე ქვეყანაში (შეზღუდვების დაცვის ჩათვლით, რომლებიც მათ ეკისრებათ ვიზის ან ბინადრობის ნებართვის საფუძველზე). ეს უცხოელად ითვალისწინებს საიმიგრაციო კანონების აღსრულებას გარკვეული ხარისხით – მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს საიმიგრაციო კანონების დაცვას. ესენია: ქვეყანაში იმ პირთა შესვლის პრევენცია, ვისაც ამის უფლება არა აქვს; მოქმედებები იმ პირთა გასაყვანად, რომლებიც შესაძლოა ქვეყანაში ცხოვრობდნენ სამართლებრივი სტატუსის გარეშე; და სანქციების დაწესება იმ პირებისთვის, რომლებიც არ მოქმედებენ მათ ქვეყანაში შემოსვლისა და ცხოვრების ნებართვით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (*დეპორტაცია და იძულებითი გასახლება* იხ. მომდევნო განყოფილებაში).

სახელმწიფოს მიერ საიმიგრაციო პოლიტიკის გამოყენების ხარისხი და სიმკაცრე დიდწილად დამოკიდებულია დღევანდელ მთავრობაზე. ასეთი პოლიტიკის გაშუქება ერთ-ერთი სფეროა, რომელსაც ახასიათებს ეთიკური და სამართლებრივი პრობლემები; მას სჭირდება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა და სიღრმისეული ანალიზი, თუ რამდენად გონივრული, ჰუმანური და სამართლიანია აღსრულების ღონისძიებები.

იმიგრაციის საკითხებს ხშირად ურევნენ სამართალდაცვით და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან. ინდივიდუალურმა მიგრანტმა შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული, ან რისკი შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას, თუმცა, ჩვეულებრივ, ეს პირდაპირ არ უკავშირდება მის საიმიგრაციო სტატუსს (თუ არ ჩათვლით, რომ ამის გამო პირს შეიძლება ჩამოერთვას ქვეყანაში დარჩენის უფლება). როცა დამნაშავე, ან პირი, რომელიც რისკს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტია, ცხადია, ლეგიტიმური იქნება შეკითხვა, თუ როგორ აიცილა პირმა საიმიგრაციო კონტროლი. თუმცა, საიმიგრაციო სტატუსი და ნებისმიერი დანაშაული, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს ასეთმა პირმა, ცალ-ცალკე უნდა განიხილოს, ერთმანეთთან ავტომატურად დაკავშირების გარეშე.

მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ზოგიერთი „კრიმინალური“ ქმედება – როგორცაა საზღვრის უნებართვოდ გადაკვეთა – შეიძლება არ ითვალისწინებდეს სანქციებს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, თუ გარკვეულ სიტუაციაში არ ხორციელდება. ეს შეიძლება მოიცავდეს თავშესაფრის ძიებას, ან პირის გადაყვანას ადამიანით მოვაჭრეთა მიერ (იხ. ქვემოთ). ძალიან მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გაიმიჯნოს აშკარა კრიმინალური ქმედებები ისეთი მოქმედებებისაგან, რომლებიც რთული ე.წ. „რუხი ზონების“ ფარგლებს მიეკუთვნება.

ასევე მნიშვნელოვანია დაუსაბუთებელი ვარაუდების თავიდან აცილება, რომლებიც შეეხება ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილ რისკებს პირის წარმოშობის ქვეყნის, რელიგიის, ან სხვა მახასიათებლის საფუძველზე.

ძირითადი შეკითხვები, რომლებიც ჟურნალისტმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას, როდესაც აშუქებს მიგრაციის კანონმდებლობის აღსრულებას:

რა საერთაშორისო ნორმები არსებობს?

ზოგ შემთხვევაში, ეროვნული მთავრობები იყენებენ მიგრაციის პოლიტიკას, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს: მაგალითად, საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთა შესაბამისი დოკუმენტების გარეშე, ან სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით, ხშირად სამართალდარღვევაა და შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავება და ქვეყნიდან გასახლება. თუმცა, ფართოდ ცნობილია, რომ სხვა ქვეყანაში თავშესაფრის განაცხადის წარსადგენად, ადამიანებს, საიმიგრაციო კანონების დარღვევის გარდა, სხვა გამოსავალი შეიძლება არც ჰქონდეთ.

1951 წლის კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ აცხადებს:

„ხელშემკვრელი სახელმწიფოები არ დასჯიან მათ ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლის ან ყოფნისთვის ლტოლვილებს, შემოსულს უშუალოდ იმ ტერიტორიებიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას პირველი მუხლით გათვალისწინებული საშიშროება ემუქრებოდა. ისინი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვოდ იმყოფებიან იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდებიან ხელისუფლების ორგანოებში და სათანადო განმარტებებს წარადგენენ თავიანთ უკანონო შემოსვლას ან ყოფნაზე.“

ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნულ მთავრობებს არ აქვთ სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტებზე ზემოქმედების უფლება, უბრალოდ, მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს პირის მგზავრობის კონტექსტი.

კანონი ჰუმანურად და სამართლიანად არის დაცული?

ნაკლებად ნათელი შეკითხვა, რომელიც ჟურნალისტმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას საიმიგრაციო კანონმდებლობის გაშუქებისას, არის ის, თუ რამდენად გონივრულად და სამართლიანად აღსრულდება ეს კანონმდებლობა. ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას ფიქრი და განსჯა სჭირდება და ხშირად შეიძლება ერთმნიშვნელოვანი არ იყოს. როდესაც მიგრაციის კანონები გამოიყენება სისხლისსამართლებრივი დევნის ან ადამიანთა მიმართ უსამართლო მოპყრობისთვის, ამ კანონების საფუძველზე დაკავების, დევნის, წინასწარი პატიმრობის, დეპორტაციის ან დაპატიმრების უბრალო შეტყობინება, ფაქტობრივად, უსამართლობის დაკანონებას შეუწყობს ხელს. შესაძლებლობის შემთხვევაში, გონივრულია, დაისვას საკითხი ამ კანონების უსამართლო ბუნებაზე. თუ უსამართლო კანონის აქტიური გაკრიტიკება არარეალისტურია, იფიქრეთ, როგორ შეიძლება მისი შემდგომი ლეგიტიმაციის თავიდან აცილება (მაგ.: ნუ გააშუქებთ იმგვარად, რომ ადამიანებს ამ უსამართლო კანონების მხარდაჭერის სურვილი გაუჩნდეთ).

ახერხებთ ინდივიდუალური პირის ჰუმანიზაციას?

მიგრაციის გაშუქება, რომელიც უკავშირდება სამართლის, უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით საკითხებს, ხშირად მოიცავს საქმეებს კონკრეტული თემების ან ჯგუფების შესახებ. ასეთი საქმეების განხილვისას, აუცილებელია, ვალიართ და ჩვენს აუდიტორიასაც გადავცეთ, რომ არცერთი ჯგუფი არ არის ერთგვაროვანი და თითოეული მათგანი შედგება სხვადასხვა ისტორიის, ცხოვრებისეული გამოცდილების, შეხედულებებისა და პოზიციების მქონე ადამიანებისაგან. მიგრაციის გაშუქება, სადაც ადამიანები დაჰყავთ ციფრებამდე, ან კონცეფციებამდე, როგორცაა „არალეგალი“, „ბოშა“, ან

ჯგუფები, რომელთა იდენტიფიცირებაც ხდება მიგრაციული სტატუსის, წარმომავლობის, რელიგიის ან ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, საზოგადოებაში აკნინებს მათ აღქმას ადამიანებად; ასევე, ხელს უწყობს მათ მიმართ ისეთი პოლიტიკის ან მიდგომების გავრცელებას, რომლებსაც შეუძლია, გამანადგურებლად იმოქმედოს ამ პირებზე.

ხომ არ აძლიერებს სტერეოტიპებს?

ანალოგიურად, ამბის ან თემის შერჩევა, რომელიც თქვენს აუდიტორიას სტერეოტიპულად განაწყობს მიგრანტთა ჯგუფის მიმართ, შეიძლება იყოს დესტრუქციული და არაჰუმანური, ისეთ სიტუაციებშიც კი, როცა მათი დადებითად წარმოჩენა გქონდათ განზრახული. ამბებს, რომ ერთი ჯგუფი, თავისი ბუნების გამო, „კარგად ცეკვავს“, ხოლო მეორე ჯგუფი „უდარდელია“, ან იცის, „როგორ გამოიყენოს ფული“, შეიძლება ისევე შეჰყავდეს აუდიტორია შეცდომაში, როგორც ისტორიებს, თითქმის ჯგუფი, თავისი არსით, ბრიყვი, უხეში, ზარმაცი ან მოძალადეა. კერძოდ, რეპორტაჟებში პოლიციისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიგრანტის წარმომადგენს, რაც, მაგალითად, დანაშაულის ან ტერორიზმის ფაქტორად მიიჩნევა და საზოგადოებაში შეიძლება შექმნას აზრი, რომ მთლიანად ჯგუფი, დიდი ალბათობით, სწორედ ასეთ ქცევას წარმოაჩენს (მაშინაც კი, როდესაც ანომალია კონკრეტულ პირს უკავშირდება).

უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები

კატასტროფების მეტაფორები: ადამიანთა გადაადგილების აღწერისას ხშირად იყენებენ ტერმინებს, რომლებიც უკავშირდება კატასტროფებს, როგორიცაა „წყალდიდობა“, „ტალღა“, ან „ნაკადი“. ეს ასოციაციების გამომწვევი სიტყვები დებატებს თავიდანვე სძენს უკიდურესად უარყოფით ბუნებას, რითაც ხდება გადაადგილებულ პირთა დეჰუმანიზაცია; ასევე, წარმოიქმნება პრობლემისგან „დაცვის“ საფუძველი, და არა მსჯელობაზე დაფუძნებული და გააზრებული რეაგირება ამ პრობლემის მიმართ.

დანაშაულის პრეზუმფცია და არაზუსტი ტერმინოლოგია:

- არაზუსტა ტერმინოლოგიამ შეიძლება ხელი შეუწყოს გაუგებრობას, საზოგადოების მიერ საკითხის არაზუსტ აღქმას და არასათანადო პოლიტიკის შერჩევას. რეიდების გაშუქებისას, სავსებით შესაძლებელია, დაკავებულ მიგრანტთა მიმართ გამოყენებული იყოს ტერმინი „უკანონო“ (ან თუნდაც „სამართლებრივი საფუძვლის არმქონე“), რაც გულისხმობს, რომ პირის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა და დადგინდა მის მიერ დანაშაულის ჩადენა;
- ანალოგიურად, ტერმინი „ეკონომიკური მიგრანტი“ შეიძლება გამოყენებული იყოს თავშესაფრის მაძიებლისა და ლტოლვილის მიმართ, რაც გულისხმობს ლეგიტიმურობის ნაკლებობას მათ მოთხოვნებში. „თავშესაფრის მაძიებლისთვის“ ისეთი მახასიათებლების დამატება, როგორიცაა „ყალბი“, „ფიქტიური“ ან „სავარაუდო“, შეიძლება განსაკუთრებით პრობლემური იყოს, რადგან კიდევ უფრო მეტ ეჭვს მატებს მათი განაცხადების ჭეშმარიტებას;
- თავშესაფრის მაძიებელ პირს აქვს თავისი განაცხადის განხილვის კანონიერი უფლება და, შედეგის მიუხედავად, ის კანონიერი „თავშესაფრის მაძიებელია“, ვიდრე გადაწყვეტილებას ელოდება.

ნავიგაციის ჩანართი:

ამ განყოფილებაში განხილულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ:

- ლტოლვილები და თავშესაფარი, დეპორტაცია და გაძევება (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა) და სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაცია;
- ასევე თავი 4: წყაროების მრავალფეროვნება და პერსპექტივები; და დებინფორმაცია და სიძულვილის ენა, თავი 6: ამბის მიღება (სწორად).



შედეგები: დეპორტაცია და გაძევება (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა)

ტერმინი „დეპორტაცია“ ზოგადად აღნიშნავს უცხო ქვეყნის მოქალაქის იძულებით დაბრუნებას საცხოვრებელი ადგილის ქვეყნიდან მოქალაქეობის ქვეყანაში. თუმცა, სხვადასხვა სახელმწიფოში ტერმინს შეიძლება განსხვავებული სპეციფიკური სამართლებრივი მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ტერმინი „დეპორტაცია“ ეხება მხოლოდ „სამართალდამრღვევ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა“ გასახლებას, კერძოდ, ადამიანებს, რომლებმაც სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. იმ პირთა მიმართ, რომლებსაც მოქალაქეობის ქვეყანაში გზავნიან სავიზო ან სხვა საიმიგრაციო მოთხოვნათა დარღვევის გამო, „დეპორტაციის“ ნაცვლად, გამოიყენება ტერმინი „გაძევება“ (ქვეყნიდან იძულებით გაყვანა).

როგორც კანონიერი, ისე სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტთა დეპორტაციამ ან გაძევების სხვა ფორმებმა შეიძლება სერიოზული გართულებები გამოიწვიოს, როგორც მიგრანტისთვის, ისე იმ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, სადაც ისინი ბრუნდებიან. მაგალითად, მოქალაქეები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი ცხოვრება და საარსებო წყაროები სხვა ადგილას არის, შეიძლება განსაკუთრებით რთულად აღიქვამდნენ რეინტეგრაციის პროცესს (მით უფრო, თუ ამ ადგილას ხანგრძლივი პერიოდით არ იმყოფებოდნენ და არ აქვთ კავშირები, ან არ იცნობენ ადგილობრივ სიტუაციას, ცხოვრების თავიდან დასაწყებად).

იძულებით დაბრუნებული პირები შეიძლება გაამგზავრონ ქვეყნებში, სადაც შრომით ბაზრებზე ძალიან ცოტა სამუშაო ადგილია და შემოსავლებიც დაბალია, იმ ქვეყნებთან შედარებით, საიდანაც დააბრუნეს. ეს იწვევს როგორც კონკრეტულ პირთა იმედგაცრუებას, ისე უკმაყოფილებას ადგილობრივი თემის მხრიდან. მიუხედავად ამისა, დაბრუნებულებს შეუძლიათ, დამატებითი სასარგებლო უნარები შეიტანონ საზოგადოებაში (მაგ.: ენების ცოდნა და კონტაქტები, რომლებიც უცხო ქვეყანაში ყოფნისას შეიძინეს), ცხოვრებისეული გამოცდილების გამო კი ღირებული და მნიშვნელოვანი წევრებიც გახდნენ იმ საზოგადოებისა, სადაც დაბრუნდნენ. თუმცა, კვლევები უჩვენებს, რომ მდგრადი დაბრუნება (უფრო ხანგრძლივი დროით ბრუნდება პირი, თუ შემდეგ ხელახალ ემიგრაციაში მიდის), ძირითადად, უფრო მარტივია მათთვის, ვინც ნებაყოფლობით ბრუნდება (ან გეგმავს დაბრუნებას), იძულებით დაბრუნებულებთან შედარებით, რომლებიც ამ პროცედურას მოულოდნელად, ან ნების გარეშე გადიან.

„ევროსტატის“ შესაბამისად, 2019 წელს ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა 142 000-ზე მეტი ადამიანი გაიყვანეს იძულებით მესამე სახელმწიფოებში, ხოლო 628 000-ს უბრძანეს, დაეტოვებინათ ბლოკი.⁴⁷ უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, ბელარუსი და სომხეთი იმ ქვეყნების პირველ ოცეულშია, სადაც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მიგრანტები დააბრუნეს.⁴⁸

47 https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Enforcement_of_immigration_legislation_statistics#Non-EU_citizens_ordered_to_leave_the_EU-27

48 [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Top_20_countries_of_citizenship_of_non-EU_citizens_returned_outside_the_EU-27,_2018_and_2019_\(number\)_MI20.png](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Top_20_countries_of_citizenship_of_non-EU_citizens_returned_outside_the_EU-27,_2018_and_2019_(number)_MI20.png)

შედეგები: რემიტენციები

იციოთ თუ არა რომ?

2017 წელს მიგრანტებმა 466 მილიარდი აშშ დოლარის რემიტენციები განახორციელეს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში. ეს სამჯერ აღემატება განვითარების დახმარების ოფიციალურ ასიგნებებს (KNOMAD).

რა არის რემიტენციები?

რემიტენციები არის ფულადი ან სასაქონლო გზავნილები (მაგ.: წამლები, ელექტრომოწყობილობები, ტანისამოსი), რომელსაც ერთ ქვეყანაში მყოფი ინდივიდუალური პირი უგზავნის სხვა ქვეყანაში მყოფ ინდივიდუალურ პირს. ფინანსური რემიტენციები მოიცავს ფულად გზავნილებს, ხოლო „ნატურით“ რემიტენციები – საქონელს (ძირითადად, მცირე მოცულობით, თუმცა მიმღები ქვეყნების ოჯახებისთვის ეს შემოსავლები შეიძლება მნიშვნელოვანი საარსებო წყარო იყოს).

რატომ აგზავნიან მიგრანტები რემიტენციებს?

მიგრანტები მათ სხვადასხვა მიზნით აგზავნიან: ზოგ შემთხვევაში, ალტრუისტული დამოკიდებულება აქვთ სამშობლოში დარჩენილი ოჯახის მიმართ და უგზავნიან რესურსებს პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ზოგჯერ კი საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ (მაგ.: თავიანთი ოჯახური სტატუსის შენარჩუნება მემკვიდრეობის მისაღებად ან რაიმე სხვა მიზნებისთვის); არსებობს მონაცემები, რომ ზოგი მიგრანტი თანხებს ინვესტირებისთვის აგზავნის; და ბოლოს, ნაწილი შეიძლება კრედიტებს ან ოჯახის სხვა სახის ვალს ისტუმრებდეს, იმ თანხის ჩათვლით, რომელიც მის საზღვარგარეთ გამგზავრებას მოხმარდა.

რემიტენციების გაშუქება – კარგია ეს, თუ ცუდი?

მიმღებ ქვეყნებსა და ოჯახებზე რემიტენციების საბოლოო ზემოქმედების განსაზღვრა რთულია. ზოგი მონაცემით, ფულადი გზავნილები დადებით ზემოქმედებას ახდენს მათზე. მაგალითად, შინამეურნეობების დონეზე არსებობს მონაცემები, რომ რემიტენციები ზრდის ადამიანური კაპიტალის შექმნის საშუალებას, რადგან, მათი მეშვეობით, შინამეურნეობას შეუძლია ინვესტირება ოჯახის ახალგაზრდა წევრების განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში.

რემიტენციებით ასევე შესაძლებელია კაპიტალის უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა მცირე ბიზნესის დასაწყებად, ან შინამეურნეობის ხარჯების დასაფარად ისეთ პერიოდებში, როდესაც ბიზნესს მოგება არ მოაქვს. ეს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებში, სადაც სათანადოდ არ არის განვითარებული ფულად-საკრედიტო ან სადაზღვევო ბაზარი.

მეორე მხრივ, არსებობს მონაცემები, რომ ზოგიერთი ოჯახის წევრი, რომელიც რემიტენციებს იღებს, ამცირებს შრომის ბაზარზე მონაწილეობას. ამ გამოწვევას „მორალურ საფრთხეს“ უწოდებენ. ადამიანებმა, მიგრანტებისგან ფულის მიღების იმედით, შეიძლება შეამცირონ თავიანთი დასაქმების მოცულობა, რაც, საბოლოო ჯამში, მათ დამოკიდებულს გახდის ამ ფულად გზავნილებზე. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ადამიანის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შემცირებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ცხოვრების დონე: ეს ქმნის მეტ თავისუფალ დროს და ოჯახის ზოგიერთ წევრს აძლევს დამატებითი ადამიანური კაპიტალის შექმნის საშუალებას, სწავლისა და პროფესიული მომზადების მეშვეობით. შესაბამისად, სამუშაო ძალის პოტენციური შემცირება უცილობლად არ არის რემიტენციების უარყოფითი ასპექტი.

ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რემიტენციებს ზიანის მიყენება შეუძლიათ მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის, ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითებენ ფულადი გზავნილებით გამოწვეულ ინფლაციურ ზეწოლას, ან მიმღები ქვეყნის ვალუტის კურსის აწევას, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ექსპორტზე. ამ ფენომენს „ჰოლანდიურ დაავადებას“⁴⁹ უწოდებენ.

49 [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET\(2014\)433786_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET(2014)433786_EN.pdf)

წყაროები:

- მსოფლიო ბანკის მონაცემები მიგრაციისა და რემიტენციების შესახებ.⁵⁰

შედეგები: დიასპორა

დიასპორის ცნება უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თავდაპირველად, ეს ტერმინი გამოიყენებოდა მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებით, რომლებიც ფართოდ გაიფანტნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოდან, ხშირად ძალადობრივად (მაგ.: ებრაელები ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, ან სომხები).

თუმცა, ეს ტერმინი თანამედროვეობაში უფრო ფართოდ გამოიყენება. ერთ-ერთი ლექსიკონის მიხედვით, დიასპორა არის „ნებისმიერი ხალხის მიმოფანტვა ან გადასახლება თავდაპირველი სამშობლოდან“. სასაუბრო ენაში ამ ტერმინმა გააერთიანა კონკრეტული კულტურული, ეთნიკური ან ეროვნული მემკვიდრეობის მქონე თემები, რომლებიც არ ცხოვრობენ სავარაუდო „წარმოშობის“ ქვეყნებში. ბევრ კონტექსტში, „დიასპორული საზოგადოება“ და „მიგრანტთა საზოგადოება“, პრაქტიკულად, ურთიერთიანდებულ ტერმინებად იქცა. „დიასპორასა“ და „მიგრანტს“ მნიშვნელოვნად განასხვავებს ის, რომ დიასპორის წარმომადგენლები თავს აიგივებენ (ისტორიულ) სამშობლოსთან, ან თავიანთი ჯგუფის სხვა წევრებთან, თუმცა შესაძლოა, არც არასოდეს ეცხოვროთ (წინაპრების) წარმოშობის ქვეყანაში და არც მისი მოქალაქეობა ჰქონოდათ, ხოლო „მიგრანტი“ განისაზღვრება მობილობის გამოცდილების საფუძველზე.

დიასპორული საზოგადოებები ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი სივრცეა მისი წევრებისთვის – აქ ინარჩუნებენ ტრადიციებს, ენას რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და კულტურულ საქმიანობას. თუმცა ტერმინი „დიასპორა“ სადავოა: ზოგი ჯგუფი აქტიურად ითვისებს ამ „იარლიყს“, ხოლო ზოგი უარს ამბობს მასზე.

დიასპორის გაშუქება

დიასპორის საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტმა უნდა შეამოწმოს, რამდენად მიკერძოებულია იგი კონკრეტული საკითხის მიმართ: თუ საზოგადოების უმრავლესობის წარმომადგენელი ხართ და რეპორტაჟს ამზადებთ უმცირესობის – დიასპორის თემზე, შეგიძლიათ თუ არა, თავი წარმოიდგინოთ მათ ადგილას და თანაგრძნობით განეწყოთ ამ ადამიანთა წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ? ანალოგიურად, როცა აშუქებთ თქვენს საზოგადოებას, რომელიც დიასპორის სახით ცხოვრობს, შეგიძლიათ, საკუთარი მოსაზრებები, რწმენა და ღირებულებები გამიჯნოთ იმ ადამიანებისგან, რომლებზეც რეპორტაჟს ამზადებთ?

მიგრაციის მართვა

როდესაც ვფიქრობთ მიგრაციის მართვის წესებსა და რეგულაციებზე, ბუნებრივია, ფოკუსირებული ვართ მთავრობის როლზე, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა, თუ ვის შეუძლია ქვეყანაში შემოსვლა ან გასვლა, ასევე, განსაზღვროს ამ პროცესების მართვის ფორმები. თუმცა, სინამდვილეში „მიგრაციის მართვის“ პროცესები ბევრად ფართოა.

ორგანიზაცია IMISCOE-ის მიგრაციის კვლევის ჰაბმა⁵¹ ერთმანეთისგან გამიჯნა „მიგრაციის მართვა“ და „მიგრაციის პოლიტიკა“. მისი განმარტებით, თუ პოლიტიკაში იგულისხმება „კანონები, რეგულაციები, გადაწყვეტილებები, ან მიგრაციასთან დაკავშირებული სხვა სამთავრობო ღირებულებები“, მართვა მოიცავს გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ ფაქტორებსაც. ამ თვალსაზრისით, მიგრაციის პოლიტიკა მიგრაციის მართვის შედეგია.

50 <https://www.worldbank.org/en/topic/migrationremittancesdiasporaissues/brief/migration-remittances-data>

51 <https://migrationresearch.com/>

ეს პროცესები შეიძლება მოიცავდეს შემდეგი კომპონენტების განვითარებას:

- „ნორმები, წესები, პოლიტიკის დოკუმენტები, კანონები და ინსტიტუტები, რომლებიც შესაძლოა სამართლებრივად სავალდებულო იყოს ან არ იყოს“ გლობალურ, ეროვნულ და სუბეროვნულ დონეებზე;
- აქტორები, ინსტიტუტები და ინსტიტუციური მექანიზმები;
- გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესები (აღსრულებისა და მონიტორინგის ჩათვლით), რომლებიც შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური და მიმდინარეობდეს სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივი, ეროვნული, გლობალური), ასევე, სხვადასხვა აქტორს შორის.

მარტივად, ეს ნიშნავს, რომ მიგრაციის მმართველობა არ არის მხოლოდ პოლიტიკა: იგი ასევე მოიცავს პროცესებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ამ პოლიტიკის შექმნას განსაზღვრავენ, ან მართავენ მის ფექტიან განხორციელებას.⁵²

მმართველობა მთლიანობაში მოიცავს შემდეგ მხარეებს: **სამოქალაქო საზოგადოება, სასამართლო, დამსაქმებლები, შრომითი და პროფესიული კავშირები, მთავრობათაშორისი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ცოდნის შემქმნელები და მიმწოდებლები; ეროვნული სამთავრობო და სახელმწიფო ინსტიტუტები; და კერძო კომპანიები და ბიზნესი.**

ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: <https://migrationresearch.com/taxonomies/topics-migration-governance>

საზოგადოებრივი აზრი

მიგრაციის გაშუქებისას ერთ-ერთი გავრცელებული თემაა საზოგადოების დამოკიდებულება მიგრაციის მიმართ. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით მიღებული შედეგები, რომლებიც გამოხატავს შეშფოთებას იმიგრაციის ან ემიგრაციის მაღალი დონისა თუ მიგრანტთა კონკრეტული თემების მიმართ, შეიძლება აღიქმებოდეს ჰედლაინებად და თვით პოლიტიკურ რეაგირებადაც კი (როგორიცაა მიგრაციაზე შეზღუდვების გაძლიერება, ან ამის მცდელობა); ანდა ძალისხმევას წარმართავდეს იქით, რომ მიგრანტებს გადააფიქრებინონ (მათ ქვეყანაში) დასახლება.

როდესაც ვაფასებთ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, როგორ ჩატარდა იგი, დასმული შეკითხვებისა და რესპონდენტთა ვინაობის ჩათვლით:

- ხომ არ იყო შეკითხვები ფორმულირებული ან დასმული იმ სახით, რომ თავიდან აეცილებინა გარკვეული პასუხები?
- იყო თუ არა გამოკითხვაში ჩართული რესპონდენტთა ეროვნული წარმომადგენლობის ჯგუფი? ამისთვის საჭირო იქნებოდა კაცთა და ქალთა ბალანსის დაცვა; ასევე, მასში უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ეთნიკური და რელიგიური თემის, სოფლისა და ქალაქის საზოგადოებათა წარმომადგენლები და სხვა სპეციფიკური მახასიათებლების მქონე ადამიანები, რომლებიც მთლიანობაში ქვეყანას წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მთლიანად სწორადაც რომ ჩატარდეს, მაინც ძნელი გასაგებია, ის რეალურად ასახავს ადამიანთა დამოკიდებულებას მიგრაციის მიმართ, თუ პასუხები წარმოსახვითი ვერსიის მიგრაციის ფაქტობრივი მნიშვნელობის შესახებ. 2011 წელს⁵³ ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიზანი იყო ამ პრობლემაში გარკვევა: ისინი ჯერ სვამდნენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისთვის დამახასიათებელ სტანდარტულ შეკითხვებს (მაგ.: სურდათ თუ არა ადამიანებს გაერთიანებულ სამეფოში იმიგრაციის დონის გაზრდა, შემცირება, ან იმავე დონეზე შენარჩუნება), შემდეგ კი რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ ვინ ჰყავდათ წარმოდგენილი ემიგრანტებზე საუბრისას. შედეგებმა უჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც მიგრაციის წინააღმდეგნი იყვნენ, მიგრანტებად წარმოიდგენდნენ თავშესაფრის მაძიებლებს, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის გაერთიანებულ სამეფოში ისინი იმიგრაციის მხოლოდ 5%-ს შეადგენდნენ.

52 <https://migrationresearch.com/taxonomies/topics-migration-governance>

53 <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/reports/thinking-behind-the-numbers-understanding-public-opinion-on-immigration-in-britain/>

დასკვნა

„მიგრაცია“ ... მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ფართო სპექტრს, რომელთაგან არცერთს არ განმარტავს თვით ეს სიტყვა.

„...მას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ადამიანისთვის, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილდებიან, ასევე, თითოეული იმ პირისთვის, რომლებიც ამ გადაადგილებულ ადამიანებს ხვდებიან გადაადგილების საწყის ეტაპზე, მგზავრობის პერიოდში, ან დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას“ (the COMPAS approach⁵⁴).

ზემოაღნიშნული ციტატა გარკვეულწილად ხსნის „მიგრაციის“ გაშუქების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სირთულეს – ეს არის არა რაიმე ერთი ფენომენი, არამედ მათი ერთობლიობა.

ამ თავში ხაზგასმით იყო აღნიშნული რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომლებსაც ხშირად აშუქებენ მიგრაციის ჟურნალისტები. თუმცა, თემების, კონცეფციებისა და იდეების მთელი სპექტრი, რომლებიც შეიძლება „მიგრაციის“ სახელწოდებით გაერთიანდეს, მხოლოდ ზედაპირულად არის განხილული. სიცხადის ასეთმა ნაკლებობამ ჟურნალისტი შეიძლება დააფრთხოს, მაგრამ, პრობლემის სირთულის გათვალისწინებით, მიგრაციას შთამბეჭდავი მასალის შემოთავაზება შეუძლია.

მასალის „სწორად“ მიღება, რაც განხილულია მომდევნო თავში, და თქვენთვის წარმოდგენილი მონაცემებისა და მტკიცებულებების გააზრება (იხ. თავი 9: **მონაცემები და ანალიზი**), დაგეხმარებათ ამ თემების გაშუქებასა და კარგი ჟურნალისტიკის შექმნაში.

54 https://www.compas.ox.ac.uk/wp-content/uploads/COMPAS-Framing-Report_brochure.pdf

თავი 6:

ამბის მიღება (სწორად)

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- სხვა ჟურნალისტებისაგან მოისმინოთ, რა მეთოდებს იყენებენ მიგრაციის გაშუქებისას;
- მიიღოთ შთაგონება და რჩევები გაშუქების პროცესზე, ამბის აღწერით დაწყებული, პუბლიკაციით დამთავრებული, და ყველაფერზე, რაც მათ შორის არის;
- გაიგოთ, როგორ შეიძლება ეთიკის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება თქვენი მასალის გასაუმჯობესებლად;
- დაძლიოთ ზოგიერთი ყველაზე დიდი გამოწვევა და გამოიყენოთ შესაძლებლობები:
- **მრავალფეროვნება** – როგორ წარმოვაჩინოთ უმცირესობებს ან ადამიანებს, რომლებიც ჩვენგან განსხვავდებიან;
- **გენდერი** – როგორ დავძლიოთ ფაქტი, რომ მიგრაციის ეს ასპექტი ხშირად გათვალისწინებული არ არის;
- **წყაროების განვითარება და დაცვა** – რამდენიმე იდეა მიგრაციის გაშუქების მეთოდებზე;
- **დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა** – როგორ განვსაზღვროთ ეს საფრთხეები და ვებრძოლოთ მათ;
- **მიგრაცია და კოვიდ-19** – რას ნიშნავს პანდემია მიგრაციის გაშუქებისთვის;
- **ფოტოგრაფია და გამოსახულებები** – საუკეთესო პრაქტიკული რჩევები ჟურნალისტებისა და ახალი ამბების რედაქციებისთვის.

შესავალი

როგორც პირველ თავში (**ეთიკური საფუძვლები**) აღვნიშნეთ: მიგრაციის გაშუქება უმჯობესდება ჟურნალისტურ ღირებულებათა გამოყენების ხარჯზე, რომლებიც სწორი შეკითხვების დასმასთან დაკავშირებით მთელი პროცესის განმავლობაში. ჩვენი მიზანი მუდამ უნდა იყოს ისეთი ჟურნალისტის განვითარება, რომელიც უკეთ მოემსახურება ჩვენს აუდიტორიას; ასევე, პატივს სცემს იმ პირთა ადამიანურ ღირსებებს, რომლებზეც ვწერთ.

ამ თავში განხილულია, თუ როგორ უნდა გააშუქონ ჟურნალისტებმა მიგრაცია და მასში ჩართული ადამიანები დეტალურად (ფორმა, პროცესები და შედეგები), ასევე, საკითხები, როგორიცაა, მრავალფეროვნება, გენდერი და დეზინფორმაცია, რომლებიც, ნებით თუ უნებლიეთ, აყალიბებს მედიის მიერ შექმნილ ნარატივს. იგი ამავდროულად ასახავს სხვა ჟურნალისტთა მიდგომებს მიგრაციის გაშუქებისადმი და აღწერს ეთიკური პრობლემების დაძლევის გზებს რეპორტაჟის მთელ პროცესში, რეგიონული თუ საერთაშორისო მედიის თემატური კვლევების გამოყენებით.



ნავიგაციის ჩანართი:

ამ თავში მოცემულ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ:

- თავი 7: ინტერვიუ – კონკრეტული რჩევები ინტერვიუს მეთოდებთან დაკავშირებით;
- თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები;
- თავი 9: მონაცემები და ანალიზი.

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელის⁵⁵ შესაბამისად, ეთიკური გაშუქების ძირითადი პრინციპებია:

1. **ზუსტი და ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება:** თავიდან აიცილეთ ბოროტი ტყუილი, ცრუ (fake news) და გადაუმოწმებელი ინფორმაცია.
2. **დამოუკიდებლობა:** იმოქმედეთ საკუთარი სინდისის შესაბამისად. ნუ ივაჭრებთ ანტიმიგრანტული პროპაგანდით და ნუ გახდებით პოლიტიკური ან სხვა ინტერესების იარაღი.
3. **მიუკერძოებლობა:** გახსოვდეთ, რომ ამბავი უნდა მოყვეთ ყველა კუთხიდან. კერძოდ, გახატეთ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა ან ტრავმაგადატანილ პირთა მოსაზრებები, ასევე, ასახეთ მასპინძელ ქვეყანაში მცხოვრებ პირთა ლეგიტიმური შეშფოთება.
4. **ჰუმანურობა:** ჟურნალისტიკამ არავის უნდა მიაყენოს ზიანი. გამოიჩინეთ თანაგრძნობა თქვენს რეპორტაჟებში. მიუთითეთ გადაწყვეტაზე და თავიდან აიცილეთ ვიქტიმიზაცია.
5. **ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა:** გქონდეთ პასუხისმგებლობა თქვენი ნამუშევრის მიმართ; გამოსასწორეთ შეცდომები, ყოველთვის გაამჟღავნეთ, ვინ ხართ, და ისარგებლეთ ღია მეთოდებით.

შენიშვნა: ონლაინ ვერსიისთვის ჩართეთ ეს ვიდეო – ნახეთ EJN-ის დამფუძნებელი, აიდან უაითი, რომელიც საუბრობს ჟურნალისტიკის ხუთი პრინციპის შესახებ:



<https://ethicaljournalismnetwork.org/who-we-are/5-principles-of-journalism>

55 <https://ethicaljournalismnetwork.org/who-we-are/5-principles-of-journalism>

ამბის მიღება (სწორად): წყაროების მრავალფეროვნება და პერსპექტივები

„აუცილებელი არ არის, თითოეული მხარის წარმოჩენა ყოველ სიუჟეტში, მაგრამ ამბავი უნდა იყოს დაბალანსებული და დაემატოს კონტექსტი. ობიექტურობის დაცვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი, არც სასურველი (მაგ.: როდესაც ვდგავართ სისასტიკის ან არაადამიანურობის წინაშე), მაგრამ მიუკერძოებელი თხრობა ნდობასა და დამაჯერებლობას ქმნის (EJN).⁵⁶

მიგრაციის გაშუქების მრავალრიცხოვანი კვლევა და ანალიზი ერთი განსაკუთრებული დასკვნის საშუალებას იძლევა: მიგრანტის ხმა ან საერთოდ არ ჟღერს, ან უკიდურესად უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი. განვიხილოთ, მაგალითად, ევროპის ჟურნალისტთა ობსერვატორიის კვლევა – *მიგრაციის გაშუქება ევროპის მასმედიაში* (2020)⁵⁷ – რომელიც მოიცავს 17 ქვეყნის ანალიზს, უკრაინის ჩათვლით, 2015-2018 წლებში. კვლევისას განხილულია 2 417 მასალა:

- **51%** – ძირითად ფიგურებად გამოდიოდნენ პოლიტიკოსები, ჩვეულებრივ, მთავრობის წევრები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- **27%** – მეტ-ნაკლებად წარმოდგენილნი იყვნენ მიგრანტებიც. ამ შემთხვევათა 2/3-ში მიგრანტები აღწერილნი იყვნენ მდუმარე, ანონიმურ ჯგუფად: მათ უწოდებდნენ ერთგვაროვან მასას და/ან აზრის გამოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ;
- **8%** – მიგრანტები და ლტოლვილები წარმოდგენილნი არიან, როგორც ინდივიდუალური პირები ან ოჯახები.

სტატიებში მოხსენიებულ მიგრანტთა და ლტოლვილთა ციტირება სინამდვილეში იშვიათია: მედიაში ციტირებულია 411 მიგრანტი, მაშინ, როცა არამიგრანტთათვის ეს ციფრი 4 267-ს უტოლდება; ასევე, არსებული ტენდენციის თანახმად, დახმარების გამწვანე ინდივიდუალიზებული არიან, ხოლო დახმარების მიმღებნი – ნაკლებად.

ჩარჩოები:

ვისაც ინტერვიუსთვის ვირჩევთ, ან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიგრაციის საკითხების გაშუქებაში. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება შეიცვალოს თქვენი ამბავი, თუ მხოლოდ პოლიციელებს, უსაფრთხოების სფეროსა ანალიტიკოსებს, ან სასაზღვრო პოლიციის მუშაკებს გაესაუბრებთ, და არასოდეს მოუსმენთ სოციალურ მუშაკებს, ან ადამიანის უფლებათა სპეციალისტებს. მიგრაციის ამბავში ჩართულ სხვადასხვა „დაინტერესებულ მხარეს“ განსხვავებული ალქმა აქვს და, დიდი ალბათობით, მიგრაციას სპეციფიკური შუქ-ჩრდილებით ასახავენ.

ზოგიერთი ეს ტენდენცია ან ჩვენ მიერ გაკეთებული არჩევანი შეიძლება აიხსნას ჟურნალისტის ტიპით, რომელსაც მივეკუთვნებით, ან ჩვენივე „რიტმით“ (იხ. თავი 2), მაგრამ ამით ვერ გამართლდება დრამატული დისბალანსი, როდესაც მხოლოდ ერთი სახის შეხედულებებია წარმოჩენილი, სხვათა გამორიცხვის ხარჯზე. მიგრანტებთან საუბარი უფრო რთულია და მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე ოფიციალური წყაროების ციტირება, რომლებსაც აქვთ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები და ადვილი წვდომა მასმედიაზე; თუმცა, მიგრანტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი იდეების შემოთავაზება, რომლებიც ოფიციალურ წყაროებს შეიძლება მხედველობის მიღმა დარჩეთ.

(დამატებითი ინფორმაციისთვის მიგრანტ თემებში წყაროს განვითარების შესახებ იხილეთ: *წყაროების განვითარება და დაცვა*)

56 <https://ethicaljournalismnetwork.org/who-we-are/5-principles-of-journalism>

57 <https://en.ejo.ch/ethics-quality/how-do-the-european-media-cover-migration>

ძირითადი შეკითხვები და მოსაზრებები:

შეამოწმეთ საკუთარი სტერეოტიპული ან მიკერძოებული ხედვები?

თქვენ შეიძლება მტკიცედ იყოთ დარწმუნებული განსაკუთრებულ მიდგომებში მიგრაციის პრობლემა-თა გადაწყვეტისადმი (პირადი რწმენის ან გამოცდილების საფუძველზე), მაგრამ თუ ასეა, რამდენად სამართლიანად ამუშავებთ საკითხს? ყოველთვის შეეცადეთ, იპოვოთ მიზეზი, რომლის გამოც შეიძლება ცდებოდეთ (და არა რომლის საფუძველზეც მიიჩნევთ, რომ სწორად იქცევით). ეს თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც „დადებითი“, ისე „უარყოფითი“ ვარაუდების მქონე ადამიანებისთვის. თუ წინასწარ გაქვთ მოაზრებული, თუ ვისგან უნდა მიიღოთ კონსულტაციები მიგრაციის ამბებზე, და ეს საკუთარ გამოცდილებას ან ღირებულებებს ეფუძნება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ღირებული წყაროების გამორიცხვა და, შესაბამისად, ღირებული ინფორმაციის დაკარგვა. ყოველთვის კრიტიკულად შეისწავლეთ, რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლია თქვენს სტერეოტიპულ ან მიკერძოებულ ხედვებს თქვენს საქმიანობაში ჩართულ პირებზე.

უხილავი მახეები და გავრცელებული შეცდომები

უმრავლესობის მსგავსად მოქმედება:

ჟურნალისტიკა თავისთავად ვითარდება – რეპორტიორებზე ზეგავლენას ახდენს მათი კოლეგების მუშაობა: ისინი ხშირად ამატებენ რალაცას ან ავითარებენ ამბებს, რომლებიც სხვებმა დაიწყეს. ეს შეიძლება კარგი მეთოდი იყოს საკითხში უკეთ ჩაღრმავებისა და ახალი წახნაგების პოვნისთვის, მაგრამ ამავედროულად უკავშირდება რისკსაც, ან ამყარებს ეროვნულ ნარატივს, რომელიც შემდგომ მიიჩნევა „არსებულ მდგომარეობად“, და არა მისი აღქმის ერთ-ერთ საშუალებად;

სწრაფად მუშაობის, ვადების დაცვისა და რედაქტორთა სხვა მოთხოვნების შესრულება შეიძლება ნიშნავდეს, რომ არჩევანის გაკეთება გიწევთ ამ „არსებული მდგომარეობის“ ბუნდოვანი აღქმის საფუძველზე;

თუკი შეგიძლიათ ხანგრძლივი პაუზის გაკეთება და დაფიქრება მდგომარეობის აღქმის სხვადასხვა საშუალებაზე, ასევე, მზად ხართ, თავაზიანად გამოხატოთ ეჭვი სარედაქციო გადაწყვეტილების მიმართ, რომელსაც არასწორად ან მოუქნელად მიიჩნევთ, თქვენი საქმიანობა ყოველთვის შედეგიანი იქნება.

შემთხვევით საკუთარი თავის ხსენება:

ახალი ამბების რედაქციებში, ჩვეულებრივ, ბევრი ისეთი ადამიანია, ვინც სიამოვნებით ნახავს თქვენს ნამუშევარს და გეტყვით, რას ფიქრობს მასზე, მაგრამ რამდენად გგვანან ისინი? განსხვავდებიან ასაკით, გენდერით, ეთნიკური კუთვნილებით, სოციალური კლასით, ქონებით ან სექსუალური ორიენტაციით? რომელიმე მათგანი ხომ არ არის მიგრანტი, ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირი?

მრავალი სამეცნიერო ანალიზი უჩვენებს, რომ ახალი ამბების რედაქციებში მრავალფეროვნების ნაკლებობა იწვევს მიგრაციის კონკრეტული სახით გაშუქებას. სავარაუდოდ, თქვენ ვერ გარდაქმნით ახალი ამბების რედაქციას გარკვეულ მულტიკულტურულ სადნობ ქვაბად, მაგრამ ის კი ნამდვილად შეგიძლიათ, რომ გასცდეთ საკუთარ ნაჭუქს და წამოწიოთ მიგრანტებისა და უმცირესობების ხმა თქვენ მიერ გამოქვეყნებულ ამბებში.

მოჩვენებითი ნაბიჯები („თოქენიზმი“):

ახალი ამბების ორგანიზაციებში „თოქენიზმი“ შეიძლება პრობლემად იქცეს. ეს უკავშირდება სამსახურში აყვანის პრაქტიკას, რომლის დროსაც ახალი ამბების რედაქციაში მოჰყავთ „სიმბოლური უმცირესობა“, მაგრამ მათ არ აძლევენ საჭირო სივრცეს პროფესიული შესაძლებლობების გამოსავლენად;

ასევე სიფხიზლე უნდა გამოვიჩინოთ უმცირესობათა ლიბერალური ან ინკლუზიური სახით წარმოჩენისას, რაც, თავისი არსით, ადამიანს მხოლოდ უმცირესობისადმი კუთვნილების რაკურსით გვიჩვენებს.

„მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ 2004 წელს გამოცემული **გამუქების მრავალფეროვნების სახელმძღვანელო** რამდენიმე საინტერესო რჩევას შეიცავს ამ საკითხზე. აღსანიშნავია, რომ ისინი ჩამოყალიბდა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ჟურნალისტებთან სერიული სამუშაო შეხვედრების ჩატარების შემდეგ:

„ჟურნალისტების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, წერონ ადამიანებზე, რომლებიც მათგან პრინციპულად განსხვავდებიან. წყარო შეიძლება იყოს სხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, ან განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა თუ ეკონომიკური სტატუსის მქონე პირი, მაგრამ ჟურნალისტის როლი სწორედ ის არის, რომ ზუსტად გადმოსცეს ამ ადამიანის შეხედულებები, იდეები ან მსოფლმხედველობა – მაშინაც კი, როდესაც განსხვავება საკმაოდ დიდია. რეგიონებში, როგორცაა სამხრეთი კავკასია, სადაც სოციალურმა და ეთნიკურმა უთანხმოებამ მრავალი თემის სტრუქტურა დააზიანა, ამ მიზნის მიღწევა შეიძლება განსაკუთრებით რთული ამოცანა იყოს, თუმცა შეუძლებელი არ არის. და თუკი ჟურნალისტებს სურთ თავიანთი თემების გაჯანსაღება და შერიგება, ყველაფერი უნდა იღონონ, რომ ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებასა და შემწყნარებლობას, და არა შიშისა და უნდობლობის გაღვივებას განსხვავებული მიმართ.“⁵⁸

ეს სახელმძღვანელო ნამდვილად იმსახურებს ბოლომდე წაკითხვას, მაგრამ აქ შევარჩიეთ რამდენიმე სასარგებლო მინიშნება, რომლებიც საკუთარი (ან ჩვენი თემის) სტერეოტიპული და მიკერძოებული ხედვების აღიარებაში დაგვეხმარება:

- **სუბიექტები, და არა ობიექტები:** როდესაც ეთნიკური, სოციალური, რელიგიური ან სხვა უმცირესობის შესახებ წერთ, ინტერვიუ ჩაატარეთ ჯგუფების წარმომადგენლებთან და ჩამოაყალიბეთ მათი შეხედულებები. მითითებულია თქვენს რეპორტაჟში, რა სამუშაოს ასრულებენ ისინი, ან რა კვალიფიკაცია აქვთ? პირდაპირ ახდენს თქვენი რესპონდენტი მათ ციტირებას, თუ საკუთარი სიტყვებით? მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ნებისმიერი ჯგუფის წარმომადგენელი მრავალწახნაგოვანი პიროვნებაა, თავისი ინდივიდუალური აზრებითა და შეხედულებებით, და არა უბრალოდ ერთგანზომილებიანი კვლევის ობიექტი;
- **ფრთხილად მიუდექით განზოგადებას:** ზოგიერთი წევრის მოქმედება ან ქცევა მთელი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი? შეეცადეთ, რთული სოციალური საკითხები არ წარმოადგინოთ შავ-თეთრ ფერებში. ნუ განიხილავთ მიგრანტებსა და უმცირესობებს ადამიანთა ერთგვაროვან ერთობად, განსაკუთრებით, ქცევისა და ღირებულებების კუთხით. ცხოვრება არასოდეს არის ასე მარტივი;
- **იყავით სკეპტიკური:** არიან კი ჯგუფის ჭეშმარიტი წარმომადგენლები ადამიანები, რომლებიც ამ ჯგუფის სახელით საუბრობენ? მაგალითად, თუ ისინი კაცები არიან, შეიძლება, იმედი გქონდეთ, რომ მათ ესმით ქალების და მათი სახელით ისაუბრებენ, ან პირიქით? (იხ. *მომდევნო განყოფილება გენდერი და მიგრაცია*);
- **დაუპირისპირდით სტერეოტიპებს:** ეჭვქვეშ დააყენეთ სტერეოტიპული იდეები და წარმოდგენები. ეს ჩვენი სამუშაოს ნაწილია, განსაკუთრებით, იმიტომ, რომ ბევრი წარმოდგენა/აღქმა სწორედ სტერეოტიპებზეა დაფუძნებული, და არა ფაქტებზე;
- **ენის გამოყენება:** ჩვენი ზრახვების მიუხედავად, თუ უდიერად გამოვიყენებთ სიტყვებს, შეიძლება (უნებლიეთ) გავაძლიეროთ ეთნიკური და სოციალური დაძაბულობა. ფრაზები: „როგორც ყველა-სთვის ცნობილია“, ან „ცხადია, რომ“, ხშირად შეიძლება გამოყენებული იყოს ჟურნალისტის ან მისი სოციალური ჯგუფის სტერეოტიპული მოსაზრებების გამოსახატავად;
- **იპოვეთ ახალი მოსაზრებები:** გაატარეთ დრო ადამიანებთან, რათა გაიგოთ, როგორია სინამდვილეში მათი ცხოვრება. მათი ყოფის მრავალი ასპექტის გაგება რეპორტაჟის ახალი რაკურსების დანახვაში დაგეხმარებათ, რომლებსაც შეუძლია, სიღრმე და ელფერი შემატოს თქვენ მიერ გადმოცემულ ამბავს.

58 [http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20\[EN\].pdf](http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20[EN].pdf)

სასწავლო მაგალითი: გაქცევის დღიურები

ეს სასწავლო მაგალითი გამოიყენეთ ნიმუშად, თუ:

- როგორ შეუძლია ახალი ამბების მრავალფეროვან რედაქციას, ხელი შეუწყოს ამბის უკეთეს თხრობას;
- როგორ გამოვიყენოთ პირადი გამოცდილება და ახლო კავშირები.

გაქცევის დღიურები – არენ მელიქიანის სტატია – 2020 წლის 6 აპრილი:

- ინგლისურად: <https-www-evnreport-com-raw-unfiltered-diaries-of-escape-1>
- სომხურად: [ps://www.evnreport.com/%D5%B0%D5%A1%D5%B5%D5%A5%D6%80%D5%A5%D5%B6/](https://www.evnreport.com/%D5%B0%D5%A1%D5%B5%D5%A5%D6%80%D5%A5%D5%B6/)

ზემოთ მოცემულ სტატიაში ავტორი უჩვეულო ნაბიჯს დგამს – იგი იყენებს იმ ადამიანთა დღიურებს, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ სომხეთიდან, რათა შეისწავლოს მათი რთული პირადი მოტივაციები და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები. ავტორი იღებს გადაწყვეტილებას, საკუთარი თავი ჩართოს თხრობაში, სადაც გამოყენებულია ნაწყვეტები მისივე სტატიებიდან, ასევე, დედამისის დღიურიდან.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- რა შესაძლებლობები გაქვთ ჟურნალისტურ საქმიანობაში საკუთარი გამოცდილების გამოსაყენებლად, თუ საქმე ეხება ერთჯერად სამუშაოს, რომელმაც შეიძლება მიიღოს თემატური სტატიის ან „პოდკასტის“ ფორმა (რაც უფრო ინტიმური თხრობის საშუალებას იძლევა)?
- როგორ აგრძნობინებდით ადამიანებს, რომლებზეც წერთ, რომ მრავალწახნაგოვანი, კომპლექსური ინდივიდები არიან, ყველა ჩვენგანის მსგავსად?

ნახეთ სომეხი ჟურნალისტის, არენ მელიქიანის გამოსვლა, სადაც იგი საუბრობს ამ ისტორიის შექმნაზე: როგორ გაუადვილა მასალაზე მუშაობა ფაქტმა, რომ მის კოლეგებს მიგრაციის გამოცდილება ჰქონდათ.



https://www.youtube.com/watch?v=juXQyg_6SH8&list=PLXxzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdl&index=2

დასკვნა

მასმედიაში გაშუქებისას მრავალფეროვანი მოსაზრებების გაჟღერება და უკეთესი შეფასებები ამ მოსაზრებათა გადმოცემის ფორმების შესახებ ყველაზე უკეთ მაშინ მიიღწევა, როდესაც ახალი ამბების რედაქცია მონოკულტურული არ არის.

ახალი ამბების რედაქციაში:

- შეეცადეთ (სადაც შესაძლებელია), თქვენი გუნდის წევრები იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მიგრაციის საკითხებში მუშაობის გამოცდილება აქვთ, ან ჟურნალისტები, რომლებიც არიან მიგრანტები (ანდა წინაპრები ჰყავდათ მიგრანტები);
- იპოვეთ გზები, რომ თქვენს სამუშაოში ჩართოთ მიგრანტთა და უმცირესობათა თემები; ხელი შეუწყვეთ მათ უკავშირისა და ანგარიშების სხვა მექანიზმების გამოყენებაში;
- იფიქრეთ, როგორ შეუძლია თქვენი აუდიტორიის გაფართოება და, შესაბამისად, შემოსავლების გა-

ზრდა უმცირესობაზე ორიენტირებული ჟურნალისტური მასალის შექმნას; სხვა სიტყვებით, შეიძლება თუ არა, რომ **ციფრული ტრანსფორმაცია და მეტი მრავალფეროვნება ერთი მედლის ორი მხარე იყოს?**⁵⁹

თქვენ, როგორც ინდივიდი, შეიძლება არ იყოთ პასუხისმგებელი ორგანიზაციაში პერსონალის დაქირავებაზე, მაგრამ შეგიძლიათ, კონკრეტული ნაბიჯები გადადგათ უფრო მრავალფეროვანი მოსაზრებების (ხმების) გასაჟღერებლად, ასევე, განიხილოთ შემდეგი საკითხები:

- არაფორმალური ინტერვიუს მოთხოვნა მიგრანტთა თემის წარმომადგენლებთან, რომლებიც შეიძლება თქვენი მასალის სუბიექტები იყვნენ;
- სთხოვით ვინმეს ამ თემიდან, გადახედოს თქვენს ნამუშევარს, ან მასზე თქვენთან ერთად იმუშაოს.

ნავიგაციის ჩანართი

- **მრავალფეროვნებისა და მედიის საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ განყოფილება მრავალფეროვნება და უმცირესობები, თავი 11: მექანიზმები და რესურსები;**
- **დამატებითი ინფორმაცია, თუ რისი გაცემა შეუძლია ახალი ამბების რედაქციას მრავალფეროვნებისა და მიგრაციის გაშუქების გასაუმჯობესებლად, იხილეთ მე-10 თავში: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება.**



ამბის მიღება (სწორად): გენდერი და მიგრაცია

გენდერული ასპექტი ყველა ამბავშია, მაგრამ მიგრაციაში, ბევრი სხვა სფეროს მსგავსად, ძალიან ხშირად არის უგულებელყოფილი. მამაკაც და ქალ მიგრანტთა მიმართ განსხვავებულმა მოპყრობამ შესაძლოა წარმოშვას უთანასწორობა ჯანმრთელობის დაცვაში, დიფერენცირებული წვდომა თავშესაფარსა ან მოქალაქეობაზე, ან განსხვავება ინტეგრაციის ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში, თუმცა ეს განსხვავებები ხშირად არსად აისახება.⁶⁰

მაგალითად, ქალთა მიგრაციის გაშუქებისას მეტი ყურადღება ეთმობათ ტრეფიკინგის მსხვერპლთ, ან შინამოსამსახურებს, ხოლო კაცებს გაშუქებისას „ცრუ“ თავშესაფრის მაძიებლებად ან, ძირითადად, შრომით მიგრანტებად წარმოადგენენ.

დაკარგული ხმები

ევროპის ჟურნალისტთა ობსერვატორიის კვლევა **მიგრაციის გაშუქება ევროპის მასმედიაში** (2020), ასევე, სხვა კვლევები, უჩვენებს, რომ მიგრაციის გაშუქებისას კაცი მიგრანტები და ლტოლვილები უფრო ჭარბად არიან წარმოდგენილნი (ასევე, არასრულწლოვნებიც), ზრდასრულ ქალებთან შედარებით.

ასეთი ტენდენცია უფრო დეტალური გაშუქების საშუალებას აღარ იძლევა და შეიძლება საზიანო და მცდარი სტერეოტიპები გაამწვავოს. ჩვენ, როგორც ინდივიდუალურ ჟურნალისტებს, შეგვიძლია, წინააღმდეგობა გავუწიოთ მსგავს ტენდენციას საკუთარ რეპორტაჟებში, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, აღნიშნული პრობლემა განვიხილოთ კოლეგებთან და სხვა ფორუმებზე, სადაც ამისი საშუალება იქნება.

59 <https://www.media-diversity.org/digital-transformation-and-media-diversity-two-sides-of-the-same-coin/>

60 <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14680777.2018.1532142>

ექსპერტთა მოსაზრებები (ხმები)

ქალები ასევე არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი ჟურნალისტიკაში და ექსპერტთა შორის, რომლებსაც ჟურნალისტები კომენტარებს სთხოვენ (იხ. თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები). მაგალითად, მოხსენებაში ქალ წარმომადგენელთა ნაკლებობა ახალ ამბებში კოვიდ-19-ის შესახებ მითითებულია, რომ „კოვიდ-19“-ზე მასალებში ქალ ექსპერტთა ხმა „უკიდურესად მარგინალიზებულია“ (5-დან მხოლოდ 1-ია ქალი). ეს შემამფოთებელი ტენდენცია ასევე ეხება თემებს, რომლებიც მიგრაციას უკავშირდება.

გენდერის როლი ახალი ამბების რედაქციებში

გენდერული თვალსაზრისით ფარული ან ამკარა მიკერძოების შედეგად, შესაძლოა, კაცმა ჟურნალისტებმა დაიწყონ ე.წ. „მაჩო“ საკითხებთან დაკავშირებული როლების შესრულება (მაგ.: უსაფრთხოება და ტერორიზმი), ხოლო ქალებს მოსთხოვონ „ზრუნვის“ სფეროს პრობლემების გაშუქება (მაგ.: როგორიცაა, სოციალური საკითხები, ინტეგრაცია და ოჯახური მიგრაცია) (იხ. თავი 2: რა ტიპის ჟურნალისტი ხართ თქვენ?). ლეგიტიმურია, დაისვას შეკითხვა, როგორ უნარებისა და გამოცდილების საფუძველზე განაწილდა, თუ მიკერძოებული ვარაუდების შესაბამისად?

დასკვნა

გენდერულად მგრძნობიარე მიგრაციის გაშუქება არ ნიშნავს უკეთეს რეპორტაჟებს ქალთა შესახებ. ეს გულისხმობს აღიარებას, რომ:

- ქალი და კაცი სხვადასხვა ჩარჩოებში არიან წარმოდგენილნი;
 - ზოგ კონტექსტში ქალი ან კაცი შეიძლება გამოირიცხებოდეს, როგორც ინფორმაციის სანდო წყარო, ან ექსპერტი;
 - ქალისა და კაცის ქცევის ან მოტივაციის შესახებ ვარაუდებმა შეიძლება სტერეოტიპები წარმოშვას.
- საჭიროა ასეთი ტენდენციების ეჭვქვეშ დაყენება, მათზე დავა და, საჭიროებისას, მათი დაძლევა.

ნავიგაციის ჩანართი

- გზამკვლევი ახალი ამბების რედაქციებში მრავალფეროვნების განმტკიცების შესახებ იხილეთ მე-10 თავში: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება;
- გზამკვლევი ექსპერტთა გამოყენების შესახებ იხილეთ მე-8 თავში: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები;
- დამატებითი წყაროები გენდერისა და მედიის შესახებ იხილეთ განყოფილებაში გენდერი და მედია, თავი 11: მექანიზმები და რესურსები.

ამბის მიღება (სწორად): წყაროების განვითარება და დაცვა

ნებისმიერი ჟურნალისტის საქმიანობა კარგია იმდენად, რამდენად კარგიც არის მისი ინფორმაციის წყარო. მაგრაციის ამბის კარგად გაშუქებისთვის, თქვენ გჭირდებათ:

- წყაროების „დამუშავება“ შესაბამის თემებში. მოიძიეთ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, შეგატყობინონ თავიანთი თემების პრობლემები;
- დაამყარეთ კარგი კონტაქტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, ან მათ წარმოადგენენ: შესაძლოა კარგი იდეები ჰქონდეთ ახალი წახნაგებისა და გაუმჟღავნებელი ისტორიებისთვის;

- ისეთი დიასპორის ან ჯგუფის გაშუქებისას, რომელთან ფიზიკური წვდომაც თქვენთვის შეუძლებელია, კონტაქტისთვის განიხილეთ „ჩატიკა“ და სხვა ონლაინ ფორუმის გამოყენება. როგორც ქვემოთ მოცემული მაგალითი გიჩვენებთ, თქვენსა და ამ ჯგუფებს შორის საკმარისი ნდობის დასამყარებლად დრო იქნება საჭირო. აღიჭურვით მოთმინებით და შეეცადეთ, საკმარისი დრო დაუთმოთ თავს;
- დამატებითი ყურადღება მიაქციეთ წყაროების დაცვას ქსელის პირობებში და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ კონფიდენციალობის საკითხებს სოციალურ ქსელებში შექმნილი კონტენტის გამოყენებისას;
- ასევე დაგჭირდებათ ოფიციალურ პირებთან მუშაობა ყველა დონეზე. და კვლავ: ისეთი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომ მზად იყვნენ ინფორმაციის გასაზიარებლად, რომელიც შესაძლოა საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყოს, დროს მოითხოვს, მაგრამ უკეთესი შედეგების მოტანა შეუძლია;
- ნუ ეძებთ „იდეალურ მიგრანტს“, უფრო ფართო ტენდენციით ან ისტორიით, რომლის გადაცემაც გსურთ. ამის ნაცვლად, მოუსმინეთ. ნუ იფიქრებთ იმაზე, თუ რისი დამატება შეუძლიათ მათ თქვენი ამბისთვის: მიუკერძოებლად მიუდევით თითოეულ ადამიანს, ვისთან საუბარიც გიწევთ, და იფიქრეთ, სად მიგიყვანთ ეს ისტორია.

ქვემოთ მოცემული რჩევები, ძირითადად, აღებულია შემდეგი წყაროებიდან:

- წყაროსთან მოპყრობის ძირითადი ეთიკური წესები, EIJN (2017);⁶¹
- რა უნდა იცოდეს ყოველმა ჟურნალისტმა ანონიმური წყაროს შესახებ, IJNET (2018);⁶²
- ვერიფიკაციის სახელმძღვანელო, ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრი (2014).⁶³

დამატებითი ინფორმაციისთვის გამოიყენეთ ეს წყაროები.

გამჭვირვალობა წყაროებთან:

- აუხსენით თქვენი ჟურნალისტიკური პროცესი და უთხარი, რატომ აშუქებთ მოცემულ ამბავს. ნუ დაუმალავთ თქვენს ჩანაფიქრს;
- წყაროსთან ერთად განიხილეთ, როგორ აპირებთ მის იდენტიფიცირებას ან მითითებას;
- ნუ მისცემთ დაპირებებს, რომლებსაც ვერ შეასრულებთ, მათ შორის, თქვენი ჟურნალისტური ნამუშევრის კონკრეტული ზემოქმედების ან შედეგის შესახებ.

დაცვა

- იზრუნეთ თქვენი წყაროს დასაცავად (მაგ.: დარწმუნდით, რომ გაცნობიერებული აქვს იმ სიტუაციის გამოქვეყნების შესაძლო შედეგები, რისთვისაც ინფორმაციას გაწვდით);
- წყაროს შეუძლია, თქვას, რომ მზად არის ჩასაწერად საუბრისთვის, რადგან სასოწარკვეთილია, ან ვერ ხედავს სხვა გამოსავალს სიტუაციიდან. ასეთი განცხადებების შემთხვევაშიც, აუცილებლად თავად უნდა შეაფასოთ სიტუაცია (თუ საჭიროა, კონსულტაცია მიიღოთ ექსპერტებისგან), წყაროსა და მის ახლობლებზე შესაძლო შედეგების გათვალისწინებით.

61 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/ethics-in-the-news/handling-sources>

62 <https://ijnnet.org/en/resource/what-every-journalist-should-know-about-anonymous-sources>

63 <http://verificationhandbook.com/>

ანონიმური წყაროები:

ანონიმურობის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის პირები, ვისთვისაც ეს საჭიროა: ინფორმანტები,⁶⁴ ბავშვები და მოწყვლადი ჯგუფები (მაგ.: ძალადობის ტრავმის მსხვერპლნი). პირის ნამდვილი სახელისა და იმიჯის გამოყენებას შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ხოლო გამოგონილი სახელის გამოყენებამ, ან სახელის გარეშე მოხსენიებამ, შესაძლებელია პირის დეჰუმანიზაცია გამოიწვიოს.

სიტუაციებში, სადაც პირი მოწყვლადია, იდენტიფიცირებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მას და მის გარემოცვას: მაგალითად, თავშესაფრის მინიჭების შემთხვევებში გამოქვეყნებულ სტატიებს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადებზე; მსგავსად, შრომითმა მიგრანტმა, რომელიც შრომის ცუდ პირობებზე საუბრობს, იდენტიფიცირებით შეიძლება სამუშაო დაკარგოს და მისი დეპორტაციაც მოხდეს.

არასოდეს დააყენოთ საფრთხის წინაშე ადამიანის სიცოცხლე. ჟურნალისტი ვალდებულია, არ დაუშვას პირის იდენტიფიცირება, თუ ამ უკანასკნელის სიცოცხლეს რისკი ემუქრება. ეს ვალდებულება ეფუძნება ორ პრინციპს: „არ ავნო“ და „გამოიჩინე ჰუმანურობა“. თუ პირის ანონიმურობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი ცხადი არ არის, მის მიღებამდე (შესაძლებლობის შემთხვევაში) გაიარეთ კონსულტაციები იმიგრაციის სფეროს და/ან თქვენი ორგანიზაციის იურისტებთან, ასევე, რედაქტორთან.

ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მომდევნო თავებში **ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს დამხმარე მექანიზმები ელექტრონული მედიისთვის:**

- თავშესაფრის ლიბმო: კანონის გაგება
- ინფორმაციის თავისუფლება და მონაცემთა დაცვა
- ახალი ამბების სიუჟეტების შემოქმედება

ინფორმირებული თანხმობა:

- დარწმუნებული ხართ, რომ ბოლომდე გესმით ინტერვიუს პირობები და რას ნიშნავს ჟურნალისტური იარაღიყები, როგორიცაა, „ეს ჩაწერისთვის არ არის“, „ასეთ ფონზე“, ან „ავტორის ხსენების გარეშე“?
- პოტენციურ წყაროს შეიძლება ძალიან ესიამოვნოს ჟურნალისტის მისვლა და დათანხმდეს ინტერვიუს, ან მისი სახელისა თუ გამოსახულების გამოყენებას ისე, რომ გააზრებული არ ჰქონდეს რისკები, რომლებიც შეიძლება შეექმნათ მას და მის ახლობლებს. მნიშვნელოვანია, პოტენციურ წყაროს დაეხმაროთ იმ საფრთხეების განსაზღვრაში, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგეს თქვენს სიუჟეტში ჩართვის გამო (მათ შორის, მიგრაციის სტატუსთან მიმართებით);
- უნდა შეაფასოთ წყაროს მოწყვლადობა, ასევე, მისი ინფორმაციის ღირებულება.

წინაპირობები:

წინასწარ იფიქრეთ, რა წინაპირობებს დათანხმდებოდით ინტერვიუს მისაღებად და როგორი იქნებოდა თქვენი რეაგირება. თუ ანონიმურობა გამართლებულია (იხ. ზემოთ), შეიძლება იფიქროთ პირობებზე, რომლებსაც შესთავაზებდით ან შეათანხმებდით კონტენტის წყაროსთან.

ცნობილი და გავლენიანი ფიგურების ან იმ მიგრანტების მოთხოვნებმა, რომლებთანაც გასაუბრებას დააპირებთ, შეიძლება ჩრდილი მიაყენოს თქვენს ჟურნალისტურ დამოუკიდებლობას. მიგრაციის გაშუქების კონტექსტში ამას შეიძლება დათანხმდეთ მოწყვლად ადამიანებთან ინტერვიუს დროს, როგორიცაა ტრავმის მსხვერპლი, ან თავშესაფრის მაძიებელი (იხ. თავი 7: **ინტერვიუ**). ზოგიერთ წყაროს შეიძლება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება მისცეთ თქვენ მიერ წარმოდგენილ კვლევასა ან მონაცემებზე (განსაკუთრებით, როცა ამ სფეროში გამოცდილება არ გაქვთ), მაგრამ არ შეპირდეთ, რომ რაიმე ცვლილებას შეიტანთ მასში (იხ. თავი 8: **როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები**).

64 <https://gijn.org/whistleblowing/>

ძალიან ნუ დაუახლოვდებით წყაროს: ზოგჯერ ჟურნალისტი შეცდომას უშვებს, როდესაც წყაროსთან ძალიან დაახლოებას ცდილობს, განსაკუთრებით, როცა თანაგრძნობას განიცდის პირის მიმართ, რომლისგანაც ინტერვიუს იღებს. საუკეთესო ამბის მისაღებად ნდობის გარემოს შექმნა აუცილებელია, მაგრამ ძალიან დაახლოებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თქვენს მიუკერძოებლობას და თქვენი საქმიანობის ეთიკურ საფუძველს. ანალოგიურად, ოფიციალურ წყაროებს (მთავრობას/არასამთავრობო ორგანიზაციებს) თავიანთი პროგრამა აქვთ. მათთან ურთიერთობის ჩამოყალიბება შეიძლება ფასდაუდებელი წყარო გახდეს ამბისა და ცოდნის განვითარებისთვის, მაგრამ მათი ნათქვამის შეუმოწმებლად გამოყენება ეთიკურ ნორმებს ეწინააღმდეგება და საფრთხეს უქმნის ახალი ამბების რედაქციის დამოუკიდებლობას.

დახარჯეთ თქვენი დრო!

დარტის ჟურნალისტიკისა და ტრავმის ცენტრში გამოსვლისას, დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა ჯეისონ პარკინსონმა⁶⁵ განაცხადა: „ყველაზე რთული საკითხი, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, არის ადამიანის ნდობის მოპოვება და დარწმუნება, რომ ისაუბროს კამერის წინ. ეს განსხვავდება სხვა სამუშაოსაგან, სადაც მხოლოდ კამერა უნდა დააყენოთ, დააჭიროთ ჩაწერის ღილაკი და მიიღოთ ფირი. ლტოლვილთა შესახებ ნებისმიერ რეპორტაჟზე მუშაობისას ჩემი დროის 80%-ს ვანდომებ ადამიანებთან საუბარს და ვუზიარებ ჩემს ნაწილს, რათა გაიგონ, რომ რასაც მათში ვხედავ უბრალო აუდიოფრაგმენტზე გაცილებით მეტია.“

სასწავლო მაგალითი: „ეს ცხოვრება არ არის“: აზერბაიჯანელ მიგრანტთა იმედგაცრუება პოლონეთში

გულარ აბასოვა მულტიმედიის ჟურნალისტია აზერბაიჯანიდან, რომელიც ფოკუსირებულია სოციალურ საკითხებზე, მიგრაციის ჩათვლით. 2019 წელს მან მონაწილეობა მიიღო ICMPD-ის მედიისთვის მიგრაციის სწავლების აკადემიის მუშაობაში („მომენტას“ პროექტის ფარგლებში). 2020 წლის მაისში „Open Caucasus Media“-მ გამოაქვეყნა გულარის სამთვიანი კვლევა პოლონეთში აზერბაიჯანელ შრომით მიგრანტთა სამუშაო პირობებისა და უფლებების შესახებ. ეს მასალა ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://oc-media.org/features/this-is-no-life-the-disillusionment-of-azerbaijani-migrants-in-poland/>

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში ვერ გაემგზავრა, მან მოახერხა, ეპოვა აზერბაიჯანელი შრომითი მიგრანტები, რომელთა ექსპლუატაციაც ხდებოდა, მოიპოვა მათი ნდობა და შემდგომ ინტერვიუებიც აიღო. ვიდეოჩანაწერში იგი საუბრობს თავისი გამოცდილებაზე: https://www.youtube.com/watch?v=w_EMOFV-wk&list=PLXzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdl&index=4

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- გამოიყენებდით თუ არა ამ ან მსგავს მეთოდებს თქვენი ქვეყნის დიასპორის გაშუქებისთვის?
- წყაროს ნდობის მოპოვებას შეიძლება უფრო დიდი დრო დასჭირდეს, როდესაც მასთან პირადად შეხვედრას ვერ ახერხებთ;
- შეკითხვების დასმამდე დარწმუნდით, რომ მაქსიმალურად იცით იმ ადამიანთა უფლებები, ვისაც ესაუბრებით, შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ერთად.

65 <https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>

რესურსები

Fathm: სოციალური მონიტორინგის გზამკვლევი – შემუშავებულია ჟურნალისტთა დასახმარებლად, თუ „როგორ უნდა გამოიყენონ სოციალური მედია და ციფრული პლატფორმები ეფექტიანად, ქმედითად და ეთიკურად, როგორც გაშუქების მექანიზმები“. ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს: როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მონიტორინგის სქემა; საზოგადოების ჩართვის საუკეთესო პრაქტიკა; მინიშნებები და მექანიზმები სოციალური პლატფორმებიდან მიღებული კონტენტის გადასამოწმებლად; და სოციალური მონიტორინგის მეშვეობით მიღებული ისტორიების ეფექტიანი პუბლიკაციის სტრატეგია.

ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://fathmtoolkit.netlify.app/>

ტომსონის ფონდი (Thomson Foundation): ახალი ამბების შეგროვება სოციალურ მედიაში – ეს მიმოხილვითი ონლაინ კურსი გაგაცნობთ კურსის ინსტრუქტორსა და მედიის ექსპერტებს, აგიხსნით სხვადასხვა სოციალური ქსელის პლატფორმათა გამოყენებას ახალი ამბების წყაროდ, და გიჩვენებთ, როგორ შეიძლება „გუგლის“ მოწინავე საძიებო სისტემით სარგებლობა ახალი ამბების შესაგროვებლად.

ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://thomsonfoundation.edcastcloud.com/learn/social-media-newsgathering-self-paced>

ამბის მიღება (სწორად): მიგრაცია და „კოვიდ-19“

„კოვიდ-19“-მა საზგასმით მიუთითა ხარისხიანი ეთიკური ჟურნალისტიკის საჭიროებაზე, რომელიც ადამიანებს აძლევს გადაწყვეტილების მიღების, ასევე, საკუთარი თავისა თუ თემის უსაფრთხოების დაცვის საშუალებას.

პანდემია მიგრაციის გაშუქებაზე მრავალგვარ ზემოქმედებას ახდენს:

მგზავრობის მარშრუტები და ეკონომიკა

- საერთაშორისო მგზავრობის შეზღუდვები და საზღვრის გაძლიერებული კონტროლი მნიშვნელოვნად ამოკლებს მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომ მარშრუტებს, როგორც ახალი მიმართულებების, ისე შინ დროებით თუ მუდმივად დაბრუნების ჩათვლით;
- ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი ხანგრძლივად იმოქმედებს მიგრაციის მასტიმულირებელ „ბიძგის მიმცემ“ და „მიმზიდველ“ ფაქტორებზე.

სტიგმა და დისკრიმინაცია

„მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ თანახმად, „კოვიდ-19“-ის პანდემიის განმავლობაში:

- მიგრანტთა და უმცირესობათა მიმართ გავრცელდა სტიგმა, რომ ისინი არიან დაავადებათა გადამტანები, ასევე, დეზინფორმაციის სამიზნეები სიძულვილის ენის კონტექსტში, სოციალურ მედიასა და ზოგიერთ ახალი ამბების საშუალებებში, **ანტისემიტური შეთქმულების თეორიების**,⁶⁶ **ისლამოფობიის**,⁶⁷ **აზიური თემების**⁶⁸ წინააღმდეგ დისკრიმინაციისა და ბოშათა წინააღმდეგ რასიზმის⁶⁹ ჩათვლით;
- კრიზისის დროს წახალისებულია დისკრიმინაციული ენა, რომელიც ხშირად ამოფარებულია სოლიდარობისა და ერთიანობის მოწოდებებს (იხ. შემდეგი განყოფილება: **დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა**)

66 <https://www.forbes.com/sites/rainerzitelmann/2020/03/23/the-corona-crisis-the-rothschilds-bill-gates-the-search-for-a-scapegoat-has-begun/?sh=29b8b1242283#3af194332283>

67 <https://fullfact.org/online/coronavirus-mosque-shut-lockdown/>

68 <https://www.media-diversity.org/the-aids-epidemic-stigmatized-black-communities-for-years-now-coronavirus-threatens-to-do-the-same-with-asian-communities/>

69 <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7348427/>

7 POINTS FOR COVERING A PANDEMIC

In all our work, we should adhere to the core principles of ethical journalism



1. STICK TO THE FACTS

Facts and solid data are key to accurate relevant reporting. Use verified, trusted and diverse sources such as the WHO, frontline responders such as health workers, hospitals, police. Check the date of data to ensure it is timely. Be transparent about methods of data collection. Correct misinformation with facts. Recognise that disinformation can generate hate speech and lead to harm.



2. PRACTISE ACCOUNTABILITY

Give context to government statistics and death tolls. Hold power to account. Be accountable to your audiences – interact with them, where possible answering their requests for information and providing resources. Avoid scaremongering. Recognise that Covid-19 disproportionately affects certain communities and individuals.



3. CHECK YOUR USE OF TERMINOLOGY

Familiarise yourself with medical and scientific terminology. Avoid misleading language and labelling, i.e. it is not appropriate to say victims have 'lost the battle', or that Covid-19 is 'the great leveller'.



4. SHOW HUMANITY

Share stories from people who have recovered from Covid-19 as well as stories of resilience and solidarity. Tell the human tales of victims and their families, with dignity. Be sensitive to the memories and emotion of the families of those who have been affected.



6. AVOID SOCIAL STIGMATISATION AND STEREOTYPING

Present the disease objectively and avoid emotive language. Encourage people to use available medical services. Avoid casting blame.



5. CHALLENGE HATE

Avoid ethnic or religious finger-pointing. Avoid racial, national profiling and labelling of the disease. Avoid gender stereotyping and the use of gendered language or other discriminatory language.



7. PRACTISE DUTY OF CARE

Journalism is essential, but not at the risk of your health and that of your sources. Managers should lead by example. Ensure you take appropriate measures to protect your physical and mental health, and mitigate risks to your sources. Recognise the need for sensitivity with those affected and where it is necessary to protect sources' confidentiality.



Ethical
Journalism
Network

www.ethicaljournalismnetwork.org
@EJNetwork

ჩვენ, ჟურნალისტები, წინ უნდა აღვუდგეთ მიგრანტთა და სხვა საზოგადოებათა შევიწროებას და ჩავერიოთ საზოგადოებრივ დისკურსში, რათა გამოვამჟღავნოთ „განტევების ვაცის“ ძეგლისა და დისკრიმინაციული რიტორიკის საფრთხე.

წყაროები:

- ეთიკური ჟურნალისტის ქსელი – შვიდპუნქტიანი გზამკვლევი პანდემიის გაშუქების შესახებ: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/7-points-for-covering-a-pandemic>
- GFMD – „კოვიდ-19“-ის გაშუქება – წყაროები და მექანიზმები <https://gfmd.info/reporting-on-covid-19-resources-and-tools/>
- MDI – სტატიების სერია „კოვიდ-19“-ის, მრავალფეროვნებისა და მიგრაციის შესახებ <https://www.media-diversity.org/tag/covid-19/>
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) სპეციალური გამოცემა „მიგრაციის პოლიტიკის პრაქტიკა – მიგრაცია და კოვიდ-19“: <https://gmdac.iom.int/migration-policy-practice-vol-x-number-2-april-june-2020>

ამბის მიღება (სწორად): დეზინფორმაცია და სიძულვილის ენა

დეზინფორმაცია და მიგრაცია

ვირუსული სიცრუე, რომელიც დეზინფორმაციას ავრცელებს მიგრაციისა და მიგრანტების შესახებ, სამწუხაროდ, საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული. ჩვენ, როგორც ჟურნალისტებმა, უნდა გავიაზროთ ცუდი ინფორმაციის გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხე, ონლაინ წყაროების ჩათვლით, როგორცაა მომხმარებლის მიერ შექმნილი კონტენტი ან სოციალური მედია.

ინტერნეტში ინფორმაციის გადასამოწმებლად უკვე მრავალი წყარო არსებობს, მათ შორისაა:

ევროპის საბჭო – რესურსები პროპაგანდის, დეზინფორმაციისა და ცრუ ინფორმაციის (fake news) პრობლემასთან ბრძოლის შესახებ:

<https://www.coe.int/en/web/campaign-free-to-speak-safe-to-learn/resources-on-dealing-with-propaganda-misinformation-and-fake-news>

ევროპის ჟურნალისტიკის ცენტრი – ვერიფიკაციის სახელმძღვანელო

ინგლისურად: <http://verificationhandbook.com/>

უკრაინულად: http://verificationhandbook.com/book_ua/

First Draft News – მონიტორინგი და ახალი ამბების შეგროვება: <https://firstdraftnews.org/training/monitoring-newsgathering/>

ვერიფიკაცია/გადამოწმება: <https://firstdraftnews.org/training/verification/>

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი – როდესაც ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს: როგორ გავავრცელოთ უფრო ეფექტიანად ინფორმაცია მიგრაციის ხარჯებისა და სარგებლის შესახებ: <https://www.migrationpolicy.org/research/when-facts-dont-matter-immigration>

ეს რესურსები არა მხოლოდ მცდარ მიდგომებს აგაცილებთ, არამედ დაგეხმარებათ გამოძიებაშიც, ასევე იმაში, რომ:

- გადაწყვიტოთ, რომელი მისტიფიკაციები უნდა გამოამჟღავნოთ და რომელს არ მიაქციოთ ყურადღება;
- გააუმჯობესოთ თქვენი აუდიტორიის მედიაგანათლება: კერძოდ, აჩვენოთ, როგორ ამოწმებდით ინფორმაციას და/ან უარყოფდით დეზინფორმაციას;
- პასუხი მოსთხოვოთ დამნაშავეებს დეზინფორმაციის გავრცელებაში.

სასწავლო მაგალითი 1: მიგრაციის შესახებ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის (fake news) გამოძიება

ცრუ ინფორმაციის მომავალი? – გერმანიაში „ლტოლვილთა დანაშაულის“ შეცდომაში შემყვანი რუკა გაჩაფულად და სოფისტიკურად ამახინჯებს რეალობას

თარიღი: 2017 წლის 27 თებერვალი

გამომცემელი: საგამოძიებო ჟურნალისტიკის ბიურო: <https://www.thebureauinvestigates.com/>

ავტორები: აბიგაილ ფილდინგი-სმითი და კროფტონ ბლეკი.

ბმული: <https://www.thebureauinvestigates.com/stories/2017-02-27/the-future-of-fake-news>

სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორ შეადგინა მასმედიის ძირითად საშუალებებში რუკამ „ლტოლვილთა და მიგრანტთა დანაშაულის შესახებ“, რომელიც სოციალურ ქსელში ანონიმურად შეიქმნა. პროფესიონალურად მომზადების მიუხედავად, მისი მეთოდოლოგიის ანალიზი უჩვენებს, რომ რუკას სისტემატურად შეჰყავს შეცდომაში აუდიტორია. სოციალურ მედიაში რუკის ევოლუციაზე მიდევნებით, სტატია უჩვენებს იმ პროფილთა პოლიტიკურ კუთვნილებას, რომლებმაც საკვანძო როლი შეასრულეს რუკის ცნობადობის ამაღლებაში, ასევე იმ ანგარიშების (Account) გაზრდაში, რომლებიც მხარს უჭერენ რასიზმისა და ქსენოფობიის „მემებსა“ და სხვა კონტენტს.

ეს კვლევა შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა მომზადდეს რეპორტაჟი მიგრაციასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის შესახებ. კერძოდ, იგი:

- უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მასმედიის ძირითად საშუალებებში განზრახ შეცდომაში შემყვანი და ცრუ ინფორმაციის ციტირება, რომელიც ონლაინში გავრცელებულია ჰიპერპარტიული, ნაციონალისტური ან რასისტული სოციალური მედიის ანგარიშებიდან;
- იკვლევს მოტივაციასა და კონტენტის შემქმნელთა ონლაინ კავშირებს; ამავდროულად, განმარტავს საინფორმაციო ეკოსისტემას, რომელშიც ის განვითარდა, სამართლებრივ და სოციალურ შედეგებთან ერთად;
- აუდიტორიას უხსნის, როგორ ჩატარდა გამოძიება; განუმარტავს მონაცემთა ანალიზის მეთოდოლოგიას, რომელიც კონტენტის შესაქმნელად გამოიყენება, და დასკვნებს, მათ შორის, ავტორთა მიერ ე.წ. ჰემთეგებისა და სხვა ონლაინმინიშნებების გამოყენების გზებს, რომლებიც საჭიროა სოციალური მედიის ანგარიშებს შორის კავშირების დასამყარებლად (იხ. თავი 9: მონაცემები და ანალიზი);
- იყენებს ექსპერტთა კომენტარებს, რათა უფრო ფართო სურათი შეიქმნას ინტერნეტში გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ (იხ. თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები).

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ ვირუსული სიცრუის ან მიზნობრივი დეზინფორმაციის იდენტიფიცირება, რომელიც ეხება თქვენი ქვეყნიდან მიგრაციას, ან საზღვარგარეთ მცხოვრებ თქვენი ქვეყნის მიგრანტებს?
- გაქვთ უნარები და რესურსები იმ სიცრუესა ან დეზინფორმაციაზე რეპორტაჟების მოსამზადებლად, რომლებიც შეეხება თქვენს ქვეყანაში მიგრაციას, ან თქვენი ქვეყნიდან გასულ მიგრანტებს? თუ არა, იფიქრეთ შემდგომ ტრენინგსა და/ან დაფინანსებაზე;
- როგორ შეგიძლიათ, გაუზიაროთ თქვენი ჟურნალისტური პროცესი – ვერიფიკაციის მეთოდები და მონაცემებთან მუშაობის მეთოდოლოგია – საკუთარ აუდიტორიას, რათა განამტკიცოთ ნდობა თქვენი ჟურნალისტიკის მიმართ (და, შესაძლოა, ამაღლოთ მათი ცოდნაც მასმედიის სფეროში)?

სასწავლო მაგალითი 2: შეთქმულების თეორიის გამჟღავნება მიგრაციისა და მასმედიის შესახებ

ძირითადი მასმედიის საშუალებები ამის შესახებ არაფერს გეტყვიან

თარიღი: 2020 წლის 12 ივნისი

გამომცემელი: „ატლანტიკა“ <https://www.theatlantic.com/world/>

ავტორი: ჰელენ ლევისი.

ბმული: <https://www.theatlantic.com/international/archive/2020/06/conspiracy-mainstream-media-trump-farage-journalism/612628/>

ეს სტატია შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა გაშუქდეს შეთქმულების თეორია მედიისა და ცრუ ინფორმაციის შესახებ, რომელიც მიგრაციის უკავშირდება. პუბლიკაცია საინტერესოა, რადგან:

- ამჟღავნებს გამოყენებულ პროპაგანდის მეთოდებს: „არაფერი შეიძლება იყოს იმდენად უიმედო, გაბერილი, ან არასაიმედო წყაროდან მიღებული, რომ შეუძლებელი გახდეს სკანდალის სახით წარმოჩენა, რომელიც წარმოსახვაში მასმედიის საშუალებათა ფართო შეთქმულებაზე მიანიშნებს, რაც თრგუნავს მას. სიუჟეტის სუსტი მხარე მის ძლიერ მხარედ იქცევა: მედიის სხვა საშუალებათა უარი შეიძლება ბოროტებად წარმოაჩინონ. მაყურებელს აცდუნებს დაპირება ფარულ ცოდნაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ მათ იციან, თუ რა ხდება სინამდვილეში“. ამის შესახებ თვით ქვესათაური მიუთითებს: „შეეცადეთ, გაყიდოთ დეზინფორმაცია. იყვირეთ – „შეთქმულებაა“ – მაშინ, როდესაც ამის შესახებ არავინ საუბრობს;
- უჩვენებს, თუ როგორ ახერხებენ დეზინფორმაციის გამავრცელებლები ტრადიციული ახალი ამბების გადაცემის იმიტაციას Youtube-ზე განთავსებული კონტენტის გამოძიებად „მონათვლით“ და ახალი ამბების გადაცემის მოდელების ათვისებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- არსებობენ პოლიტიკოსები ან სხვა პირები, რომლებიც სოციალურ მედიას მიმართავენ მასმედიის ძირითადი საშუალებებისთვის გვერდის ასავლელად და, ამავდროულად, დეზინფორმაციასა და შეთქმულების თეორიას იყენებენ თავიანთი არგუმენტებისთვის დამაჯერებლობის შესაძენად? თუ არსებობენ, შექდება და მჟღავნდება ეს ტაქტიკა და დგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი?
- არსებობს რაიმე ინდიკატორები, რომ სოციალური მედიის კონტენტი შეიძლება დეზინფორმაციას შეიცავდეს? თქვენს გარემოსა ან ქვეყანაში არსებობს რაიმე საერთო ფრაზები, სიტყვები და მონაცემთა წყაროები, რომლებიც დაუყოვნებლივ გაგიჩენთ ეჭვს?

სიძულვილის ენა და მიგრაცია

სიძულვილის ენა ხშირად გამოიყენება იმისთვის, რომ მიგრაცია იქცეს განხეთქილების საგნად ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფს შორის; ასევე, მიიღონ თანხმობა კონკრეტული პოლიტიკური კურსის განხორციელებაზე, რომელიც ახდენს მიგრანტთა დისკრიმინაციას ან, უარეს შემთხვევაში, ხელს უწყობს/იწვევს მათ მიმართ ძალადობას.

სიძულვილის ენის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს, თუმცა **გაეროს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სიძულვილის ენის წინააღმდეგ** მას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ურთიერთობის ნებისმიერი სახე, სიტყვით, წერილობით ან ქცევით, რომელიც თავს ესხმის ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს, ანდა მათ მიმართ იყენებს დამაკნინებელ თუ დისკრიმინაციულ ენას ვინაობის საფუძველზე, სხვა სიტყვებით – მათი რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, ეროვნების, რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, გენდერის ან იდენტობის სხვა ფაქტორთა საფუძველზე.“⁷⁰

70 <https://www.un.org/en/genocideprevention/documents/UN%20Strategy%20and%20Plan%20of%20Action%20on%20Hate%20Speech%2018%20June%20SYNOPSIS.pdf>

ქვემოთ ჟურნალისტებისთვის მოცემულია რჩევების რედაქტირებული ვერსია, რომლებიც ერთვის ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელის დოკუმენტს: **5-პუნქტიანი ტესტი სიძულვილის ენისთვის**.⁷¹

როგორ შეუძლიათ ჟურნალისტებს სიძულვილის ენის დადგენა? მსოფლიოში, სადაც მეფობს ცენზურა, პრესის თავისუფლების დარღვევა და პროპაგანდა, ჟურნალისტისთვის ძნელია განსაჯა, თუ რომელი რიტორიკაა მისაღები და რომელი – არა. დღემდე არ არსებობს სიძულვილის ენის საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო დეფინიცია, ხოლო მის მიმართ შემწყნარებლობის დონე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება.

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელის დოკუმენტი **5-პუნქტიანი ტესტი სიძულვილის ენისთვის** ჟურნალისტებს ეხმარება ამ დანაღმულ ველზე გავლასა და უფრო ფართო კონტექსტის გაგებაში, სადაც ადამიანები საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ. ჟურნალისტები ფოკუსირებულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ იმაზე, რა ითქვა, არამედ იმაზეც, თუ რა ივარაუდება. ეს არ უკავშირდება მხოლოდ კანონს, ან სოციალურად მისაღებ ქცევას; საკითხი დგას ასე: ისახავს თუ არა [სიძულვილის] ენა მიზნად სხვისთვის ზიანის მიყენებას (განსაკუთრებით, როდესაც გარდაუვალი ძალადობის საფრთხე არსებობს).

ჟურნალისტები და რედაქტორები უნდა შეჩერდნენ და გამოძებნონ დრო შეურაცხყოფელი და წამქეზებლური კონტენტის შესაძლო შემოქმედების შესაფასებლად.

5-პუნქტიანი ტესტი სიძულვილის ენისთვის ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და ფოკუსირებულია ახალი ამბების შეგროვების, მომზადებისა და გავრცელების საკითხებზე, რათა ხელი შეუწყოს იმის გაგებას, თუ რა ითქვა და ვის მიერ (ეთიკურ კონტექსტში).

1. სპიკერის (რესპონდენტის) სტატუსი

როგორ შეუძლია რესპონდენტის პოზიციას (თანამდებობას) ზეგავლენის მოხდენა მის მოტივებზე? უნდა მოვუსმინოთ მათ, თუ უბრალოდ უგულებელვყოთ?

2. ენის (ნათქვამის) წვდომის ფარგლები

რამდენად ფართოა ენის (ნათქვამის) დიაპაზონი?

არის აქ ქცევის მახასიათებელი (რამდენად ხშირად აძლევენ ისინი თავს საშიში ან წამქეზებლური ენის გამოყენების უფლებას)?

3. ენის მიზნები

რამდენად სასარგებლოა იგი სპიკერისა და მისი ინტერესებისთვის?

სხვისთვის ზიანის მიყენება წინასწარ არის განზრახული?

4. თვით კონტენტი

ენა სახიფათოა?

შეუძლია სხვების წინააღმდეგ ძალადობის გამოწვევა?

5. გარშემო არსებული ატმოსფერო: სოციალური, ეკონომიკური/პოლიტიკური

ვისზე შეიძლება იმოქმედოს უარყოფითად?

იყო წარსულში კონფლიქტის ან დისკრიმინაციის შემთხვევები?

სიძულვილის ენის ტესტი ინგლისურ, რუსულ და უკრაინულ ენებზე ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/hate-speech>

71 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/hate-speech>

HATE SPEECH

TURNING THE PAGE OF HATE:
A MEDIA CAMPAIGN FOR
TOLERANCE IN JOURNALISM

When it comes to hate speech, journalists and editors must pause and take the time to judge the **potential impact** of offensive, inflammatory content.

The following test, developed by the EJN and based on international standards, highlights questions in the **gathering, preparation** and **dissemination** of news and helps place what is said and who is saying it in an **ethical context**.

2 REACH
OF THE SPEECH

How far is the speech traveling?
Is there a **pattern** of behaviour?

5 SURROUNDING
CLIMATE
SOCIAL / ECONOMIC / POLITICAL

Who might be **negatively affected**?
Is there a history of **conflict** or **discrimination**?

3 GOALS
OF THE SPEECH

How does it benefit the **speaker** and their **interests**?
Is it **deliberately intended** to **cause harm** to others?

1 STATUS OF THE
SPEAKER

How might their **position** influence their **motives**?
Should they even be **listened to** or just **ignored**?

A
5 POINT
TEST
FOR
JOURNALISTS

4 THE CONTENT
ITSELF

Is the speech **dangerous**?
Could it incite **violence** towards others?

DON'T SENSATIONALISE!

AVOID THE **RUSH** TO PUBLISH

TAKE A **MOMENT OF REFLECTION**

EthicalJournalismNetwork.org

SHARE IT!

„ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი“ ჟურნალისტებს სთავაზობს, გამოიყენონ **კითხვარი შემწყნარებლობისთვის**.⁷²

1. როდესაც ამბავში გამოიყენება პოლიტიკური სიძულვილის ენა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის არ აქციონ სენსაციად. ტიპური ჟურნალისტი იკითხავდა:

- შეიძლება აღმაშფოთებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ღირს კი მისი გაშუქება ახალი ამბების გადაცემაში? რა განზრახვა აქვს ორატორს?
- რა ზემოქმედება ექნება გამოქვეყნებას?
- არსებობს გრძნობების გამწვავებისა და ძალადობის წაქეზების საფრთხე?
- ორატორის ნათქვამი ფაქტს ეფუძნება და შემოწმებულია?

2. ურთიერთსაპირისპირო მასალების შეგროვებისა და რედაქტირებისას, ჟურნალისტმა თავიდან უნდა აიცილოს ნაჩქარევი გამოქვეყნება. სასარგებლოა პაუზის გაკეთება, თუნდაც მოკლე ხნით, რათა იფიქროთ კონტენტზე:

- მოვახერხეთ კლიშეებისა და სტერეოტიპების თავიდან აცილება?
- დავსვით ყველა შესაბამისი და აუცილებელი შეკითხვა?
- ფაქტიზად მივუდევით ჩვენს აუდიტორიას?
- რამდენად ზომიერად გამოვიყენეთ ენა?
- მოგვითხრობენ ფოტოები ისტორიას ძალადობაზე მითითებისა და ვუაიერიზმის გარეშე?
- გამოვიყენეთ სხვადასხვა წყარო და გავითვალისწინეთ შესაბამისი უმცირესობების ხმა?
- პასუხობს იგი სარედაქციო და ეთიკის კოდექსის სტანდარტებს?

3. გამოქვეყნების/გაშუქების „ღილაკზე“ დაჭერამდე ყოველთვის კარგია საბოლოო გადამოწმება და გააზრება:

- კარგად შევასრულეთ სამუშაო?
- ხომ არ დავგრძელებ რაიმე არსებითი ეჭვები?
- და ბოლოს, ხომ არ უნდა ვთხოვო დახმარება კოლეგას?

72 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/hate-speech/a-checklist>

სასწავლო მაგალითი 1: მიგრანტთა მიმართ სიძულვილის ენისა და მათი საწინააღმდეგო პროპაგანდის გამოძიება

სიძულვილის წარმოება: „განტყევების ვაცი“, ლტოლვილები ევროპაში

თარიღი: 2016 წლის 14 დეკემბერი

გამომცემელი: News Deeply / The New Humanitarian: <https://www.thenewhumanitarian.org/>

ავტორი: დანიელ ჰოუდენი.

ბმული: <https://deeply.thenewhumanitarian.org/refugees/articles/2016/12/14/the-manufacture-of-hatred-scapegoating-refugees-in-central-europe>

ამ გამოძიებით „ფარდა აეხადა ლტოლვილთა წინააღმდეგ პროპაგანდის მანქანას, რომელმაც ქსენოფობია გააღვივა უნგრეთში, ხელი შეუშალა ევროკავშირის რეაგირებას ლტოლვილთა კრიზისზე და გავრცელდა ჩეხეთის რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ“. ეს საუკეთესო მაგალითია, როგორ უნდა აიხსნას სიძულვილის გაჩაღების დინამიკა და პოლიტიკური მოტივები, ასევე, მათი შედეგები საზოგადოების დამოკიდებულებასა თუ საზოგადოებრივ აზრზე.

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- თქვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა (როგორიცაა World Values Survey⁷³ ან Caucasus Barometer Survey⁷⁴) მოიცავს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს? თუ მოიცავს, შეიძლება მათი გამოყენება სტატისტიკის, რომელიც შეეხება მედიის როლს ამ აზრის ფორმირებაში? თუ არ შეიძლება, ხომ არ ითანამშრომლებდით ამ საკითხზე გამოკითხვის ან რაიმე სხვა კვლევით ჯგუფებთან?
- მედიაში ასეთი კრიტიკული გაშუქება სასურველად მიიჩნევა საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად? სხვა მედიასაშუალებათა მიერ ჩატარებული გამოძიება, ან თუნდაც გაშუქება, განიხილება ტაბუდ?
- რა როლის შესრულება შეუძლიათ მედიამონიტორინგის ჯგუფებს თქვენი სტატისტიკის საჭირო ინფორმაციის მოწოდებაში?

სიძულვილის დანაშაული – სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც, ჩვეულებრივ, უკავშირდება ძალადობას და მოტივირებულია სტერეოტიპული შეხედულებებით რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ან იდენტობასთან დაკავშირებული სხვა საფუძვლით. ეს საფუძვლები შეიძლება რეალურად მიესადაგებოდეს მსხვერპლს, ან ივარაუდებოდეს.

73 <http://www.worldvaluessurvey.org/wvs.jsp>

74 <https://caucasusbarometer.org/en/datasets/>

სასწავლო მაგალითი 2: სიძულვილის ენაზე ჩატარებული კვლევის გამოყენება

გერმანიაში სიძულვილის ენის ინტერნეტში გამოყენებას რეალური შედეგები მოსდევს.

თარიღი: 27 თებერვალი 2017 წელი;

გამომცემელი: „ეკონომისტი“: <https://www.economist.com/>

ბმული: <https://www.economist.com/graphic-detail/2018/01/12/in-germany-online-hate-speech-has-real-world-consequences>

სტატია ეხება საუნივერსიტეტო კვლევას, რომელიც უჩვენებს, რომ „ფეისბუქში“ ლტოლვილების საწინააღმდეგო რიტორიკა ფიზიკურ თავდასხმებს უკავშირდება. შემდეგ მოცემულია ქვეყნის ისტორიის უფრო ფართო კონტექსტი, ბოლო პერიოდის კანონები და დამოკიდებულება ძირითად ტექნოლოგიურ პლატფორმებთან.

ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა გაშუქდეს სიძულვილის ენის ან სხვა მონაცემების კვლევა: სტატია უჩვენებს, რამდენად შეიძლება ვენდოთ კვლევის შედეგებს და ხაზგასმით მიუთითებს მის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამის მისაღწევად, პუბლიკაციაში:

- გამოყენებულია მეთოდოლოგიური მიდგომის მდგრადობის ანალიზი (მაგ.: აღიარებს, რომ კორელაცია არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარანტია და მიუთითებს, სად შეეძლოთ მკვლევრებს სხვა ცვლადების გამორიცხვა);
- აღნიშნულია ყველაზე ძლიერი მიგნება – ის აღწერილია „კვამლიანი თოფის“ სახით;
- ხაზგასმით არის აღნიშნული მომენტები, სადაც მკვლევრის შეფასება, რომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის „ფეისბუქის“ პოსტებმა 13%-ით გაზარდა ლტოლვილთა მიმართ თავდასხმები, იყო ნაკლებად დასაბუთებული (წინასწარი შეფასება).

(იხ. თავი 9: მონაცემები და ანალიზი)

რა უნდა გავითვალისწინოთ:

- ვინ ატარებს კვლევებს ინტერნეტში სიძულვილის ენის ან დანაშაულის შესახებ თქვენს ქვეყანაში? იქნებ ღირდეს მათთან დაკავშირება? შეიძლება ისინი წყაროდ გამოგადგეთ მომავალი სტატიებისთვის, ან დაგეხმარონ უახლესი სამეცნიერო სტატიების განხილვაში, რათა მიაგნოთ საყურადღებო ტენდენციებსა და მონაცემებს (იხ. თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები);
- თუ ასეთი კვლევის მონაცემები არ გროვდება ან საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, შეიძლება თუ არა, თვითონ ეს საკითხი იქცეს ცალკე სიუჟეტის მასალად? (იხ. *Solutions Journalism*, სასწავლო მაგალითი, თავი 10: მიგრაციის გაშუქების გაძლიერება);

დასკვნა – ტოქსიკური ნაზავი.

სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია ხშირად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, რაც ართულებს მათზე რეაგირებას ჟურნალისტთა მხრიდან. ამ ორი ფენომენის ცვალებადი ბუნებისადმი სიფხიზლის გამოჩენით, საკუთარი სამუშაოს ღია თვითანალიზითა და ჟურნალისტიკის ღირებულებათა ერთგულებით, ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანის შესრულებას.

ნავიგაციის ჩანართი

- ამ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ: **მრავალფეროვნება და უმცირესობები, სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია და მიგრაცია, თავი 11: მექანიზმები და რესურსები.**



ამბის მიღება (სწორად): ფოტოგრაფია და გამოსახულებები

„მათი ამბავი (სიუჟეტი) არ მთავრდება ფოტოს გადაღების ადგილას. ამრიგად, ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვეძებოთ გამოსახულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ობიექტთა ღირსებას ფოტოს მიღმა“ ვაუნ ვალასე, „ალ ჯაზირას“ ყოფილი ფოტორედაქტორი.⁷⁵

გამოსახულებას/იმიჯს დიდი ძალა აქვს. სწორედ ამიტომ, **მიგრაციის საკითხთა მედიაში გაშუქების ეთიკური ქარტია**, რომელიც მითითებულია პირველ თავში, დეტალურად განიხილავს ამ საკითხს:

- დარწმუნდით, რომ გაქვთ ინფორმირებული თანხმობა პირისგან, რომლის იმიჯის გავრცელებასაც გეგმავთ. არასოდეს გადაუხადოთ ფოტოს ან ვიდეოჩანაწერისთვის;
- არასრულწლოვანს სურათს ან ვიდეოს უღებთ მხოლოდ მშობლის ან მეურვის თანხმობით, რომელიც ბავშვმა უნდა დაადასტუროს;
- ახალი ამბების რედაქციებს გამოსახულებები უნდა გადაეცეს კონკრეტული და ზუსტი წარწერებით, რათა აიცილონ გაუგებრობა, არასწორი ან ბოროტი გამოყენება;
- განსაკუთრებით ძლიერი, ზოგჯერ შოკისმომგვრელი გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციებს გვიჩვენებს, უნდა გამოქვეყნდეს/გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შექმნილია ახსნის, დარწმუნების ან უარყოფის მიზნით. ნურასოდეს გამოიყენებთ გამოსახულებას მხოლოდ სენსაციისთვის.

მიგრაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა **ტრეფიკინგი**, იძულებითი შრომა, ან ადამიანთა მასობრივი გადაადგილება, შეიძლება მდიდარი წყარო იყოს ძლიერმოქმედი, ხშირად წინააღმდეგობრივი გამოსახულებებისთვის. თუმცა, სიუჟეტის ილუსტრირების სურვილი უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსების უფლებას, შედეგებს, რომლებსაც ეს ილუსტრაცია მოუტანს მიგრანტსა და მის ოჯახს, ასევე, ფართო მოსაზრებებს სტერეოტიპების გაძლიერების ან მიგრანტთა გარკვეული ფორმით შეურაცხყოფის თვალსაზრისით (იხ. **წყაროების განვითარება და დაცვა**).

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა გადაღებისას, ჟურნალისტებმა ყველაფერი უნდა იღონონ უსაფრთხო და სანდო ატმოსფეროს შესაქმნელად (იხ. აგრეთვე: **ადამიანით ვაჭრობა და ადამიანთა უკანონო გადაყვანა**, თავი 5: **ამბები მიგრაციის შესახებ**; და **ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან**, თავი 7: **ინტერვიუ**)

გახსოვდეთ:

- ჟურნალისტიკა ძლიერდება თხრობისას შთამბეჭდავი ილუსტრაციების გამოყენებით, მაგრამ უკიდურესად მნიშვნელოვანია მედიის სიფრთხილე, რათა არ შექმნას ზედაპირული შთაბეჭდილებები, რომლებიც სტერეოტიპებს აძლიერებს;

75 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/ethics-in-the-news/refugee-images>

- კარგი ჟურნალისტიკა აამაღლებს ცნობიერებას მიგრაციის შესახებ, გამოსახულებებისა და გზავნილების (messages) მეშვეობით, რომლებიც ემსახურება შესაძლებლობათა გაფართოებას, და არა გამარტივებას.

უმნიშვნელოვანესი მინიშნებები:

- ნუ გამოიყენებთ ფოტოებს ან ვიდეოგამოსახულებებს, რომლებიც ემსახურება სენსაციურობას, უზურპაციას, ან ვუაიერიზმს;
- ყოველთვის ითხოვეთ ნებართვა ადამიანთა ფოტო/ვიდეო გადაღებისთვის, თუმცა საზოგადოებრივ ადგილებზე ეს შეიძლება არ მოითხოვებოდეს კანონით. თუ შესაძლებელია, წინასწარ მოითხოვეთ წერილობითი თანხმობა;
- მინიშნებები გამოსახულებებისა და ადამიანით ვაჭრობის შესახებ იხილეთ განყოფილებაში *ადამინით ვაჭრობა და ადამიანთა უკანონო გადაყვანა*, თავი 5: *ამბები მიგრაციის შესახებ*.
- ნუ შეარჩევთ ფოტოებს თქვენი აუდიტორიის მოლოდინების მიხედვით, შეარჩიეთ და გადაიღეთ ფოტოები, რომლებიც ასახავენ რეალობას და, ასევე, ზოგად სურათს.
- არასოდეს შეცვალოთ (გადააკეთოთ) გამოსახულება მასში ელემენტების დამატებით ან გამოკლებით, რასაც შეუძლია, შეცდომაში შეიყვანოს აუდიტორია (მაგ.: შესაბამისი სეგმენტების დაშლით, ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით – ისეთი სეგმენტების დასამატებლად, რომლებიც ორიგინალში არ იყო).

ეს განყოფილება ემსახურება „ფოტოჟურნალისტიკის სახელმძღვანელო პრინციპების“ ადაპტაციას, რომლებიც მოცემულია გამოცემაში „მედია და ადამიანთა ვაჭრობა, სახელმძღვანელო პრინციპები“ (ICMPD, 2017).⁷⁶

სასწავლო მაგალითი: გამოსახულება და ჩვენება

თორნიკე კოპლატაძე ქართველი რეჟისორია, რომელიც ამჟამად მუშაობს თბილისში. ვნახოთ, რას ყვება იგი საკუთარ მიდგომებზე უმცირესობათა და მიგრანტთა გადაღების მიმართ.



https://www.youtube.com/watch?v=sgVKg85qpW0&list=PLXxzWkiXihue7dRH3_QceqpkBGJL-gQdl&index=10

76 https://www.icmpd.org/fileadmin/user_upload/Media_and_THB_Guidelines_EN_WEB.pdf

წყაროები

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი (EJN) – „ლტოლვილთა გამოსახულებები – ეთიკა სურათზე“, მისია პეკელი და მაუდ ფონ დე რეიტი:

<https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/ethics-in-the-news/refugee-images>

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელი (GIJN) – „საგამოძიებო ფოტოგრაფია: ამბის გამყარება გამოსახულებით“:

<https://gijn.org/2013/07/15/investigative-photography-supporting-a-story-with-pictures/>

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი (MDI) – „ერთი სურათი 1000 სიტყვას უდრის“ („A Picture Is Worth 1,000 Words“): როგორ აყალიბებს მასის ფოტოგრაფია არაქვეცნობიერ სტერეოტიპებს:

<https://www.media-diversity.org/a-picture-is-worth-1000-words-how-stock-photography-shapes-unconscious-bias/>

კურსები

ტომსონის ფონდი/ეთიკური ფოტოგრაფიის ცენტრი – ფოტოგრაფიის ეთიკის ინსტრუმენტები:

<https://thomsonfoundation.edcastcloud.com/learn/the-photographer-s-ethical-toolkit-self-paced-6636>

ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (FRA) – ჟურნალისტთა დამხმარე მექანიზმები:

<https://e-learning.fra.europa.eu/course/view.php?id=13>

დასკვნა

ამბის თხრობა ყოველთვის შეიძლება სხვადასხვა საშუალებით: ზოგჯერ გვერდზე უნდა გადავდოთ ტელეფონები და ჩამწერები და მოვუსმინოთ მოსაუბრეს, ზოგჯერ კი ჩვენ მიერ გამოყენებული ტექნოლოგიების ფორმები თხრობის ძირითად ელემენტად ვაქციეთ. ყველაზე მნიშვნელოვანია შთაგონების მიღება ადამიანებისგან, რომლებიც რაღაცას განსხვავებულად აკეთებენ, და მუდმივი დაკვირვება იმაზე, ღირს თუ არა ძალისხმევის გაღება ახალი მიდგომისთვის.

თავი 7: ინტერვიუ

ეს თავი გამოიყენეთ, რათა:

- ისწავლოთ უფრო ეფექტიანი, შინაარსიანი და აქტიური ინტერვიუს ჩატარება;
- დეტალურად ჩაუღრმავდეთ ინტერვიუს სამ ტიპს:
- ინტერვიუ მიგრანტებთან
- ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან
- ინტერვიუ მასპინძელ თემებთან და სირთულეების დაძლევა

ნავიგაციის ჩანართი

მითითებები შემდეგ პირებთან ინტერვიუებისთვის: მეცნიერები, ანალიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, სამთავრობო დეპარტამენტები და სტატისტიკის ეროვნულ ორგანიზაციები, მთავრობათაშორისი ორგანიზაციები, და პროფკავშირები და ბიზნესასოციაციები, იხ. თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები.

შესავალი

მიგრაციის გაშუქებისას ინტერვიუ შეიძლება აიღოთ სხვადასხვა გარემოებაში, რომლებსაც სხვადასხვა სახის მომზადება, უნარები და მიდგომა სჭირდება. განიხილეთ მაგალითები:

- ინტერვიუ ცოცხალ ეთერში, პოლიტიკოსს ან ოფიციალურ პირთან, რომელიც მხარს უჭერს მიგრაციასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ პოლიტიკას;
- ელექტრონული ფოსტით მიმოწერა დაურეგისტრირებელ შრომით მიგრანტთან, რომელიც დაგთანხმდათ გასაუბრებაზე, ანონიმურობის დაცვის პირობით;
- „გზავნილის“ აპლიკაციის მეშვეობით საუბარი ინფორმანტთან, რომელიც აცხადებს, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულების თანახმად, ადგილობრივ საწარმოში მუშები ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან;
- პირისპირ ინტერვიუ თავშესაფრის მაძიებელთან, რომელიც იმ დროისათვის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადის;
- ონლაინ „ჩატში“ საუბარი საზოგადოების წევრებთან, რომლებსაც შესაძლოა მტკიცე შეხედულებები ჰქონდეთ მიგრაციის შესახებ.

ეს მაგალითები მოიცავს მრავალ წყაროს და გარემოებას და ჟურნალისტს სხვადასხვა სახის რისკსა და შესაძლებლობებს უქმნის. მნიშვნელოვანია, შეძლოთ საკუთარი მიდგომის ადაპტირება თითოეულ რესპონდენტსა და ურთიერთობასთან, იმის მიხედვით, ვინ არის თქვენი რესპონდენტი და რა საშუალებას იყენებთ ინტერვიუსთვის.

მაშინაც კი, როცა გგონიათ, რომ ამბავი სანდოა და მტკიცებულებით გამყარებული (შესაძლოა, დოკუმენტის ფორმითაც), მაინც გჭირდებათ სათანადო სიფხიზლის გამოჩენა (იხ. თავი 9: *მონაცემები და ანალიზი* და თავი 6: *ამბის მიღება (სწორად)*)

ინტერვიუ მიგრანტებთან

ჟურნალისტებს ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მაქსიმალურად გამჭვირვალე წყაროსთან (იხ. განყოფილება *წყაროების განვითარება და დაცვა*, თავი 6: *ამბის მიღება (სწორად)*)

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების გარდა, რომლებიც ინტერვიუს ეთიკურად წარმართვას უწყობს ხელს, მიგრანტებთან ინტერვიუსთვის შეიძლება საჭირო გახდეს უფრო კონკრეტული მითითებები. მათი გამოცდილება, [სამართლებრივი] მდგომარეობა და საზოგადოებაში აღქმის ფორმები შეიძლება თქვენი მხრიდან მეტ ყურადღებას მოითხოვდეს.

სპეციალური მიდგომა მიგრანტებისთვის, რომლებმაც ტრავმა გადაიტანეს, შეგიძლიათ ნახოთ განყოფილებაში *ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან*, თუმცა არსებობს გარკვეული ძირითადი წესები და სტანდარტები, რომლებიც ყველა მიგრანტის მიმართ გამოიყენება.

ძირითადი წესები

ყოველთვის მოიპოვეთ ინფორმირებული თანხმობა:

- აუხსენით გაშუქების პროცესი და რატომ არის „ამბავი“ მნიშვნელოვანი;
- განუმარტეთ, რისთვის გჭირდებათ ინტერვიუ და რა არის თქვენი ამბის მიზანი;
 - იკითხეთ: იყავით ბოლომდე გახსნილი თქვენს განზრახვასთან მიმართებით?
- იზრუნეთ მათ დასაცავად? მაგალითად, ახალგაზრდა ადამიანსა ან მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირთან საუბრისას, დარწმუნდით, რომ მათთვის ცნობილია პოტენციური შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს თქვენთვის გაზიარებული ინფორმაციის გამოქვეყნებას. აცნობეთ, ვინ იქნება თქვენი აუდიტორია და მოსალოდნელია თუ არა, რომ ეს ამბავი მათ მშობლიურ ქვეყანაშიც მოისმინონ?
 - გახსოვდეთ: ამბის გაზიარებისა და იდენტიფიცირების გამო, ზოგიერთი ლტოლვილის ოჯახი და მეგობრები, რომლებიც მის სამშობლოში იმყოფებიან, შეიძლება რისკის წინაშე აღმოჩნდნენ. ასევე შეიძლება, საზოგადოებისთვის ზოგიერთი დეტალის გამჟღავნებით, უნებლიეთ შეგავლენა იქონიოთ თავშესაფრის განაცხადის პროცესზე, რაც თავიდან უნდა აიცილოთ.
- თუ მიგრანტს არც მშობელი ჰყავს და არც მეურვე, ან კითხვა არ შეუძლია, შეგიძლიათ, დაეყრდნოთ საკუთარ შეგნებას და ეთიკურ განსჯას. ეს არის მომენტი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ ეთიკაზე მიუთითებს;
- დარწმუნებული ხართ, რომ მათ სრულად აქვთ გააზრებული თქვენი ინტერვიუს პირობები და რას გულისხმობთ ტერმინებში: „ეს არ იწერება“, „ფონური“, „წყაროზე მითითების გარეშე“ და სხვა?

(იხ. აგრეთვე *წყაროების განვითარება და დაცვა*, თავი 6: *ამბის მიღება (სწორად)*)

გახსოვდეთ მოწყვლადი მიგრანტები და იცოდეთ მათი უფლებები

- დაადგინეთ, ხომ არ არის ვინმე არასრულწლოვანი -18 წლამდე, ან თანხმობის ასაკს ქვემოთ. შეისწავლეთ იმ ქვეყნის კანონები, სადაც აქვეყნებთ თქვენს რეპორტაჟებს, რათა განსაზღვროთ, თუ რა პირობებში შეგიძლიათ ესაუბროთ ბავშვს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე;
- შეაფასეთ წყაროს მოწყვლადობა – განსაკუთრებით, ახალგაზრდების, ან იმ ადამიანების, რომლებიც ტრავმის ან ძალადობის მსხვერპლი არიან (იხ. განყოფილება **ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლ-თან**);
- დარწმუნდით, რომ ბავშვთან ინტერვიუ ტარდება უფლებამოსილი ზრდასრულის ან მეურვის თანადასწრებით. თუ ეჭვი გაქვთ, რომ ბავშვის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი პირი თვითონ აყენებს მას ზიანს, რეკომენდაციისთვის მიმართეთ ბავშვთა უფლებების დამცველ ეროვნულ ორგანოებს.

პატივი ეცით პირადი ცხოვრების უფლებას

- ყველას აქვს პირადი ცხოვრებისა და მის პატივისცემის უფლება, განსაკუთრებით, ბავშვებს;
- უკიდურესი გარემოებების გარდა, თავიდან აიცილეთ ხრიკების ან სიცრუის გამოყენება;
- გახსოვდეთ ინტერვიუს გარემოს შესახებ: შექმენით სივრცე, სადაც რესპონდენტი კომფორტულად იგრძნობს თავს. ეს ხელს შეუწყობს მისი მხრიდან პერსონალური ინფორმაციის გაზიარებას.

გამოავლინეთ ჰუმანურობა

- მოახერხეთ, რომ რესპონდენტს ხელმეორედ არ განეცადა ტრავმა და მისთვის თავისუფალი სასაუბრო გარემო შეგექმნათ?
- იყავით ფოკუსირებული რესპონდენტის გამოცდილების დადებით ასპექტებზე და აუხსენით, რომ შეუძლია, გამოქვეყნებამდე შეამოწმოს, ხომ არ არის ფაქტობრივი შეცდომები თქვენს პუბლიკაციაში?
- დასვით ყველა შესაბამისი შეკითხვა და მიიღეთ პასუხები? იყავით ფრთხილი და დელიკატური და დაიცავით რესპონდენტის ინტერესები?

რესურსებში მითითებული საფუძვლების გარდა, მუდამ გახსოვდეთ გარკვეული პირობების შემოწმება – ინტერვიუმდე, ინტერვიუს დროს და მის შემდეგ:

ინტერვიუმდე:

- **იცოდეთ კანონი:** შეისწავლეთ ყველა იმ ქვეყნის მიგრაციის კანონმდებლობა, სადაც თქვენი მასალა გამოქვეყნდება, განსაკუთრებით, კანონები, რომლებიც მიგრანტთა უფლებებს იცავს. ეს გაამდიდრებს თქვენს ამბავს, დაგიცავთ სამართლებრივი საქმეებისგან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ცილისწამების საფუძველზე, და ქმნის გარანტიას, რომ არ ამახინჯებთ მიგრანტებთან დაკავშირებულ ფაქტებს;
- **იფიქრეთ თქვენს პოზიციაზე:** შეეცადეთ, საკუთარ თავს შეხედოთ მოსაუბრის თვალთ. როგორ შეიძლება, მათ აღიქვან თქვენი (სავარაუდო) ინტერესი ან პოზიცია? გაიაზრეთ, რა ძალაუფლება შეიძლება გქონდეთ მოსაუბრეზე, და შეეცადეთ, ინტერვიუმდე აღმოფხვრათ ძალთა დისბალანსი. ეს შეიძლება იყოს შეკითხვები ინტერვიუმდე, რომლებიც რესპონდენტს საშუალებას მისცემს, მიუთითოს, თუ სად სურს ინტერვიუს ჩატარება, ან შეიტანოს სხვა შესწორებები;
- **მიეცით საშუალება რესპონდენტს, შემოგთავაზოთ წესები:** შესაძლებლობის შემთხვევაში, წინასწარ ესაუბრეთ პროცესზე. აპირებთ ვიდეოს/სურათის გადაღებას? რამდენი ხანი დასჭირდება ამას? მისცემთ საშუალებას, მასალის გამოქვეყნებამდე შეამოწმოს, ხომ არ არის მასში ფაქტობრივი შეცდომები?
- **გააცანით თქვენი ადრინდელი ნამუშევრები,** რათა რესპონდენტს შეექმნას წარმოდგენა, თუ რა სახის ამბებსა და საკითხებს აშუქებთ თქვენ, ან თქვენი ორგანიზაცია;

- **გააცანით ორგანიზაციის პოლიტიკა და პრაქტიკა ინტერვიუს დაწყებამდე**, რათა რესპონდენტს უკეთესი წარმოდგენა ჰქონდეს თქვენი ორგანიზაციის სარედაქციო პროცესზე;
- **შეუთანხმეთ ადგილი**, სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს (შესაძლოა, მისსავე გარემოშიც). ეს რესპონდენტს დაეხმარება, რომ მორალურად მშვიდად იგრძნოს თავი, ხოლო თქვენ დაგეხმარებათ მისი პერსპექტივის გაგებაში;
- **გამოძებნეთ დრო**, რათა ინტერვიუს ჩაწერისას აჩქარება არ დაგჭირდეთ.

ინტერვიუს განმავლობაში

- განიხილეთ თქვენივე სტერეოტიპული შეხედულებები: ნუ ივარაუდებთ, იკითხეთ. ნუ აირიდებთ რთულ შეკითხვებს;
- შეხედეთ ყველაფერს საღად: რესპონდენტები, მიგრანტთა ჩათვლით, ზოგჯერ თავს ვალდებულია მიიჩნევენ, გითხრან ის, რისი მოსმენაც გსურთ (მათი აზრით), და არა ის, რაც სინამდვილეში აწუხებთ ან გამოსცადეს;
- უსმინეთ და დაელოდოთ: სიჩუმეს ნუ მოერიდებით (ცოცხალი ეთერის გარდა!), განსაკუთრებით, თუ ვინმეს ძალიან პირადულ ან დელიკატურ საკითხზე ესაუბრებით. გაჩუმდით და დაელოდეთ, ადროვნით, მისებურად მოგიყვით თავისი ამბავი;
- ნუ გამოხატავთ გაკვირვებას, ზიზღს ან სხვა რეაქციას რესპონდენტის ნათქვამზე, რადგან ეს შეიძლება შეფასებად/განსჯად ჩათვალოს;
- შეახსენეთ რესპონდენტს, რომ ვალდებული არ არის, თქვენს შეკითხვებს უპასუხოს, და რომ ნებისმიერ დროს შეუძლია ინტერვიუს დასრულება;
- არ დაგავიწყდეთ შეკითხვების დასმა, რომლებიც მისი ცხოვრების კონტექსტს გაგაცნობთ. მაგალითად, თუ ახალი მიგრანტია, ჰკითხეთ, როგორი იყო მისი ცხოვრება მიგრაციაში წასვლამდე? რის გაკეთებას აპირებს ახლა, ჩამოსვლის შემდეგ?
- დასვით შესაბამისი შეკითხვები: პატივი ეცით მოსაუბრის დროს და გაითვალისწინეთ მისი „შესაძლებლობების ფასი“, როდესაც გესაუბრებათ. ზოგჯერ თქვენი მოსაუბრე ვერ ხვდება, რა ფრაზების ან კომენტარების, ანდა რამდენის გაგება გსურთ მისგან; თუ ასე მოხდება, მოუყვით ცოტაოდენი რამ ჟურნალისტურ პროცესზე და დაუსვით შეკითხვები, რომლებიც განუმარტავს, თუ რა სახის ინფორმაცია გაინტერესებთ;
- ბოლოს ჰკითხეთ, თუ იცნობს სხვა ადამიანებს, რომლებსაც ინტერვიუს მიცემის სურვილი ექნებათ. დროთა განმავლობაში თემთან ურთიერთობების დამყარება საუკეთესო გზა იქნება მათზე რეპორტაჟების მოსამზადებლად.

ინტერვიუს შემდეგ:

- ითხოვეთ დახმარება: ეჭვის შემთხვევაში, მიმართეთ იურიდიულ ექსპერტს ან კოლეგებს, რომლებიც მიგრაციის გაშუქებაში უფრო გამოცდილნი არიან, რათა აგისხნან კანონები და მათგან მომდინარე შედეგები;
- საჭიროა შემდგომი კონტაქტი თქვენს მოსაუბრესთან და ამბის გაზიარება. აცნობეთ, როგორ შეუძლიათ მიაღწეონ თვალი თქვენი მასალის გამოქვეყნებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წყაროები, რომლებიც გამოყენებულია „საკონტროლო ფურცლის“ შედგენისას:

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი (EJN) – წყაროებთან მუშაობის ეთიკური საფუძვლები:

<https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/ethics-in-the-news/handling-sources>

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელი (GIJN) – ინტერვიუს ტექნიკის პერსპექტივები: საგამოძიებო რეპორტაჟები; ინტერვიუ ელექტრონული ფოსტით; ეთერში გაშვება; და მოწყვლადი ჯგუფები:

<https://gijn.org/perspectives-on-interviewing-techniques/>

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ცენტრი (ICMPD)/ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი (EJN) – მედია და ადამიანი ვაჭრობა, სახელმძღვანელო პრინციპები (2017):

<https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/media-trafficking-guidelines>

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი (MDI) – მრავალფეროვანი გაშუქების სახელმძღვანელო (2004):

[http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20\[EN\].pdf](http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20[EN].pdf)

ლივერპულის ჯონ მურის უნივერსიტეტი: „სახელმძღვანელო ჟურნალისტების, მკვლევრების, ხელოვანებისა და იმ პირებისთვის, რომელთაც სურთ ინფორმაციისა და ამბების მოძიება თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების შესახებ“: <https://www.ljmu.ac.uk/~media/files/ljmu/microsites/online-hub-for-asylum-seekers-and-refugees/updated-pdf-october/new-guide-for-journalists.pdf>

ინტერვიუ ტრავმის მსხვერპლთან

ეს სახელმძღვანელო პრინციპები არის წინა განყოფილებაში განხილული საკითხის (ინტერვიუ მიგრანტებთან) დამატება და უფრო ფართო კონტექსტი სახელმძღვანელოსი: [წყაროების განვითარება და დაცვა](#).

რა არის ტრავმა?

„ფართო გაგებით, ტრავმა არის ფსიქოლოგიური ზიანის გამომწვევი მოვლენა, ან კრიტიკული ინციდენტი, რომელიც შეიძლება აღვწეროთ, როგორც პირთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვლენა, რომელიც მოულოდნელია, სცდება ამ პირის ადამიანური გამოცდილების ჩვეულ დიაპაზონს და მოიცავს გარკვეული ფორმის დანაკარგს, ზიანს ან ზიანის საფრთხეს (რეალურს ან ნავარაუდევს).“

წყარო: ჟურნალისტიკისა და ტრავმის დარტის ცენტრი.⁷⁷

77 https://dartcenter.org/sites/default/files/DCE_JournoTraumaHandbook.pdf

გამოიყენეთ ეს განყოფილება ტრავმაგადატანილ პირთან ინტერვიუს მომზადებისას. მიგრაციის შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს: ადამიანით ვაჭრობის ან მონობის დანაშაულის მსხვერპლი; ლტოლვილი ან თავშესაფრის მაძიებელი, რომელმაც გადაიტანა ძალადობა ან შიში სამშობლოდან გამოქცევამდე, გადაადგილების მომენტში, თუ მის შემდეგ; ან ნებისმიერი მიგრანტი, რომელმაც გადაიტანა შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია.

ნუ დაზოგავთ დროს მოწყვლად ადამიანებთან საუბრისას. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის მსხვერპლთან მისვლა შეიძლება რთული იყოს და მას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ; თუმცა, ინტეგრირებულ თხრობაში ასეთი ისტორიების ჩართვა აუცილებელია, რათა ნათელი მოეფინოს ფარულ პროცესებს და ადამიანის უფლებათა დარღვევებს, გაფართოვდეს საზოგადოების ცნობიერება, მოხდეს პოლიტიკური დებატების სუბიექტთა ჰუმანიზაცია და წახალისდეს უკეთესი პოლიტიკური რეაგირება.

წყაროები:

მიღებული ტრავმით დაზარალებულ პირთან ინტერვიუს მიემართება ქვემოთ წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები, რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც ადაპტირებულია შემდეგი წყაროებიდან:

- **ადამიანით ვაჭრობის წყაროები: გაშუქების საუკეთესო პრაქტიკა**, მალია პოლიცერი და მარტა მენდოზა, *GIJN*; ⁷⁸
- **რჩევა ლტოლვილთან პატივისცემითა და თანაგრძნობით გასაუბრებისთვის**, შერი რიჩიარდი, *IJNET*; ⁷⁹
- **ტრავმა და ჟურნალისტიკა: სახელმძღვანელო ჟურნალისტების, რედაქტორებისა და მენეჯერებისთვის**, მარკ ბრაიენი, დარტის ჟურნალისტიკისა და ტრავმის ცენტრი; ⁸⁰
- **ლტოლვილთა საკითხების გაშუქება: მინიშნებები კრიზისის გასაშუქებლად**, დარტის ჟურნალისტიკისა და ტრავმის ცენტრი (2007); ⁸¹
- **ტრავმის გაშუქება – ტრენინგის სახელმძღვანელო**, აფრიკის სამშვიდობო რადიო (*Radio for Peacebuilding Africa*) (2011); ⁸²
- **მედია და ადამიანით ვაჭრობა – სახელმძღვანელო პრინციპები (ICMPD/EJN) (2017)**. ⁸³
- იმედი გვაქვს, რომ ამ დასკვნას და ზემოთ მოცემულ წყაროებს გამოიყენებთ ტრავმაზე ცოდნისა და აღქმის გასაძლიერებლად, რათა შეძლოთ საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესება სხვადასხვა გზით. კერძოდ, მათი მეშვეობით:
- უკეთეს და უფრო დელიკატურ შეკითხვებს დასვამთ;
- უკეთეს და უფრო დელიკატურ ჟურნალისტიკას განავითარებთ;
- უკეთეს ამბებზე/რეპორტაჟებზე იფიქრებთ.

დავიწყოთ უმნიშვნელოვანესი პრინციპებიდან:

არ ავნოთ (არ მიაყენოთ ზიანი):

- თითოეულ რესპონდენტს მოეპყარით ისე, თითქოს ზიანის მიყენების ალბათობა დიდია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება;
- ნუ ჩაატარებთ ინტერვიუს, რომელიც მის მდგომარეობას გააუარესებს მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში;

78 <https://gijn.org/human-trafficking-resources-best-practices-in-reporting/>

79 <https://ijn.net/en/story/advice-interviewing-refugees-respect-and-compassion>

80 https://dartcenter.org/sites/default/files/DCE_JournoTraumaHandbook.pdf

81 <https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>

82 http://www.sfcg.org/programmes/rfpa/pdf/2011-Covering_Trauma_Color_EN.pdf

83 https://www.icmpd.org/fileadmin/user_upload/Media_and_THB_Guidelines_EN_WEB.pdf

- ბავშვთან მუშაობისას აუცილებელია, გვახსოვდეს მისი საუკეთესო ინტერესები – თქვენ ქმედებები და გადაწყვეტილებები ბავშვის მიმართ პატივს სცემს თუ არა მის შეხედულებებს, კეთილდღეობას, უფლებებსა და განვითარებას.⁸⁴

პატივი ეცით ანონიმურობასა და კონფიდენციალობას:

- ანონიმურობის უფლებით უნდა ისარგებლონ მათ, ვისაც სჭირდება: რუტინულად ის არავის ენიჭება. როდესაც საქმე ადამიანით ვაჭრობას ეხება, მოწყვლადი ჯგუფის დაცვა ჟურნალისტიკისაგან მოითხოვს (იმის მიუხედავად, თვითონ მოითხოვენ ამას, თუ არა) ანონიმურობის დაცვას იმ პირისთვის, რომელიც დაექვემდებარა სასტიკ მოპყრობას, ან შეიძლება დამატებითი რისკის წინაშე აღმოჩნდეს ვინაობის გამჟღავნების შემთხვევაში;
- თუ თანახმა ხართ, რომ დაიცვათ რესპონდენტის ანონიმურობა, შეიძლება საკმარისი იყოს მისი ხელეების, სილუეტის, ან სხვა ელემენტის ჩვენება, რომლითაც პირის იდენტიფიცირება შეუძლებელი იქნება;
- არასოდეს გამოაქვეყნოთ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვების გამოსახულებები. თუ მსხვერპლს არ ჰყავს მშობლები და მეურვე, ან არ იცის წერა-კითხვა, მასზე პასუხისმგებელი ორგანო კი არაეთიკურია და ნდობას არ იმსახურებს, ჟურნალისტმა უნდა იხელმძღვანელოს საკუთარი სინდისისა და ეთიკური განსჯის შესაბამისად.

იყავით მზად:

- სათანადოდ შეარჩიეთ და მოამზადეთ თარჯიმნები, ფოტოგრაფები და ოპერატორები რესპონდენტთან შესახვედრად და დეტალურად განიხილეთ მათთან, გაამჟღავნებთ თუ არა რესპონდენტის ვინაობას;
- მზად იყავით გადაუდებელი ჩარევისთვის, თუ მსხვერპლი/დაზარალებული გეუბნებათ, რომ გარდაუვალი საფრთხე ემუქრება. ეს ნიშნავს, რომ უნდა იცოდეთ, რა რესურსები გაქვთ დასახმარებლად, და აცნობეთ მათ ამის შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ ტრავმას შეუძლია, ზემოქმედება იქონიოს მეხსიერებაზე, დაზარალებულმა შეიძლება:

- ზუსტად ვერ გითხრათ, რა შეემთხვა, და ვერ აგიხსნათ მოვლენა თანმიმდევრულად;
- მოვლენები სხვადასხვაგვარად და დროის სხვადასხვა მომენტისთვის გაიხსენოს;
- არ იცოდეს, რატომ ჰქონდა კონკრეტული რეაქცია ტრავმის მიღების პერიოდში, ან მოვლენის განვითარებისას;
- გამოტოვოს დეტალები, სირცხვილის/უხერხულობის გამო;
- თავი შეიკავოს იმ მოვლენაზე საუბრისგან, რომელმაც ხელი შეუწყო ტრავმის განვითარებას.

ამას დრო სჭირდება: ინტერვიუს განმავლობაში შეიძლება ვერ მიიღოთ სრულად ის ინფორმაცია, რომელსაც მოელოდით. თუ შესაძლებელია, თქვენი რესპონდენტისა და რეპორტაჟის სასარგებლოდ, შეეცადეთ, ინტერვიუს რამდენიმე სესია მოაწყოთ: მიეცით რესპონდენტს საშუალება, რომ მოგვიანებით გააგრძელოს. სიუჟეტისთვის მეტ ინფორმაციას მიიღებთ, თუ ტრავმირებულ ადამიანს მისცემთ დროს თქვენ მიმართ ნდობის ჩამოსაყალიბებლად.

ემპათია და პატივისცემა:

- ეს ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ რესპონდენტს, უპირველეს ყოვლისა, შეხედეთ როგორც პიროვნებას, და არა როგორც ლტოლვილს ან ტრეფიკინგის მსხვერპლს. მუშაობისას მის მიმართ განეწყვეთ თანაგრძნობითა და პატივისცემით, და არა ქედმაღლურად და მოწყალების გამცემის პოზიციით. ტრავმის გადატანა თავის კვალს ტოვებს. უთხარით მსხვერპლს, რაოდენ პატივს სცემთ მის მზაობას, რომ გაგიზიაროთ თავისი ისტორია;
- ნდობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს სიკეთე და გულმონწყალება.

84 <https://www.unicef.org/eca/media/ethical-guidelines>, <https://www.unicef.org/bih/en/reports/media-best-interests-child>

ტრავმის მსხვერპლთან ინტერვიუს დროს:

- ყველაფერი არის კონტროლქვეშ: დარწმუნდით, იცის თუ არა პირმა, რომ საუბრის შეწყვეტა ნებისმიერ დროს შეუძლია. იგი არ არის ვალდებული, უპასუხოს შეკითხვას, თუ ეს არ სურს;
- თვითიდენტიფიცირება: ჰკითხეთ, რომელ ტერმინს მიუსადაგებს საკუთარ თავს (მაგ.: ოჯახში ძალადობის, შრომითი ტრეფიკინგის, თუ ბავშვთა ტრეფიკინგის მსხვერპლი ან დაზარალებული) და იგივე ტერმინი გამოიყენეთ თქვენს სიუჟეტში;
- მიჰყევით მათ მაგალითს: მოუსმინეთ და პატივი ეცით რესპონდენტის სიტუაციას და მის მიერ რისკების აღქმას. ნუ აიძულებთ, ისაუბროს მისთვის არასასურველ თემებზე;
- ითხოვეთ ნებართვა მთელი პროცესის განმავლობაში: თუ მოგვიანებით უარს იტყვის, ნუ გამოიყენებთ ინტერვიუს (თუნდაც თავიდან თვითონ მოგცეთ). მაშინაც კი, როცა გაქვთ მათგან წინასწარი თანხმობა ფოტო/ვიდეო გადაღებაზე, გადაღების წინ კვლავ ჰკითხეთ ამის შესახებ;
- აუხსენით პროცესი – რას აკეთებთ და რატომ, მასალის გამოქვეყნების მოსალოდნელ შედეგებთან ერთად. უთხარი თქვენს რესპონდენტს, რომ გსურთ კონკრეტულ საკითხზე საუბარი, შემდეგ სთხოვეთ, რაც შეიძლება მეტი მოგიტხროთ ამ მოვლენის ან თემის შესახებ;⁸⁵
- ნუ დაიწყებთ რთული შეკითხვებით: სთხოვეთ ტრავმისგან დაზარალებულ პირს, მოგიტხროთ საკუთარი თავზე და შეეცადეთ, მიიღოთ ინფორმაცია მისი ცხოვრების შესახებ; მხოლოდ ამის შემდეგ დაუსვით შეკითხვები ყველაზე მწვავე მომენტებზე;
- ნუ დაუსვამთ ღია კითხვებს ზოგად მოვლენებთან დაკავშირებით: მაგალითად, „როგორ გრძნობთ თავს?“/„მომიყვები შენი ამბავი?“/„ვიცი, რასაც განიცდი ახლა“;
- პირდაპირ ეჭვქვეშ ნუ დააყენებთ მსხვერპლის მონათხრობს (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია), მაგრამ მოსთხოვეთ ახსნა, სადაც საჭირო და შესაფერისი იქნება;
- ყოველთვის გამოიყენეთ მსგავსი წინადადებები: „ეს მოხდა მაშინ, როდესაც დაბრუნდით თქვენს Y ქვეყანაში, ხოლო ახლა ერთად ვართ აქ, X ქვეყანაში“/„ძალიან ვწუხვარ თქვენი დანაკარგის გამო“/„ძალიან განვიცდი იმას, რისი გადატანაც მოგიხდათ“.

როგორ შევნიშნოთ რესპონდენტის ხელმეორედ ტრავმირება:

- შეეცადეთ, ამოიცნოთ იმ სიტუაციის ნიშნები, როდესაც თავს უსაფრთხოდ აღარ გრძნობენ (მაგ.: უყურებენ კარს, ან ათვალიერებენ ოთახს); თავიანთი ტრავმა აგონდებათ უარყოფითი კუთხით (ტირილი, სუნთქვის გახშირება, უმიზეზო წამოწითლება); და არიან სტრესის ქვეშ, ან „გათიშულნი“ (გარიყვა, რეაგირების არქონა).

ორიენტირის შეცვლა: თუ ამჩნევთ ხელახალი ტრავმირების ნიშნებს:

- დაიხიეთ უკან და ჰკითხეთ, რისი გაკეთება შეგიძლიათ, რომ თავი კვლავ უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნონ;
- არ შეწყვიტოთ საუბარი: გამოიყენოთ კითხვითი სიტყვები: სად, რა, როგორ: „შეგიძლიათ, მითხრათ, სად იმყოფებით? „შეგიძლიათ, აღწეროთ, როგორ გამოიყურება ოთახი?“ ასეთი სახის შეკითხვები უფრო დაგეხმარებათ, ვიდრე ზოგადი კითხვა (მაგ.: „კარგად ხართ?“).

რატომ ეს მიდგომა? „ტრავმას ადამიანი იღებს მისი ნებართვის გარეშე. პასუხისმგებელი ჟურნალისტი რეპორტაჟსა და სტატიებზე მუშაობის ყველა ეტაპზე უნდა დარწმუნდეს, რომ დაზარალებულმა ნებართვა მისცა ნებაყოფლობით. ინტერვიუს დროს არავინ უნდა იგრძნოს თავი დაშინებულად“⁸⁶ (წყარო: ტრავმის გაშუქება – ტრენინგის სახელმძღვანელო).

85 <https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>

86 http://www.sfcg.org/programmes/rfpa/pdf/2011-Covering_Trauma_Color_EN.pdf

ინტერვიუს შემდეგ:

- საჭიროა მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის **ვალიდაცია** გარეშე წყაროსთან, ზოგ შემთხვევაში – რესპონდენტთანაც. ინტერვიუს შემდეგ რესპონდენტისთვის მასალაზე გადახედვის საშუალების მიცემა, ასევე, გამოქვეყნებამდე ინტერვიუს კონტენტზე თანხმობის მიღება, ჟურნალისტიკაში იშვიათია, მაგრამ ამ სცენარში უნდა გაითვალისწინოთ;
- **სასარგებლოდ გამოიყენეთ მათი ამბავი.** თუ ვინმე გულუხვობას გამოიჩენს და გაგიზიარებთ თავის ისტორიას, გადმოცემით ის დეტალურად, საინტერესოდ და ინფორმატიულად. ეს ერთ-ერთი საშუალებაა პრობლემაზე საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, ნაბიჯის გადასადგმელად მისი გადაწყვეტიცენ.

დაწერა და რედაქტირება:

- **ნუ გაუკეთებთ შოკისმომგვრელ სათაურს:** ეს კარგს არაფერს მოუტანს არც მოვლენის აღწერას და არც მასში მონაწილე ადამიანებს. ამის ნაცვლად მიაგენით ამბავს და სათაურს, რომელიც ასახავს პიროვნების სირთულეს, მის გამოცდილებას, და უფრო ფართო კონტექსტს. შეეცადეთ, ფოკუსირდეთ ისეთ ასპექტებზე, რომლებითაც ეს ადამიანი სხვებისგან გამოირჩევა, და არა იმაზე, რომ იგი ერთ-ერთი მილიონობით პირს შორის, რომლებიც იტანჯებიან;
- **ფოკუსირდით გამოჯანმრთელებასა და მოლოდინებზე:** განიხილეთ, როგორ უნდა გაიაზრონ, რა მოხდა მათ თავს და რისი იმედი აქვთ. ასეთი სახის ისტორიები თქვენი აუდიტორიისთვის უფრო ღირებულია: ისინი არ ამწვავებს სტერეოტიპებს და მეტ პატივისცემას ბადებს იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა შესახებაც წერთ;
- **ფოკუსირდით** რესპონდენტის დადებით გამოცდილებაზე.

და ბოლოს, გაუფრთხილდით საკუთარ თავსა და კოლეგებს.

ჟურნალისტებმაც შეიძლება მიიღონ ტრავმა კრიზისული სიტუაციის გაშუქებისას. როგორც **2017 წლის კვლევა** უჩვენებს, მათაც ადგებათ „მორალური ზიანი“ – ანუ „ზიანი, რომელიც მიადგა პირის სინდისს ან მორალს იმის გამო, რომ შეესწრო ან ვერ აღკვეთა ქმედება, რომლითაც დაირღვა პირადი მორალური და ეთიკური ღირებულებები, ან ქცევის კოდექსი“.⁸⁷

მოწყვლად პირებთან ინტერვიუს აღების მაგალითი

- გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამსახურის (ARD) მიერ მომზადებული ეს დოკუმენტური ფილმი ეძღვნება თანამედროვე მონობას გერმანიაში. მასში საუბარია იძულებით შრომაზე, შინამეურნეობაში პირთა დაყმევებასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე. ჟურნალისტები ესაუბრებიან დაზარალებულებს, სოციალურ მუშაკებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიციას, რათა გამოძებნონ გზები გერმანიაში თანამედროვე მონობის აღსაკვეთად: <http://programm.ard.de/TV/Themenschwerpunkte/Politik/Aktuelle-Reportagen/Startseite/?sendung=28487337027833>

87 The Emotional Toll on Journalists Covering the Refugee Crisis, INSI (2017) <https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/research/files/Storm%20and%20Feinstein%20-%20Emotional%20Toll.pdf>

ინტერვიუ მასპინძელ თემებთან და გამკლავება სირთულეებთან

ძალიან ხშირად ჟურნალისტები ეძებენ იმ ისტორიის შესაბამის ციტატებს, რომელზეც მუშაობენ, ან აპირებენ მუშაობას. ჩვენთვის მარტივი ამბებისა და ისტორიების დაწერა უფრო იოლია, თუმცა ასეთი მიდგომა არ უწყობს ხელს კარგი ჟურნალისტის განვითარებას და არც აუდიტორიისთვის არის სასარგებლო და არც ჩვენი რესპონდენტებისთვის.

ამ განყოფილებაში გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს და ინტერვიუსთვის გამიზნულ კითხვებს. ისინი დაგეხმარებათ სირთულეების შესწავლაში, რომლებიც ახასიათებს ადგილსამყოფელი ქვეყნის საზოგადოების დამოკიდებულებას მიგრაციის მიმართ.

ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები ადაპტირებულია იმ 22 შეკითხვიდან, რომლებიც „ართულებს ნარატივს“. ისინი **Solutions Journalism Network**-მა გამოაქვეყნა და გირჩევთ, წაიკითხოთ აქ.⁸⁸

წინააღმდეგობის გაზრდა და ობიექტივის გაფართოვება:

- როგორ წყვეტთ, თუ რომელი ინფორმაციაა სანდო?
- რა არის ზედმეტად გამარტივებული ამ საკითხში?
- არის [მოწინააღმდეგე მხარის] პოზიციაში ელემენტი, რომელსაც ეთანხმებით?

დასვით შეკითხვები, რომლებიც ადამიანთა მოტივაციის გაგებაში დაგეხმარებათ:

- რატომ არის ეს მნიშვნელოვანი თქვენთვის?
- რა გამოცდილებამ ჩამოგიყალიბათ ასეთი შეხედულება?
- რა გინდათ, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გაიგოს თქვენზე?
- თქვენ რისი გაგება გსურთ მოწინააღმდეგე მხარეზე?
- რა ზეგავლენა იქონია ამან თქვენს ცხოვრებაზე?

მოისმინეთ მეტი და უკეთ:

- მეტი მითხარით ამის შესახებ;
- რას განიცდით, როდესაც ამ ამბავს ყვებით?
- საიდან მოდის ეს (გრძნობა, ემოცია, აკვიატება, უნდობლობა)?
- რა კითხვას არ გისვამთ არავინ?

გამოავლინეთ ადამიანები, რომლებსაც განსხვავებული შეხედულება აქვთ და შეეწინააღმდეგეთ სტერეოტიპულ მოსაზრებებს:

- იცით, რას ფიქრობს მეორე ჯგუფი თქვენზე?
- იცით, რა სურს მეორე ჯგუფს?
- რა იცით უკვე და რისი გაგება გსურთ მოწინააღმდეგე მხარის შესახებ?
- დაგვეხმარეთ ამ საკითხის გარკვევაში, რადგან ბევრი ადამიანი ამბობს, რომ (...)
- არის რაიმე უზუსტობა იმაში, რასაც მედია აშუქებს თქვენ შესახებ, ან სხვა ადამიანებზე, რომლებსაც თქვენნაირი შეხედულებები აქვთ?

88 https://s3.amazonaws.com/sjn-static/CTN_Interview_Qs.pdf

დასკვნა

ეს თავი უფრო მეტ მითითებას შეიცავს, ვიდრე სახელმძღვანელოს დანარჩენი ნაწილი. ვიმედოვნებთ, რომ არ შეიზღუდებით ჩვენი წინადადებებით, მეტი დამაჯერებლობით მოემზადებით ინტერვიუსთვის და საუკეთესო სიუჟეტებსაც მოამზადებთ. ეს ძალიან დიდი სფეროა, ამიტომ შევეცადეთ, მასში ჩაგვეერთო ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური რჩევები და წინადადებები. იმედი გვაქვს, რომ ამ თავს გამოიყენებთ ტრამპლინად დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოთ ინტერვიუს მეთოდები მთელ თქვენს საქმიანობაში, და არა მხოლოდ მიგრაციის კონტექსტში.

თავი 8:

როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- დაფიქრდეთ, როგორ შეიძლება ექსპერტული წყაროების უკეთ გამოყენება თქვენს საქმიანობაში;
- განიხილოთ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სხვადასხვა ექსპერტული წყაროს გამოყენებას:
- მეცნიერები
- ანალიტიკური ცენტრები
- ფონდები და არასამთავრობო ორგანიზაციები
- პოლიტიკოსები
- სამთავრობო დეპარტამენტები და ეროვნული სტატისტიკის ორგანიზაციები
- მთავრობათაშორისი ორგანიზაციები
- პროფკავშირები და ბიზნესასოციაციები

ნავიგაციის ჩანართი

- **იხ. თავი 7: ინტერვიუ, კონკრეტული რჩევები მიგრანტებისა და „მასპინძელი თემების“ წარმომადგენლებთან ინტერვიუსთვის;**
- **იხ. თავი 9: მონაცემთა ანალიზი, როგორ გამოვიყენოთ მონაცემები და კვლევები.**

შესავალი

მიგრაცია დიდი და რთული თემაა, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც კონკრეტულ პირებზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე: მისი თითოეული ელემენტის შესწავლა (მონაცემები, ეკონომიკური და პოლიტიკური განშტოებები, სამართლებრივი ასპექტები, სოციალური ზემოქმედება) შეიძლება მეცნიერებისთვის მთელი ცხოვრების ამოცანა გახდეს; ამიტომ გვჭირდება ექსპერტები, რომლებიც ამ რთულ ველზე ნავიგაციაში დაგვეხმარებიან. თუმცა, როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება ექსპერტის შერჩევაზე? როგორ ვიპოვოთ ისინი? და როგორ მივხვდეთ, შეიძლება თუ არა მათი ნდობა?

თქვენ, როგორც ჟურნალისტი, გადამწყვეტ როლს ასრულებთ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მიგრაციის შესახებ; ასევე, საკუთარი აუდიტორიისთვის განსაზღვრავთ, რომელი ექსპერტული ცოდნა აღიქმება უკეთ და რა სახის განსხვავებული მოსაზრებები იქნება წარმოდგენილი.

ამ განყოფილებაში გაეცნობით ზოგიერთი მთავარი ექსპერტის მოსაზრებებს საკითხებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, შეგხვდებათ მიგრაციის გაშუქებისას. ექსპერტები ხაზგასმით მიუთითებენ, თუ რისი შეთავაზება შეუძლიათ და რას მიიჩნევენ მათი კონკრეტული გამოცდილების გამოყენების ხარვეზად.

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ: ფაქტი, რომ **ინტერვიუ მიგრანტებთან** ცალკე თავშია განხილული, არ ნიშნავს, რომ ისინი თავადაც არ არიან ექსპერტები თავიანთი გამოცდილების საფუძველზე, ან მათი ჩვენები ნაკლებად სანდოა, ამ თავში მითითებული ჯგუფების ჩვენებებთან შედარებით.

როგორ გავარჩიოთ კარგი და ცუდი მტკიცებულება.

არ არსებობს მტკიცებულების რაიმე ერთიანი ფორმა, ან წყაროს ტიპი, რომელიც შეიძლება სხვებთან შედარებით უკეთესად მიიჩნეოდეს. ყოველ მათგანს თავისი უპირატესობა და ნაკლი აქვს, ხოლო მტკიცებულების სიზუსტე და საიმედოობა დამოკიდებულია პირებზე, რომლებიც ჩართულნი არიან მის შეგროვებაში, წარდგენასა და გაზიარებაში. წყაროების მიერ წარმოდგენილი ფაქტების შემოწმება-გადამოწმების პროცესები, ასევე, მიგრაციის შესახებ განცხადებები, ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება, გამომდინარე იმ კონკრეტული ინფორმაციიდან, რომელზეც მუშაობთ. საექვო მტკიცებულებებისგან დაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა მათი შემოწმება რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით.

მტკიცებულებათა განხილვისას შეგიძლიათ გამოიყენოთ მარტივი საკონტროლო კითხვარი:

- 1) სანდოა ის? წარმოშობის წყარო ისეთი პირია, ვინც იცის, რაზე საუბრობს? ხომ არ არსებობს რაიმე უტყუარი ფაქტორები, რომლებიც მის სიცრუეზე მიუთითებს?
- 2) ვალიდურია ის? მტკიცებულება ზომავს ან აფიქსირებს იმას, რასაც ვარაუდობს, და შეესაბამება რეალურ შედეგებს, რომელთა გადამოწმებაც შეიძლება?
- 3) რამდენად სანდოა იგი? ცხადია თუ არა, რომ მტკიცებულების განმსაზღვრელი პროცესის გამეორების შემთხვევაში, იმავე პასუხს მიიღებთ?

მტკიცებულებათა განხილვის ეს მარტივი მითითებები ადაპტირებულია სტატიიდან, სადაც აღწერილია, როგორ უნდა გაარკვიოთ, შეგიძლიათ თუ არა თქვენ მიერ გამოყენებულ „ექსპერტთა“ ნდობა. სტატია გამოქვეყნებულია გამოცემაში: *Scientific American* in late 2020.⁸⁹

მიუხედავად იმისა, რომ სტატია (რომელიც მთლიანად წაკითხვას იმსახურებს) „კოვიდ-19“-ის პანდემიას ეხება, მასში შემოთავაზებული რჩევები ეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებსაც (სხვა საკითხებთან ერთად):

- 1) რა სფერო უნდა იცოდეთ, რომ განსაზღვროთ, არის თუ არა ზუსტი „მტკიცებულება“, რომელზეც მუშაობთ (ეკონომიკას ეხება ის, დემოგრაფიას, პოლიტიკას, სოციოლოგიას, თუ სხვა რამეს?)
- 2) „მტკიცებულების“ წარმომდგენს აქვს კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაცია და სათანადო გამოცდილება? (ნუ მიაქცევთ ყურადღებას მათ საერთო სტატუსს – დაუსვით შეკითხვა კონკრეტულ ინფორმაციაზე ცოდნის შესახებ);
- 3) და ყველაზე მთავარი: არსებობს დამოუკიდებელი წყაროები, რომლებიც ეთანხმებიან წარმოდგენილ განაცხადს? ინფორმაციის წარმომდგენი ამას მრავალი ექსპერტის სახელით აკეთებს, თუ მხოლოდ ერთის? ჯვარედინად შეამოწმეთ განაცხადები და ნუ დაუჯერებთ მხოლოდ ერთ ექსპერტს, ენდეთ „ექსპერტებს“.

89 <https://blogs.scientificamerican.com/observations/which-experts-should-you-listen-to-during-the-pandemic/>

მეცნიერები

ბევრისთვის ეს ცნება ექსპერტის განსაზღვრებაა: ისინი სპეციალიზებულნი არიან კონკრეტული თემა-ბის კვლევაში, ამიტომ შეუძლიათ ღრმა ცოდნისა და აღქმის შეთავაზება. ავტორიტეტულ კვლევით დაწესებულებებთან ურთიერთობა მათ ეხმარება, რომ სანდოობა შესძინონ თქვენს ისტორიებს, ხოლო სამეცნიერო მონაცემების გამოყენება ხშირად მიუთითებს თქვენს მცდელობაზე, დეტალურად ჩაწვდომოდით საგანს, რომელზეც წერდით.

მეცნიერებთან მუშაობის დადებითი მხარეები:

მეცნიერები ჟურნალისტიკისთვის შესანიშნავი წყაროები არიან. მათ შეუძლიათ: დეტალური და სოლიდური ანალიზის მომზადება; დახმარება რთული ტექნიკური საკითხების გარკვევაში; საგნის შესახებ უფრო დეტალური პერსპექტივების წარმოდგენა; თქვენთვის სხვა ელემენტებსა და კონტენტზე მითითება, რომლებიც შესაძლოა ადრე არ გქონდათ განხილული.

მეცნიერებს ასევე შეუძლიათ: წარმოადგინონ და განმარტონ მონაცემები და ახსნან თქვენთვის უცნობი თუ ნაცნობი საკითხები; დაგეხმარონ გარკვევაში, თუ სად შეიძლება სხვა წყაროებიდან მიღებული განაცხადები აჭარბებდეს ფაქტობრივ მონაცემებს ან მტკიცებულებებს.

მეცნიერებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

გამოცდილება უცილობლად არ ნიშნავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან ნეიტრალიტეტს მოცემული საკითხის მიმართ. ბევრმა მეცნიერმა გამოცდილება სწორედ იმით შეიძინა, რომ ძალიან დაინტერესებული იყო შესასწავლი საკითხით. ამრიგად, შეიძლება მათი ინფორმაცია იყოს ზუსტი და საკმაოდ სანდოც, თუმცა მისი გამოყენება სავსებით შესაძლებელია კონკრეტული მოსაზრების სასარგებლოდაც.

ფაქტი, რომ მეცნიერები უმრავლეს შემთხვევაში არიან ვიწრო და არა ფართო პროფილის სპეციალისტები, ერთდროულად დადებითი მოვლენაც არის და უარყოფითიც. თუ მიმართავთ მეცნიერს, რომლის ცოდნის სფეროც შეესაბამება რეპორტაჟის თემას, ძალიან სასარგებლო იქნება, მაგრამ მხოლოდ ის, რომ მეცნიერი მიგრაციის საკითხებით არის დაკავებული, არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია თქვენს კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

შესაძლოა, მეცნიერებმა პრიორიტეტულად არ მიიჩნიონ (და არც უნდოდეთ) მედიის ყურადღება და დიდი შრომა დაგჭირდეთ მათი დაინტერესებისთვის, ხოლო როდესაც ამას მიაღწევთ, მოგცენ რთული და ტექნიკური პასუხები, რაც ფაქტობრივად არ მოგცემთ იმას, რაც თქვენს აუდიტორიას სჭირდება.

მეცნიერების მოძებნა:

თქვენს მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში არსებული უნივერსიტეტები ძირითადად დაინტერესებულნი არიან საკითხებით, რომლებიც სპეციფიკურია ამ ქვეყნისთვის, და შეიძლება კარგი საწყისი წერტილის როლი შეასრულონ. კათედრები, რომლებიც მიგრაციის საკითხზე მუშაობენ, მოიცავს შემდეგ თემებს: ანთროპოლოგია, დემოგრაფია და ჰუმანიტარული მეცნიერებები, განვითარების კვლევები, ეკონომიკა, გეოგრაფია, სამართალი, სოციოლოგია და თეოლოგია.

სად ვეძებოთ:

- IMISCOE-ის მიგრაციის ექსპერტების საერთაშორისო მონაცემთა ბაზა: <https://migrationresearch.com/experts>
- COMPAS, ოქსფორდის უნივერსიტეტი: <https://www.compas.ox.ac.uk/>
- UNU Merit/მაასტრიხტის უნივერსიტეტი: <https://www.merit.unu.edu/themes/6-migration-and-development/>
- ლტოლვილთა კვლევის ცენტრი: <https://www.rsc.ox.ac.uk/research>
- მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი: <http://www.migrationpolicycentre.eu/>
- მიგრაციის ობსერვატორია (ფოკუსირებულია გაერთიანებულ სამეფოზე): <https://migrationobservatory.ox.ac.uk/>

ანალიტიკური ცენტრები

ეს კვლევითი ორგანიზაციები სპეციალურად შეიქმნა სოციალური და პოლიტიკური საკითხების შესასწავლად. მეცნიერებისგან განსხვავებით, ისინი ხშირად ყალიბდება გარკვეული ხელშეწყობი საქმიანობისთვის; ამავდროულად, მათ შეიძლება ჰქონდეთ კონკრეტული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური პროგრამის ხელშეწყობის ამკარა ან ფარული მიზანი.

თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ანალიტიკური ცენტრების ხარისხი და დამოუკიდებლობის დონე ერთმანეთისგან განსხვავდება.

ანალიტიკური ცენტრების დადებითი მხარეები:

ანალიტიკური ცენტრები ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა სიუჟეტების მოსაპოვებლად. ისინი გვაწვდიან დროულ და დამაჯერებელ ანგარიშებსა და პასუხებს და ხშირად დაინტერესებულნი არიან მედიასთან ურთიერთობით. მათთან ხშირად მუშაობენ ექსპერტები, ანალიტიკურ ცენტრში სამუშაოდ ბევრი მეცნიერი გადადის კარიერის სხვადასხვა ეტაპზე. ისინი შეიძლება მიავლინონ ანგარიშის მოსამზადებლად, მაშინაც კი, როდესაც ძირითად სამუშაო ადგილად კვლავ კვლევითი ინსტიტუტი რჩება. ამიტომ ასეთი ცენტრები ხშირად ატარებენ კარგ და საინტერესო კვლევებს, რომლებიც ადგილობრივი კონტექსტიდან მომდინარეობს.

ანალიტიკურ ცენტრებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი ცენტრი შეიძლება პოლიტიკურად და/ან იდეოლოგიურად რომელიმე მხარეს მიეკუთვნებოდეს და არ იყოს დამოუკიდებელი. მეცნიერებისგან განსხვავებით, მასალას, რომელსაც ისინი ქმნიან, რეცენზირებისას არ ითვალისწინებენ და, აქედან გამომდინარე, შეიძლება ნაკლებად სანდო იყოს, სამეცნიერო ანალიზთან შედარებით. ანალიტიკური ცენტრების მედიასთან მუშაობის სურვილს, ჩვეულებრივ, განაპირობებს მედიაში გაშუქების ზეგავლენა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ აუდიტორიაზე. ამიტომ მუდამ გახსოვდეთ, რომ შესაძლებელია, უფრო დიდ პოლიტიკურ თამაშში გამოვიყენოთ.

სად ვეძებოთ:

რამდენიმე ავტორიტეტული ანალიტიკური ცენტრი, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობს:

- მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი (MPI): <https://www.migrationpolicy.org/>
- პიუს კვლევითი ცენტრი (Pew): <https://www.pewresearch.org/>
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD): <https://data.oecd.org/society.htm#profile-Migration>
- იხ. აგრეთვე:
- მიგრაციის ექსპერტების საერთაშორისო მონაცემთა ბაზა, IMISCOE: <https://migrationresearch.com/experts>

არასამთავრობო ორგანიზაციები

არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად ინტენსიურად მუშაობენ მოწყვლად და მძიმე სიტუაციაში მყოფ პირებთან, რომლებიც იმყოფებიან ადამიანის უფლებათა დარღვევის ან სხვა საფრთხის წინაშე. მიგრაციის კონტექსტში ეს შეიძლება ნიშნავდეს შეხებას საკითხთა ფართო სპექტრთან – დაწყებული მიგრანტთა თემებში ინტეგრაციის შესაძლებლობის არქონით, ან ცუდი განათლებითა თუ შრომითი ბაზრის შედეგებით, და დამთავრებული ინდივიდუალურ პირთა სიცოცხლისა და/ან თავისუფლების მიმართ დიდი რისკის არსებობით.

ასეთი სახის ორგანიზაციებს შეუძლიათ, ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ მიგრაციის საკითხზე მომუშავე ჟურნალისტებს, კერძოდ: გააცნონ თემატური კვლევები და ისტორიები; ასევე, დაანახონ პოლიტიკისა და სოციალური ნორმების ზეგავლენა მიგრანტებსა და ადგილობრივ თემებზე. მათ ხშირად უკავიათ ძლიერი მორალური, სამართლებრივი და ეთიკური პოზიცია იმ სიტუაციის მიმართ, რომელშიც იმყოფებიან, და თქვენთან მუშაობისას აქვთ ადვოკატირების მკაფიო მიზანი.

არასამთავრო ორგანიზაციებს ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ძნელადმისაწვდომ ჯგუფებთან შესახვედრად (მაგ.: სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრანტები), რომლებსაც სხვა შემთხვევაში შეიძლება არ ჰქონდეთ ჟურნალისტთან მუშაობის სურვილი.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის დადებითი მხარეები

ისინი ხშირად უშუალოდ მუშაობენ სხვადასხვა ტიპის მიგრანტებთან, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა ჩათვლით, და შეუძლიათ დროული და დამაჯერებელი პასუხების გაცემა. ანალიტიკური ცენტრების მსგავსად, ისინიც იყენებენ ექსპერტებს (მეცნიერების ჩათვლით) და შეუძლიათ კარგი და საინტერესო კვლევის ჩატარება. ხშირად ეს ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან მედიით, რათა გააფართოონ თავიანთი სტრატეგიული მიზნები და მოიპოვონ მხარდაჭერა (ზოგჯერ დაფინანსებაც) თავიანთი მიზნებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაცია ხშირად კომენტარებისა და ანალიზის კარგი წყაროა და შეუძლია დახმარება ამბის იდეებისა და თემების განვითარებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

ანალიტიკური ცენტრების მსგავსად, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციაც პოლიტიკურად და/ან იდეოლოგიურად რომელიმე მხარეს მიეკუთვნებოდეს და არ იყოს დამოუკიდებელი, ხოლო მათ მიერ შექმნილი მასალა ნაკლებად გამოიყენებოდეს რეცენზირებისას და ნაკლებად სანდო იყოს სამეცნიერო ანალიზთან შედარებით. მათ არ ევალუაბათ მიუკერძოებლობა. ზოგიერთმა შეიძლება თავი შეიკავოს მიგრაციის იმ ელემენტთა განხილვისაგან, რომლებიც მის პროგრამას არ შეესაბამება, ზოგმა კი თავისი საქმიანობის დადებითი გაშუქება მოითხოვოს, რესპონდენტებზე წვდომის სანაცვლოდ, ან შეგიზღუდოთ მათზე წვდომა, თუკი ამ ორგანიზაციას აკრიტიკებთ.

სად ვეძებოთ

საერთაშორისო დონეზე:

- წითელი ჯვრის/წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი (ICRC) (არ არის პირწმინდად არასამთავრობო ორგანიზაცია): <https://www.icrc.org/>
- დანიის ლტოლვილთა საბჭო: <https://drc.ngo/>
- ექიმები საზღვრებს გარეშე (Médecins Sans Frontières): <https://www.msf.org/>
- „ოქსფამი“: <https://www.oxfam.org/>
- ლტოლვილთა და დეპორტირებულთა საკითხების ევროპული საბჭო (ECRE): <https://www.ecre.org/>
- თავშესაფრისა და მიგრაციის არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპული პლატფორმა (EPAM): <http://www.ngo-platform-asylum-migration.eu/>

პოლიტიკოსები

პოლიტიკოსები, როგორც წესი, მიგრაციის საკითხებზე გამართული ეროვნული და საერთაშორისო დებატების ცენტრში იმყოფებიან, მაგრამ მუდამ აქვთ საკუთარი პროგრამა. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა გამოვიყენოთ, თუმცა გულისხმობს, რომ მათთან მუშაობას სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. პოლიტიკოსები შესანიშნავ კომენტარებსა და ანალიზს აკეთებენ, კარგად ავითარებენ ამბის იდეებსა და თემებს, მაგრამ მათი განცხადებები ყოველთვის უნდა გადაამოწმოთ სხვა ექსპერტებთან.

პოლიტიკოსებთან მუშაობის დადებითი მხარეები

მათი განცხადებები, ზოგადად, მკაფიოდ ფორმულირებული და დამაჯერებელია. პოლიტიკოსები აქცენტს აკეთებენ მიმდინარე პრობლემებსა და საქმეებზე, რაც ხშირად უკავშირდება პოლიტიკის განვითარებისა და ფართო საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ცოდნას. მათ შეიძლება კარგი კავშირები ჰქონდეთ სამთავრობო დაწესებულებებსა და ინფორმაციის წყაროებთან, ასევე, სხვა პოლიტიკურ ფიგურებთან, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ანალიტიკურ ცენტრებთან. გარდა ამისა, პოლიტიკოსთათვის ხშირად დამახასიათებელია სწრაფვა მედია-სთან ურთიერთქმედებისკენ.

პოლიტიკოსებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

ისინი პოლიტიკურად მიკერძოებულნი არიან, არ აქვთ საკმარისი დამოუკიდებლობა და ხშირად არც ექსპერტებს წარმოადგენენ. პოლიტიკოსებმა შეიძლება იმოქმედონ როგორც სხვა ექსპერტთა „დარაჯებმა“ და დაგაკავშირონ მხოლოდ იმ სპეციალისტებთან, რომლებიც მათი თანამოაზრენი არიან, ეს კი სახეს შეუცვლის თქვენს წარმოდგენას ამბის/ისტორიის შესახებ.

ყოველთვის დასვით შეკითხვა: პოლიტიკოსი ზედმეტად ხომ არ ამარტივებს საკითხს? მიგრაცია, მიგრანტები და უმცირესობები ხშირად მარტივი სამიზნეები არიან – ისინი განსხვავდებიან, ამიტომ შეიძლება საფრთხედ ჩაითვალოს. წლების განმავლობაში პოლიტიკოსები ყველაფერში მიგრანტებს ადანაშაულებდნენ, მათ შორის, ისეთ პრობლემებშიც, როგორიცაა დაავადებათა გავრცელება, უმუშევრობა, ტერორიზმი და მორალური დონის დაცემა. სინამდვილეში, ამ ყველაფერს ბევრად რთული მიზეზები აქვს. ყოველთვის ეძიეთ უფრო ღრმად, ეძიეთ სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც ქმნის პრობლემას, ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტებად მიიღოთ რაიმე განცხადება მიგრაციის ან მიგრანტთა შესახებ (კარგი იქნება ეს, თუ ცუდი).

სამთავრობო დეპარტამენტები და სტატისტიკის ეროვნული ორგანიზაციები

სამთავრობო და სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტები წარმოგვიდგებიან მიგრაციის ეროვნული მონაცემების საცავებად. ამრიგად, მათ შეუძლიათ, მოგაწოდონ თქვენთვის საჭირო უმთავრესი ინფორმაცია, ასევე, აგისხნან, თუ როგორ შეგროვდა და რას მოიცავს ის. მათ ასევე კარგად იციან პოლიტიკური მიმდინარეობები, რომლებიც ამ მონაცემთა უკან დგას.

სტატისტიკურ ორგანოებსა და სამთავრობო დეპარტამენტებთან მუშაობის დადებითი მხარეები

ხშირად ეს ერთადერთი ადგილია, სადაც გარკვეული ინფორმაცია ინახება, ამიტომ ასეთი უწყებები მონაცემთა უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ მიგრანტი და არამიგრანტი მოსახლეობის, საზღვრის კვეთისა თუ სავიზო საკითხების შესახებ (მათ შორის, მოსახლეობის ფართომასშტაბიან გამოკითხვაზეც, როგორიცაა, შრომითი რესურსების (მუშა ძალის) კვლევა, ან მოსახლეობის აღწერა). ისინი ხშირად იწვევენ მაღალკვალიფიციურ პერსონალს, რომელმაც კარგად იცის პრობლემა. ზოგიერთი სამთავრობო დეპარტამენტი შეიძლება ერთადერთი გზა იყოს კონკრეტულ საკვანძო პუნქტსა (მაგ.: სასაზღვრო გამტარი პუნქტები ან მიგრანტთა დაკავების ცენტრები) და რესურსებზე წვდომისთვის, მიგრაციის სამსახურების ჩათვლით.

სტატისტიკურ ორგანოებსა და სამთავრობო დეპარტამენტებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

სამწუხაროდ, ყველა სამთავრობო დეპარტამენტი და ეროვნული სტატისტიკური ორგანო არ მუშაობს სათანადოდ, ან არ არის ისეთი დამოუკიდებელი, როგორიც უნდა იყოს. ზოგ სიტუაციაში, მონაცემები, რომლებსაც ისინი აწარმოებენ ან აქვეყნებენ, შეიძლება არაზუსტი აღმოჩნდეს პოლიტიკური მიზნე-

ბისთვის, ან უბრალოდ დამალონ, თუკი არ შეესაბამება მთავრობის ნარატივს. თუმცა, კიდევ ერთი გავრცელებული პრობლემაა ის, რომ მონაცემები შეიძლება იყოს შეზღუდული, ან არასაიმედო. თუ ასეა, დაფიქრდით, ხომ არ აჯობებს დაწერა, რომ მონაცემები არ არსებობს, ანდა თქვენს მასალაში წარმოდგენილი მონაცემები უზუსტო ან მიკერძოებულია.

სად ვეძებოთ:

- სომხეთი: <https://www.armstat.am/en/>
- აზერბაიჯანი: <https://www.stat.gov.az/?lang=en>
- ბელარუსი: www.belstat.gov.by
- საქართველო: <https://www.geostat.ge/en>
- მოლდოვა: <http://statistica.gov.md/index.php?l=en>
- უკრაინა: <http://www.ukrstat.gov.ua/>
- ევროსტატი: <https://ec.europa.eu/eurostat/home>

მთავრობათაშორისი ორგანიზაციები

მიგრაციის ტრანსნაციონალური ბუნების გამო, ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა (მაგ.: მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), ევროპის კავშირი და გაეროს სხვადასხვა დაწესებულება).

ასეთი ორგანიზაციები რამდენიმე ნაბიჯით შორს დგანან ქვეყნის ეროვნული პოლიტიკისგან, რაც ნიშნავს, რომ ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკოსებს ანდა ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის ყოველდღიური დავით ეროვნული მიგრაციის დებატებში.

ეს შეიძლება სასარგებლო იყოს ეროვნული საკითხების კონტექსტში მოსათავსებლად, მაგრამ ზოგ სიტუაციაში მთავრობათაშორისი ორგანიზაციები შეიძლება გარკვეულწილად „გამიჯნულად“ იდგნენ და, ამის გამო, ის, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, მათ პროგრამაში არ შედიოდეს.

მიუხედავად ამისა, მთავრობათაშორისი ორგანიზაციებს შეუძლიათ მომსახურების გაწევა, კვლევების ჩატარება და მოწყვლადი ჯგუფების ადგილზე დახმარება, დიპლომატიისა და პოლიტიკური ანალიზის ჩათვლით. ისინი ხშირად ქმნიან მონაცემებისა და ანალიზის, ასევე, ექსპერტთა კომენტარებისა და პოტენციალის ფასდაუდებელ წყაროს, და იძლევიან წვდომას შემთხვევებზე, ან სხვაგვარად მიუწვდომელ ლოკაციებსა თუ ადამიანებზე.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციებთან მუშაობის დადებითი მხარეები

ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ, უზრუნველყონ წვდომა მაღალკვალიფიციურ, სანდო და საიმედო ანალიტიკურ ნაშრომზე. ჩვეულებრივ, ისინი (შედარებით) კარგად ფინანსდებიან და შეუძლიათ მულტიდისციპლინურ სფეროებში მუშაობა, ასევე, დახმარება პრობლემის კონტექსტუალიზებაში საერთაშორისო, რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. მთავრობათაშორისი ორგანიზაციებში მუშაობენ კვალიფიციური სპეციალისტები, მეცნიერების ჩათვლით, და ისინი ხშირად ატარებენ შემოწმების მკაცრ პროცედურებს სიზუსტის დასაცავად. ამავდროულად, ეს ორგანიზაციები არიან პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ნეიტრალური და შესანიშნავ სივრცეს ქმნიან საერთაშორისო კანონებსა და ნორმებზე განმარტებების მისაღებად.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

ამ ორგანიზაციათა საქმიანობის მასშტაბი გულისხმობს, რომ მათ შეიძლება საქმე ჰქონდეთ „დიდ“ პრობლემებთან, ამიტომაც მოგვეჩვენოს, რომ მსგავს სტრუქტურებს შეხება არა აქვთ „ჩვეულებრივ ადამიანებთან“. ამასთანავე, მათ მიერ მოწოდებული მონაცემები შეიძლება იყოს მოძველებული, მოდიოდეს იმავე პრობლემური წყაროებიდან, რომლებიც უკვე გამოიყენეთ, ან ქმნიდეს გარკვეულ ბუნდოვანებას, სხვა წყაროებიდან მიღებულ მონაცემებთან წინააღმდეგობის გამო. ამ ორგანიზაციების მრავალწახნაგოვანი მოსაზრებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს თქვენს აუდიტორიას ან უფრო ფართო ეროვნულ თუ ადგილობრივ ხედვებს, მათ მიერ ჩატარებული ანალიზი კი იყოს ძალიან ტექნიკური, მოცულობითი და რთული.

სად ვეძებთ:

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მონაცემთა პორტალი და გლობალური მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური ცენტრი (GMDAC): https://migrationdataportal.org/?t=2017&i=stock_abs_and_https://gmdac.iom.int/
- გაეროს მოსახლეობის განყოფილება: <https://www.un.org/en/development/desa/population/migration/data/index.asp>
- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD): <https://www.icmpd.org/home/>
- მიგრანტთან ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX): <http://www.mipex.eu/>
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR): <http://popstats.unhcr.org/en/overview>
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO): <https://ilostat ilo.org/>
- მსოფლიო ბანკი (WB): <https://www.worldbank.org/en/topic/labormarkets/brief/migration-and-remittances>
- ევროკავშირის სპეციალიზებული სააგენტოები, რომლებიც მუშაობენ მიგრაციის, თავშესაფრისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე:
 - თავშესაფრის საკითხებში დახმარების ევროპული ოფისი (EASO): <https://www.easo.europa.eu/>
 - ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (ფრონტექსი): <https://frontex.europa.eu/>
 - ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (FRA): <https://fra.europa.eu/en/about-fra>
(სრული ჩამონათვალი იხ. თავში 11: მექანიზმები და რესურსები)

პროფკავშირული და ბიზნესორგანიზაციები

მიგრაციის საკითხის გაშუქებისას შეიძლება გამოგადგეთ ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ბიზნესს ან მრეწველობასთან არიან დაკავშირებულნი. როგორც ითქვა, გლობალური მიგრაციის დიდი ნაწილი განპირობებულია სამუშაოს ძიებით. იმ მიგრანტებსაც კი, რომლებიც სხვა მიზეზით გადაადგილდებიან (მაგ.: თავშესაფრის საძიებლად ან ოჯახთან გაერთიანებისთვის), ხშირად სჭირდებათ მუშაობა. პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაკთა წარმომადგენლები არიან, და ბიზნესორგანიზაციებს, რომლებიც დამსაქმებელთა წარმომადგენლები არიან, ხშირად უდევთ ხელი როგორც საწარმოს საჭიროებების, ისე მიგრანტ მუშაკთა მიმართ მოპყრობის პულსზე. საწარმოს შემთხვევაში, ხშირად ეს არის მოთხოვნა გარკვეული უნარების მქონე მუშაკებზე, რომლებიც შეიძლება ქვეყანაში დეფიციტს წარმოადგენდნენ.

პროფკავშირულ და ბიზნესორგანიზაციებთან მუშაობის დადებითი მხარეები

მათ აქვთ კონკრეტული ცოდნა სექტორებსა და დარგებზე, ასევე, შესანიშნავი კონტაქტები და წვდომა, როგორც მუშაკებზე, ისე ბიზნესის ლიდერებზე. ამ ორგანიზაციებმა ხშირად მკაფიოდ და პრაქტიკულად იციან შესაბამისი იურიდიული საკითხები და ისიც, თუ რა ზეწოლას განიცდიან დამსაქმებლები ან მუშაკები.

პროფკავშირულ და ბიზნესორგანიზაციებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

ისინი შეიძლება არ იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელნი, მათი სპეციფიკური ხედვა კი ზღუდავდეს უფრო ფართო კონტექსტის აღქმას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს თქვენთვის.

წყაროები:

- IMISCOE-ის (საერთაშორისო მიგრაცია, ინტეგრაცია და სოციალური ერთიანობა ევროპაში) მიგრაციის ექსპერტების საერთაშორისო მონაცემთა ბაზა: <https://migrationresearch.com/experts>
- საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალურმა ქსელმა (GIJN) შექმნა მონაცემთა და ექსპერტიზის საინფორმაციო ბუკლეტი, დეტალურად მოცემული 60-ზე მეტი ადგილით, სადაც მონაცემებისა და გამოცდილების გაცნობა შეიძლება: https://docs.google.com/spreadsheets/d/1a3yzhzzzJslxtVGvZ7uNx7Q_GhpAVDlboQGDbwy0B4/edit?usp=sharing

ადამიანის უფლებათა და იმიგრაციის სფეროს იურისტები

ინფორმაციისა და ანალიზის კიდევ ერთ სასარგებლო წყაროს ქმნიან იმიგრაციისა და ადამიანის უფლებათა სფეროს იურისტები, რომლებიც მუშაობენ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის სფეროში, ასევე, კონკრეტულ საქმეებზე. სამართლის სფეროს სიღრმისეული ცოდნა მათ საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ, რამდენად ზუსტად აშუქებთ საკითხს და პასუხი მოსთხოვონ პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს.

იმიგრაციის სფეროს იურისტებთან მუშაობის დადებითი მხარეები

მათ აქვთ ეროვნული და საერთაშორისო სამართლის კონკრეტული ცოდნა და ინფორმაცია ინდივიდუალურ საქმეებზე. ზოგჯერ ურთიერთობა აქვთ დაკავებულ მიგრანტებთანაც, რაც საშუალებას გაძლევთ, ხმის უფლება მისცეთ ადამიანებს, რომლებსაც სხვა გზებით ამაზე უარს ეტყოდნენ.

იმიგრაციის სფეროს იურისტებთან მუშაობის უარყოფითი მხარეები

იურისტები ყოველთვის ვერ მოგაწვდიან მკაფიო დეტალებს საქმეებზე, რომლებზეც მუშაობენ; ასევე, შეიძლება უარყოფითად იყვნენ განწყობილნი მედიაში გაშუქების მიმართ, რადგან ამით შეიძლება ზიანი მიაღგეს მათ საქმეს, კლიენტი დაზარალებეს, ან თვითონ აღმოჩნდნენ უხერხულ სიტუაციაში.

დასკვნა

როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, არ არსებობს მტკიცებულების რაიმე ფორმა, ან წყაროს ტიპი, რომელიც ფუნდამენტურად შეიძლება ჩაითვალოს სხვებზე უკეთესად. ყველას მოაქვს სარგებელი და ხარვეზიც ყველასთვის დამახასიათებელია, მტკიცებულების სიზუსტე და სანდოობა კი დამოკიდებულია იმ პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ მის შეგროვებაში, წარდგენასა და გაზიარებაში.

უკიდურესად მნიშვნელოვანია, კარგი გაშუქება ეყრდნობოდეს არა ცალკეულ წყაროებს, არამედ მრავალმხრივ, ჯვარედინ და გულდასმით შემოწმებულ ანალიზს. გახსოვდეთ, წყაროს მრავალფეროვნება მრავალფეროვანი ხმის წარმოჩენის საწინდარია. შეძლებისდაგვარად დარწმუნდით, რომ მიგრანტები თავადაც ითვლებიან საკუთარი სიტუაციის ექსპერტებად და აქვთ ხმის უფლება თქვენს საქმიანობაში (იხ. თავი 7: *ინტერვიუ*; და *წყაროების განვითარება და დაცვა*, თავი 6: *ამბის მიღება (სწორად)*).

და ბოლოს, უსმინეთ ყურადღებით და დარწმუნდით, რომ უნებლიეთ არ წარმოაჩენთ ყველაზე ხმა-მაღალ ხმებს, მკაფიო და უფრო გონივრული ხმების ნაცვლად. კერძოდ, კაცებს შეუძლიათ, ჩაახშონ ქალის ხმა, ან თავდაჯერებულად წარმოაჩინონ საკუთარი პიროვნება ინტერვიუს დროს, მაშინ, როცა ქალი ასეთი ქცევისგან თავს იკავებს. ნუ დაუშვებთ, რომ თქვენს რეპორტაჟში მოხვდეს ხმამაღლა მოლაპარაკე და გამოუცდელი კაცის და არა წყნარი, მაგრამ უკეთ ინფორმირებული ქალის აზრები.

თავი 9: მონაცემები და ანალიზი

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- ისწავლოთ, როგორ უნდა გააუმჯობესოთ მიგრაციის მონაცემთა ანალიზი და წარდგენა;
- განიხილოთ, როგორ შეუძლია მონაცემთა ჟურნალისტიკასა და ვიზუალიზაციას თქვენი ნამუშევრის გაუმჯობესება.

ნავიგაციის ჩანართი

ინფორმაცია მონაცემებისა და ანალიზის გამოყენების შესახებ ასევე იხილეთ მე-8 თავში: **როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები**, სადაც მოცემულია სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციაზე მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები; და მე-6 თავში: **ამბის მიღება (სწორად)**.

მიგრაციის მონაცემები სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ეს შეიძლება იყოს „მყარი“ რაოდენობრივი მონაცემები საზღვრის გადაკვეთის, მოსახლეობის რაოდენობის, დასაქმების დონისა და დემოგრაფიული დეტალების შესახებ, როგორიცაა ასაკი და გენდერი; თუმცა ასევე შეიძლება იყოს „რბილი“ ხარისხობრივი ანალიზი, რომელიც მომდინარეობს თემების, ჩვენებების, ლიტერატურისა და არტიფაქტების სიღრმისეული შესწავლიდან.

მონაცემები და ანალიზი: როგორ გავაანალიზოთ წყარო

ფოკუსირდით ფაქტებზე, სკეპტიკურად შეხედეთ სტატისტიკას. მიგრაციის შესახებ რეპორტაჟებში შეიძლება რთული აღმოჩნდეს, ერთი მხრივ, ნამდვილი „ფაქტებისა“ (რომლებიც შეიძლება დამოუკიდებლად გადავამოწმოთ) და, მეორე მხრივ, ვარაუდების, შეფასებებისა და ქვეტექსტების გარჩევა. ზოგ შემთხვევაში ადვილი არ არის „ფაქტობრივის“ განსაზღვრა და, ძალიან აქტიური კვლევის შედეგადაც კი, შეიძლება უპირობო დასკვნები ვერ გაკეთდეს. ციფრებს შეუძლია ამბის შექმნა, მაგრამ ისინი შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ჟურნალისტმა უნდა გადაამოწმოს და გამოიკვლიოს განცხადებები, სადაც რიცხვები ფიგურირებს; ასევე, შეამოწმოს სტატისტიკური მონაცემები და, საჭიროების შემთხვევაში, გადაუმოწმებელ ინფორმაციასთან მიმართებით საზოგადოება გააფრთხილოს, რომ იგი „მავნებელია ჯანმრთელობისთვის“. ასევე უნდა გაიაზროთ, რომ მხოლოდ ციფრები ვერ შეგიქმნით ერთგვაროვან სურათს: შეძლებისდაგვარად უნდა ეყადოთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ურთიერთშეთავსება. მარტივად რომ ვთქვათ, შეეცადეთ თქვენ ხელთ არსებული ციფრები შეადაროთ იმ ადამიანის ზემოქმედებისა და გამოცდილების მაჩვენებელ მტკიცებულებებს, რომლებსაც ეს ციფრები უკავშირდება.

ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციებიდან და ამ სახელმძღვანელოში მითითებული სხვა საერთაშორისო დაწესებულებებიდან მიღებული გაანგარიშებები ხშირად საიმედოა, მაგრამ ზოგჯერ ისინიც შეფასების დონეზე კეთდება. ამიტომ, ჟურნალისტური შემოწმებით უნდა დადგინდეს, თუ როგორ მიიღეს ეს შედეგები. ანალოგიურად, ავტორიტეტული ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევა (მაგ.: მიგრაციის მომავალ პროგნოზებზე) შეიძლება ხარვეზიანი აღმოჩნდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია, გვესმოდეს ეს საკითხები და მივუთითოთ გაშუქებისას.

როგორ ვიმუშაოთ მონაცემებთან – მარტივი საწყისი წერტილები

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები სხვადასხვა, მაგრამ თანაბარი მნიშვნელობის ამოცანას ასრულებს: თუ რაოდენობრივი მონაცემები პასუხს გვცემს კითხვაზე „რამდენი?“, ხარისხობრივი მონაცემები უფრო დაინტერესებულია კითხვით „რატომ?“ (რატომ ხდება ეს მოვლენა). ამრიგად, მიგრაციის კონტექსტში, სადაც რაოდენობრივ მონაცემებს შეუძლია გვიჩვენოს მოსახლეობაში მოვლე-

ნის/ფენომენის დომინირების ან გავრცელების სურათი, ხარისხობრივი მონაცემები უკეთ ადასტურებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ინდივიდუალურ აღქმასთან დაკავშირებულ განცხადებებს.

თუმცა, თვით რაოდენობრივი მონაცემებიც არ არის მხოლოდ ციფრი – ეს მაჩვენებელი ასახავს რეალურ საგანს ან მოვლენას, მიგრაციის კონტექსტში კი – რეალურ ადამიანებს.

მიგრაციის მონაცემთა წარდგენისას, საკუთარ თავს უპირველესად უნდა ჰკითხოთ: „როგორ მოხვდნენ ეს ადამიანები (ან რაიმე სხვა ინფორმაცია) მონაცემთა ამ პაკეტში?“ თუ მკაფიო წარმოდგენა გაქვთ, როგორ მოხდა ეს, ნიშნავს, რომ, სულ მცირე, მყარი ნიადაგიდან იწყებთ. თუ პასუხი არ გაქვთ, ან უნდა გაარკვიოთ ეს საკითხი, ან ძალიან ფრთხილად წარმოადგინოთ ინფორმაცია, რომლის გაზიარებასაც აპირებთ.

მიგრაციასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მონაცემების სხვადასხვა წყაროს თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს. მათ შესახებ სასარგებლო მითითებები შეგიძლიათ ნახოთ ICMPD-ის მონაცემთა ანალიზის ცენტრის ვებგვერდზე: <https://migrationdataportal.org/infographic/key-sources-migration-data>

მასში წყაროები შემდეგნაირად არის დაყოფილი:

- სტატისტიკური (როგორიცაა აღწერები და შინამეურნეობათა კვლევები);
- ადმინისტრაციული (როგორიცაა მონაცემები ვიზისა და საზღვრის გადაკვეთის შესახებ);
- ინოვაციური (როგორიცაა „დიდი მონაცემები“/big data).

სწორად გამოყენების შემთხვევაში (და თუ მონაცემებს სათანადოდ შეაგროვებს შესაბამისი ორგანო), თითოეული ეს წყარო შეიძლება ძალიან გამოსადეგი იყოს, თუმცა ყოველ მათგანს თავისი ხარვეზი აქვს.

- აღწერის მონაცემები არის ოქროს სტანდარტი მიღებული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის თვალსაზრისით, მაგრამ ძალიან ძვირი პროცესია და, ზოგადად, ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ტარდება, რაც ნიშნავს, რომ ისინი სწრაფად ძველდება. მოსახლეობისა და შინამეურნეობების სრულად აღწერისას ინფორმაცია გროვდება თითოეული შინამეურნეობიდან, სანიმუშო ჩარჩოს ფარგლებში, თუმცა ზოგი ქვეყანა უფრო მცირე მასშტაბის და ხშირ მიკროაღწერას ატარებს, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მცირე, მაგრამ წარმომადგენლობით ჯგუფებს;
- შინამეურნეობათა კვლევა რეგულარულად ტარდება და შეიძლება საკმაოდ აქტუალური იყოს, თუმცა ის უცვლელად ეყრდნობა უფრო მცირე სანიმუშო ჯგუფებს, სრული აღწერისგან განსხვავებით. აქედან გამომდინარე, მისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს დიდი ცდომილება („საიმედოობის ინტერვალსაც“ უწოდებენ), რაც ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად ზუსტია;
- ვიზებისა და ბინადრობის ნებართვის შესახებ მონაცემები დაგეხმარებათ, რომ გაიგოთ, ვის აქვს თქვენს ქვეყანაში ყოფნის უფლება და რისი უფლებებით; თუმცა, ეს შეიძლება ნაკლებად გამოგადგეთ იმის დასადგენად, თუ ვინ იმყოფება ფაქტობრივად მოცემულ ქვეყანაში, რადგან ვიზის ქონა უცილობლად არ ნიშნავს, რომ პირი მას იყენებს. მიუხედავად ამისა, თუ მოიპოვებთ მონაცემებს სხვადასხვა ტიპის ვიზასა და ბინადრობის ნებართვაზე, შეგექმნებათ წარმოდგენა, თუ რა ტიპის მიგრაცია მიმდინარეობს ქვეყანაში. ადმინისტრაციული მონაცემები ხშირად აყალიბებს წარმოდგენას პოპულაციაზე დროის გარკვეულ მომენტში, თუმცა შეიძლება არ ასახავდეს დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებს, განსაკუთრებით, როდესაც ერთი და იმავე პირის თანმიმდევრული იდენტიფიცირება არ ხდება, ან დროთა განმავლობაში ვერ ხერხდება მათი ჩანაწერების ჰარმონიზება მონაცემთა წყაროების მიხედვით;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ან ეროვნული ბანკების მიერ რეგისტრირებულ შეგროვებული მონაცემები ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ ფინანსური გზავნილების მოცულობაზე, არამედ ემიგრაციის მიმართულებასა და თვით ემიგრანტთა რაოდენობაზეც;
- მონაცემები თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებისა და მათზე გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რომლებსაც თავშესაფარზე პასუხისმგებელი ორგანო აგროვებს, როგორც წესი, ზუსტი და ახალია. შესაბამისად, ისინი უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის, თუ ვინ ითხოვს თავშესაფარს და როგორია ე. წ. აღიარების ხარისხი (დადებითი გადაწყვეტილებების წილი);
- მონაცემები საზღვრის გადაკვეთის შესახებ ხშირად მიგანიშნებთ, როდის და სად შემოდიან ადამიანები, მაგრამ ბევრს ვერაფერს გეტყვით მათ შემდგომ ბედზე. ასეთი მონაცემებით შეიძლება არა-

სწორად განიმარტოს გადაადგილების მასშტაბი, რადგან ზოგადად არ იძლევა კონკრეტულ პირთა იდენტიფიცირებისა და მიკვლევის საშუალებას: თუ ერთი და იგივე პირი დღის განმავლობაში საზღვარს ათჯერ გადაკვეთს, მონაცემები აღნუსხავს საზღვრის გადაკვეთის 10 მოქმედებას, მაგრამ ვერ მიუთითებს, რომ ეს ერთი და იგივე პირი იყო.

- შეიძლება დაგჭირდეთ მონაცემები მიგრაციის კანონმდებლობის აღსრულებაზე, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს იმ ადამიანთა რაოდენობა და მოქალაქეობა, რომლებიც ვალდებული იყვნენ, დაეტოვებინათ ქვეყანა, ან დაბრუნებულიყვნენ ქვეყანაში;
- ინოვაციური მონაცემთა წყაროები, როგორიცაა სოციალური მედიის ანალიზით მიღებული ინფორმაცია, მობილური ტელეფონების მონაცემები და სხვა, შეიძლება საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდეს, თუმცა ხშირად ისინი საკუთრებაა; შეიძლება რთული გასაგებიც იყოს, კონკრეტულად რაზე მიუთითებს ან როგორ შეგროვდა ეს ინფორმაცია. ასეთ წყაროებში პრობლემურია თანხმობის საკითხიც, განსაკუთრებით, როდესაც ადამიანებმა, ვისგანაც გენერირდება მონაცემები, არ იციან მათი ინფორმაციის შეგროვება-გაზიარების შესახებ.

რატომ არის ეს საინტერესო?

მონაცემთა წყაროს ნამდვილად აქვს მნიშვნელობა, რადგან მონაცემი ხშირად წარმოდგენილია ფაქტად, როცა სინამდვილეში გაანგარიშების შედეგია, ცდომილების მნიშვნელოვანი ზღვრით; უარესიც – წყარო შეიძლება ეფუძნებოდეს არაკორექტულად ან უზუსტოდ შეგროვებულ მონაცემებს. ხშირად, გარკვეული განცხადებებისთვის გამოყენებული მონაცემები არ მიუთითებს იმაზე, რაც წარმოდგენილი გვექნა.

რა მახეები ახასიათებს რეპორტაჟებს? რა აკლია ხშირად ახალი ამბების მედიას?

ყველაზე დიდი მახეა, როდესაც მავანის განცხადებას ჭეშმარიტებად მივიჩნევთ. თუ მონაცემები გულდასმით არ შეგისწავლიათ და არ იცით, როგორ მიიღეს წარმოდგენილი ციფრები, თქვენი რეპორტაჟით უბრალოდ გაბედულ ნაბიჯს გადადგამთ, მაგრამ ის არ იქნება ფაქტებზე დაფუძნებული. შესაძლოა, მთელი ეს ინფორმაცია ვერ მიიღოთ დროულად – დათქმული ვადისთვის; ასეთ შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა გადასცეთ ბუნდოვნად და არა დამარწმუნებლად.

კიდევ ერთი მარტივი მახეა „კორელაციის“ (როდესაც ორი ცვლადი იზრდება ან მცირდება ისეთი სიხშირით, რომელიც თითქოს მსგავსია და ურთიერთკავშირშია) შეცდომით მიჩნევა „მიზეზ-შედეგობრივ“ კავშირად (როდესაც ერთი ცვლადი იცვლება სხვა ცვლადის ცვლილების გამო).

რომელი სწორი შეკითხვები უნდა დაუსვათ საკუთარ თავს?

- გეჩვენებათ, რომ განცხადება ალბათურია (შეგიძლიათ მისი გადამოწმება)?
- სწორია ეს ინფორმაცია (შეგიძლიათ მისი გადამოწმება დამოუკიდებლად)? შეგიძლიათ, თქვათ, სად და ვის შორის შეგროვდა ეს ინფორმაცია, იმ პირობებზე მისანიშნებლად, რომ მონაცემები, სავარაუდოდ, სწორად გროვდება)?
- პოლიტიკურად დამოუკიდებელია წყარო (შემოწმებული გაქვთ)?
- საიდან ფინანსდება ეს მონაცემები (შეგიძლიათ, გაიგოთ? აქვს ამას მნიშვნელობა)?
- მიუთითეთ სტატისტიკის წყაროზე, რათა ეს აუდიტორიამ თვითონ განსაჯოს?

მონაცემები და ანალიზი: მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია

მონაცემთა ჟურნალისტიკა

ამ ბოლო დროს „მონაცემთა ჟურნალისტიკა“ მოდურ ფრაზად იქცა. ეს, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ მონაცემები და „დიდი მონაცემები“ მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა ანგარიშგების ინსტრუმენტთა არსენალში, რომლებსაც დღევანდელი მედიის ორგანიზაციები იყენებენ. ინფორმაციულმა ეპოქამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მონაცემთა როგორც შეგროვების, ისე ანალიზის პროცესი. ამან ჟურნალისტებს საშუალება მისცა, თავიანთ მასალებში ციფრები გამოყენონ ისეთი სახით, როგორც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო უახლოეს წარსულში (თუნდაც 1990-იან წლებში).

სტატისტიკური ორგანიზაციის ელექტრონული პორტალიდან ცხრილის ჩამოტვირთვას და ანომალიისა და ტენდენციების გადახედვას ხუთი წუთი სჭირდება, მაშინ, როცა ორიოდე ათწლეულის წინათ ამას ბიბლიოთეკაში რამდენიმე საათიანი სერიოზული მუშაობა და მხაზველთა ჯგუფის ხანგრძლივი შრომა სჭირდებოდა დიაგრამის შესადგენად. დღეს ამის გაკეთება სულ რამდენიმე წუთში შეგვიძლია, გამოყოფილი მონაცემების ღილაკზე დაწკაპუნებით.

ეს სიტყვებით კეთდება, ციფრებით, დიაგრამებით, თუ ვიდეოფილმით, უცვლელი რჩება ჟურნალისტიკის მთავარი მიზანი – მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ინფორმაციის საინტერესოდ გადმოცემა.

მონაცემთა ჟურნალისტიკაზე საუბრისას, ბევრი ადამიანი ავტომატურად ფიქრობს ინფოგრაფიკაზე, დიაგრამებსა და ცხრილებზე, მაგრამ ეს ბევრად ფართო ცნებაა: იგი მოიცავს „მონაცემებიდან მნიშვნელობის/არსის გამოტანას“, რათა ჩამოყალიბდეს ამბავი/სიუჟეტი, შემდეგ დამუშავდეს და გადამოწმდეს. მონაცემთა ჟურნალისტიკა ხელს უწყობს მონაცემთა გარკვეული ფრაგმენტების ცოდნად გარდაქმნას. ლამაზი ინფოგრაფიკა უბრალოდ ამ ამბის გაცოცხლების საშუალებაა.

მონაცემთა ჟურნალისტიკის ილუსტრირება უმჯობესია კარგი სტატიით, სადაც ანალიზი და განმარტება ერთ-ერთი კომპონენტი იქნება, ნაცვლად გაუგებარი დიაგრამისა, რომელიც მონაცემთა ასობით წერტილს გამოსახავს. მონაცემები დღეს ჟურნალისტიკის ინსტრუმენტია, ფოტოს მსგავსად, და ისევე, როგორც ფოტოჟურნალისტიკაში, უნდა გვახსოვდეს, რომ მონაცემები არ არის აბსტრაქტული: იგი ადამიანებსა და მათ ცხოვრებას ეხება. მაგალითად, დიაგრამა, რომელზეც ასახულია დეპორტაციისა ან თავშესაფრის განცხადებათა რაოდენობის ცვლილებები, ამავედროულად მიუთითებს დანგრეულ ცხოვრებასა და პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, და შეიძლება სხვა შესაბამის მონაცემებსაც შეიცავდეს (მაგ.: დიაგრამით მოცული ადამიანები მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ეროვნებასა და ეთნიკურ ჯგუფს, გენდერს, ან რელიგიას). მხოლოდ მონაცემები იშვიათად კმარა მთელი ამბის გადმოსაცემად, ამიტომ საჭიროა მათი კონტექსტუალიზება, გარკვეული ახსნა-განმარტებებით.

ანალოგიურად, აუცილებელია გარკვეული ცოდნა მონაცემთა სფეროში. უბრალოდ ინფორმაციის აღება და გამოქვეყნება მონაცემთა ჟურნალისტიკის კვალიფიკაციას ვერ მოგანიჭებთ. როგორც წინა განყოფილებაში განვიხილეთ (*როგორ გავაანალიზოთ წყარო*), აუცილებელია, გვესმოდეს, როგორ მოხვდა მონაცემი ინფორმაციაში, რომელსაც ეძებდით. უნდა დასვით შეკითხვები თქვენთვის წარმოდგენილი მონაცემების გარშემო – თითქოს ინტერვიუს ატარებთ – რათა შეამოწმოთ მათი საიმედოობა: ვინ შეაგროვა? რამდენად დიდი იყო ნიმუში? შეგროვდა კი სათანადო ადგილას და საჭირო დროს? არსებობს სხვა მონაცემებთან შედარების საშუალება, რომ დავინახოთ, გვექნება თუ არა იგივე შედეგი (გავალთ თუ არა იმავე საგანზე/მოვლენაზე)? თუ არა – რატომ?

ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრი გვთავაზობს რამდენიმე უფასო ონლაინ ტრენინგს მონაცემთა ჟურნალისტიკის სხვადასხვა ელემენტის შესახებ (იხ. ბმული: <https://datajournalism.com/>).

მონაცემთა ვიზუალიზაცია

მონაცემთა ეფექტიან ვიზუალიზაციას შეუძლია, რადიკალური ზემოქმედება იქონიოს თქვენი აუდიტორიის მიერ რეპორტაჟის აღქმაზე, ხოლო ცუდ ვიზუალიზაციას შეუძლია, დაფაროს ინფორმაცია, ან გაუგებრობა წარმოშვას.

მონაცემთა სწორი ვიზუალიზაციის ერთი გზა არ არსებობს, მაგრამ არსებობს რამდენიმე საბაზისო

პრინციპი, რომელთა განხილვაც შეგიძლიათ, კერძოდ:

- **დაიწყეთ სანდო მონაცემებით** – თუ მასალა, რომელსაც იყენებთ, დამაბნეველი ან არასწორია, მონაცემთა ცუდ ვიზუალიზაციას შექმნით (არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად გამოიყურება იგი);
- **შეინარჩუნეთ კონტენტის სიცხადე და სიმარტივე** – მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ერთზე მეტი დიაგრამა, რათა შინაარსი ინფორმაციით არ გადატვირთოთ;
- **დრამატული ეფექტის მისაღებად ნუ მიმართავთ პარამეტრებით მანიპულირებას**: მონაცემთა ვიზუალიზაციის ყველაზე დიდი ცოდვაა ისეთი საკოორდინატო ღერძის გამოყენება, რომელიც ნულიდან არ იწყება. ეს კეთდება იმისთვის, რომ მრუდი უფრო დიდი გამოჩნდეს;
- **გახსოვდეთ, მონაცემები, რომლებსაც იყენებთ, უბრალო ციფრები არ არის**, ისინი ადამიანებსა და საგნებს ასახავს;
- **იფიქრეთ თქვენს აუდიტორიაზე**: როგორ უნდა გამოიყენონ ეს ვიზუალიზაცია, რას ელოდებით მათგან ამ თვალსაზრისით? უბრალოდ შეხედონ მას, თუ ყურადღებით შეისწავლონ?

მონაცემთა ვიზუალიზაციის ცნობილი ექსპერტი ანდი კირკი გვთავაზობს დაფიქრებას, ვიზუალიზაცია „განმარტებითია, თუ კვლევითი“ – ანუ რაიმე კონკრეტულის საჩვენებლად არის შექმნილი, თუ აუდიტორიას საშუალებას აძლევს, დრო დახარჯოს მისგან რაიმეს შესასწავლად. აგრეთვე, აქ საქმე ეხება „წაკითხვას, თუ გრძნობას“ – ანუ მისი მიზანი მკაფიო ინფორმაციის მოწესრიგებული გადმოცემაა, თუ უფრო ფართო აზრის გენერირება.

სასწავლო მაგალითი: მონაცემთა გამოყენების ცოდნა კონტექსტის განსაზღვრისთვის

სასაზღვრო ხაზი: მოგზაურობა ევროპის საზღვრებზე

გამომცემლობა: Internazionale: <https://www.internazionale.it/>

ბმული: <https://www.internazionale.it/webdoc/borderline-en/map.html>

მონაცემთა ამ ინტერაქტიული ვიზუალიზაციის მეშვეობით, მომხმარებელს შეუძლია: რუკის სხვადასხვა წერტილში დააწკაპუნოს და გაიგოს ევროპაში მიგრაციის მახასიათებლები, ვიდეო და სხვა კონტენტის მეშვეობით; ასევე, გამოიყენოს რუკის ქვედა ნაწილში მოცემული პარამეტრები მიგრაციის გარკვეულ მონაცემებთან გასაცნობად, რომლებიც საკვანძოა მოცემული ისტორიისთვის/ამბისთვის.

შედით ამ ბმულებზე, რათა ნახოთ, თუ როგორ არის წარმოდგენილი მონაცემთა ვიზუალური კონტექსტი ადამიანთა დიდი რაოდენობისთვის, რომლებთან ურთიერთქმედებაც ხშირად უჭირს აუდიტორიასაც და ჟურნალისტსაც:

- ჩამომსვლელთა რაოდენობა: <https://www.internazionale.it/webdoc/borderline-en/numbers-arrived.html>
- მგზავრობის საფასური: <https://www.internazionale.it/webdoc/borderline-en/numbers-expences.html>
- საყოფაცხოვრებო პირობებზე ზეგავლენა: <https://www.internazionale.it/webdoc/borderline-en/numbers-welfare.html>
- მოსახლეობაზე ზემოქმედება: <https://www.internazionale.it/webdoc/borderline-en/numbers-demography.html>

რა უნდა გაითვალისწინოთ:

- არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომლებსაც რეგულარულად იყენებთ და რომელთა მიმართაც შეიძლება ამ მიდგომით სარგებლობა?
- ხომ არ „გათიშულხართ“ ან დაგიკარგავთ კონცენტრაცია ისეთი მოხსენებების წაკითხვისას ან მოსმენისას, სადაც დიდი რიცხვები ფიგურირებდა? თუ ეს გემართებათ, თქვენი აუდიტორიაც იმავე სიტუაციაში აღმოჩნდება. დაფიქრდით, შეგიძლიათ თუ არა იპოვოთ მონაცემთა წარდგენის ახალი საშუალებები მათი ცოდნის მეთოდების გამოყენებით, რათა წარმოაჩინოთ კონტექსტი.

დასკვნა

მონაცემები ამბის ავტორიტეტულად თხრობაში დაგეხმარებათ, მაგრამ მათი ცუდად წარმოდგენა ნიშნავს, რომ ადამიანები უნებლიეთ შეგყავთ შეცდომაში, ავტორიტეტს ანიჭებთ უხარისხო ინფორმაციას ან, რაც კიდევ უფრო ცუდია, დეზინფორმაციის გავრცელების მონაწილე ხდებით.

მიგრაციის მონაცემები და სტატისტიკა არ არის რიცხვების სვეტი ან მათი ანალიზი – ეს გულისხმობს ადამიანთა და საგნების წარმოდგენას, ანუ რეალური ცხოვრების ელემენტებს. კარგმა ჟურნალისტმა იცის ეს და მონაცემებსა და სტატისტიკას უყურებს, როგორც შემეცნების საშუალებას: რას გვეუბნებიან ისინი ადამიანთა ცხოვრების შესახებ? მონაცემთა კარგი ჟურნალისტი ამ აბსტრაქტულ ინფორმაციას ნათელ და დამაჯერებელ ამბად გარდაქმნის – ტექსტის ან გამოსახულების საშუალებით (მონაცემთა მუსიკად გარდაქმნის მცდელობასაც კი ვიცნობთ).⁹⁰

გახსოვდეთ, რომ მიგრაციის მონაცემთა ნებისმიერი ანალიზი უნდა დაიწყეთ შეკითხვით: როგორ მოხვდა ეს პირი, საგანი თუ მოვლენა ამ მონაცემთა პირველ ფლანგზე? ეს საშუალებას მოგცემთ, დაფიქრდეთ, სად შეიძლება იმალებოდეს მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემა; ასევე, შეგახსენებთ, რომ ამბის საფუძველი არის ადამიანი.

რესურსები

აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში არც ისე ბევრია მონაცემთა ჟურნალისტიკის პროგრამები, მაგრამ ეს სფერო იზრდება. თუ გჭირდებათ რჩევა, როგორ დაიწყეთ მონაცემთა ჟურნალისტიკაში მუშაობა, ქვემოთ წარმოდგენილ პლატფორმაზე იპოვით **საერთაშორისო ჟურნალისტიკის ქსელის (IJNET)** მიერ თავმოყრილ მითითებებს, რომლებსაც გვანჯდიან ამ საკითხის ტრენერები ყირგიზეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან და საქართველოდან.

მითითებები რუსულ ენაზე ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://ijnet.org/ru/story/журналистика-данных-в-восточной-европе-центральной-азии-и-на-кавказе-истории-и-советы>

მონაცემთა ჟურნალისტიკაზე ნათარგმნია საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელის (GIJN) ბევრი ნაშრომი – **რუსულად**⁹¹ და **ინგლისურად**.⁹²

მრავალი ონლაინ კურსი არსებობს მონაცემთა ვიზუალიზაციის შესახებ, მათ შორის, ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრის შემოთავაზებით, კერძოდ:

- <https://datajournalism.com/read/longreads/the-unspoken-rules-of-visualisation>
- უფრო ზოგადი კურსი: <https://datajournalism.com/>
- ენსი კირკის ნაშრომი: <https://www.visualisingdata.com/>, ასევე, მისი წიგნი – „მონაცემთა ვიზუალიზაცია (მეორე გამოცემა)“: <https://www.visualisingdata.com/book/>

90 <https://www.ft.com/content/80269930-40c3-11e9-b896-fe36ec32aece>

91 <https://gijn.org/2019/03/07/%D0%B6%D1%83%D1%80%D0%BD%D0%B0%D0%BB%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B0-%D0%B4%D0%B0%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85/>

92 <https://helpdesk.gijn.org/support/solutions/articles/14000036505-data-journalism>

თავი 10:

მიგრაციის გაშუქების გაძლიერება

გამოიყენეთ ეს თავი, რათა:

- იპოვოთ იდეები, წინადადებები და რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს მიგრაციის გაშუქება ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოქმედებებით;
- პრესის საბჭოები და მარეგულირებელი ორგანოები
- ჟურნალისტიკის მხარდამჭერი ჯგუფები და ასოციაციები
- ახალი ამბების რედაქციები
- პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და ორგანოები
- მკვლევრები
- ჟურნალისტიკის ფაკულტეტები

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები, ძირითადად, აღებულია ფოკუსჯგუფებისგან, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტთა ასოციაციებისა და მედიის მხარდამჭერი ჯგუფების წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. შეხვედრები ჩატარდა 2020 წლის აგვისტოში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, „მომენტა 2“-ის პროექტის ფარგლებში, რომელიც დააფინანსა გერმანიის ფედერალურმა საგარეო სამსახურმა. თავი ასევე ეყრდნობა დასკვნებსა და რეკომენდაციებს ICMPD-ის პუბლიკაციებიდან: „როგორ აშუქებს მედია მიგრაციას ხმელთაშუაზღვის ორივე მხარეს? – ჟურნალისტთა კვლევა ჟურნალისტებისა და პოლიტიკის შემუშავებელთათვის“ (*How does the media on both sides of the Mediterranean report on migration? A study by journalists, for journalists and policy-makers*)⁹³, აგრეთვე, *მედია და ადამიანით ვაჭრობა: სახელმძღვანელო პრინციპები*.⁹⁴

შესავალი

იმ ხარისხიანი, ღრმა, კარგად შესწავლილი ჟურნალისტიკის ნაკლებობა, რომელიც მასმედიის სხვადასხვა სექტორში უზრუნველყოფს ადეკვატურ კონტენტს მიგრაციის მიზეზებზე, საშუალებებსა და შედეგებზე, აუცილებლად უნდა აღვიქვათ დომინანტი ეკონომიკური და პოლიტიკური კლიმატის ფარგლებში.

უნდა გვესმოდეს, რომ:

- ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური მიკერძოება და მიგრაციის ზედაპირული, გამარტივებული და არასაკმარისად ინფორმირებული გაშუქება ზოგჯერ შეიძლება აიხსნას გადაჭარბებული პოლიტიკური ზეგავლენით, ასევე, რედაქციისმიდა თვითცენზურით;
- „კოვიდ-19“-ის პანდემიამ გაამწვავა ჟურნალისტიკის მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის უარყოფითი ტენდენციები, რის გამოც რედაქციები აღმოჩნდნენ მცირერიცხოვანი პერსონალის, შეზღუდული რესურსებისა და დაბალი მორალის რისკების წინაშე;
- ჟურნალისტებს, განსაკუთრებით, დამოუკიდებელ/თავისუფალ ჟურნალისტებს (freelancers) მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა.

93 https://www.icmpd.org/fileadmin/2017/Media_Migration_17_country_chapters.pdf

94 https://www.icmpd.org/fileadmin/1_2018/THB/Media_and_THB_Guidelines_EN_WEB.pdf

ზოგადი რეკომენდაციები ჟურნალისტების მხარდასაჭერად

პრესის თავისუფლების, მედიის განვითარებისა და ჟურნალისტიკის მხარდამჭერი საზოგადოებებისგან: საგანგებო მიმართვა ჟურნალისტიკისა და მედიის მხარდასაჭერად ინიცირებულია მედიის განვითარების გლობალური ფორუმის (GFMD)⁹⁵ მიერ, რომელიც მოქმედებებისკენ მოუწოდებს შემდეგ მხარეებს: მთავრობები, დონორები და დამფინანსებლები, ჟურნალისტური და მასმედიის ორგანიზაციები, ტექნოლოგიებისა და სატელეკომუნიკაციო კომპანიები, ინტერნეტის საშუაშაველო ორგანიზაციები, სარეკლამო კომპანიები და აუდიტორიები.

ევროპის საბჭო, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ხარისხიანი ჟურნალისტიკის ექსპერტთა კომიტეტი:

- Draft recommendation on promoting a favourable environment for quality journalism in the digital age,⁹⁶
- Declaration by the Committee of Ministers on the financial sustainability of quality journalism in the digital age.⁹⁷

პრესის საბჭოები და მარეგულირებელი ორგანოები – მიკერძოების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები

პრესის საბჭოების ძირითადი როლია მკითხველისგან შემოსული საჩივრების განხილვა, თუმცა ამ ორგანოებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ ჟურნალისტიკის გაძლიერებაში. პასუხისმგებლიანი საბჭოები შესაძლოა უკვე აძლევდნენ მითითებებს მასმედიის საშუალებებს და რეაგირებას ახდენდნენ დისკრიმინაციულ და მიკერძოებულ მოპყრობაზე მიგრანტთა, ასევე, ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ უმცირესობათა მიმართ. საჭიროა ასეთი საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება.

პრესის საბჭოებს შეუძლიათ მუშაობა ჟურნალისტთა ასოციაციებთან, მკვლევრებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებთან, რათა შექმნან სადისკუსიო ფორუმი ტერმინოლოგიისა და სხვა ეთიკური საკითხების განსახილველად. ასეთი ფორუმის მეშვეობით, შესაძლებელია:

- შეიქმნას კოლექტიურად შეთანხმებული ლექსიკონები და სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნდება ყველა შესაბამის ენაზე და მუდმივად განახლდება;
- არსებულ ეთიკის კოდექსებს დაემატოს ახალი განყოფილებები (ეროვნულ დონეზე და ინდივიდუალური რედაქციებისთვის), სადაც ყურადღება მიექცევა გაშუქების პრობლემურ ტრენდებზე მუშაობას;
- განხორციელდეს რეგულარული და უწყვეტი მედიამონიტორინგი და ანგარიშგება, თუ როგორ შუქდება მიგრაცია უნივერსიტეტებსა და სხვა მკვლევრებთან პარტნიორობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მარეგულირებელი და მარეგულირებელი როლის შესრულებაში პრესის საბჭოების ეფექტიანობა და ზეგავლენა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დონეზეა. ეს დამოკიდებულია მათ ავტორიტეტსა და ნდობაზე ჟურნალისტთა და საზოგადოების მხრიდან, ასევე, ამ ორგანიზაციების ტიპზე, კერძოდ: ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები არიან, რომლებსაც მასმედია და ჟურნალისტები უჭერენ მხარს, თუ კანონით შექმნილი ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებათა გავლენას განიცდიან.

95 <https://gfmd.info/emergency-appeal-for-journalism-and-media-support-2/>

96 <https://rm.coe.int/msi-joq-2018-rev7-e-draft-recommendation-on-quality-journalism-finalis/168098ab76>

97 https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=090000168092dd4d

პრესის საბჭოთა პოტენციურ როლზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ *European Alliance of Independent Press Councils*-ის⁹⁸ გვერდზე, რომელსაც წევრები ჰყავს:

- საქართველოში: <https://www.presscouncils.eu/members-georgia/> / www.qartia.ge/en
- მოლდოვაში: <https://www.presscouncils.eu/members-moldova/> / consiliuldepresa.md/ro
- უკრაინაში: <https://www.presscouncils.eu/members-ukraine/> / www.cje.org.ua/ua

რესურსები:

- პრესის საბჭოები – მიკერძოების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი პუბლიკაციაში მუსლიმები მასმედიაში: მეტი შემწყნარებლობისა და მრავალფეროვნებისკენ (EJN).⁹⁹

ახალი ამბების რედაქციები

ახალი ამბების რედაქციებს, რომლებიც ეკონომიკური (ზოგჯერ – პოლიტიკურიც) წნეხის ქვეშ არიან, აქვთ პოტენციალი, რომ სხვადასხვა გზით გააძლიერონ მიგრაციის საკითხთა გაშუქება და თავიანთი ჟურნალისტური საქმიანობა.

დასაქმება და ტრენინგი:

- შესაძლებლობის ფარგლებში, გადადგით ნაბიჯები ჟურნალისტთა და მედიის მუშაკთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, შტატგარეშე თანამშრომელთა ჩათვლით;
- გამოიყენეთ ეს სახელმძღვანელო და სხვა რესურსები თანამშრომელთა ტრენინგისთვის, მათი კარიერის ყველა ეტაპზე და ყველა თანამდებობაზე.

სარედაქციო პოლიტიკა და მმართველობა:

- შეეცადეთ, თქვენს მკითხველს შეუქმნათ უფრო გრძელვადიანი ხედვა მიგრაციაზე; მოერიდეთ მხოლოდ კრიზისებზე საუბარსა და დომინანტურ პოლიტიკურ ნარატივს, განსაკუთრებით, არჩევნებისა და სხვა რთულ პერიოდებში. ახალი ნარატივების მიმართ დიდი მოთხოვნაა, ფინანსირებისა და მხარდაჭერის ახალი ფორმების ჩათვლით. ეს საჭიროა მედიისათვის, რათა მან შეძლოს მიგრაციის პროცესში წვლილის შეტანა, კაცობრიობის ისტორიასა და ეროვნულ თუ რეგიონულ განვითარებაში მისი როლის გათვალისწინებით;
- შეეცადეთ, თავიდან აიცილოთ „გამოქვეყნების დაჩქარება“, რომელიც მოტივირებულია სოციალური ქსელებით და ონლაინ სიახლეებით; უპირატესობა მიანიჭეთ პოზიციებს, რომლებსაც აუდიტორია სცემს პატივს და რომლებიც აამაღლებს ნდობას თქვენი ჟურნალისტური საქმიანობის მიმართ;
- ჩართეთ ამ სახელმძღვანელოში განხილული ეთიკური საკითხები და სტანდარტები, რათა შეიმუშაოთ შიდა ანგარიშგების მექანიზმები, სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკური კოდექსი;
- აქტიურად იბრძოლეთ საჯარო გამოსვლებში სიძულვილის, სტერეოტიპებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ.

98 <https://www.presscouncils.eu/>

99 <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/muslims-media-tolerance-diversity>

თანამშრომლობა:

- იყავით ღია ეროვნულ მედიასთან, მკვლევრებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობისთვის, რათა განიხილოთ მიგრაციის გაშუქების გაუმჯობესება;
- კეთილსინდისიერად მიიღეთ მონაწილეობა მედიამონიტორინგსა და მიგრაციასთან დაკავშირებულ კვლევებში;
- ეძიეთ შესაძლებლობები (და ფინანსები) თქვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობისთვის.

ახალი ამბების რედაქციათა მრავალფეროვნება:

- ხელი შეუწყვეთ მედიასაშუალებებში ისეთი პირების ან ჟურნალისტების დანიშვნას, რომლებსაც აქვთ მიგრაციის საკითხებზე მუშაობის გამოცდილება, ან არიან მიგრანტები/მიგრანტთა ოჯახების წარმომადგენლები.

ახალი ამბების მრავალფეროვნება:

- უზრუნველყავით მედიაში სხვადასხვა ხმის არსებობა, განსაკუთრებით – მიგრანტთა ჯგუფებიდან (უკვე დაფუძნებული იქნებიან ეს, თუ ახალჩამოსულნი), აგრეთვე, მასპინძელი თემების წარმომადგენლებიდან. თვალი მიადევნეთ თქვენს წარმატებებს შიდა ანალიზის ან მედიამონიტორინგის პროექტებში მონაწილეობით.
- განავითარეთ ინფორმაციის წყაროების მრავალფეროვნება.

დამატებითი საკითხავი და ლიტერატურა:

- ევროპის ჟურნალისტთა ფედერაცია (EFJ): 10 რეკომენდაცია ახალი ამბების რედაქციისა და სარედაქციო ჯგუფის მეტი მრავალფეროვნებისთვის (2020);
- ფოიოს მედიაინსტიტუტი (Fojo Media Institute): სომხეთის, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის მასმედიის სექტორში დასაქმებისა და კარიერის განვითარების გენდერული ასპექტები (2020);
- მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი (MDI): ციფრული ტრანსფორმაცია და მედიის მრავალფეროვნება: ერთი მედლის ორი მხარე_ (2020);
- EIJ/ICMPD (2017): ახალი ამბების რედაქციათა სტრატეგიები პუბლიკაციაში: მედია და ადამიანით ვაჭრობა, სახელმძღვანელო პრინციპები.

პოლიტიკის შემუშავებლები

- განათლება და ცოდნა მასმედიის სფეროში: განიხილეთ მიგრაციის საკითხების დამატება უკვე არსებულ პროგრამებში, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების განათლებასა და ტრენინგს მედიის სფეროში;
- მედიის მხარდაჭერა: შეისწავლეთ, როგორ შეგიძლიათ, დააფინანსოთ და ხელი შეუწყოთ უკეთესი ჟურნალისტების განვითარებას მათი სარედაქციო დამოუკიდებლობის საფრთხეში ჩაგდების გარეშე (იხ: ზოგადი რეკომენდაციები ჟურნალისტების მხარდასაჭერად);
- მონაცემები და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა: ჩადეთ ინვესტიცია მონაცემთა შეგროვებაში, რომლებიც შეეხება მოსახლეობის ცვლილებებსა და მიგრაციას და უზრუნველყავით ამ ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა მკვლევრებისა და ჟურნალისტებისთვის;
- ყველა თანამდებობის პირმა და სააგენტომ, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან მასმედიის საშუალებებს, უნდა შეამოწმონ ფაქტები და ინფორმაცია. ამით ისინი ხელს შეუწყობენ დაბალანსებული რეპორტაჟების მომზადებას.

პოლიტიკის შემმუშავებლები და საზოგადოების ლიდერები

- პოლიტიკის შემმუშავებლები, სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, უფრო აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ მიგრაციის საკითხთა საჯარო განხილვებში შემწყნარებლობისა და დი-ალოგის სივრცის შესაქმნელად;
- პოლიტიკური ლიდერები და საჯარო პირები, რომლებიც მასმედიის საშუალებებში ფიგურირებენ, თავიანთ გამოსვლებში უნდა დაეყრდნონ ფაქტებს და სიფრთხილე გამოიჩინონ ლექსიკისა და ტერ-მინოლოგიის შერჩევისას;
- პოლიტიკის შემმუშავებლებმა, სათემო ლიდერებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანებ-მა თავიანთი როლი უნდა შეასრულონ სამოქალაქო საჯარო ორიენტაციის განვითარებაში, ასევე, სიძულვილის ენის, თავშეუკავებელი გამოთქმებისა და პროვოკაციული მოქმედებების აღმოფხვრა-ში, რომლებიც შიშსა და უნდობლობას თესავს მთელ საზოგადოებაში.

ჟურნალისტიკის მხარდამჭერი პროგრამები

ვინც ქმნის, აფინანსებს და ახორციელებს ჟურნალისტიკის მხარდამჭერ პროგრამებს, ხელი უნდა შეუ-წყოს:

- მედიის მოქმედებას, რათა მიგრანტთა თემების ხმა უფრო ძლიერად გაჟღერდეს მედიის ინიცია-ტივების მხარდაჭერით, რომლებიც ორიენტირებულია მიგრანტებსა და ლტოლვილებზე (როგორც დამკვიდრებულ თემებზე, ისე ახალჩამოსულებზე), შესაბამის ენებზე რადიოპროგრამების ორგანი-ზების ჩათვლით; უნდა არსებობდეს მიგრანტ კომენტატორთა ბლოგები, სვეტები და სტატიები;
- ჟურნალისტების, რედაქტორების, პროდიუსერებისა და ტექნიკური პერსონალის პოტენციალის შემ-დგომ განვითარებას ინოვაციების მეშვეობით, ამბის თხრობისა და კონტენტის კუთხით;
- ჟურნალისტებისა და მასმედიის საშუალებების რეგიონულ და სუბრეგიონულ ინიციატივებს მიგრა-ციის გაშუქების გასაუმჯობესებლად;
- სფეროების მოძებნას, სადაც შეძლებენ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას ახალი ამბების რედაქციებს შორის, დიასპორისა და მიგრაციის სხვა საკითხების გასაშუქებლად;
- რესურსების მოძიებას კვლევებისა და სიღრმისეული ჟურნალისტიკისთვის, მიგრაციის სირთულე-ების გასაშუქებლად;
- ეროვნული მასმედიის საშუალებათა პარტნიორობას მიგრაციის საკითხის გაშუქებაში;
- დამოუკიდებელი და ალტერნატიული მედიის შექმნას, რომელიც თვით მიგრაციის თემებში ჩაისა-ხება;
- ორიენტირებას მედიის ორგანიზაციათა ძირითად მოთამაშეებზე, მთავარ რედაქტორებსა და მედი-ასაშუალებათა მფლობელებზე, რათა უჩვენონ, რომ შესაძლებელია, მიგრაცია გახდეს სარედაქციო საქმიანობის ძირითადი მიმართულება.

სამოქალაქო საზოგადოება

სად ვეძებთ შთაგონებას?

Associazione Carta di Roma (რომის ქარტიის ასოციაცია) იტალიაში დაფუძნდა 2011 წელს.¹⁰⁰

ორგანიზაცია შეიქმნა „მიგრაციის სფეროში ჟურნალისტთა ქცევის კოდექსის“ განსახორციელებლად, რომელსაც 2008 წელს ხელი მოაწერა ქვეყნის ორმა უდიდესმა ჟურნალისტთა კავშირმა/ასოციაციამ. იგი ითვალისწინებს:

- ორიენტირების შექმნას მათთვის, ვინც მუშაობს მიგრაციისა და უმცირესობათა საკითხებზე;
- ხიდის გადებას მასმედიის საშუალებებს, დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

ჟურნალისტთა ტრენინგი და განათლება

უნივერსიტეტებსა და სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ჟურნალისტთა ტრენინგებს უზრუნველყოფენ:

- ჩართეთ მიგრაცია სასწავლო მაგალითებში, ანგარიშების ამოცანებში, ესეებსა და კურსის სხვა ელემენტებში;
- მოიწვიეთ მომხსენებელი მიგრაციაზე ფოკუსირებული ორგანიზაციებიდან, აგრეთვე ჟურნალისტები და რედაქტორები, რომლებსაც მიგრაციის გაშუქების გამოცდილება აქვთ;
- გამოიყენეთ ეს და სხვა სახელმძღვანელოები პრაქტიკული სავარჯიშოებისა და ტრენინგის სხვა ფორმების შესამუშავებლად.

ჟურნალისტთა ასოციაციებს:

- გამოიყენეთ ეს და სხვა სახელმძღვანელოები;
- შექმენით ან ხელი შეუწყვეთ არსებული ფორუმების გამოყენებას, რათა თქვენს წევრებთან განიხილოთ მიგრაციის გაშუქების საკითხები, ასევე, ტრენინგისა და სხვა ინიციატივების შესაძლებლობები და საჭიროებები.

ჯილდოები

დონორებს, მასმედიასა და მიგრაციასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებს:

ერთად იმუშავეთ, რათა შექმნათ ჯილდოები მედიაში მიგრაციის გაშუქებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში. ეს მყისიერად გაზრდის ჟურნალისტთა მოტივაციას მიგრაციაზე წერის კუთხით. ჯილდო ხელს უნდა უწყობდეს ზემოქმედებას, ეთიკურობას, ინოვაციურობასა და ორიგინალობას (რა კუთხით გაშუქდა ამბავი და როგორია თხრობის სტილი).

¹⁰⁰ <https://www.cartadiroma.org/>

კვლევა

დონორებს:

- მოიძიეთ რესურსები კვლევებისა და სიღრმისეული ჟურნალისტიკის განვითარებისთვის, რათა დაეხმაროთ მიგრაციის სირთულეების გაშუქებას.

უნივერსიტეტებს, მედიის მხარდამჭერ ჯგუფებსა და მედიას:

- შეიმუშავეთ (სადაც შესაძლებელია, სხვებთან თანამშრომლობით) კვლევისა და მედიამონიტორინგის პროგრამები, რათა სანდო და სასარგებლო ინფორმაცია შექმნათ შემდეგ საკითხებზე: მიგრანტთა პირობები, მედიაში გაშუქებით გამოწვეული ზემოქმედება და საინფორმაციო სივრცის შექმნა მიგრაციის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

სასწავლო მაგალითი: პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა სწავლის მიზნები:

პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის საფუძვლების გაცნობა;

ადამიანებისთვის ახალი ამბების ახალი რაკურსით წარმოჩენა და საქმიანობის ახალი ფორმების სტიმულირება.

მომდევნო თავი რედაქტირებული რეზიუმეა მასალებისა, რომლებიც წარმოდგენილი იყო სემინარზე „პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა: ნდობის გაძლიერება მედიის მიმართ, საზოგადოების პრობლემებზე რეაგირების აქტიური გაშუქებით“. შეხვედრა ჩაატარა ჯერემი დრაკერმა, ორგანიზაცია Transitions-ის¹⁰¹ აღმასრულებელმა დირექტორმა და მთავარმა რედაქტორმა (მედიის განვითარების ორგანიზაცია, რომელიც პრალაში დაფუძნდა ICMPPD-ის მიგრაციის სასწავლო აკადემიის („მომენტა“) ფუნქციონირების პირველ ფაზაში).

- Transitions-ის შერჩეული მაგალითები პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის შესახებ იხილეთ ბმულზე: <https://tol.org/client/article/category/solutions-journalism>
- ასევე გირჩევთ, გაეცნოთ შესაძლებლობებს, რომლებსაც ორგანიზაცია Transitions სთავაზობს ჟურნალისტებს პორტალის Press Start-ის მეშვეობით: <https://www.pressstart.org/>
- ზოგიერთი კონტენტი აღებულია პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ქსელიდან (Solutions Journalism Network). მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://www.solutionsjournalism.org/>

ეს რეზიუმე ჯერემი დრაკერისა (ორგანიზაცია Transitions-ის) და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ქსელის (Solutions Journalism Network) ნებართვით გამოქვეყნდა.

101 <https://tol.org/>

შესავალი

ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური როლია პრობლემების გამოკვეთა, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს. თუმცა, მისი მეორე მხარე შეიძლება იყოს უარყოფითი ინფორმაციის მუდმივი ზუზუნი და ისეთი შეხედულების ჩამოყალიბება (ჟურნალისტებშიც და აუდიტორიაშიც), როგორიცაა: „რეალური ახალი ამბავი არ არის კარგი ახალი ამბავი“.

ბოლო წლებში ამაზე ერთ-ერთი პასუხია „ჟურნალისტური გადაწყვეტის“ კონცეფცია, რომელიც იუწყება პრობლემების შესახებ, მაგრამ ამავედროულად მიუთითებს გადაწყვეტის გზებზეც. ეს არ ნიშნავს ცუდი ამბების უგულებელყოფას, ეს უფრო აღიარებაა, რომ ჟურნალისტიკას შეუძლია, მონაწილეობდეს პრობლემური სიტუაციის გაუმჯობესებაში და არ იყოს მხოლოდ დამკვირვებლის როლში.

რა პრობლემების მოგვარებას ცდილობს „პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა“?

- 48% თავს არიდებს ახალ ამბებს (news), რადგან ისინი ძალზე უარყოფითია;¹⁰²
- მოზარდი ახალგაზრდობა „იღლება ახალი ამბებისგან“.¹⁰³

უარყოფითობის ეფექტი

- როდესაც ადამიანები ისმენენ დაბალეფექტურ, ამაღელვებელ გზავნილებს, მათ შეიძლება გაუჩნდეთ დაუცველობის, შიშისა და უმწეობის განცდა;
- ჩვენ ამას თავს ვართმევთ ასეთი გზავნილების უგულებელყოფით, ან უარყოფით.

პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა: ხელმძღვანელიც და გუშაგიც

პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა ახალი ამბების გაშუქების ინოვაციური მიდგომაა, რომელიც რეაგირებს სოციალურ საკითხებსა და პრობლემებზე. პრობლემათა გადაწყვეტის ისტორიები, რომლებიც სანდო მტკიცებულებებს ეყრდნობა, უჩვენებს, თუ რატომ არის/არ არის შედეგიანი კონკრეტული რეაგირება. ასეთი სახის გაშუქებამ აუდიტორიას შეიძლება გაუჩინოს იმედი, და არა დეპრესია. ამ ტიპის ჟურნალისტიკის მიზანია, უფრო მართალი და სრული წარმოდგენა შეუქმნას მაყურებელს პრობლემებზე, რაც მათ დაეხმარება უფრო ქმედითი მოქალაქეობის დამკვიდრებაში.

კარგად წარმართული პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა:

- შთააგონებს აუდიტორიას: უნერგავს იმედს, და არა დეპრესიას;
- ქმნის პერსპექტივას: პრობლემათა ზღვაში გადაწყვეტის პერსპექტივის ჩვენებით აბალანსებს მსოფლიოს მედიაიმიჯს;
- ამბავს გვაცნობს სრულად: მართალი, უფრო სრული ხედვა მოქალაქეებს ჩართულობისკენ უბიძგებს და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში.

102 Reuters Institute Digital News Report 2017. https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/Digital%20News%20Report%202017%20web_0.pdf

103 Associated Press, 'A New Model For News: Studying the deep structure of young adult news consumption'; June 2008 <https://apo.org.au/sites/default/files/resource-files/2008-07/apo-nid15035.pdf>

პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკისთვის დამახასიათებელია ოთხი თვისება:

1. აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ ადამიანზე, არამედ რეაგირებაზეც, ასევე იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს;
2. აუდიტორიას წარუდგენს ზემოქმედების მტკიცებულებას (მისი ეფექტიანობის გათვალისწინებით), და არა მხოლოდ სურვილებს ამ კუთხით;
3. ცდილობს, აუდიტორიას გაუზიაროს თავისი იდეები, რომლებიც სხვებს არა მხოლოდ შთააგონებს, არამედ დაეხმარება პრობლემაზე რეაგირებაში;
4. განიხილავს რეაგირებისთვის დამახასიათებელ შეზღუდვებს ან საფრთხეებს (იდეალური გადაწყვეტა არ არსებობს).

ერიდეთ თვითმარქვებს

გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა არ არის	ამის ნაცვლად...
გმირების თაყვანისცემა	...გამოიყენეთ პერსონაჟები, რათა ისაუბროთ სისტემურ ცვლილებებზე, თუმცა... ...ამბავი/სიუჟეტი არის ის, რასაც აკეთებენ პერსონაჟები, და არა ის, რის გაკეთებასაც აპირებენ. • აჩვენეთ, როგორ ცდილობენ ისინი პრობლემის მოგვარებას • აჩვენეთ მათ მიერ მიღწეული შედეგები • აჩვენეთ, როგორ განსხვავდება მათი ქმედებები სხვებისგან • აჩვენეთ, რისი სწავლა შეგიძლიათ მათგან • აჩვენეთ, თქმის ნაცვლად: მიეცით მკითხველს საშუალება, თვითონ გააკეთოს დასკვნები • გამოავლინეთ პერსონაჟის გამოწვევები • ნუ მოგერიდებათ არასასურველი მომენტების • ნუ გაექცევით ბნელ მომენტებს • ეძებეთ უპერსპექტივო პერსონაჟები
ჯადოსნური ჯოხი	...შეარბილეთ რიტორიკა
მეგობრისთვის სამსახურის გაწევა	...ფოკუსირება დადებითზე და უარყოფითზეც
თეორია: „ანალიტიკური ცენტრების ჟურნალისტიკა“ გვთავაზობს იმას, რაც ჯერ არ არსებობს.	...რაც უკვე მიმდინარეობს: გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა მიემართება ახალ ამბებს, იმას, რაც ამჟამად ხდება.
კუდში მიდევნებული ამრი: აბზაცი ან ფრაზა პრობლემური ამბის ბოლოს; გადაწყვეტა არ განიხილება სერიოზულად, ის მეორე პლანზე იწევს.	...გადაწყვეტა აქციით თქვენი ამბის ღერძად

აქტივიზმი: ეს, დაახლოებით, არის ის, რისი ნახვაც შეგიძლიათ საიტებზე, რომლებიც აუდიტორიას უბიძგებს ღილაკზე დაჭერისა და პრობლემის „გადაწყვეტისკენ“. გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის მიზანი არ არის გადაწყვეტების პროპაგანდა ან აუდიტორიისთვის შემოწირულობის თხოვნა.	...პრობლემებზე რეაგირების გაშუქება: გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა საშუალებას იძლევა, ახალი ამბების გადაცემებში უფრო დამაჯერებლად წარმოადგინონ საზოგადოება ამბის სრულად მოთხრობით: ანუ ისაუბრონ არა მხოლოდ იმაზე, რა დაზიანდა, არამედ იმაზეც, რა კეთდება ზიანის აღმოსაფხვრელად.
ადვოკატირება	...ნუ გადააჭარბებთ, მიიღეთ საწინააღმდეგო აზრები, გამოიყენეთ მონაცემები, იყავით ფრთხილად; ნუ გამოიყენებთ სიტყვებს, როგორიცაა, „შთამაგონებელი“, „გადაწყვეტა“, „შესანიშნავი“, „ჩინებული“, „უნიკალური“, „გენიალური“.
სატყუარა: გულითადი, უჩვეულო, ზოგჯერ ერთჯერადი ან მსგავსი ქმედება, რომელიც ეროვნული დღესასწაულებისას გამოიყენება „გუნება-განწყობის“ გასაუმჯობესებლად.	...უჩვენეთ, რა არის გადაწყვეტის ბირთვი: გამოიყენეთ მცირე დოზით „სატყუარა“, თუ ამას თქვენი აუდიტორია მოითხოვს, მაგრამ დარწმუნდით, რომ შეეხეთ სტრუქტურულ საკითხებს.

სასწავლო მაგალითი: პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის მაგალითი სააგტორო სტატიის სახით

მოსაზრება: საზღვარგარეთ დალაგების საფრთხე: ახლო აღმოსავლეთში შინამოსამსახურე მიგრანტებს კვლავ ატუსაღებენ და სასტიკად ეპყრობიან. ავტორი ლაურა სეკორუნი.

ბმული: <https://www.nytimes.com/2018/08/06/opinion/international-world/domestic-workers-middle-east.html>

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა არის:

- სოციალურ პრობლემებზე რეაგირების მკაცრი და ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება;
- რეპორტაჟი იმაზე, რა ხდება ახლა და რა შედეგები მოაქვს მას; მოდელების დემონსტრირება, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტას უწყობს ხელს, და არა მხოლოდ თეორიები შესაძლებლობათა შესახებ, ან კეთილი ზრახვები.

რატომ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა

- მისი მეშვეობით თქვენი მასალა მეტ ზემოქმედებას ახდენს;
- გადაწყვეტის გაშუქება აძლიერებს ანგარიშვალდებულებას;
- ეს უბრალოდ კარგი ჟურნალისტიკაა;
- მას შეუძლია, გააფართოოს აუდიტორია და ჩართულობა, ასევე, აამაღლოს ნდობის დონე.

35 წლამდე ასაკის ციფრული აუდიტორიის კვლევით, რომელიც ჩაატარა BBC World Service- მა, გამოვლინდა, რომ 64%-ს სურს, ახალ ამბებში მოისმინოს პრობლემის გადაწყვეტის შესახებ: პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა იყო მათი მოთხოვნა კონტენტის მიმართ.¹⁰⁴

როგორ განვაგრძოთ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა

1. საჭიროა საკითხის ან პრობლემის იდენტიფიცირება

დიდი საკითხი დაყავით ელემენტებად:

- რა არის კონკრეტული პრობლემა უფრო დიდი საკითხის ფარგლებში, რომლის გადაწყვეტაც გსურთ?
- იყავით მაქსიმალურად ზუსტი!
- ჰაერის დაბინძურების გადაწყვეტა, როგორც ასეთი, არ არსებობს, მაგრამ არსებობს მრავალი გადაწყვეტა ამ პრობლემის ცალკეული კომპონენტებისთვის.

2. დასვით შეკითხვა: რა აკლია საჯარო საუბრებს?

გამოიყენეთ ეს მარტივი ეტაპობრივი გზამკვლევი, რათა გადაწყვიტოთ, შეეფერება თუ არა თქვენი ამბავი გადაწყვეტაზე ორიენტირებულ ჟურნალისტიკას.

ნაბიჯი 1	ნაბიჯი 2	ნაბიჯი 3
პრობლემის შესახებ ინფორმაცია საკმარისია?	თუ „კი“ - ეს ამბავი უფრო იმ ჟურნალისტიკას შეეფერება, რომელიც პრობლემებს სწავლობს	
	თუ „არა“ – იკითხეთ: პოტენციური რეაგირების შესახებ ინფორმაცია საკმარისია?	თუ „არა“, მხარი დაუჭირეთ ზეწოლას, რათა პასუხისმგებლობა იგრძნონ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა
		თუ „კი“ – განიხილეთ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის გამოყენება

104 <https://www.journalism.co.uk/news/five-key-research-findings-about-young-online-audiences-from-bbc-world-service/s2/a588021/>

3. დაიწყეთ კანდიდატების ძებნა გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ამბისთვის

სად შეიძლება იპოვოთ ასეთი ამბები:

- ანალიტიკური ცენტრები, პოლიტიკის ან სამეცნიერო ექსპერტები (იხ. როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები);
- დიდ მონაცემთა ბაზები (იხ. მონაცემთა ჟურნალისტიკა და ვიზუალიზაცია);
- პრობლემაში ჩართული ადამიანები;
- პროგრამის კოორდინატორები ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში (იხ. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs));
- ჩაიხედეთ თქვენი ცხოვრების სარკეში;
- გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტური ამბის მიდევნება (<https://storytracker.solutionsjournalism.org/>).

პრობლემის გადაწყვეტის ღერძი გამოიყენეთ კომპასად:

- პასუხობს შერჩეული გადაწყვეტა კონკრეტულ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც გსურთ?
- რეალურ ზემოქმედებას ახდენს შერჩეული გადაწყვეტა? საიდან იცით?
- ფოკუსირდით შერჩეულ გადაწყვეტაზე; ნუ გადაუხვევთ გზიდან.

თქვენი ამბის თხრობისას გახსოვდეთ:

- ფოკუსირდით შეკითხვაზე: როგორ...?
- ვინ, რა, როდის, სად, რატომ ... და როგორ?
- გამოიყენეთ ქრონოლოგიური, ეტაპობრივი სტრუქტურა: როგორ უნდა მივიდეთ პრობლემიდან რეაგირებამდე?

როგორ შეგიძლიათ გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ობიექტივის გამოყენება თქვენი სენსაციური პუბლიკაციისთვის?

- გააშუქეთ ადგილობრივი პროგრამა;
- მოძებნეთ გადაწყვეტა სხვა წყაროდან;
- ერთმანეთს შეადარეთ ორი საქმე.

იპოვეთ დადებითი გადახრა (გამონაკლისი):

- იმუშავეთ უკუმიმართულებით, რათა იპოვოთ დადებითი გამონაკლისი – ინდივიდუალური პირები, რომლებსაც თავიანთი უჩვეულო, მაგრამ წარმატებული მოქმედება ან სტრატეგია პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტის საშუალებას აძლევს, თანატოლებთან შედარებით (მიუხედავად იმისა, რომ ისინიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან და არც დამატებითი რესურსები და ცოდნა აქვთ);
- დასვით კითხვა: როგორ მიაღწიეს ამ წარმატებას? რატომ სხვები არ იქცევიან ასე?
- გახსოვდეთ: კორელაცია არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ტოლფასი და ყოველთვის გჭირდებათ დამატებითი კვლევა. ის მარტივად შეიძლება იყოს მონაცემთა შემთხვევითი მახასიათებელი.

ძირითადი შეკითხვები გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკისთვის:

- ვისი შედეგებია უკეთესი?
- როგორ შედეგს იძლევა რეაგირება? (შეანულო ინტერვიუს ტემპი)
- პრობლემის რომელი ელემენტები ვერ გადაიჭრა რეაგირებით?
- საიდან მოვიდა ეს იდეა?
- სადმე მეორდება ის? რა შედეგები აქვს?
- რაზე მიუთითებს კვლევა?
- რას ამბობენ კრიტიკოსები?
- წარმატების გაზომვის თვალსაზრისით, რომელ საზომ ერთეულებს აქვს მნიშვნელობა?
- რა შედეგს იძლევა ეს რეაგირება? რა შედეგს არ იძლევა ეს რეაგირება? საიდან ვიცით ეს?
- რა უშლის ხელს მის სხვაგან გამოყენებას?

ამბის შერჩევისას გახსოვდეთ:

- არ არის აუცილებელი, ეს იყოს „გადაწყვეტა“: შეიძლება პრობლემა გადაიჭრას მთლიანად, ან ნაწილობრივ;
- მოიპოვეთ მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს წარმატებას, მაგრამ აუდიტორიას ხარვეზებიც აცნობეთ.

გადაწყვეტაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის ფორმები**საგამოძიებო პროცესის ბოლო ნაწილი**

- გადაწყვეტასთან დაკავშირებული ამბის ჩართვა აგვარიდებს მიზეზებზე მითითებას და უფრო მდიდარი მასალა იქნება „ბოლო სერიისთვის“.

მაგალითი: <https://www.wnyc.org/story/being-kid-adult-prison-here-vs-other-countries/>

გამოძიების სქემა

- როგორ მოიგერიეს ცუდი საქციელი?
- უჩვენეთ, როგორ შეიძლება რეგულაციებისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცება.

წარუმატებლობისგან მიღებული გაკვეთილი

დარწმუნდით, რომ წარუმატებლობისგან გაკვეთილი მიიღეთ. ნუ შეგაშინებთ მუქი შუქრდილები. დასვით შეკითხვა:

- შეუძლიათ სხვებს ამ მაგალითით სწავლა?
- რისი გაკეთება შეიძლებოდა სხვაგვარად?
- რატომ იზიდავთ ადამიანებს წარუმატებელი იდეები?

შედარება: გაშლი და გაშლი

- ჰკითხეთ თქვენს წყაროს, კიდევ ვინ აკეთებს ამას კარგად? ხშირად ისინი მიგითითებენ სხვა საზოგადოებების/თემების მაგალითებზე;
- უპირველესად, ნახეთ, არის თუ არა ეს თემები იმ საზოგადოების მსგავსი, რომელსაც აშუქებთ. მსგავსი პრობლემები აქვთ? მსგავსია პრობლემის წარმომშობის მიზეზები და კონტექსტი? თუ ასეა, ღირს რეაგირებისთვის ჩაღრმავება;
- აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი იდეა ან ხედვა, ერთი ლიდერის ან კონკრეტული მექანიკისგან განსხვავებით. ეს დიდი იდეა ყველაზე შესაფერისია გეოგრაფიული გავრცელებისთვის.

სწრაფი

- თუ პრობლემა ფართოდ ცნობილია, დაწერეთ ამის შესახებ ერთი წინადადება და მაშინვე გადადით რეაგირების ნაწილზე.

ადგილის ტრანსფორმაცია

- როგორ გაუმჯობესდა ადგილი დროთა განმავლობაში?
- ადგილის ცვლილება სათანადო ინფორმაციას გვაძლევს იმ ქალაქებზე, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ?

ახალი და შეუმოწმებელი იდეა

- იდეის გამოყენება შეგეძლებათ, როგორც კი იგი დაიტესტება და მოგეცემათ ხელმისაწვდომი მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა.

თავი 11:

მექანიზმები და რესურსები

ქვეყნისთვის დამახასიათებელი მიგრაციის წყაროები

სომხეთი

მიგრაციის სამსახური

ეს სამსახური ტერიტორიული ადმინისტრირებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2010 წელს შეიქმნა და ცენტრალური ორგანოა, რომელიც პასუხს აგებს მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებაზე. იგი ამავდროულად კოორდინაციას უწევს სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობას, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ, პოლიტიკის შემუშავებისა და სამართლებრივი აქტების მომზადების ჩათვლით. სამსახურის ონლაინ წყაროები სრულად მოიცავს მიგრაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეიძლება გამოყენებული იყოს სომხეთში მიგრაციაზე ინფორმაციის ძირითად წყაროდ.¹⁰⁵

საგარეო საქმეთა სამინისტრო (MFA)

უწყება პასუხისმგებელია სავიზო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე (ასევე სომხეთში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებსაც აქვთ ქვეყანაში დასაბრუნებელი მოწმობა და ბინადრობის სპეციალური სტატუსი). მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემები ხელმისაწვდომია საგარეო საქმეთა სამინისტროში, ვიზის მოთხოვნებსა და საკონსულო მომსახურებაზე ინფორმაციის ჩათვლით.¹⁰⁶

პოლიცია

ეს ორგანო პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე: სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ვიზის გაცემა, ვიზის გაგრძელება, ბინადრობის სტატუსის/ნებართვის გაცემა, ქვეყანაში უცხოელთა რეგისტრაცია და სომხეთის მოქალაქეებისთვის ქვეყნიდან გასვლის შტამპის ჩართყმა (პასპორტის ვალიდაცია). ისინი ასევე მართავენ საპასპორტო და ბინადრობის ნებართვის მონაცემთა ბაზას. ინფორმაცია ღია წყაროებში შეზღუდულია, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.¹⁰⁷

დასაქმების სახელმწიფო სააგენტო

ცალკე სტრუქტურული ერთეული შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროში, რომელიც პასუხისმგებელია დასაქმების რეგულაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე.

სააგენტოს მთავარი მიზანია დასაქმების რეგულირების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, რომლებიც მიემართება მოსახლეობის სრული და ეფექტიანი დასაქმების პირობების შექმნას. ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს შრომითი მიგრაციის შესახებ.¹⁰⁸

სტატისტიკის კომიტეტი

მის ფუნქციებში შედის: ოფიციალური სტატისტიკის შემუშავება, წარმოება და გავრცელება სტატისტიკური პროგრამების შესაბამისად; სანიმუშო ჯგუფებში გამოკითხვისა და კვლევის ჩატარება; საყოველთაო აღწერა; სტატისტიკური მონაცემების შეგროვება (მათ შორის, ადმინისტრაციული რეესტრებიდან), სტატისტიკური დოკუმენტების მეშვეობით; სტატისტიკური რეესტრებისა და მონაცემთა ბაზების მართვა და სხვა. მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტატისტიკურ ანგა-

105 <http://www.migration.am/>

106 www.mfa.am/en/visa

107 <https://www.police.am/%D5%A9%D6%80%D5%A1%D6%86%D5%AB%D6%84%D5%AB%D5%B6%D5%A3.html>

108 <http://employment.am/>

რიშებსა („პუბლიკაციების“ განყოფილება) და მონაცემთა ბაზებში, რომელთა უმრავლესობა შედგენილია სომხურ და რუსულ ენებზე.¹⁰⁹

სომხეთის ცენტრალური ბანკი (CBA)

ბანკი აგროვებს ინფორმაციას შემოსული და გასული რემიტენციების შესახებ და აანალიზებს მათ. ეს მონაცემები ხელმისაწვდომია სომხეთის ცენტრალური ბანკის ვებგვერდზე.¹¹⁰

დიასპორის საკითხებში უმაღლესი კომისრის სამსახური

სამსახური პასუხისმგებელია სომხურ დიასპორასთან ურთიერთობების განვითარებაზე. მიმდინარე პერიოდში სააგენტოს ვებგვერდი არ აქვს. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტელეფონით, ან ოფიციალური ფეისბუქგვერდის მეშვეობით.¹¹¹

კარიტასის სომხური განყოფილება ახორციელებს მიგრაციისა და ინტეგრაციის/რეინტეგრაციის პროექტებს.¹¹²

სომხეთის მისია ახორციელებს პროექტებს, რომლებიც ეხმარება ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.¹¹³

სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოება ახორციელებს ლტოლვილთა დაცვასა და ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პროექტებს და ეხმარება სირიელ ლტოლვილებს სომხეთში.¹¹⁴

მიგრაციის ინსტიტუტის სოციალური ცვლილებების ანალიტიკური ცენტრი ახორციელებს მიგრაციის კვლევებს და საჯარო პოლიტიკის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებს.¹¹⁵

მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი (MCC)

კვლევითი დაწესებულება, რომელიც 2011 წელს შეიქმნა ერევნის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე ევროკავშირის პროექტის – „ტემპუს-IV“-ის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (საქართველო), ასევე, გრაცის (ავსტრია), ალიკანტესა (ესპანეთი) და ოლდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტებსა და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით. ცენტრის დანიშნულებაა:

- ონლაინ პლატფორმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნაყოფიერ თანამშრომლობას მიგრაციის სფეროს კვლევით ცენტრებსა და სპეციალისტებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით; მიგრაციის ბოლო პერიოდის კვლევების მონაცემთა ბაზის მართვა; და ეროვნული და ერთობლივი პროექტების განხორციელება;
- მიგრაციის პოლიტიკისა და რეგულირების სამართლებრივ მონაცემთა ბაზის შექმნა;
- რეგიონში მიგრაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო და კვლევითი მასალების, საკითხავი მასალისა და უახლესი ინფორმაციის უზრუნველყოფა, ამ კუთხით კვლევების ხელშესაწყობად;
- მიმდინარე მონიტორინგი და პროგნოზირება;
- ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტებისა და აქტივობების განხორციელება, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება;
- მიგრაციის კვლევების სფეროში შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება და შეფასება;
- მიგრაციის პოლიტიკისა და პროექტების ექსპერტიზა.

109 <https://www.armstat.am/en>

110 <https://www.cba.am/en>

111 Armenian Government website, Office of the Chief Commissioner for Diaspora Affairs, <https://www.gov.am/am/diaspora-affairs/>; Diaspora High Commissioner's Office, official Facebook page: https://www.facebook.com/pg/DiasporaHighCommissionerOfficeArmenia/about/?ref=page_internal.

112 <https://caritas.am/>

113 <http://www.mission.am/>

114 <https://www.redcross.am/en/home.html>

115 <http://imsc.am/>

მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი პარტნიორი ინსტიტუტია „მიგრაციისა და კონფლიქტების კვლევის“ საბაკალავრო პროგრამაში, რომელიც ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე ისწავლება.¹¹⁶

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ოფისი სომხეთში¹¹⁷

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა სომხეთში¹¹⁸

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა სომხეთში¹¹⁹

აზერბაიჯანი

მიგრაციის სახელმწიფო სამსახური (SMS)

მთავარი აღმასრულებელი ორგანო მიგრაციის სფეროში, რომელსაც სამართალდამცველი დაწესებულების სტატუსი აქვს. მისი კომპეტენციები განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. სამსახური ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას მიგრაციისა და მიგრაციული პროცესების მართვისა თუ რეგულირების სფეროში და მის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია მიგრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჟურნალისტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ან პრესის ბრიფინგებზე. მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის მენეჯმენტი ასევე ატარებს ონლაინ პრესკონფერენციებს და საინფორმაციო საჯარო დისკუსიებს, რომლებიც ონლაინში გადაიცემა; ჟურნალისტთა შეკითხვებს იგი პასუხობს ინტერაქტიული რადიოპროგრამების მეშვეობით.¹²⁰

საგარეო საქმეთა სამინისტრო (MFA)

უწყება პასუხისმგებელია საზიზო პოლიტიკის განხორციელებაზე, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორიცაა ქვეყანაში შემოსვლის ვიზის გაცემა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სპეციალური კატეგორიის პირთა რეგისტრაცია (დიპლომატიური მისიები; საკონსულოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები; აზერბაიჯანში ჩასული უცხოელები და თავმჯდომარის მაძიებლები, როგორც დადგენილია საერთაშორისო შეთანხმებებით, რომლებზეც აზერბაიჯანი ხელს აწერს); ამასთანავე, სამინისტრო საზღვარგარეთ მყოფ აზერბაიჯანის მოქალაქეებს უწევს საკონსულო მომსახურებას, თავისი დიპლომატიური მისიებისა და საკონსულოების მეშვეობით. უწყება ასევე აწარმოებს აზერბაიჯანის მოქალაქეთა რეესტრს, რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ საზღვარგარეთ, და ხელს უწყობს მიგრაციის სფეროში თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან. მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემები, რომელთა მიღებაც შესაძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტროდან, მოიცავს ინფორმაციას საზიზო მოთხოვნებისა და საკონსულო მომსახურების შესახებ.¹²¹

116 <http://mcc.ysu.am/>

117 www.icmpd.org

118 <https://www.iom.int/countries/armenia>

119 <https://www.unhcr.org/armenia.html>

120 <https://migration.gov.az/>

121 <https://mfa.gov.az/en>

შინაგან საქმეთა სამინისტრო (MIA)

უწყება პასუხისმგებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემაზე (პირადობის დამადასტურებელი ბარათები და პასპორტები). სხვა ამოცანებთან ერთად, მის ფუნქციებში შედის ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ. ჟურნალისტებს შეუძლიათ, მიიღონ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია/მონაცემები ადამიანით ვაჭრობის შესახებ.¹²²

შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტრო (MLSPP)

ეროვნული შრომითი ბაზრის მართვაზე პასუხისმგებელი უმთავრესი აღმასრულებელი ორგანო. სამინისტრო მუშაობს უშუალოდ მიგრაციის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებებს შრომის ნებართვის შესახებ. შრომითი კვოტების მონაცემები გასაჯაროებული არ არის და მათი მოპოვება შეიძლება მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე.¹²³

სახელმწიფო სასაზღვრო სამსახური (SBS)

მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც საზღვარს აკონტროლებს. იგი არეგისტრირებს უცხოელებს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში (BCPs), ებრძვის სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციას და ამოწმებს უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლის საფუძვლებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: საზღვრის უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა; საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა; ნარკოტიკებით ვაჭრობისა და იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა; მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი კომპონენტების გავრცელების პრევენცია. საჯაროდ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის: ჟურნალისტებს მათი მოპოვება შეუძლიათ მოთხოვნის საფუძველზე.¹²⁴

დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი

კომიტეტი დახმარებასა და კოორდინაციას უწევს აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობას. მისი ძირითადი ამოცანებია: საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებზე მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; დიასპორის წევრებისთვის ღონისძიებების ორგანიზება აზერბაიჯანში და საზღვარგარეთ; და დიასპორის დახმარება დიასპორული ორგანიზაციების მეშვეობით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი აზერბაიჯანული დიასპორული ორგანიზაციების რუკა საჯაროდ ხელმისაწვდომია კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.¹²⁵

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების კომიტეტი

უწყება უშუალოდ პასუხისმგებელია აზერბაიჯანელ ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე და, რეგიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, პირდაპირ დახმარებას უწევს ამ ჯგუფებს. მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის: ჟურნალისტებს მათი მოპოვება შეუძლიათ მოთხოვნის საფუძველზე.¹²⁶

122 <https://www.insanalveri.gov.az/?/en/menu/59/>, <https://mia.gov.az/?/en/mainpage/>

123 <http://sosial.gov.az/>

124 <http://www.dsx.gov.az/>

125 <http://diaspor.gov.az/en/>

126 <http://idp.gov.az/en>

განათლების სამინისტრო

სამინისტრო აგროვებს მონაცემებს აზერბაიჯანში მცხოვრებ უცხოელ სტუდენტებსა და, შესაძლებლობის ფარგლებში, საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელ სტუდენტებზე. მონაცემთა მოპოვება შესაძლებელია სამინისტროს ვებგვერდისა და ოფიციალური პუბლიკაციის (გაზეთი „Azərbaycan müəllimi“) მეშვეობით. ჟურნალისტებს მონაცემების მოპოვება შეუძლიათ მოთხოვნის საფუძველზე.¹²⁷

სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი

კომიტეტი აგროვებს აღწერაზე დაფუძნებულ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ; ასევე, მიგრაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომლებიც მიემართება საზღვრის გადაკვეთას, შრომით კვთებს, ქვეყანაში მუდმივი ბინადრობის მიზნით შემოსულ პირებს (იმიგრანტებს), ქვეყნიდან მუდმივი ბინადრობის მიზნით გამგზავრებულ პირებს და, ზოგადად, მიგრაციას.¹²⁸

აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი

იგი აგროვებს მონაცემებს აზერბაიჯანში შესული და ქვეყნიდან გასული რემიტენციების შესახებ.¹²⁹

აზერბაიჯანის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია

წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის აზერბაიჯანის ფილიალი სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მართოხელა მოხუცებს, ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულთა ოჯახებს, ასევე, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებით დაზარალებულებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს (მიგრანტთა გარკვეული კატეგორიის ჩათვლით).¹³⁰

აზერბაიჯანის მიგრაციის ცენტრი

ცენტრის საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სამართლებრივი დახმარება ექსპატრიანტების, აზერბაიჯანში მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირებისა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთათვის, ასევე, მათთვის წარმომადგენლობის გაწევა სხვადასხვა სახელმწიფო და სასამართლო ორგანოში; ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების პერსონალისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში; ექსპატრიანტთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და მიგრაციული ტენდენციების მქონე მოსახლეობის განათლება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სფეროში; უფასო იურიდიული დახმარება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის და სხვა.¹³¹

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ოფისი აზერბაიჯანში¹³²

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა აზერბაიჯანში¹³³

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის წარმომადგენლობა აზერბაიჯანში¹³⁴

127 <https://edu.gov.az/en/page/292>

128 <https://www.stat.gov.az/source/demography/?lang=en>

129 <https://www.cbar.az/page-39/statistics>

130 <http://eng.redcrescent.az/>

131 <https://www.facebook.com/Azerbaijanmigrationcenter/>

132 www.icmpd.org

133 <https://azerbaijan.iom.int/>

134 <https://www.unhcr.org/azerbaijan.html>

ბელარუსი

მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს დეპარტამენტი ძირითადი სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც პასუხისმგებელია მიგრაციის ეროვნული პოლიტიკის კოორდინირებულ განხორციელებაზე. დეპარტამენტი რეგულარულად აქვეყნებს მიგრაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს. სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს შრომითი მიგრაციისა და იმიგრაციის, იძულებითი მიგრაციის ნაკადების, ასევე, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე და კანონიერი მიგრაციის შესახებ. შრომითი ემიგრაციისა და იმიგრაციის სტატისტიკა 2011 წლიდან დღემდე (ჩაშლილი საქმიანობის, გამგზავრების დროისა და სხვა მონაცემების მიხედვით) ხელმისაწვდომია დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. მონაცემები განახლდება სამ თვეში ერთხელ.¹³⁵

ეროვნული სტატისტიკის კომიტეტი (BELSTAT)

კომიტეტი აწარმოებს მონაცემებს ბელარუსის შიდა და გარე მიგრაციის შესახებ. გარე მიგრაციის მონაცემები განახლდება ყოველწლიურად. კომიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკურ წელიწდეულს აგვისტოში/სექტემბერში. ბოლოს გამოცემა 2019 წლის მონაცემები.¹³⁶

ეროვნული ბანკი

2017 წლიდან ბანკი აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს რემიტენციების შესახებ.¹³⁷

„ბელარუსის საქმე“ (CASE Belarus)

ეკონომიკური კვლევის ცენტრი „ბელარუსის საქმე“ ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, მათ შორის, მიგრაციის ინიციატივების შესახებ. ამ პროექტების მეშვეობით გროვდება მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემები. მისი ერთ-ერთი ბოლო პროექტი მიეძღვნა ცირკულარულ მიგრაციას ბელარუსს, პოლონეთს, სლოვაკეთსა და ჩეხეთს შორის.¹³⁸

ორგანიზაცია „ჰუმან კონსტანტა“ (Human Constanta)

ბელარუსის ადამიანის უფლებათა ადვოკატირების ჯგუფი. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ორიენტირებულია ორგანიზაცია, არის მიგრანტთა დახმარება. ამის უახლესი მაგალითია ჯგუფის მიერ მომზადებული მიმოხილვა, რომელიც შეეხება ლტოლვილთა მდგომარეობას ბელარუსისა და პოლონეთის საზღვრებზე.¹³⁹

„ბეროკი“ (BEROC)

ეკონომიკური კვლევის ცენტრი დროდადრო აქვეყნებს კვლევებს მიგრაციის საკითხებზე. მისი ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციაა „დემოგრაფია – ეკონომიკური ზრდა“, რომლის კონკრეტული განყოფილება მიმოიხილავს ემიგრაციისა და იმიგრაციის საკითხებს და გარკვეულ მონაცემებს გვათავაზობს ამ თემის ირგვლივ.¹⁴⁰

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა ბელარუსში¹⁴¹

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა ბელარუსში¹⁴²

135 <https://www.mvd.gov.by/en/page/departament-po-grazhdanstvu-i-migraci/migraciya/statistika-po-migracii>, <https://mvd.gov.by/ru/page/uchet-trudyashihsya-emigrantov-i-trudyashihsya-immigrantov>

136 <https://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/solialnaya-sfera/naselenie-i-migratsiya/>, https://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/publications/izdania/public_compilation/index_18023/

137 https://www.nbrb.by/system/settlements/money_remittances/db

138 <https://case-belarus.eu/circular-migration-between-belarus-and-poland-slovakia-and-czechia/>

139 <https://humanconstantia.by/situaciya-s-bezhencami-na-belarussko-polskoj-granice-yanvar-mart-2020-g/>

140 http://beroc.by/publications/policy_papers/demografiya-kak-vyzov-dlya-ekonomicheskogo-rosta/

141 <https://www.iom.int/countries/belarus>

142 <https://www.unhcr.org/by/ru>

საქართველო

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (PSDA)

უწყება პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე შემდეგი საკითხების შესახებ: მოქალაქეობა, მოქალაქეობის არქონა, ბინადრობის ნებართვისა და სხვა დოკუმენტების (პასპორტი, პირადობის მოწმობა, სამგზავრო საბუთები) გაცემა; სამოქალაქო რეგისტრაცია და ბინადრობის ადგილის რეგისტრაცია; მონაცემთა მართვა და ა.შ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია შემდეგ სერვისებზე: მოთხოვნები საქართველოს მოქალაქეობის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად; ეროვნული პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტების მიღება; რეგისტრაცია საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოების მეშვეობით; საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრა; და საემიგრაციო ნებართვები.¹⁴³

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (SCMI)

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს ფუნქციასაც. მასში ერთიანდებიან: საქართველოს სამინისტროები და სააგენტოები, რომლებიც დაკავშირებული არიან მიგრაციასთან, მათ შორის: იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; და სტატისტიკის ეროვნული სამსახური. SCMI-ის სხდომებზე იწვევენ მიგრაციის სფეროს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფუნქციებში inter alia შედის მიგრაციის სფეროში კანონმდებლობის ინიცირებაც. იგი ხელს უწყობს და მონიტორინგს უწევს კანონების შემუშავებას, ქმნის პლატფორმას მიგრაციაზე ინფორმაციის გაზიარებისთვის და ზედამხედველობს მიგრაციის პროექტების განხორციელებას. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ვებგვერდზე შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის გაცნობა:

- იმიგრაცია – საქართველოში დამკვიდრება; საქართველოს ვიზის კატეგორიები და ტიპები; ვის შეუძლია საქართველოში უვიზოდ შემოსვლა; ბინადრობის ნებართვისა და ბარათის გაცემის წესები; თანამემამულეთა სტატუსი და სერტიფიკატები; მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსი და ა.შ;
- ემიგრაცია – ლეგალური ემიგრაცია; საქართველოს ეროვნული პასპორტი; საქართველოს მოქალაქისთვის საზღვარგარეთ პასპორტის გაცემის წესი; საქართველოს მოქალაქეთა საკონსულო რეგისტრაცია; სამგზავრო დოკუმენტები საქართველოში დასაბრუნებლად და სხვა;
- რეინტეგრაცია – ინფორმაცია რეინტეგრაციის პროგრამების შესახებ;
- ნებაყოფლობითი დაბრუნება – სტატისტიკური მონაცემები ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ 2012 – 2019 წლებში;
- ლტოლვილები და თავშესაფარი – ინფორმაცია საქართველოში საერთაშორისო დაცვის, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის შესახებ და მათი უფლებები.¹⁴⁴

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეშვეობით, ეს უწყება პასუხისმგებელია შემდეგ საკითხებზე: საქართველოს საზღვრის დაცვა; მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საზღვრის გადაკვეთა; და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემა ჰუმანიტარულ საფუძველზე. სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი კომპეტენტური ორგანოა, რომლის ფუნქციებშიც შედის: რეადმისიის შეთანხმებებისა და მასთან დაკავშირებული პროცედურული თუ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება; საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა გამოვლენა, იდენტიფიცირება და ქვეყნიდან გაყვანა; და დროებითი განთავსების ცენტრის მართვა. ახლახან მიგრაციის დეპარტამენტს დაეკისრა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია, აგრეთვე, მიგრაციის სა-

143 <https://www.sda.gov.ge>

144 <http://migration.commission.ge>

ერთო კონტროლი. დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სახელმძღვანელო მითითებების ორი გამოცემა: სახელმძღვანელო მითითებები ლეგალური ემიგრაციის შესახებ და სახელმძღვანელო მითითებები ლეგალური იმიგრაციის შესახებ, რომლებშიც მოცემულია პრაქტიკული ინფორმაცია პროცედურებსა და არსებულ რესურსებზე.¹⁴⁵

საგარეო საქმეთა სამინისტრო

საკონსულო დეპარტამენტის მეშვეობით, უწყება ძირითადად ახორციელებს საქართველოს საზღვარგარეთ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. სამინისტრო მონაწილეობდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის საზღვარგარეთ ხელშეწყობისა და რეადმისიის შეთანხმების განხორციელებაში და ხელმძღვანელობდა ქართულ დელეგაციებს კომიტეტის ერთობლივ შეხვედრებზე. საკონსულო დეპარტამენტი და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები პასუხისმგებელი არიან საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დიპლომატიურ და საკონსულო დაცვაზე.¹⁴⁶

საქართველოს საელჩოები და საკონსულოები

საზღვარგარეთ საქართველოს მისიები მუშაობენ შესაბამის ქვეყანაში შესვლის მოთხოვნებზე, დოკუმენტების გაცემასა და სერტიფიცირებაზე, და მოქალაქეობისა და ვიზების საკითხებზე. ისინი კონსულტაციებს უწევენ მიგრანტებს შესაბამისი დანიშნულების ქვეყნის სამართლებრივი ასპექტების შესახებ; ასევე, იცავენ მათ უფლებებს ამ ქვეყანაში არსებულ კანონებსა და საიმიგრაციო პოლიტიკაზე ცნობიერების ამაღლებით და სხვა სახის დახმარებით. საქართველოს დიპლომატიური კორპუსის ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომია სასარგებლო ინფორმაცია, მათ შორის, შემდეგ საკითხებზე: საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები და წარმომადგენლობები; საზღვარგარეთ საქართველოს მისიების მისამართი და საკონტაქტო მონაცემები; საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების ვინაობა და საკონტაქტო დეტალები; საქართველოში უცხო ქვეყნის საპატიო კონსულების ვინაობა და საკონტაქტო დეტალები; საზღვარგარეთ უცხოელებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის და სხვა.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს დეპარტამენტი ფოკუსირებულია დიასპორის საკითხებში საქართველოს პოლიტიკის გაძლიერებაზე, მათ შორის, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების შენარჩუნებითა და გაღრმავებით. დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს ქართულ დიასპორაზე ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, ასევე, აწარმოებს საზღვარგარეთ ქართული დიასპორული ორგანიზაციების მონაცემთა ბაზას.

ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს დეპარტამენტი პასუხისმგებელია მრავალმხრივი თანამშრომლობისა და მასთან დაკავშირებული მიგრაციული საკითხების მართვაზე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. იგი ასევე კოორდინაციას უწევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მობილობას აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მას ევალება სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, რეპატრიანტთა და ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლთა სფეროში; ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა განთავსება და ქვეყნის შიგნით მიგრაციის პროცესის მართვა. სამინისტრო ხელს უწყობს ქართველ მიგრანტთა რეინტეგრაციას, მათ შორის, ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა: დროებითი განთავსება, სოციალური დაცვის პაკეტი, მცირე და საშუალო საწარმოს ორგანიზებისთვის საჭირო გრანტები და სხვა.¹⁴⁷

145 <http://police.ge/>

146 <http://www.mfa.gov.ge/>

147 <http://www.mra.gov.ge/eng>

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე. სააგენტოს მიზნებია: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა; ამგვარი დანაშაულის მსხვერპლთა და დაზარალებულთა კომპენსაციების გადახდა, მათი დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია; კრიზისის ცენტრის სერვისების მიწოდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის; ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა შშმ პირების, ხანდაზმულებისა და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის; სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა რეაბილიტაცია და დახმარება. სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია სტატისტიკური მონაცემები ტრეფიკინგის მსხვერპლთა თაშისაფრის ბენეფიციარებზე, აგრეთვე რჩევები ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის.¹⁴⁸

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

ორგანო, რომლის ექსკლუზიური პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და გავრცელება, სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მისი ძირითადი ამოცანებია: ამომწურავი, განახლებული, სანდო და შედარებადი მონაცემების შეგროვება, რედაქტირება, დამუშავება, შენახვა, ანალიზი და გავრცელება. სამსახურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ოფიციალური სტატისტიკის მიწოდება შემდეგი მხარეებისთვის: სამოქალაქო საზოგადოება, ოფიციალური ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედია, ბიზნესი, სამეცნიერო წრეები და მომხმარებელთა სხვა კატეგორიები. საქსტატის ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებელისთვის (მათ შორის, ინფორმაცია შემოსული და გასული მიგრანტების, რემიტენციებისა და მოსახლეობის ეროვნული აღწერის შესახებ). საქსტატის ვებგვერდზე საჯაროდ განთავსებულია შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: მოსახლეობა და დემოგრაფია, გარე მიგრაცია, ტურიზმი საზღვრების შიგნით და გარეთ, იმიგრანტთა და ემიგრანტთა რაოდენობა ასაკისა და სქესის (ემიგრანტებისთვის – დამატებით, მოქალაქეობის) მიხედვით და სხვა.¹⁴⁹

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

მისი მიზანია ქვეყანაში მაღალი სამართლებრივი სტანდარტების დაფუძნება და თითოეული პირის უფლებათა დაცვა. ორგანიზაცია უფასო იურიდიულ კონსულტაციებს უწევს ნებისმიერ პირს, იმიგრანტებისა და დაბრუნებული მიგრანტების ჩათვლით, და იცავს მიგრანტთა უფლებებს.¹⁵⁰

სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)

იგი ემსახურება საქართველოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვას, პოპულარიზაციასა და განხორციელებას ბიზნესორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. სააგენტო ასევე ხელს უწყობს შემდეგი პირების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და პიროვნულ განვითარებას: ეკომიგრანტები, დევნილები, მიგრანტები, სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფები, ქალები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ყოფილი პატიმრები, ეთნიკური უმცირესობები, პირობით გათავისუფლებული პირები და კანონდამრღვევები. წარსულში ორგანიზაციას განხორციელებული აქვს პროექტები, რომლებიც უკავშირდებოდა მიგრანტთა უფლებების დაცვას, კერძოდ, ცნობიერების ამაღლებას, ეკომიგრანტთათვის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაძლიერებას და ლეგალური მიგრაციის საკითხებს. პროექტები მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა.¹⁵¹

კავკასიის კვლევის რესურსცენტრი (CRRC)

სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ათ წელზე მეტია, მთავრობას, დონორებს, არასამთავრობო ორ-

148 <http://atipfund.gov.ge/eng>

149 <https://www.geostat.ge/en>

150 <https://gyla.ge/en/>

151 <http://www.cida.ge/mission-strategy>

განიზაციებსა თუ კერძო სექტორს საქართველოსა და მთელ კავკასიის რეგიონში აწვდის მონაცემებსა და ანალიზს კრიტიკულ ტენდენციებსა და მოლოდინებზე. CRRC აწარმოებს კვლევებს, ეწევა ანალიტიკურ საქმიანობას და ატარებს ტრენინგებს გამოცდილი მეთოდოლოგიების საფუძველზე, რომლებიც სექტორების, მოსახლეობისა და ქვეყნების ზუსტი შედარების საშუალებას იძლევა. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შინამეურნეობების კვლევა გვაწვდის ინფორმაციას ემიგრაციაზე, მიგრაციის მოტივაციასა და საზღვარგარეთ მიგრანტთა დასაქმების სექტორებზე. ცენტრის მონაცემთა არქივზე წვდომა თავისუფალია. CRRC-ის კვლევები მოიცავს შემდეგ თემებს: დისკრიმინაცია; სიძულვილის ენა და სიძულვილის დანაშაული საქართველოში; ევროკავშირის შესახებ ცოდნა და ევროკავშირისადმი დამოკიდებულება საქართველოში და ა.შ. მის ვებგვერდზე განთავსებულია შინამეურნეობათა კვლევის სტატისტიკური ანგარიშები და დაუმუშავებელი მონაცემები.¹⁵²

დანის ლტოლვილთა საბჭო (DRC)

საქართველოში ამ საბჭოს მიზანია იძულებითი გადაადგილების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა ჰუმანიტარული პრინციპებისა და ადამიანის უფლებების საფუძველზე. 1999 წლიდან მისი პროგრამები ემსახურება დევნილთა პრობლემების მდგრად მოგვარებას. ეს მიდგომა ორიენტირებულია იძულებით გადაადგილებულთა, დაბრუნებულთა, მასპინძელი თემების წარმომადგენელთა და ლტოლვილის მსგავს სიტუაციაში მყოფ პირთა დახმარებაზე, რათა მათ დაძლიონ მოწყვლადი სიტუაციები.¹⁵³

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit ახორციელებს რეგიონულ აქტივობებს, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: დემოკრატია, ადგილობრივი მმართველობა და კანონის უზენაესობა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ეკოლოგია, და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. მისი „მიგრაციის საერთაშორისო ცენტრი“ (CIM) უკვე მრავალი წელია პროექტებს ახორციელებს საქართველოში. ორგანიზაცია დახმარებას სთავაზობს დაბრუნებულ მიგრანტებს, საქართველოში დასაქმების შესაძლებლობებისა და გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.¹⁵⁴

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ოფისი საქართველოში¹⁵⁵

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში¹⁵⁶

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა საქართველოში¹⁵⁷

152 <http://www.crrccenters.org/2>

153 <https://drc.ngo/where-we-work/europe/georgia>

154 <https://www.giz.de/en/worldwide/359.html>

155 www.icmpd.org

156 <https://www.iom.int/countries/armenia>

157 <https://www.unhcr.org/armenia.html>

მოლდოვა

შინაგან საქმეთა სამინისტრო

მოლდოვაში ეს უწყება შეიმუშავებს მიგრაციის, უკანონო მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის სფეროთა პოლიტიკას. შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებობს სპეციალური უწყება, რომელსაც მიგრაციის საკითხებზე მუშაობა ევალება – სასაზღვრო პოლიციის მიგრაციისა და თავშესაფრის ბიურო.¹⁵⁸

მიგრაციისა და თავშესაფრის ბიურო

ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ძირითადი უწყება. იგი ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და რეგულარულად აქვეყნებს სტატისტიკას უცხოელებისთვის ყოველწლიურად გაცემულ ბინადრობის ნებართვებზე.¹⁵⁹

სასაზღვრო პოლიცია

ეს ორგანო ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს შემდეგ სფეროებში: საზღვრის ინტეგრირებული მართვა; სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციის პრევენცია და მასთან ბრძოლა; და ტრანსსასაზღვრო დანაშაულები. სასაზღვრო პოლიცია საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ სტატისტიკას არ აქვეყნებს, თუმცა ამ ინფორმაციისა და მონაცემების მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით.¹⁶⁰

სახელმწიფო კანცელარია

დიასპორასთან ურთიერთობის ბიუროს მეშვეობით, კანცელარია, სხვა ამოცანებთან ერთად, მუშაობს დიასპორისა და ემიგრანტების ჩართულობაზე, ასევე, დაბრუნებულთა და რეინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელებაზე. ბიუროს თავის ვებგვერდზე აქვს განყოფილება, სადაც წარმოდგენილია მონაცემები და სტატისტიკა მიგრაციის შესახებ (დროის გარკვეული პერიოდისთვის და გარკვეულ თემებზე).¹⁶¹

პროფესიული პოლიტიკისა და მიგრაციის რეგულირების დეპარტამენტი (MHLSP)

ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვემდებარე უწყება, რომელიც შეიმუშავებს და ავითარებს შრომითი მიგრაციის ნორმატიულ აქტებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს და ხელს აწერს ორმხრივ შეთანხმებებს შრომითი მიგრანტების რეგულირების სფეროში. დეპარტამენტი ასევე შეიმუშავებს და ავითარებს შრომითი რესურსების დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას და ამ რესურსების მიგრაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. იგი ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე აქვეყნებს სათანადო დოკუმენტებს.¹⁶²

შრომითი რესურსების დასაქმების ეროვნული სააგენტო

სააგენტო ექვემდებარება პროფესიული პოლიტიკისა და მიგრაციის რეგულირების დეპარტამენტს, მონაწილეობს შრომითი რესურსების მიგრაციის პოლიტიკის განხორციელებაში და მონიტორინგს უწევს დასაქმების კერძო სააგენტოთა საქმიანობას; ასევე, მას გარკვეული ვალდებულებები აკისრია შრომითი რესურსების მიგრაციის სფეროში (უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შრომის ნებართვების გაცემა, ვადის გაგრძელება და გაუქმება, საზღვარგარეთ მოლდოვას მოქალაქეთა დასაქმების მექანიზმების შემუშავება, და ქვეყანაში სამუშაოდ დაბრუნებულ მოლდოველთა რეინტეგრაცია). სააგენტო სათანადო ინფორმაციას აქვეყნებს მათთვის, ვინც დაინტერესებულია საზღვარგარეთ მოკლევადიანი ემიგრაციით/მუშაობით.¹⁶³

158 <https://gov.md/en/content/ministry-internal-affairs>

159 <http://bma.gov.md/en/documente/modele-de-documente>

160 politia.frontiera@border.gov.md

161 <http://brd.gov.md/ru/advanced-page-type/statistika>

162 <https://msmps.gov.md/informatie-de-interes-public/domenii-de-politici/munca/>

163 <https://www.anofm.md/>

საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის სამინისტრო

ამ უწყების ფუნქციებში შედის: სავიზო პოლიტიკის შემუშავება; მოლდოვაში შემოსასვლელი ვიზის გაცემა; მოლდოვას მოქალაქეებისთვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემა; საკონსულო სერვისების მიწოდება საზღვარგარეთ; და მოლდოვას მოქალაქეთა დაცვა დიპლომატიური მისიების მეშვეობით. სამინისტროს თავის ვებგვერდზე ცალკე განყოფილება აქვს ადამიანით ვაჭრობის საკითხების გასაშუქებლად.¹⁶⁴

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კომიტეტი

მოლდოვას მთავრობის საკონსულტაციო ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს ადამიანით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებას; ასევე, მონაწილეობს ამ პოლიტიკის შემუშავებაში და მონიტორინგს უწევს შესაბამისი ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებას. კომიტეტი აგროვებს და განიხილავს ადამიანით ვაჭრობის მდგომარეობისა და ტენდენციების მონაცემებს ეროვნულ დონეზე და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს ამ საკითხებზე.¹⁶⁵

„მიგრანტთა ოჯახები“ (Familii migrante)

ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციას, კონსულტაციებსა და საინფორმაციო სერვისებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. იგი ადამიანებთან მუშაობს მიგრაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (ემიგრაცია, მიგრაცია, შინ დაბრუნება); ასევე, თანამშრომლობს მოლდოვას რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიებთან, დიასპორულ გაერთიანებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ საჯარო ადმინისტრაციებთან.¹⁶⁶

ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის ცენტრი

საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ცენტრის დახმარებით შეიქმნა მოლდოვაში. იგი დახმარების სერვისებს უზრუნველყოფს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთათვის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ჩათვლით. მის ბენეფიციარებს შორის არიან დაზარალებულები, რთულ სიტუაციაში მყოფი მიგრანტები და რეპატრირებული ბავშვები.¹⁶⁷

ლტოვილთა საქველმოქმედო ცენტრი (CCR)

ცენტრი ძირითადად ფოკუსირებულია მოწყვლადი ჯგუფების დახმარებაზე ინტეგრირების პროცესში: ანუ იგი ატარებს კულტურული ორიენტაციისა და ექსტრაკულარულ ღონისძიებებს. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მთავრობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ლტოვილთა საქველმოქმედო ცენტრი სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ ღონისძიებას მართავს ლტოვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთათვის, რათა ხელი შეუწყოს მოლდოვას საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას და თემის გაძლიერებას. ამ ღონისძიებებში მონაწილეობს ადგილობრივი მოსახლეობაც, რაც ემსახურება მათი შემწყნარებლობის დონის ამაღლებას და ლტოვილთა/თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ანტიდისკრიმინაციული დამოკიდებულების განმტკიცებას.¹⁶⁸

საგამოძიებო და საკონსულტაციო მომსახურების ცენტრი (CIC SocioPolis)

ეს არაკომერციული კვლევითი ინსტიტუტი ატარებს სოციალურ კვლევებს, ანალიზს, შეფასებებსა და კონსულტაციებს სოციალური სფეროს საკითხებზე; ასევე იკვლევს მიგრაციის სხვადასხვა საკითხს (მაგ.: მიგრანტთა მოწყვლადობა ადამიანით ვაჭრობისა და ექსპლუატაციის მიმართ, დიასპორული გა-

164 <https://mfa.gov.md/ro/content/traficul-de-fiinte-umane>

165 <http://www.antitrafic.gov.md/lib.php?l=ro&idc=30&t=/Rapoarte/Nationale>

166 <https://www.facebook.com/pages/category/Community/AO-Familii-Migrante-107990167233631/>

167 <https://www.cap.md/en/>

168 www.ccr.md

ერთიანებების წარმომადგენელ ქალ ლიდერთა შესაძლებლობების გაძლიერება, მიგრაციის შედეგად მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა და ხანდაზმულთა კონკრეტული საჭიროებები და სხვა).¹⁶⁹

საერთაშორისო ცენტრი „ლა სტრადა მოლდოვა“ (La Strada Moldova) (LSM)

იგი იცავს მოსახლეობის სოციალურად მოწყვლადი კატეგორიების უფლებებსა და სამართლებრივ ინტერესებს და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ქსელის – „La Strada International“-ის ნაწილია. LSM ოთხი მიმართულებით მუშაობს: ადამიანით ვაჭრობის პრევენცია, ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია და ონლაინ სივრცეში ბავშვთა უსაფრთხოების ხელშეწყობა.¹⁷⁰

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ოფისი მოლდოვაში¹⁷¹

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა მოლდოვაში¹⁷²

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა მოლდოვაში¹⁷³

უკრაინა

შინაგან საქმეთა სამინისტრო¹⁷⁴

უწყება აყალიბებს მიგრაციის სფეროს პოლიტიკას, იმიგრაციის, ემიგრაციის, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციის, ლტოლვილებისა და მიგრანტთა სხვა კატეგორიების მიმართულებებით, როგორც განსაზღვრულია კანონით. სამინისტროს ასევე ევალება იმ დანაშაულების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, რომლებიც უკავშირდება სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაციასა და ადამიანით ვაჭრობას. უკრაინის სახელმწიფო საიმიგრაციო სამსახური¹⁷⁵ მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ძირითადი ორგანოა. ყოველი წლის სექტემბერში იგი აქვეყნებს ნაშრომს „უკრაინის მიგრაციის მახასიათებლები“, სადაც წარმოდგენილია მიგრაციის სიტუაციის ანალიზი და ქვეყანაში არსებული ტენდენციები.¹⁷⁶ საიმიგრაციო სამსახურის ვებგვერდზე ასევე გამოქვეყნებულია სტატისტიკური მონაცემები მოქალაქეობის, თავშესაფრის მაძიებლების, ლტოლვილების, იმიგრანტების, რეადმისიას დაქვემდებარებული პირების, ნებაყოფლობით და იძულებით დაბრუნებული პირების და სხვათა შესახებ (ყოველი წლის მე-3, მე-6, მე-9 და მე-12 თვის მიხედვით).¹⁷⁷ გარდა ამისა, ყოველკვირეული მონაცემები ხელმისაწვდომია 4 თემატურ სფეროში: მოქალაქეობა, იმიგრაცია, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე მიგრაცია და ლტოლვილები.¹⁷⁸

სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური (SSS)

მიგრაციის ნაკადებისა და საერთაშორისო მიგრანტთა მონაცემების წყარო, რომლებიც ჩაშლილია გენდერის, ასაკის, რეგიონისა და სხვა კატეგორიების მიხედვით.¹⁷⁹ უკრაინაში იძულებით გადაადგილებულ პირებზე სტატისტიკურ მონაცემებს უზრუნველყოფს

169 <https://sociopolis.md/resurse>

170 <http://lastradainternational.org/>

171 www.icmpd.org

172 <https://www.iom.int/countries/armenia>

173 <https://www.unhcr.org/armenia.html>

174 <https://mvs.gov.ua/ua/>

175 <https://dmsu.gov.ua/pro-dms/zagalna-informacziya.html>

176 <https://dmsu.gov.ua/diyalnist/monitoring-migracijnix-procesiv/migracijnij-profil.html>

177 <https://dmsu.gov.ua/diyalnist/statistichni-dani/statistika-z-osnovnoj-diyalnosti.html>

178 <https://dmsu.gov.ua/diyalnist/statistichni-dani/shhotizhnevi-pokazniki-diyalnosti.html>

179 https://ukrstat.org/uk/operativ/menu/menu_u/ds.htm

უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის სამინისტრო¹⁸⁰ და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო.¹⁸¹

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური (SBGSU)

მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს უკრაინის საზღვრის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას.¹⁸² SBGSU-ის ვებგვერდზე განთავსებულია რუკა, სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც უჩვენებს ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის შემთხვევებს თვის განმავლობაში.¹⁸³ ვებგვერდზე უშუალოდ ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა SBGSU-ის ადმინისტრაციული დეპარტამენტი აწარმოებს უკრაინაში შემოსულ პირთა სტატისტიკას გამომგზავრების ქვეყნების მიხედვით.¹⁸⁴

სოციალური პოლიტიკის სამინისტრო (MoSP)

უწყება არეგულირებს უკრაინაში შრომითი მიგრაციის, სოციალური დაცვისა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, ასევე, კოორდინაციას უწევს დასაქმების სახელმწიფო ცენტრს. ეს ცენტრი, სხვა ამოცანებთან ერთად, პასუხისმგებელია ნებართვის გაცემაზე იმ დამსაქმებელთათვის, რომლებიც სამუშაოზე ქირაობენ უცხოელებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს. თავის ვებგვერდზე სამინისტრო აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს უმუშევრობის დონის, არსებული ვაკანსიებისა (სექტორების მიხედვით) და უკრაინის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დასაქმების შესახებ; ასევე გვთავაზობს პროგნოზებს მოთხოვნად პროფესიებზე, თემატურ ანგარიშებსა და ინფოგრაფიკებთან ერთად.¹⁸⁵

ეკონომიკური განვითარების, შრომისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

უწყება არეგულირებს შრომით მიგრაციას უკრაინიდან. სამინისტროს ვებგვერდზე შეგიძლიათ ნახოთ სამართლებრივი დოკუმენტებისა და იმ კომპანიების სიები, რომლებსაც აქვთ საშუამავლო საქმიანობის უფლება საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით.¹⁸⁶

უკრაინის კანონი No. 2939-VI საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ¹⁸⁷ იძლევა სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლებას (მაგ.: მონაცემები სავიზო განცხადებების, საკონსულო ან სხვა საიმიგრაციო საკითხების შესახებ).¹⁸⁸ დროებით ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო,¹⁸⁹ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური¹⁹⁰ და უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტრო¹⁹¹ მუდამ მზად არიან, გასცენ ინფორმაცია დაქვემდებარებული სფეროების ფარგლებში.

180 <https://mtot.gov.ua/ua/kilkist-vpo>

181 <https://www.msp.gov.ua/news/18807.html>

182 <https://zakon2.rada.gov.ua/laws/show/533-2014-%D0%BF>

183 <https://app.powerbi.com/view?r=eyJrIjoiOTU4ODVjYTk3ZC00N2E5LTlkNTQyYzk3ZTYzNzliYjk4IiwidCI6IjdhNTE3MzMDMzL-TE1ZGYtNDQ1MC04ZjMyLWE5ODJmZTBhYTEyNSIsImMiOiJh9>

184 http://www.ukrstat.gov.ua/operativ/operativ2007/tyr/tyr_u/arh_vig.html

185 <https://www.dcz.gov.ua/analitics/67>

186 <https://www.me.gov.ua/Documents/Download?id=64e0060e-afd9-445e-b1cf-ab3ee35e768a>

187 https://minjust.gov.ua/m/str_35409

188 <https://mfa.gov.ua/gromadskosti/publicna-informaciya/elektronnij-zapit>

189 https://mvs.gov.ua/ua/info_access/form_request/

190 <https://dpsu.gov.ua/ua/info/>

191 https://www.msp.gov.ua/content/zapit_na_publichnu_informaciyu.php

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომისარი¹⁹²

ზედამხედველობს და იცავს უკრაინის მოქალაქეთა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ომ-ბუდსმენის ყოველწლიური ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ეროვნული უმცირესობების, უცხოელი უკრაინელების, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული პირების უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.¹⁹³

საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“ (R2P)

არასამთავრობო ორგანიზაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის აღმასრულებელი პარტნიორი, რომელიც მუშაობს იძულებით გადაადგილებულ, ლტოლვილ და მოქალაქეობის არმქონე პირებთან. იგი აქტიურ მონიტორინგს უწევს იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა სიტუაციას, ასევე, რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციასა და ანალიტიკურ მასალას ამ თემაზე.¹⁹⁴

დონბასი-SOS და ყირიმი-SOS

2014 წელს საქველმოქმედო ორგანიზაცია East-SOS¹⁹⁵-თან შეიქმნა ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია – დონბასი-SOS¹⁹⁶ და ყირიმი-SOS¹⁹⁷, რაც მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა ჰუმანიტარულ დახმარებას. ეს ორგანიზაციები ანალიტიკურ ანგარიშებს ქმნიან იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ხელს უწყობენ ადამიანის უფლებებით სარგებლობას, დოკუმენტურად აღრიცხავენ დარღვევებს და წერილობით განმარტებებს ამზადებენ საკანონმდებლო მოვლენების შესახებ.

საქველმოქმედო ფონდი „როკადა“ (Rokada)

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის აღმასრულებელი პარტნიორი. ფონდი მობილიზებას უწევს ლტოლვილთა თემებს, სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფს ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელთათვის და ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას უკრაინის საზოგადოებაში.¹⁹⁸

ადამიანის უფლებათა დაცვის ხარკოვის ჯგუფი (KHPG)

ჯგუფი იცავს ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს (მაგ.: თავშესაფრის მაძიებლები და მიგრანტები) და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს; ასევე, იბრძვის დისკრიმინაციის, რასიზმის, ქსენოფობიისა და სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ და აქვეყნებს ინფორმაციას/ანალიზს ამ თემაზე.¹⁹⁹

192 <http://www.ombudsman.gov.ua/>

193 <http://www.ombudsman.gov.ua/ua/page/secretariat/docs/presentations/&page=4>

194 <https://r2p.org.ua/analitika/>

195 <https://r2p.org.ua/analitika>

196 <http://www.donbasssos.org/ru/>

197 <https://krymsos.com/en>

198 <https://rokada.org.ua/>

199 <http://khpg.org/>

ჰელსინკის ადამიანის უფლებათა უკრაინის კავშირი (UHHRU)

ადამიანის უფლებათა დამცველი უდიდესი სამოქალაქო ორგანიზაცია უკრაინაში, რომელიც 29 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. ისინი იბრძვიან ქვეყანაში ადამიანის უფლებათა გაძლიერებისთვის. UHHRU აქვეყნებს ყოველთვიურ ბიულეტენებს, რომლებშიც მკითხველს აცნობს უკრაინაში ადამიანის უფლებათა სფეროს მდგომარეობას, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა კონტექსტის ჩათვლით.²⁰⁰

ადამიანის უფლებათა ცენტრი „ზმინა“ (Zmina)

არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც მონიტორინგს უწევს სიტყვისა და გადაადგილების თავისუფლების, ასევე დისკრიმინაციის დაუშვებლობის დაცვას. იგი ეხმარება უკრაინაში ადამიანის უფლებათა დამცველებსა და სამოქალაქო საზოგადოებას აქტივისტებს, ოკუპირებული ყირიმის ჩათვლით. ცენტრი ასევე სწავლობს მიგრაციის სხვადასხვა ასპექტს (მაგ.: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის სისტემა უკრაინაში).²⁰¹

სრულიად უკრაინის საერთაშორისო დასაქმების ასოციაცია

ასოციაცია მუშაობს უკრაინის მოქალაქეთა საზღვარგარეთ დასაქმების საკითხებზე. იგი ამავდროულად იკვლევს უკრაინელთა მიგრაციულ განწყობას და აქვეყნებს რჩევებს ადამიანებისთვის, რომლებიც დასაქმების მიზნით მიგრირებენ.²⁰²

ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის საერთაშორისო ფონდი „კარპატების რეგიონი“ (NEEKA)

ფონდი იურიდიულ, სამედიცინო და სოციალურ დახმარებას უწევს მოქალაქეობის არქონის საფრთხის წინაშე მყოფ პირებს, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს.²⁰³

„დესიატე კვიტნია“ (Desyate Kvitnya)

ეს არასამთავრობო ორგანიზაცია იცავს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს, კერძოდ, ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულთა, მოქალაქეობის არმქონე ან არქონის საფრთხის წინაშე მყოფ პირთა უფლებებს. ორგანიზაცია აქვეყნებს ანალიტიკურ კვლევებს და მონიტორინგის ანგარიშებს, როგორცაა თავშესაფრის პროცედურების სასამართლო სტატისტიკა.²⁰⁴

დემოგრაფიისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტი

მ. ვ. პტუხას სახელობის კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით შეიქმნა და გამოსცემს ჟურნალს „დემოგრაფია და სოციალური ეკონომიკა“. ჟურნალში ქვეყნდება ანალიტიკური მასალა მიგრაციის თემებზე, როგორცაა, შრომითი მიგრაცია, მიგრაციის პერსპექტივები, იმიგრაცია და იმიგრანტთა ინტეგრაცია, მიგრაციის სიტუაციის შეფასება უკრაინაში და სხვა.²⁰⁵

200 <https://helsinki.org.ua/>

201 <https://zmina.ua/publication/>

202 <https://ampua.org/>

203 <http://new.neeka.org/>

204 <http://www.dk.od.ua/news>

205 <http://dse.org.ua/nomera.html>

მოსახლეობის შრომისა და დასაქმების კვლევის სამეცნიერო ინსტიტუტი

ინსტიტუტი ექვემდებარება უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტროსა და უკრაინის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას. იგი ატარებს კვლევებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა დასაქმება, უმუშევრობა, ეროვნული შრომის ბაზრის ტენდენციები, ქვეყანასა და რეგიონში მიმდინარე მიგრაციული პროცესები და ა.შ.²⁰⁶

დოლიშნის რეგიონული კვლევის ინსტიტუტი

ინსტიტუტი ექვემდებარება ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას. იგი აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიებს მიგრაციასთან დაკავშირებულ თემებზე, რომლებიც ფოკუსირებულია დასავლეთ უკრაინაზე.²⁰⁷

ევროპა ბარიერების გარეშე

ანალიტიკური ცენტრი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს გადაადგილების თავისუფლების პრინციპის დაცვას. იგი აზიარებს გამოცდილებას ევროინტეგრაციის, კანონის უზენაესობის, მიგრაციისა და საზღვრის მენეჯმენტის საკითხებში; ასევე, აქვეყნებს საინტერესო მასალებს, ინფოგრაფიკებსა და თემატურ ნარკვევებს აღნიშნულ საკითხებზე.²⁰⁸

„სედოსი“ (CEDOS)

ანალიტიკური ცენტრი, რომელიც ატარებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევებს და აანალიზებს პოლიტიკას უშუალოდ მიგრაციის სფეროში. ორგანიზაციის ვებგვერდზე შეგიძლიათ ნახოთ ანგარიშები, თემატური სტატიები და რეკომენდაციები მიგრაციის საკითხებზე.²⁰⁹ „სედოსი“ განსაკუთრებულად მიუთითებს მიგრაციის სფეროს ხარვეზებზე სახელმწიფო სტატისტიკაში და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის ნაკლოვანებებზე.²¹⁰

დანის ლტოლვილთა საბჭო (DRC)

საბჭომ უკრაინაში ფუნქციონირება 2014 წლის ნოემბერში დაიწყო, ქვეყანაში გამწვავებულ ჰუმანიტარულ სიტუაციაზე რეაგირებისთვის. მანამდე ის უკრაინაში მოქმედებდა 1998-2000 და 2007-2013 წლებში და ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხებზე: ცენტრალური აზიიდან ყირიმში დაბრუნებული თათრების განსახლება; ქვეყანაში თავშესაფრის მიმნიჭებელი ორგანოების შესაძლებლობათა გაძლიერება; და სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციათა მხარდაჭერა, რომლებიც ლტოლვილ ბავშვებთან მუშაობდნენ.²¹¹

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ოფისი უკრაინაში²¹²

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა უკრაინაში²¹³

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა უკრაინაში²¹⁴

206 <http://ipzn.org.ua/>

207 <http://ird.gov.ua/ird01/p1062>

208 <https://europeweb.org.ua/category/analytics/>

209 <https://cedos.org.ua/uk/articles/immihrantky-v-ukraini-dostup-do-rynku-pratsi-ta-intehratsiia-do-suspilstva>

210 <https://cedos.org.ua/en/articles/yevropeiska-statystyka-mizhnarodnoi-mihratsii-shcho-potribno-zrobyty-ukraini>

211 <https://drc.ngo/our-work/where-we-work/europe/ukraine>

212 www.icmpd.org

213 <https://www.iom.int/countries/armenia>

214 <https://www.unhcr.org/armenia.html>

ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციები

- **EASO** ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ბიურო
- **Eurostat**: ევროპის კავშირის სტატისტიკის სამსახური: <https://ec.europa.eu/eurostat/home>
- **CERD** გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომისია
- **GCIM** საერთაშორისო მიგრაციის გლობალური კომისია
- **GMG** გლობალური მიგრაციის ჯგუფი
- **ICAT** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი – პოლიტიკის შემუშავების ფორუმი, რომელსაც აქვს გაეროს გენერალური ასამბლეის მანდატი. მისი მიზანია, გაუმჯობესდეს კოორდინაცია გაეროს დაწესებულებებსა და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ჰოლისტიკური და სიღრმისეული მიდგომის დამკვიდრებას ადამიანით ვაჭრობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის ჩათვლით.
- **ICMPD** მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
- **ICRMW** კონვენცია მიგრანტ მუშაკთა უფლებების დაცვის შესახებ
- **IDMC** იძულებითი გადაადგილებაზე მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრი
- **ILO** შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია: <https://ilostat.ilo.org/>
- **IOM** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია: **IOM Data Portal** და **Global Migration Data Analysis Centre (GMDAC)**
- **Frontex**: ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (ფრონტექსი)
- **MIPEX**: მიგრანტთან ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი
- **MMD** მიგრაციისა და მობილურობის დიალოგი (აფრიკა)
- **OECD** ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
- **OHCHR** ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის წარმომადგენლობა
- **OSCE** ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
- **PICUM** დაურეგისტრირებელ მიგრანტთა თანამშრომლობის საერთაშორისო პლატფორმა
- **UNESCO** გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
- **UNHCR** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
- **UNICEF** გაეროს ბავშვთა ფონდი: მათი რესურსები იხ: **Child migration, Migration and refugee crisis**, და **Migrant and displaced children**.
- გაეროს მოსახლეობის განყოფილება
- მსოფლიო ბანკი

ძირითადი ეროვნული სტატისტიკური ორგანიზაციები:

- სომხეთი: <https://www.armstat.am/en/>
- აზერბაიჯანი: <https://www.stat.gov.az/?lang=en>
- ბელარუსი: www.belstat.gov.by
- საქართველო: <https://www.geostat.ge/en>
- მოლდოვა: <http://statistica.gov.md/index.php?l=en>
- უკრაინა: <http://www.ukrstat.gov.ua/>
- რუსეთი: <https://eng.gks.ru/>

ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციები:

- წითელი ჯვრის/წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი ICRC (არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია ამ სტატუსის ვიწრო გაგებით): <https://www.icrc.org/>
- დანიის ლტოლვილთა საბჭო: <https://drc.ngo/>
- ლტოლვილთა და დეპორტირებულთა საკითხების ევროპული საბჭო: <https://www.ecre.org/>
- EPAM – თავშესაფრისა და მიგრაციის არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპული პლატფორმა: https://ec.europa.eu/knowledge4policy/organisation/epam-european-ngo-platform-asylum-migration_en
- ექიმები საზღვრებს გარეშე (Médecins Sans Frontières): <https://www.msf.org/>
- ოქსფორდის შიმშილის დაძლევის კომიტეტი (ოქსფამი): <https://www.oxfam.org/>

რეგიონული ორგანიზაციები:

- კავკასიის კვლევების რესურსცენტრი (CRRC): <http://www.crrccenters.org/20142/Contact>

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 8: როგორ ვიპოვოთ და გამოვიყენოთ ექსპერტები.

ძირითადი პოლიტიკური ინიციატივები

- **რაბათის პროცესი** – ევრო-აფრიკული დიალოგი მიგრაციისა და განვითარების შესახებ: <https://www.rabat-process.org/en/>
- **ხარტუმის პროცესი** – ევროპის კავშირის აფრიკის რქის მიგრაციის მიმართულების ინიციატივა, აფრიკის კონტინენტური დიალოგი მიგრაციისა და მობილობის დიალოგის ფარგლებში (MMD): <https://www.khartoumprocess.net/>
- **ბუდაპეშტის პროცესი** – საკონსულტაციო პროცესი 50 ქვეყანას შორის მოწესრიგებული მიგრაციის შესახებ: <https://www.budapestprocess.org/>
- **პრაღის პროცესი** – მიზნობრივი მიგრაციის დიალოგი ევროპის კავშირის, შენგენის ზონის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, დასავლეთ ბალკანეთის, ცენტრალური აზიის, რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის: <https://www.pragueprocess.eu/en/>
- **ხმელთაშუა ზღვის ტრანზიტული მიგრაციის დიალოგი** – საკონსულტაციო დიალოგი ოფიციალურ პირებს შორის მიგრაციასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე: <https://www.icmpd.org/our-work/migration-dialogues/mtm/>
- **მიგრაციის გლობალური პლატფორმა** – გაეროს ინიციატივა მიგრაციის მიმართ ჰოლისტიკური მიდგომისთვის: <http://refugeesmigrants.un.org/migration-compact>
- **ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური სამოქმედო გეგმა** – გაეროს სტრატეგია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის: <http://www.un.org/pga/72/event-latest/global-plan-of-action-to-combat-trafficking-in-persons/>
- **ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი**: <http://icat.network/>
- **ალიანსი ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ** – ფართო საერთაშორისო ფორუმი, შექმნილი ეუთოს მიერ: <http://www.osce.org/secretariat/107221>
- **ალიანსი 8.7** – ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ალიანსი: <http://www.alliance87.org/>
- **მიგრაციის ახალი ამბების რედაქცია** – შეიქმნა ჟურნალისტებისთვის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ: <https://www.iom.int/press-room/newsdesk>
- **ამბები მიგრაციის შესახებ** – გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის ბრიფინგები: <http://www.unhcr.org/uk/news-and-stories.html>

თავშესაფრისა და მიგრაციის საერთაშორისო და ევროკავშირის სამართალი

FRA – ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის გამოყენება სამართალსა და პოლიტიკის შემუშავებაში ეროვნულ დონეზე – გზამკვლევი (2018): <https://fra.europa.eu/en/publication/2018/applying-charter-fundamental-rights-european-union-law-and-policy-making-national>

FRA – თავშესაფრის, საზღვრისა და იმიგრაციის ევროპული კანონმდებლობის ცნობარი (2014): <https://fra.europa.eu/en/publication/2014/handbook-european-law-relating-asylum-borders-and-immigration>

Frontex – ანგარიში რისკის ანალიზის შესახებ (2019): <https://frontex.europa.eu/publications/risk-analysis-for-2019-RPPmXE>

UNODC – გლობალური ანგარიში ადამიანით ვაჭრობის შესახებ (2018): <https://www.unodc.org/unodc/data-and-analysis/glotip.html>

UNODC – მიგრანტთა უკანონო გადაყვანის გლობალური კვლევა: <https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/glosom.html>

UNHCR – გლობალური ტენდენციები (ქვეყნდება ყოველწლიურად): <https://www.unhcr.org/uk/statistics/unhcrstats/5ee200e37/unhcr-global-trends-2019.html>

რესურსები მთავრობათაშორისი ორგანიზაციებიდან

IOM – მიგრაციის მონაცემთა პორტალი: <https://migrationdataportal.org/>

IOM – გლობალური მიგრაციის მონაცემთა ანალიტიკური ცენტრი: <https://gmdac.iom.int/>

მიგრაციის კვლევები (მიგრაცია და მედია)

EJN – მედიის მიერ მიგრაციის გაშუქების საერთაშორისო მიმოხილვა (2015): <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/moving-stories>

ICMPD/EJN – როგორ აშუქებს მედია მიგრაციას ხმელთაშუა ზღვის ორივე მხარეს? (2017): https://www.icmpd.org/fileadmin/2017/Media_Migration_17_country_chapters.pdf

IMISCOE – მიგრაციის კვლევის ჰაბი: <https://migrationresearch.com/>

IOM მსოფლიო მიგრაციის ანგარიში 2018: მედია და მიგრაცია: https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en_chapter8.pdf

პროექტი „REMINDER“: <https://www.reminder-project.eu/>

სამუშაო პაკეტი 11 – მედიის პრაქტიკა: <https://www.reminder-project.eu/publications/work-packages/wp11-media-practices/>

ბლოგი: <https://www.reminder-project.eu/blog/turning-the-camera-around-who-watches-the-watchers/>

სამუშაო პაკეტი – 8 მიმართულების რუკა: <https://www.reminder-project.eu/publications/work-packages/wp8-mapping-discourse/>

ევროპული მედიის ანგარიში მიგრაციის შესახებ: როგორ აშუქებს მედია მიგრაციას და ევროკავშირის შიგნით მობილობას აქტუალობის, სენტიმენტებისა და ჩარჩოში მოქცევის თვალსაზრისით: <https://www.reminder-project.eu/publications/reports/european-media-migration-report-how-media-cover-migration-and-intra-eu-mobility-in-terms-of-salience-sentiment-and-framing/>

რეპორტაჟები მიგრაციის შესახებ: რეკომენდაციები პრაქტიკოსებისთვის: <https://www.reminder-project.eu/wp-content/uploads/2019/11/D8.8.pdf>

ხარვეზების გამოსწორება (Oxford University Press) – განსაკუთრებით, მე-4 თავი: <https://fdslive.oup.com/www.oup.com/academic/pdf/openaccess/9780198834557.pdf>

სამეცნიერო დაწესებულებები

- IMISCOE-ის მიგრაციის ექსპერტების საერთაშორისო მონაცემთა ბაზა: <https://migrationresearch.com/experts>
- COMPAS, ოქსფორდის უნივერსიტეტი: <https://www.compas.ox.ac.uk/>
- UNU Merit, მასაჩუსეტის უნივერსიტეტი: <https://www.merit.unu.edu/themes/6-migration-and-development/>
- ლტოლვილთა კვლევის ცენტრი: <https://www.rsc.ox.ac.uk/research>
- მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი: <http://www.migrationpolicycentre.eu/>
- მიგრაციის ობსერვატორია (გაერთიანებულ სამეფოზე ფოკუსით): <https://migrationobservatory.ox.ac.uk/>
- ანალიტიკური ცენტრები
- მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი (MPI): <https://www.migrationpolicy.org/>
- Pew: <https://www.pewresearch.org/>
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია: <https://data.oecd.org/society.htm#profile-Migration>

ქარტიები, კოდექსები და სახელმძღვანელო მითითებები მიგრაციის გაშუქებისთვის

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი (EJN) – მიგრაციის გაშუქების ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები (2016)

ინგლისურად: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/ethical-guidelines-on-migration-reporting>

რუსულად: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/ethical-guidelines-on-migration-reporting-russian>

ევროპის ჟურნალისტთა ფედერაცია (EFJ) – რვა რჩევა მიგრაციის გაშუქების შესახებ (2016)

<https://europeanjournalists.org/blog/2016/11/28/8-practical-tips-for-migration-coverage/>

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – შრომითი მიგრაცია: გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის:

<http://www.ilo.org/global/topics/labour-migration/policy-areas/guidance-for-journalists/lang--en/index.htm>

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი/ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი: „მედია და ადამიანით ვაჭრობა, სახელმძღვანელო პრინციპები“ (2017): <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/media-trafficking-guidelines>

ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (FRA) (2019): <https://e-learning.fra.europa.eu/>

შენიშვნები: მექანიზმები მედიის პროფესიონალებისთვის მიგრაციის გაშუქების შესახებ, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა კუთხით. რვა სასწავლო მაგალითი საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს წამყვანი ორგანიზაციებიდან.

საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელი (GIJN)

- შესანიშნავი წყარო კარგი პრაქტიკის მაგალითებით და რჩევები ჟურნალისტებისა და მედიის ორგანიზაციებისთვის: გაშუქების საუკეთესო პრაქტიკა: <https://gijn.org/human-trafficking-resources-best-practices-in-reporting>
- აგრეთვე იხ. GIJN's Data and Expertise ჩამონათვალი, სადაც მითითებულია 60-ზე მეტი ლოკაცია მონაცემებისა და გამოცდილების სანახავად: https://docs.google.com/spreadsheets/d/1a3yzhzzzslzxtVGvZ7uNx7Q_GhpAVDIboQGDbwy0B4/edit?usp=sharing

მიგრაცია მნიშვნელოვანია – მოკლე, საგანმანათლებლო ვიდეოფირი მიგრაციისა და მრავალფეროვნების შესახებ: <http://migrationmatters.me/episode/media-welcoming/>

განსაცდელში მყოფი ადამიანები: ადამიანები ორ ზღვარს შორის – მიგრაციის სახელმძღვანელო (მომავალი) ჟურნალისტებისთვის (2020): https://www.clovekvtsni.cz/media/publications/1424/file/en_people-between-the-lines_final.pdf

მრავალფეროვნება და უმცირესობები

ევროპის საბჭო – ტრენინგი ჟურნალისტებისთვის, დისკრიმინაცია და მრავალფეროვნება: https://www.coe.int/t/dg4/anti-discrimination-campaign/ressources/Training_toolbox/Toolbox_Journalisme_Training_Discrimination_Diversity_en.pdf

ევროპის მაუწყებელთა კავშირი (EBU) – დიდი მონაცემები: მექანიზმი ჟურნალისტებისთვის სტერეოტიპებისა და სტიგმის წინააღმდეგ საბრძოლველად (2016): <https://www.ebu.ch/news/2016/10/big-data-a-tool-to-fight-stereotypes-and-preconceptions>

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი – გაშუქების მრავალფეროვნების სახელმძღვანელო (2004): [http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20\[EN\].pdf](http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20[EN].pdf) (მაგალითები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და საქართველოდან).

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი – მუსლიმები მასმედიაში: მეტი ტოლერანტობისა და მრავალფეროვნებისკენ (2018): <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/muslims-media-tolerance-diversity>

ერთ-ერთ თავში მოცემულია ინტერვიუები ჟურნალისტებსა და ექსპერტებთან; ასევე, სასწავლო მაგალითები, რომლებიც კარგ და ცუდ პრაქტიკას აღწერენ.

გაეროს ბავშვთა ფონდი – ბავშვთა ეთიკური გაშუქების პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები: https://www.unicef.org/media/media_tools_guidelines.html (გზამკვლევი, როგორ უნდა გაშუქდეს ასაკის გათვალისწინებით და დელიკატურად).

სიძულვილის ენა

მუხლი 19 – „სიძულვილის ენის“ ახსნა

ინგლისურად: <https://www.article19.org/resources/hate-speech-explained-a-toolkit/>

რუსულად: <https://www.article19.org/ru/resources/hate-speech-explained-a-toolkit/>

ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი – 5-პუნქტიანი ტექსტი სიძულვილის ენისთვის (2014)

ინგლისურად: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/5-point-test-for-hate-speech-english>

რუსულად: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/5-point-test-for-hate-speech-russian>

უკრაინულად: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/infographics/5-point-test-for-hate-speech-ukrainian>

სრული პუბლიკაცია: <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/hate-speech>

სათანადო საერთაშორისო სტანდარტები:

- კონვენცია გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის შესახებ (1951);
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1969);
- საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ (1976);
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966);
- იუნესკოს დეკლარაცია რასისა და რასობრივი სტერეოტიპების შესახებ (1978);
- რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მათთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის მსოფლიო კონფერენცია: დურბანის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა (2001).

შესაბამისი საერთაშორისო პროცესები:

- რაბათის სამოქმედო გეგმა

დეზინფორმაცია და მიგრაცია

ევროპის საბჭო – რესურსები პროპაგანდის, დეზინფორმაციის და „ცრუ ინფორმაციის“ (fake news) წინააღმდეგ: <https://www.coe.int/en/web/campaign-free-to-speak-safe-to-learn/resources-on-dealing-with-propaganda-misinformation-and-fake-news>

ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრი – ვერიფიკაციის სახელმძღვანელო

ინგლისურად: <http://verificationhandbook.com/>

უკრაინულად: http://verificationhandbook.com/book_ua/

ახალი ამბების პირველი პროექტი – მონიტორინგი და ახალი ამბების შეგროვება:

<https://firstdraftnews.org/training/monitoring-newsgathering/>

ვერიფიკაცია: <https://firstdraftnews.org/training/verification/>

ფატიმი – სოციალური მონიტორინგის გზამკვლევი იმ შემთხვევებში, რეაგირებისთვის, რომელთა წინაშეც ბევრი ჟურნალისტი დადგა „კოვიდ-19“-ის პანდემიის გამო: <https://fathmtoolkit.netlify.app/>

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი – როდესაც ფაქტებს ყურადღება არ ექცევა: როგორ შევძლოთ უკეთესი კომუნიკაცია მიგრაციის ხარჯებსა და სარგებლიანობაზე: <https://www.migrationpolicy.org/research/when-facts-dont-matter-immigration>

მიგრაციის ლექსიკონები

ILO – ლექსიკონი მასმედიისთვის მიგრაციის შესახებ (2014): https://www.ilo.org/global/topics/labour-migration/publications/WCMS_310235/lang--en/index.htm

IOM – მიგრაციის ძირითადი ტერმინები (2011): <https://www.iom.int/key-migration-terms>

IOM – International Migration Law სერია No 25 – ლექსიკონი მიგრაციის შესახებ (2011): https://publications.iom.int/system/files/pdf/iml25_1.pdf

ILO/UNAOC – ლექსიკონი მედიისთვის, ადაპტირებულია მიგრაციის ლექსიკონიდან: <https://readymag.com/ITCILO/1720704/>

IMISCOE – მიგრაციის კვლევის ჰაბი – ტაქსონომიები: <https://migrationresearch.com/taxonomies>

UNAOC – მედიის ლექსიკონი მიგრაციის შესახებ (2015): <https://www.unaoc.org/resource/media-friendly-glossary-for-migration/>

UNHCR – ლტოლვილთა გაშუქება: სახელმძღვანელო მითითებები ჟურნალისტებისგან და ჟურნალისტებისთვის: <https://www.unhcr.org/uk/publications/brochures/58e1ed994/reporting-on-refugees-guidelines-by-and-for-journalists.html>

ენის გამოყენებასთან დაკავშირებული დავები

Al Jazeera – რატომ არ ახსენებს ალ-ჯაზირა ხმელთაშუაზღვის „მიგრანტებს“ – ბ. მალონე (2015 წლის 20 აგვისტო): <https://www.aljazeera.com/features/2015/08/20/why-al-jazeera-will-not-say-mediterranean-migrants/>

The Washington Post – დროა, უარი ვთქვათ სიტყვაზე „მიგრანტი“, ა. ტეილორი (2015 წლის 24 აგვისტო): <https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2015/08/24/is-it-time-to-ditch-the-word-migrant/>

The New York Times – მიგრანტი თუ ლტოლვილი? სამართლებრივად ისინი განსხვავდება, ს. სანგუპტა (2015 წლის 27 აგვისტო): https://www.nytimes.com/2015/08/28/world/migrants-refugees-europe-syria.html?_r=0

BBC News – ომი სიტყვების გამო, რომლებიც მიგრანტთა აღწერისთვის გამოიყენება, კალიმა რუზი (2015 წლის 28 აგვისტო): <https://www.bbc.co.uk/news/magazine-34061097>

The Guardian – ჩვენ მათ დავცინით, როგორც „მიგრანტებს“, რატომ არ ვეძახით უბრალოდ ადამიანებს? დ. მარში (2015 წლის 28 აგვისტო): <https://www.theguardian.com/commentisfree/2015/aug/28/migrants-people-refugees-humanity>

Faculty of Law of Oxford University – ლტოლვილები მიგრანტებიც არიან. ყველა მიგრანტს ყურადღება სჭირდება, ჯ. კარლინგი (2015 წლის 4 სექტემბერი): <https://www.law.ox.ac.uk/research-subject-groups/centre-criminology/centreborder-criminologies/blog/2015/09/refugees-are-also>

The Conversation – მიგრანტი თუ ლტოლვილი? რატომ აქვს მნიშვნელობა სიტყვის შერჩევას? შ. ტეილორი (2015 წლის 14 სექტემბერი): <https://theconversation.com/migrant-or-refugee-why-it-matters-which-word-you-choose-47227>

Language on the move – ვინ არის ნამდვილი ლტოლვილი? ა. ბოდისი (2015 წლის 23 სექტემბერი): <https://www.languageonthemove.com/who-is-a-real-refugee/>

გენდერი და მედია

FRA – მექანიზმები ჟურნალისტებისთვის: <https://e-learning.fra.europa.eu/course/view.php?id=28#section-3>

GIJN – რესურსები ქალი ჟურნალისტებისთვის: <https://gijn.org/gijn-guide-resources-for-women-journalists/>

IOM – გენდერი და მიგრაცია: <https://www.iom.int/gender-and-migration>

WAN-IFRA – **Women in News resource center** მიუთითებს, რომ მედიაში ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მასალები გენდერული თანასწორობის შესახებ, აგრეთვე, მედიაორგანიზაციების მენეჯერებისთვის მომზადებული დამხმარე მასალა, ქმნის გარემოს, სადაც ქალებს თავიანთი ნიჭის გამოჩენა შეუძლიათ. ყველა მასალა შეიძლება შეაფასონ უფასოდ.

ვინ ქმნის ახალ ამბებს – **WMTN** არის ცოდნის, ინფორმაციისა და რესურსის პორტალი მასმედიის, გენდერისა და დისკრიმინაციის მიმართულებების შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია – **მედიაში ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის შესახებ**; **UN Women** ეძებს შესაძლებლობებს, რათა აამაღლოს ცნობიერება გენდერულ თანასწორობაზე მედიის წარმომადგენლებს შორის, მათ შორის, სპეციალური სემინარებითა და დამხმარე საშუალებებით. ისინი მხარს უჭერენ მეტი ქალის დასაქმებას მასმედიაში, წამყვანი პოზიციების ჩათვლით.

საერთაშორისო ასოციაცია „მეტი ქალი რადიოსა და ტელევიზიაში“ (**IAWRT**) – უსაფრთხოების რესურსები ქალებისთვის (მაგ.: როგორიცაა **What if? Safety Handbook for Women Journalists**)

ჯილდოები მიგრაციის გაშუქებისთვის

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონკურსი გლობალური მედიისთვის – შრომითი მიგრაცია და სამართლიანი დასაქმება – 2020 წელს მონაწილეებს მოუწოდეს, განეხილათ „კოვიდ-19“-ის პანდემიის ზემოქმედება მიგრანტ მუშაკებსა და მათ ოჯახებზე.²¹⁵
- გლობალური მიგრაციის ფილმების ფესტივალი – ინიცირებული იყო გაეროს მიგრაციის სააგენტოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რათა ეჩვენებინათ „ახალი ფილმები, რომლებიც ასახავს მიგრაციის პერსპექტივებსა და პრობლემებს მათთვის, ვინც საკუთარ სახლს ტოვებს უკეთესი ცხოვრების ძიებისთვის; ასევე, ის უნიკალური წვლილი, რომელიც მიგრანტებს შეაქვთ ახალ თემებში“.²¹⁶
- მიგრაციის მედიის ჯილდო – ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყოველწლიური კონკურსი, რომელსაც მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი ატარებს. გამარჯვებულთან ფორმდება კონტრაქტი ახალი ამბის შექმნაზე, რომელიც გამოქვეყნდება ICMPD-ის ვებგვერდზე.²¹⁷ წარმოდგენის შესაქმნელად, იხ. კონკურსში გამარჯვებულები წლების მიხედვით: 2017, 2018 და 2019 .
- ერთი სამყარო – მედიის ჯილდო – მოიცავს ლტოლვილთა გაშუქებას, 14 სხვა კატეგორიასთან ერთად.²¹⁸
- Suitcase (ჩემოდანი) – ყოველწლიური ჟურნალისტური კონკურსი მიგრაციის საკითხებზე სომხეთში, ატარებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი.²¹⁹
- ევროპის პრესის პრიზი – კონკრეტულად მიგრანტთა ამბებზე არ არის ფოკუსირებული, მაგრამ გასცემს პრიზებს მიგრაციის გაშუქებისთვის.²²⁰

215 https://www.ilo.org/global/topics/labour-migration/news-statements/WCMS_755234/lang--en/index.htm

216 <https://www.iom.int/global-migration-film-festival>

217 <http://www.migration-media-award.eu/en/>

218 <https://www.oneworldmedia.org.uk/awards/>

219 <https://www.mibma.eu/en/news/150-icmpd-announces-the-winners-of-suitcase-2019-annual-journalism-contest-on-migration-issues>

220 <https://www.europeanpressprize.com/>

დასკვნა

როგორც ამ სახელმძღვანელოდან დაინახეთ, მედიას შეუძლია, უდიდესი გავლენა იქონიოს მიგრანტთა და მთლიანად მიგრაციის იმიჯზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ამ თემაზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და გამოკვეთოს მიგრაციის უმწვავესი პრობლემები, ან უმნიშვნელოვანესი ხელსაყრელი მხარეები. ვინაიდან საზოგადოება ინფორმაციას იღებს მედიისგან, ამ უკანასკნელის როლი ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკის განვითარებაში სულ უფრო იზრდება. ამრიგად, მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა და მოპყრობა მიგრანტთა მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარმოადგენს მათ მედია, რომელ პრობლემებზე არჩევს საუბარს და რომელს არ გაითვალისწინებს. მედიას შეუძლია მიგრანტთა შესახებ ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპების გამყარება და უფრო დიფერენცირებული, ფაქტებზე დაყრდნობილი შეხედულებების ჩამოყალიბებაც. გარდა ამისა, ბოლო წლებში გაიზარდა ისეთი პრობლემა, როგორიცაა დეზინფორმაციის გავრცელება მედიის სხვადასხვა არხით (აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონის ჩათვლით). სწორედ ამიტომ, გერმანიის მიერ დაფინანსებული პროექტის „მომენტა-2“-ის ფარგლებში (რომელიც მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრმა განახორციელა), შემუშავდა ეს სახელმძღვანელო, რათა გადაეწყვიტა პრობლემა და თავისი წვლილი შეეტანა ფაქტებზე დაფუძნებული და ობიექტური გაშუქების დამკვიდრებაში.

აკრონიმები

AP	„Associated Press“
ARD	გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამსახური
BBC	ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია
BCP	სასაზღვრო გამტარი პუნქტი
BELSTAT	ბელორუსის სტატისტიკის ეროვნული კომიტეტი
BEROC	ბელორუსის ეკონომიკური კვლევებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრი
CASE	სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრი
CAT	წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია
CBA	სომხეთის ცენტრალური ბანკი
CCR	ლტოლვილთა საქველმოქმედო ცენტრი
CEDOS	უკრაინის ანალიტიკური ცენტრი
CERD	გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომისია
CIC	საგამოძიებო და საკონსულტაციო ცენტრი
CiDA	სამოქალაქო განვითარების სააგენტო
CIM	მიგრაციის საერთაშორისო ცენტრი
CJR	კოლუმბიის ჟურნალისტიკის მიმოხილვის ცენტრი
CoE	ევროპის საბჭო
COMPAS	ოქსფორდის უნივერსიტეტის მიგრაციის, პოლიტიკისა და საზოგადოებრივ საკითხთა ცენტრი
COVID-19	2019 წლის კორონავირუსული ინფექცია
CRRC	კავკასიის კვლევების რესურსცენტრი
DRC	დანიის ლტოლვილთა საბჭო
EaP	აღმოსავლეთ პარტნიორობა
EASO	თავშესაფრის საკითხებში დახმარების ევროპული ოფისი
EBU	ევროპის მაუწყებელთა კავშირი
EC	ევროკომისია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECRE	ლტოლვილთა და დეპორტირებულთა საკითხების ევროპული საბჭო
EFJ	ევროპის ჟურნალისტთა ფედერაცია
EJN	ეთიკური ჟურნალისტიკის ქსელი

EMN	ევროპის მიგრაციის ქსელი
EPAM	თავშესაფრისა და მიგრაციის არასამთავრობო ორგანიზაციათა ევროპული პლატფორმა
EU	ევროპის კავშირი
EUROSTAT	ევროპის კავშირის სტატისტიკის ოფისი
FRA	ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო
FRONTEX	ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო (ფრონტექსი)
FT	„Financial Times“
GB	დიდი ბრიტანეთი
GBP	გირვანქა სტერლინგი
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
GEOSTAT	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GFMD	მედიის განვითარების გლობალური ფორუმი
GIJN	საგამოძიებო ჟურნალისტიკის გლობალური ქსელი
GIPA	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GMDAC	მიგრაციის მონაცემთა ანალიზის გლობალური ცენტრი
GMG	გლობალური მიგრაციის ჯგუფი
GMMP	გლობალური მედიამონიტორინგის პროექტი
GYLA	საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია
IAWRT	რადიოსა და ტელევიზიის მუშაკ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია
ICAT	ტრეფიკინგის წინააღმდეგ მებრძოლი უწყებათაშორისი ჯგუფი
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
ICRC	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
ICRMW	კონვენცია მიგრანტ მუშაკთა უფლებების დაცვის შესახებ
ID	იდენტიფიცირება
IDMC	იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრი
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
IJNeT	ჟურნალისტთა საერთაშორისო ქსელი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IMISCOE	საერთაშორისო მიგრაცია, ინტეგრაცია და სოციალური ერთიანობა ევროპაში
INSI	ახალი ამბების უსაფრთხოების საერთაშორისო ინსტიტუტი

IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
KHPG	ხარკოვის ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი
KNOMAD	პარტნიორობა მიგრაციისა და განვითარების შესახებ გლობალური ცოდნისთვის
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LGBTQI	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსექსუალი
LRB	ლონდონის წიგნის მიმოხილვის საზოგადოება
LSI	La Strada International
MCC	მიგრაციის კომპეტენციის ცენტრი
MDI	მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი
MFA	საგარეო საქმეთა სამინისტრო
MHLSP	მოლდოვას ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული პოლიტიკისა და მიგრაციის რეგულაციის დეპარტამენტი
MIA	შინაგან საქმეთა სამინისტრო
MIPEX	მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი
MLSP	აზერბაიჯანის შრომისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სამინისტრო
MMD	მიგრაციისა და მობილობის დიალოგი
MOMENTA	პროექტი „მედიისთვის მიგრაციის სწავლების აკადემია“
MoSP	უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტრო
MPI	მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი
MS	სომხეთის მიგრაციის სამსახური
MSF	ექიმები საზღვრებს გარეშე
NEEKA	ჯანმრთელობისა და ეკოლოგიის საერთაშორისო ფონდი „კარპატების რეგიონი“
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OECD	ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OHCHR	ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის წარმომადგენლობა
OSCE	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)
OXFAM	ოქსფორდის შიმშილის დაძლევის კომიტეტი (ოქსფამი)
PICUM	დაურეგისტრირებელ მიგრანტთა თანამშრომლობის საერთაშორისო პლატფორმა
PR	საზოგადოებასთან ურთიერთობა
PSDA	საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
PTSD	პოსტტრავმული სტრესული აშლილობა

R2P	საქველმოქმედო ფონდი „დაცვის უფლება“
RSC	ლტოლვილთა კვლევის ცენტრი
SBGSU	უკრაინის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახური
SBS	აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის სამსახური
SCMI	მიგრანტთა საკითხების სახელმწიფო კომისია
SMS	მიგრაციის სახელმწიფო სამსახური
SSS	უკრაინის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური
TAC	დროებითი განთავსების ცენტრი
THB	ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი
UHHRU	უკრაინის ადამიანის უფლებათა ჰელსინკის კავშირი
UK	გაერთიანებული სამეფო
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNESCO	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური
UNRWA	გაეროს პალესტინელ ლტოლვილთა დახმარებისა და სამუშაოს ორგანიზების სააგენტო ახლო აღმოსავლეთში
UNU-MERIT	გაეროს უნივერსიტეტი – მაასტრიხტის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტი ინოვაციისა და ტექნოლოგიების სფეროში
US	ამერიკის შეერთებული შტატები
USD	აშშ დოლარი
WAN-IFRA	გაზეთებისა და ახალი ამბების გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
WMTN	ვინ ქმნის ახალ ამბებს (news)
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი
WWII	მეორე მსოფლიო ომი

ბიბლიოგრაფია

- Ahmed, S. (2020). "The Aids Epidemic Stigmatized Black Communities for Years. Now Coronavirus Threatens to do the same with Asian Communities", Media Diversity Institute, 24 March 2020, <https://www.media-diversity.org/the-aids-epidemic-stigmatized-black-communities-for-years-now-coronavirus-threatens-to-do-the-same-with-asian-communities/>.
- Allen, W., Blinder, S. and R. McNeil (2017). "Media Reporting of Migrants and Migration". In: *World Migration Report 2018*, IOM, https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr_2018_en_chapter8.pdf.
- Associated Press (2008). *A New Model for News: Studying the Deep Structure of Young-Adult News Consumption*, June 2008, <https://apo.org.au/sites/default/files/resource-files/2008-07/apo-nid15035.pdf>.
- Ballantyne, N. and D. Dunning (2020). "Which Experts Should You Listen to during the Pandemic?", *Scientific American*, Observations, 8 June 2020, <https://blogs.scientificamerican.com/observations/which-experts-should-you-listen-to-during-the-pandemic/>.
- BELSTAT (2020) *Statistical Yearbook of the Republic of Belarus 2020*, 25 September 2019, https://www.belstat.gov.by/ofitsialnaya-statistika/publications/izdania/public_compilation/index_18023/.
- BEROC (2020). *Demography as a Challenge for Economic Growth*, March 2020, http://beroc.by/publications/policy_papers/demografiya-kak-vyzov-dlya-ekonomicheskogo-rosta/.
- Breeden, A. and A. Cowell (2018). "Paris 'Spider-Man' Saves Young Boy. Cue Debate on Migrants", *The New York Times*, 28 May 2018, <https://www.nytimes.com/2018/05/28/world/europe/paris-migrant-hero-spiderman.html>.
- CASE Belarus (2020). "Circular Migration Between Belarus and Poland, Slovakia, and Czechia", 7 April 2020, <https://case-belarus.eu/circular-migration-between-belarus-and-poland-slovakia-and-czechia/>.
- Colford, P. (2013). "'Illegal immigrant' no more", AP Blog, 2 April 2013, <https://blog.ap.org/announcements/illegal-immigrant-no-more>.
- Connor, P. and J. Passel (2019). "Europe's Unauthorized Immigrant Population Peaks in 2016, Then Levels Off", Pew Research Center, 13 November 2019, <https://www.pewresearch.org/global/2019/11/13/europes-unauthorized-immigrant-population-peaks-in-2016-then-levels-off/>.
- Council of Europe (2020). *Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights – Right to respect for private and family life, home and correspondence*, https://www.echr.coe.int/documents/guide_art_8_eng.pdf.
- Dart Center for Journalism and Trauma (2007). *Trauma & Journalism: A Guide for Journalists, Editors & Managers*, compiled and edited by Mark Brayne, https://dartcenter.org/sites/default/files/DCE_JournoTraumaHandbook.pdf.
- Dugan, E. (2013). "Forced Labour and Human Trafficking: Media Coverage in 2012", JRF Programme Paper, Forced labour, June 2013, <https://www.jrf.org.uk/sites/default/files/jrf/migrated/files/forced-labour-media-coverage-full.pdf>.
- Eberl, J-M. et al. (2019). *European Media Migration Report: How Media Cover Migration and Intra-EU Mobility in Terms of Salience, Sentiment and Framing*, REMINDER, August 2019, <https://www.understandfreemovement.eu/wp-content/uploads/2020/01/D8.3.pdf>.

EJN (2016). The 5 Principles of Ethical Journalism, Who we are, <https://ethicaljournalismnetwork.org/who-we-are/5-principles-of-journalism>.

ESRC COMPAS (2018). *The COMPAS Approach: Considering the past, present and future of migration research*, https://www.compas.ox.ac.uk/wp-content/uploads/COMPAS-Framing-Report_brochure.pdf.

European Commission (2020). Migration and Home Affairs, What We Do, subsidiary protection, https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/glossary_search/subsidiary-protection_en.

European Commission (2017). Migration and Home Affairs, What We Do, Temporary protection, https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/asylum/temporary-protection_en.

European Commission (2017). Migration and Home Affairs Family Reunification, https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/legal-migration/family-reunification_en.

European Commission (2014). *The Impacts of Remittances on Developing Countries*, DG EXPO, [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET\(2014\)433786_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/433786/EXPO-DEVE_ET(2014)433786_EN.pdf).

Eurostat (2020). Enforcement of immigration legislation statistics, modified 21 July 2020, https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Enforcement_of_immigration_legislation_statistics#Non-EU_citizens_ordered_to_leave_the_EU-27.

Eurostat (2020). Top 20 countries of citizenship of non-EU citizens returned outside the EU-27, 2018 and 2019 (number), modified 3 July 2020, [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Top_20_countries_of_citizenship_of_non-EU_citizens_returned_outside_the_EU-27,_2018_and_2019_\(number\)_MI20.png](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=File:Top_20_countries_of_citizenship_of_non-EU_citizens_returned_outside_the_EU-27,_2018_and_2019_(number)_MI20.png).

Feinstein, A. and H. Storm (2017). *The Emotional Toll On Journalists Covering the Refugee Crisis*, Reuters Institute for the Study of Journalism, <https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/research/files/Storm%20and%20Feinstein%20-%20Emotional%20Toll.pdf>.

Fengler, S. and M. Kreutler (2020). “How do the European media cover migration?”, EJO, 14 January 2020, <https://en.ejo.ch/ethics-quality/how-do-the-european-media-cover-migration>.

Gibson, J. and D. McKenzie (2011). “Eight Questions about Brain Drain”, IZA Discussion Paper No. 5730, May 2011, <http://ftp.iza.org/dp5730.pdf>.

GIJN (2018). Working with Whistleblowers, <https://gijn.org/whistleblowing/>.

Hannaford, A. et al. (2016). “Reporting on Refugees: Tips on Covering the Crisis”, Dart Center for Journalism and Trauma, 26 February 2016, <https://dartcenter.org/resources/reporting-refugees-tips-covering-crisis>.

ICMPD (2017). *Media and Trafficking in Human Beings Guidelines*, https://www.icmpd.org/fileadmin/user_upload/Media_and_THB_Guidelines_EN_WEB.pdf.

ILO (2020). “ILO launches sixth Global Media Competition on Labour Migration and Fair Recruitment”, Labour migration, Media advisory, 15 September 2020, https://www.ilo.org/global/topics/labour-migration/news-statements/WCMS_755234/lang--en/index.htm.

- ILO (2020). Reporting on forced labour and fair recruitment: An ILO toolkit for journalists, <https://readymag.com/ITCILO/1292461/>.
- IOM (2020). “Global Migration Film Festival 2020”, Global Migration Film Festival, <https://www.iom.int/global-migration-film-festival>.
- Karnitschnig, M. (2020) “5 years on from Angela Merkel’s three little words: ‘Wir schaffen das!’”, *Politico*, 31 August 2020, <https://www.politico.eu/article/angela-merkel-wir-schaffen-das-5-years-on/>.
- Law, T. (2020). “Digital transformation and greater diversity be two sides of the same coin”, Media Diversity Institute, 13 March 2020, <https://www.media-diversity.org/digital-transformation-and-media-diversity-two-sides-of-the-same-coin/>.
- Marchand, K. (2019). “Why are people moving within Europe? The complexity of migrant decision-making in the European Union”, REMINDER, Blog, 30 April 2019, <https://www.reminder-project.eu/blog/why-are-people-moving-within-europe-the-complexity-of-migrant-decision-making-in-the-european-union/>.
- Matache, M. and J. Bhabha (2020). “Anti-Roma Racism is Spiraling during COVID-19 Pandemic”, *Health and Human Rights*, 22(1), June 2020, pp. 379-382, <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7348427/>.
- Mattoscio, M. and M. MacDonald (2018). “Introduction: Gender, Migration, and the Media”, *Feminist Media Studies*, 8(6), 2 November 2018, pp. 1117-1120, <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14680777.2018.1532142>.
- McCauliffe, M., Weeks, W. and K. Koser (2017). “Media and migration: Comparative analysis of print and online media reporting on migrants and migration in selected countries”. In: *A Long Way to Go; Irregular Migration Patterns, Processes, Drivers and Decision-Making*, <https://library.oapen.org/bitstream/handle/20.500.12657/30709/643773.pdf?sequence=1#page=311>.
- MIBMA (2019). “ICMPD announces the winners of «Suitcase 2019» annual journalism contest on migration issues”, News, 12 December 2019, <https://www.mibma.eu/en/news/150-icmpd-announces-the-winners-of-suitcase-2019-annual-journalism-contest-on-migration-issues>.
- Migration Data Portal (2020). Types of migration, International students, updated 9 June 2020, <https://migrationdataportal.org/themes/international-students>.
- Migration Data Portal (2020). Types of migration, Labour migration, updated 9 June 2020, <https://migrationdataportal.org/themes/labour-migration>.
- Migration Observatory (2013). *Migration in the News: Portrayals of Immigrants, Migrants, Asylum Seekers and Refugees in National British Newspapers, 2010-2012*, University of Oxford, <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/reports/migration-in-the-news/>.
- Migration Observatory (2011). *Thinking Behind the Numbers: Understanding Public Opinion on Immigration in Britain*, University of Oxford, <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/reports/thinking-behind-the-numbers-understanding-public-opinion-on-immigration-in-britain/>.
- Migration Observatory (2011). “Mixed Migration: Policy Challenges”, Primers, 24 March 2011, <https://migrationobservatory.ox.ac.uk/resources/primers/mixed-migration-policy-challenges/>.

Migration Research Hub (2020). Migration governance, <https://migrationresearch.com/taxonomies/topics-migration-governance>.

Moore, J. (2011). *Covering Trauma – A Training Guide*, http://www.sfcg.org/programmes/rfpa/pdf/2011-Covering_Trauma_Color_EN.pdf.

Newman, N. (2020). “Executive Summary and Key Findings of the 2020 Report”, Digital News Report, <https://www.digitalnewsreport.org/survey/2020/overview-key-findings-2020/>.

OHCHR (2014). “Human Rights and Human Trafficking” Fact Sheet No. 36, June 2014, https://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36_en.pdf.

OHCHR (1966). *International Covenant on Civil and Political Rights. Adopted and opened for signature, ratification and accession by General Assembly resolution 2200A (XXI) of 16 December 1966 entry into force 23 March 1976, in accordance with Article 49*, <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx>.

Orchard, C. (2018). “How to prepare asylum claims based on sexual identity”, Free Movement, 4 May 2018, <https://www.freemovement.org.uk/guest-post-preparing-asylum-claims-based-on-sexual-identity/>.

Pekel, M. and M. van de Reijt (2017). “Refuge Images: Ethics in the Picture”, EIJN, <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/ethics-in-the-news/refugee-images>.

Rahman, G. (2020). “Photo circulating of busy mosque was taken before lockdown”, Full Fact, 31 March 2020, <https://fullfact.org/online/coronavirus-mosque-shut-lockdown/>.

Reilly, K. (2016). “Here Are All the Times Donald Trump Insulted Mexico”, *Time*, 31 August 2016, <https://time.com/4473972/donald-trump-mexico-meeting-insult/>.

REMINDER (2020). WP5 – Labour market / public service impacts, Work Packages, <https://www.reminder-project.eu/publications/work-packages/wp5-labour-market-public-service-impacts/>.

Reuters Institute for the Study of Journalism (2017). *Digital News Report 2017*, https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/Digital%20News%20Report%202017%20web_0.pdf.

Scott, C. (2015). “5 key research findings about young online audiences from BBC World Service”, journalism.co.uk, 30 November 2015, <https://www.journalism.co.uk/news/five-key-research-findings-about-young-online-audiences-from-bbc-world-service/s2/a588021/>.

Smith (2019). “Sonification: turning the yield curve into music”, *Financial Times*, 15 March 2019, <https://www.ft.com/content/80269930-40c3-11e9-b896-fe36ec32aece>.

Solutions Journalism Network (2019). 22 Interview Questions to Complicate the Narrative, https://s3.amazonaws.com/sjn-static/CTN_Interview_Qs.pdf.

Stasyuk, Y. (2020). “Refugee situation on the Belarusian-Polish border, January-March 2020”, Human Constanta, 6 April 2020, <https://humanconstantabyby/situaciya-s-bezhencami-na-belarussko-polskoj-granice-yanvar-mart-2020-g/>.

- The Guardian* (2013). "Modern-day slavery: an explainer", 3 April 2013, <https://www.theguardian.com/global-development/2013/apr/03/modern-day-slavery-explainer>.
- Tuller, D. (2004). *Reporting Diversity Manual*, Media Diversity Institute, [http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20\[EN\].pdf](http://www.media-diversity.org/additional-files/documents/A%20Guides/MDI%20Reporting%20Diversity%20manual/Reporting%20Diversity%20Manual%20-%20Caucasus%20[EN].pdf).
- UN (2019). United Nations Strategy and Plan of Action on Hate Speech, <https://www.un.org/en/genocideprevention/documents/UN%20Strategy%20and%20Plan%20of%20Action%20on%20Hate%20Speech%2018%20June%20SYNOPSIS.pdf>
- Understanding Free Movement (2020). "What makes Poland unique?", Impacts, <https://www.understandfreemovement.eu/article/what-makes-poland-unique/>.
- UNHCR (2016). "Internally Displaced People | On the Run in Their Own Land", Central Europe, 14 December 2016, <https://www.unhcr.org/ceu/80-enwho-we-helpinternally-displaced-people-html.html>.
- UNHCR (2019). Figures at a Glance, UK, <https://www.unhcr.org/uk/figures-at-a-glance.html>.
- UNODC (2017). "Annex II: The definition of trafficking in persons and the mandate for the Global Report", Global Report on Trafficking in Persons, https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/glotip/Annex_II_-_Definition_and_mandate.pdf.
- UNSD (1998). *Recommendations on Statistics of International Migration*, Revision 1, Department of Economic and Social Affairs, https://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM_58rev1e.pdf.
- U.S. Citizenship and Immigration Services (2015). Humanitarian, Temporary Protected Status, <https://www.uscis.gov/humanitarian/temporary-protected-status>.
- Warren, R. (2015). "A Syrian Refugee Shared His Struggle To Reach Europe In Real-Time On WhatsApp", BuzzFeed, 6 December 2015, <https://www.buzzfeed.com/rossalynwarren/a-syrian-refugee-used-whatsapp-to-share-his-journey-through>.
- White, A. (2018). "Introduction", Words That Matter: A Glossary for Journalism in Cyprus, EJN, <https://ethicaljournalismnetwork.org/resources/publications/words-matter-glossary-journalism-cyprus>.
- Zhvania, A. (2016). *Study in Georgia: Prospects of Internationalization of Higher Education*. PMC Research Center or Konrad Adenauer Foundation, https://think-asia.org/bitstream/handle/11540/6942/Georgia_Higher_Education.pdf?sequence=1.
- Zitlmann, R. (2020). "The Corona Crisis: The Rothschilds? Bill Gates? The Search For A Scapegoat Has Begun", *Forbes*, 23 March 2020, <https://www.forbes.com/sites/rainerzitlmann/2020/03/23/the-corona-crisis-the-rothschilds-bill-gates-the-search-for-a-scapegoat-has-begun/?sh=29b8b1242283#3af194332283>.

